

კაპიტალური  
ენერგეტიკი

# დოკუმენტი

## ტალღა

თბილისი  
2018

აკაპი მუმლაძე: დროის ტალღა  
გამომცემლობა „ივერიონი“. თბილისი. 2018. გვ 232.

პუბლიკური მუმლები

## ნიკოლე გაბრიელი

ც ი ს ტ უ რ ი

ერთ წიგნად აკინძული ეს პუბლიცისტური წერილები ჩვენს ვაი-უშველებელზე და ცოტაც საშველებელზე, 90-იანი წლებიდან მოყოლებული ჩვენს ქვეყანაში განვითარებული მოვლენების გა-მოძახილია და მიმდინარე პროცესების კვალდაკვალ იბეჭდებოდა პრესის ფურცლებსა თუ ინტერნეტ სივრცეში.

დღევანდელი გადმოსახედიდან კიდევ უფრო მეტი სიცხადით ჩანს, რა გზა გავიარეთ – როგორც ერმა და სახელმწიფომ; რისი გაკეთება და მოსწრება შევძელით ამ ბოლო ორი ათეული წლის მანძილზე და რა დასაპყრობი მწვერვალები გვიდევს წინ.

რედაქტორი: ნინო მუმლაძე

© ყველა უფლება დაცულია

ISBN -

## ზაფხულივით ზამთრის ღამის სიზმარი

ვითომ თბილისის ქუჩებში ძაღლების სახსენებელიც აღარ იყო. ილიჩის ლამპიონებით გაჩირაღდნებულ რუსთაველის გამზირზე ცხოვრება დუღდა და გადმოდიოდა. რის დედის გინება, რა დედის გინება, ან სხვისი, ან თავისი, დიდსა თუ პატარას სულ დაშაქრული სიტყვა ცვიოდა პირიდან. გაქათქათებული სახლების ბროლივით კრიალა, დაფერილი ფანჯრებიდან კლასიკური და ხალხური მუსიკალურ-ვოკალური შედევრების მომაჯადოებელი პანგები იღვრებოდა. მეღამიე მეინახეებს პირდაპირ ჭადრებქვეშ გაეშალათ სუფრები და ნუგბარ-ნუგბარ საჭმელებს შარბათივით ტკბილ შამპანურს აყოლებდნენ, თან გამვლელებს ამუნათებდნენ – თუ საქართველო გიყვართ, თუ ჩვენი ხათრი გაქვთ, გვიკადრეთ და ერთი-ორი სიტყვა შემოგვაწიეთო. ერთ სუფრასთან აფრიკელი ზანგები ხინკალსა და წიქას ლუდზე ნე-

ტარებით ვიშვიშებდნენ და გურული კრიმანქულით იჭაჭებოდნენ. ცოტა მოშორებით ჯეელები ლიტერატურაზე კამათობდნენ; რომელილაცა ამტკიცებდა, ერთი ალილუა მღვდელსაც შესცდება, რუსთაველი ჯერ ამბობს „ლეკვი ლომისა სწორია“, მერე კი აცხადებს – „კაცი ჯაბანი რითა სჯობს, დიაცსა ქსლისა მბეჭდელსაო“. თანამოსაუბრე ზოგიერთი ჩვენი პარლამენტარივით პირში არ ებმებოდა, დარბაისლურად უსმენდა, მაგრამ ჭინკებ-აცეკვებულ თვალებში ეტყობოდა, რომ გამანადგურებელი პასუხი ჰქონდა მომზადებული. „საჯაროსთან“, ნამუსზე მოქცეული მკითხველები მოჯარებულიყვნენ და ხელსგაყოლებულ და მეგობარ-ბიბლიოთეკართა მიერ ნაჩუქარ სახელმწიფო წიგნებს აპრუნებდნენ. ერთი ქალბატონი თავისი შვილის მასნავლებელ მეორე ქალბატონს მონინებულ საყვედურს ჰკადრებდა: – როგორ მოგიყიდათ ქალბატონი ზუთხინა, რომ ჩემი შვილი შემდეგ კალასში გადაიყვანეთ – რა არ ვეითხე, როგორ არ ვცადე, მაგრამ ვერცერთ საკითხზე ხმა ვერ ამოვალებინეო. ამის გამგონე სხვა ქალბატონები და ვაჟბატონები ასახელებდნენ ახალგაზრდებს, რომლებმაც მამიკონის ჩაწყობილ სტუდენტობასა და თანამდებობებზე უარი თქვეს: – ჩვენ რა, დებილები ხომ არ ვართ, საკუთარი თავით უნდა მივალნიოთ ყველაფერსო.

მგზავრებხალვათა ტროლეიბუსები წუთი-წუთზე მოძრაობდნენ, როგორც „უძრაობის“ დროს გაჩერებებზე შუა კარებსაც აღებდნენ. მძღოლები ხელებს ასაკსავებდნენ და თავს იკლავდნენ – აპაპაპა, ხურდა არ დამიტოვოთ, რა მჭირს თქვენი სამოწყალო, ყელამდე მყოფნის ჩემი ხელფასიო.

გადასასავლელებში, ბეწვი რა არის, ბეწვსაც შეამჩნევდით, რომ სადმე გდებულიყო და ხალხი ცხვირზე ხელაუფარებლად და ფეხაუჩქარებლად, ტაატით გადადიოდა ქუჩის მეორე მხარეზე.

რკინიგზის თავკაციის ვაჟკაცური სიტყვის მიუხედავად, კახეთის მატარებელს ისევ დაეგვიანებინა და „რიგოლეტოზე“ და-სასწრებად ჩამოსულ მიხოსა და კეკეს სასტუმრო „ინტერნაციონალისთვის“ მიეკითხათ ღამის გასათევად. მორიგე ადმინისტრატორი ეფიცებოდა – ლუქსი კი არა „კოიკის“ ჩასადგმელი ადგილი

არა მაქს, უცხოელი ექსპერტებითა ვართ გაჭედილიო. მიხო კვირობდა – კიდევ სხვების საკითხავადა გვაქვს საქმეო? მორიგე კი მონინებით და დაუინებით უხსნიდა – არა შე კაცო, ახლა თვითონ ჩამოდიან ჭურის საკითხავად; მთელი ამერიკა და ევროპა აქეთაა გადმოხვეწილიო და მიხოს ურჩევდა – დაჰყევით ამ ქუჩას, მთელი კილომეტრია სასტუმროები და უსიკვდილოდ მიგიღებენო.

ქაშუეთის ეკლესიასთან ერის გასამრავლებლად მზადმყოფი გასაბედნიერებელი წყვილების ზღვა სულიერი მამების მობრძანებას ელოდებოდა.

ქვემოთ, ძნელაძის ბაღში ჩვენი პრეზიდენტი მარტოდმარტო, ყოველგვარი დაცვის გარეშე, რომელილაც ოპოზიციონერს ჭადრაკის ძნელ პარტიას ეთამაშებოდა და თან აჩქარებდა – მალე, თუ კაცი ხარ, შემოგვათენდა, საქმე კი ბევრი აღარაფერი დამრჩა, მაგრამ, ხომ იცი, სამსახური – სამსახურიაო.

ამ დროს სამრეკლოს ზარებმა დაიწკრიალ-დაიუღარუნეს და თბილისს ჯვრისწერის ცერემონიალის დაწყება ამცნეს – სინამდვილეში კი...

ეს აღმოჩნდა სახანძრო მანქანების შეცხადების სირენები, რომელმაც სამოთხიდან მკაცრ რეალობაში გადმომაჯლუგუნა; თუმცა, სიზმრის სასიამოვნო განწყობილება დენისა და წყლის გამორთვამდე მაინც გამყვა. ისე კი, ხალხნ და ჯამაათნო, რაც ჩვენ უბედურება და ხელმოკლეობა გვჭირს, ეს ხომ მეტწილად ზოგიერთთა სულმოკლეობის და მადაგრძელობის ბრალია. რა იქნება, რომ ცოტა რამ მათაც დათმონ და ყველამ ერთად ვიფიქროთ და ვიოცნებოთ ამ სიზმრისეულ ყოფაზე, ყველამ და ყველასთვის და მაშინ, ჩვენი ცხოვრება მთლად ასეთი თუ არა, გასაძლისი და დამაკმაყოფილებელი მაინც უეჭველად იქნებოდა. უკეთესი და ახდენილი სიზმრის მოლოდინში!

გაზეთი „ალია“, №29, 9-11 მარტი, 1996

## ორიოდე მოსაზრება შექმნილი მდგრადარების გამო

ჩვენს ტელეგადაცემებში რამდენჯერმე გაისმა: – რას უნდა ნიშნავდეს აფხაზი მოსახლეობისადმი სოხუმიდან გახიზვნის მოწოდება. – უთუოდ ტოტალური შეტევისა, და უპირველეს ყოვლისა, რუცკოის მუქარის რეალიზაციის განზრახვას, რის გამოც საჭიროა საჩქაროდ გატარდეს საპატიო თავდაცვის შეძლებისდაგვარი ღონისძიებები.

ღმერთმა ქნას, რომ მხოლოდ „შიშს ჰქონდეს დიდი თვალები“ და მე ვცდებოდე, მაგრამ სიფრთხილეს არა და არ სტკივა თავი. ისე კი: 1. თუ აფხაზებმა შესძლეს თითქმის მთელი მსოფლიოს ჩვენს თვალწინ მობილიზება, ჩვენც უნდა შეგვეწუხებია თავი და მოგვეძია და შემოგვეყვანა ქართველი მერაკეტები მაინც, თორემ ჩრდილოეთი კიდეც რომ დაგვპირდეს პაერსანინააღმდეგო დახმარებას, კრიტიკულ მომენტში აუცილებლად „იტოტ-ლებენებს“, ანდა კიდევ უარესი – ჩვენს შვეულმფრენებს ჩამოჰყრის; 2. ბატონ ედუარდ შევარდნაძის წყალობით რომ რუსეთთან ურთიერთობაში შესაძლებლობის მაქსიმუმს მივაღწიეთ და მოლაპარაკება რომ გარკვეულ დათმობებსაც გულისხმობს, ეს ყველა ჭკუათმყოფელისათვის ცხადზე ცხადია, მაგრამ ყოვლად დაუშვებელია საქართველოს სამივე ჭიშკარს, რუსეთთან ერთად მაინც, არ აკონტროლებდეს ქართველი. ხომ არ გვგონია ჩვენ, რომ ვინც არ უნდა შემოიყვანონ და რაც არ უნდა შემოიტანონ, ჩვენ ყველასა და ყველაფერს გავუმკლავდებით?! 3. საჭიროა, ახლა მაინც არ შევატოვოთ აფხაზი ხალხი აფხაზ და რუს დეზინფორმატორებს და მივმართოთ მას თავის ენაზე რადიოთი, ტელევიზიონით, პროკლამაციებით. ასევე საჭიროა სათანადო ინფორმაცია შევიტანოთ სტავროპოლისა და კრასნოდარის მხარეთა რუს მოსახლეობაში მათივე რადიო-ტელევიზიონთა და პრესით. არც ქართველ ხალხს ანყენდა ასე ერთსაათიანი პოპულარული ლექცია-საუბარი, თუ ვინა ვართ, საიდან მოვდივართ, საით მივდივართ და ვის რა უნდა ჩვენგან, და ბოლოს 4. მარტო ენთუზიაზმი

და შემართება რომ საქმეს ვერ შველის ეს დღესავით ნათელია, ამიტომ დაუყოვნებლივ უნდა შევუდგეთ მთელი მოსახლეობის – დიდის თუ პატარის, კაცის თუ ქალის სამხედრო-ფიზიკურ წვრთნას საცხოვრებელ თუ სამუშაო ადგილებზე. სროლა უნდა იცოდეს ყველამ! ამისათვის კი აგრეთვე საჭიროა ყველა დასახლებულ პუნქტში, განსაკუთრებით სოფლად, აფუნქციონირდეს ტირები და კარატესა, სამბოსა და მსგავს სპორტულ თამაშობათა წრეები.

23 სექტემბერი 1992

## ერთი „სხვის საქმეში პრაგმატიკის“ განცხადების გამო

როგორც ცნობილი გახდა, თურქეთის პრემიერ-მინისტრს, ბატონ სულეიმან დემირელს უკადრებია: „საქართველოში აფხაზთა უფლებები არ უნდა ილახებოდეს“. საინტერესოა ეკითხოს ბ-ნ სულეიმანს, რაში ხედავს ის აფხაზთა უფლებების შელახვას. – იმაში, რომ 90 000-იან ხალხს აქვს ავტონომია – საკვლევი ინსტიტუტები, უნივერსიტეტი, რადიო, ტელევიზია, პრესა... ?! – რომ ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის 17% აფხაზობას 28 დეპუტატი ჰყავს პარლამენტში, 44% ქართველს კი – 26?! – თუ იმაში, რომ რესპუბლიკის საკმაოდ მრავალრიცხოვნ მინისტრთა კორპუსიდან მხოლოდ ერთია ქართველი და ისიც აფხაზის მეუღლე?!

კი ბატონო, ზის მთავრობის მეთაურად ვითომ ქართველი ზარანდია, მაგრამ ეს რომ წმინდა წყლის ფარსია, იქიდანაც კარგად ჩანს, რომ აფხაზურ-ქართული კონფლიქტის მოსაგვარებელ მოლაპარაკებებში მისი ჭაჭანებაც არაა და აფხაზურ მხარეს აქ მისი აფხაზი მოადგილეები წარმოადგენენ.

საკვირველია, რატომ ეძებს არარსებულ ბენცს ბატონი პრემიერი სხვის თვალებში, თავისაში კი დიდ დირესაც ვერ ამჩ-

ნევს?! ჩვენთვის დემოკრატიის სწავლებას ის არა სჯობს, მისცეს ავტონომია თავის აფხაზებს, და მით უმეტეს, ქართველებს, რომლებიც აფხაზებზე გაცილებით მრავალრიცხოვენი არიან და რომლებიც, სხვათა შორის, თუ ბატონ სულეიმანს მეხსიერება არ ღალატობს, თავისსავე მიწა-წყალზე ცხოვრობენ და რატომლაც თურქეთის ქვეშევრდომებს წარმოადგენენ. ამაზეა ნათქვამი – ჩემი შენ გითხარიო, გული მოგიკალიო.

P.S. გუშინდელ „დებატებში“ ბატონი დიმიტრი ალექსიძე ერთი იგერიებდა ოთხი მგლის ღრენა-შემოტევებს და მას სიტყვას პირიდან აგლევდნენ.

მომავალ დისკუსიებში საჭიროა მოვითხოვოთ სეკუნდანტი საათები და შემაჯამებელი სიტყვის უფლება თითოეული მონაწილისათვის; თანაც არ შეიძლება მხოლოდ პასუხებით შემოვიფარგლოთ, არამედ თვითონ დავსვათ კითხვები და მოვითხოვოთ კონკრეტული პასუხები მათზე. მაგალითად:

– მიგაჩნიათ თქვენ კანონიერად, რომ 17% აფხაზს პარლამენტში 28 დეპუტატი ჰყავს, 44% ქართველს კი 26? კი თუ არა?

– რაში ხედავთ თქვენ აფხაზების ქართველებისაგან ჩაგვრას?  
– 1, 2, 3...

როცა რუსეთისაგან საქართველოს დაკარგვა-არდაკარგვაზე ითქვა, საჭირო იყო შეგვენიშნა, რომ დაკარგვა შეიძლება მხოლოდ იმისა, რაც შენ გეკუთვნის და გვეკითხა – მიგაჩნიათ თქვენ საქართველო რუსეთის საკუთრებად თუ არა?

1993 წელი

## ბატონი ედუარდ!

(საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს)

შეუძლებელია ვერ ხედავდეთ, რომ სოხუმის ირგვლივ რკალი იკვრება, ააფრენენ დაპირებულ ესკადრილიასაც და თუ ღმერთი განყრა, არც მარტო აფხაზეთსა და სამეგრელოს დასჯერდებიან.

ტყუილად როდი ასისინდნენ (რა თქმა უნდა, გროზნოს ტექსტით) ზვიადისტები – საქართველო გაყიდულია (გასაგებია ვისგან იგულისხმება), ერთ თვეში ყველაფერი გაირკვევა (ეს ცნობილ საინფორმაციო საშუალებებს არ შეეშლებათ), ნახავთ ვინ ვის აირჩივსო.

ბუნებრივია, რომ გაერო და ნატო რუსეთის „წყენინებას“ გაურბიან და ფეხს ითრევენ. თქვენც, ბატონო ედუარდ, მაპატიეთ, მაგრამ ცუდ სამსახურს გინევთ სამართლიანობის აღზევების ილუზია და განწყობა, რომელსაც ატომური გიგანტის უკან გულვება გიქმნიდათ.

თუ უკვე გვიანი არაა, უნდა დავარისხოთ ზარები ევროპისა და შტატების მთავარ ქალაქებში, სასწრაფოდ დავუკავშირდეთ იქაურ ქართველობას, ავაყვიროთ ისინი ქუჩებში, გავაკრათ კედლებზე და დავბეჭდოთ გაზეთებში:

Georgia is Being Swallowed!

Georgian Nation is in Danger Of Massacre!

Dear Americans, Europeans, Asians and Africans, Help Us!

UNO and NATO, Save Us!

1993 წელი

## ქალბატონო ნატო!

(ჟურნალისტ ნატო ონიანს, პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძესთან ტრადიციული რადიოინტერვიუს სერიების წამყვანს)

გთხოვთ თქვენს ინტერვიუში ბატონ პრეზიდენტს დაუსვათ შემდეგი შეკითხვა-საკითხები:

1. რა იურიდიული გამართლება აქვს კომუნისტების მიერ ჩამორთმეული მიწების სხვებზე განაწილებას, და მით უმეტეს, გაყიდვას?! თუ კომუნისტურ წყობილებას უარვყოფთ, კომუნისტების მთავარი დანაშაული ხომ ეგ იყო? რაღადლა გამოვდი-

ვართ მათი „ხელისძამცლელების“ როლში?

2. სხვადასხვა დონეზე მოწონებულმა პრივატიზაციამ, სინამდვილეში დიდი ლახვარი ჩასცა პატიოსანი კაცის მრწამსს, როცა მის თვალწინ, მისი მონაწილეობით შექმნილი სახელმწიფო ქონება, მეტწილად, თაღლითების ხელში აღმოჩნდა. ახლა მთავრობა ფიქრობს ბინძური ფულის ამნისტიასაც, რაც საპოლოოდ გამოუთხრის ძირს პატიოსნების ინსტიტუტს, და მაშასადამე, ძალაში შედის პრინციპი – მიზნის მისაღწევად ყველა ხერხი დასაშვებია?

3. მიაღწია რა რუსეთის იმპერიის დაშლას, საზღვარგარეთი გაურბის რუსეთის „ზედმეტ“ გაღიზიანებას, თორემ რა დიდი არითმეტიკა უნდა დაცარიელებული და დამწვარი სახლებისა და დახოცილი მშვიდობიანი მოსახლეობის სიების მიხედვით აფხაზეთში ჩატარებული ეთნიკური წმენდისა და გენოციდის ფაქტების დადგენას? უტყობა, აფხაზეთიდან ქართველთა აყრა რუსეთის კარნახით კვალიფიცირდება, როგორც სტალინის დისკრიმინაციული ეროვნული პოლიტიკის შედეგების აღმოფხვრა და სამართლიანობის აღდგენა. რა კონტრარგუმენტები გაგვაჩნია ჩვენ ამის საპასუხოდ?

4. მიმდინარე ვითარების ფონზე აფხაზეთში, და მით უმეტეს, აფხაზეთის დაბრუნება ილუზიად გამოიყურება. რუსეთი ამდენი წნის სანუკვარ და ქართველებისაგან გაწმენდილ აფხაზეთს არ დათმობს, ჩვენ კი ამ ვეშაპისა და მის მიერ ჩვენზე დაგეშილი და დარაზმული მთელი ჩრდილოეთ კავკასიის მომრევი არ ვართ. მაშინ რას უპირებთ ამდენ გაუბედურებულ ადამიანს?

პირადად მე, ერთ-ერთმა მათგანმა, დაინვალიდებულმა ოჯახის მარჩენალმა ვითხოვე ჩემთვის დაებრუნებიათ 1963 წელს ჩამორთმეული 7500 კვ/მ² ვენახი (საჩხერის რ-ნის სოფ. მერჯევში, სადაც მე კავშირგანწყვეტილ წევრად ვითვლები და მაქვს მიწისძვრისაგან დანგრეული და სანახევროდ აღდგენილი პატარა სახლი და 1500 კვ/მ² მიწის ფართობი), რათა ჩემი უსუსური შვილები გადამერჩინა გამათხოვრების ნაღდი პერსპექტივისაგან, მაგრამ მტკიცე უარი მივიღე. რატომ უნდა აწყობდეს ჩვენს საზოგადოე-

ბას, რომ ჩემი უდანაშაულო შვილები შეუერთდნენ ისედაც მრავალრიცხოვან ხელგანვდილთა არმიას; მათი ხსნის ერთადერთი შანსი, მათი სამემკვიდრეო მამული კი სხვებს მიეყიდოს?

1994 წელი

## რუკიდან რომ არ ნავიშალოთ

რთულ და ძლიერ მეზობელს ან ეგუებიან, ანდა აიყრებიან და ეცლებიან. მეზობელი ხალხების შემთხვევაში ალტერნატივა არ არსებობს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ დედა პლანეტის შესაძლებლობები ინურება, მაშინ როდესაც მისი მოსახლეობა უსაშველოდ იზრდება, შენ კი ამ დროს საკუთარი არაფერი გაგაჩნია, ნარკომანიასა და ტაშ-ფანდურში მეწინავეობის გარდა, თანაც სახლი – შუშის სახლი იმ სამოთხეში გიდგას, რომელსაც ათასი მუშტრის თვალი შესჩერებია, ადვილი მისახვედრია რა სიფრთხილე მართებს ისეთ ჭრელ და ობოლ ქვეყნას, როგორიც ჩვენია.

ჩვენზე დიდი ხალხები აღგვილან პირისაგან მიწისა – რომი ბარბაროსებმა დაანგრიეს.

დათვური სამსახური გაგვინია ჩვენმა რომანტიკულმა გულუბრყვილობამ, ჩვენ ჭეშმარიტებად აღვიქვით კაცობრიობის გაკეთილშობილებისა და სამართლიანობის აღზევების ილუზია, რამაც თვალი დაგვახუჭინა იმ სამწუხარო რეალობაზე, რომ სხვისი გულისთვის აუტკივარ თავს არავინ აიტკივებს, და მით უმეტეს, ატომურ გიგანტს არ დაუპირისპირდება. აკი ჯერ კიდევ რეიგანმა გვირჩია – დამოუკიდებლობის საკითხი რუსეთთან შეათანხმეთო. იგივე გაგვიმეორა, ფაქტიურად, გაერომაც – რუსეთს ნუ აღიზიანებთო, და როცა აფხაზეთის კონფლიქტში მისი გადაუდებელი ჩარევის აუცილებლობა წარმოიშვა, მან აშკარად ფეხი აითრია, თორემ რა დიდი ლარი და ხაზი და კომისიების კომისიებზე გზავნა უნდოდა იმის დადგენას, რომ 80 000-

იან ხალხს ერთი ხელის დაკვრით ვერ გაუჩნდებოდა ავიაცია, ფლოტი, ამხელა განვრთნილი ჯარი და ამდენი მძიმე ტექნიკა, რომელიც თვალის დახამხამებაში ჩამორბის კავკასიონის ვიწრო ბილიკებს.

თავისუფლებისათვის ადამიანი აკვანშივე იბრძვის, მაგრამ მან რომ არტახებს თავი დააღწიოს, უცილობლად ძირს მოადენს ზღართანს.

არადა თვითონ გორბაჩივმა შემოგვთავაზა – მოაწერეთ ხელი ჩვენთან კავშირს და აფხაზეთისა და ოსეთის პრობლემა არ გექნებათო. ჩვენ ვაუკაცურად უარვყავით მეგობრობის ეს წინა-დადება, მტერმა კი იგი მაშინვე აიტაცა და ისეთი წარმატებით გამოიყენა, რომ თუ ჩვენი მზის ჩრდილოეთიდან ამოსვლა გვეხ-ამუშებოდა, მისი იქიდანვე ჩასვენების რეალური საფრთხის წინაშე აღმოვრჩდით.

გასაგებია რამდენი უშუშარი იარა მოგვაყენა ჩრდილოელმა მეზობელმა, მაგრამ მას მარტო ცუდი ნამდვილად არ უკეთებია. არ იყო გონივრული მხოლოდ უარყოფითის აქცენტირება, მით უმეტეს, რომ ჩვენ იმპერიულ რუსეთს ვებრძოდით, ახლა კი თვი-თონ დაადგა დემოკრატის გზას. ყოველ შემთხვევაში, დღეს იგი ველარ მოგვთხოვდა რუსულად წერეთ და იმღერეთო, ველარ წაიღებდა ჩვენს ნედლეულსა და პროდუქციას კაპიკებად, ველარ დაგვიშლიდა უცხოეთთან ურთიერთობას, ველარ დააკომპლე-ქტებდა ჩვენს კადრებს, და რაც მთავარია, არ ან ვერ მოგვახვე-ვდა თავს ამ დამანგრეველ ომებს, რისი გარანტიც იქნებოდა: 1. რესპუბლიკის სამივე ჭიშკართან რუსის გვერდით ქართველის დაყენება და იარალის შემოტანის აღკვეთა, 2. ავტონომიებში დემოკრატიული არჩევნების ჩატარება და 3. პრივატიზაცია, რამეთუ როცა ჩემი ცხოვრების ავ-კარგიანობა ჩემსავე ხელშია, სულაც არა აქვს ჩემთვის მნიშვნელობა, ვინაა სახელმწიფოს სა-თავეში.

მშვიდობიანობა ქვეყანაში, რუსეთის ბაზრისა და მასთან ეკონომიკური კავშირების შენარჩუნება, რუსეთისა და უცხოე-თის ინვესტიციები ჩვენ საშუალებას მოგვცემდა ჩაგვეტარებია

სრული პრივატიზაცია, აღგვეჭურვა ჩვენი სოფლის მეურნეობა მიკრო მექანიზაციით, აღგვედგინა მცირე ჰესები, მოგვეძია და გაგვეზარდა ნავთობის მოპოვება, ნანილობრივ მაინც გადაგვე-წყვიტა საკუთარი პურის პრობლემა, აგვემოქმედებია კურორტე-ბი, შევდგომოდით ევრაზიის დერეფნის მშენებლობას და ალ-გვეზარდა ჩვენი არმია იგივე რუსეთისა და უცხოეთის სამხედრო სტრუქტურებში. ამასობაში ჩვენ მუხლს მოვიმაგრებდით და რუსეთიც დაძლევდა თავის ექსპანსიურ ამბიციებს, როგორც ეს თავის დროზე ინგლისმა ქნა; და შეიმეცნებდა, რომ გაცილებით უფრო მომგებიანია თავისუფალ ხალხთან ურთიერთობა, ვიდრე დამონებულთან.

დასთ-ში შესვლის საწინააღმდეგო არგუმენტებად მოტანი-ლი აზერბაიჯანისა და ბალტიისპირეთის მაგალითები სწორედ რომ საპირისპიროს მეტყველებები. როცა სომხეთმა დასთ-ზე უარი თქვა, სამხედრო წარმატებები აზერბაიჯანს ქონდა, მა-გრამ როცა ელჩიბეიმ დასთ-დან გასვლა გამოაცხადა, სომხეთი კი მასში განევრიანდა – სოხეთმა აზერბაიჯანის მნიშვნელოვანი ნაწილი დაიპყრო. ბალტიისპირეთის წარმატებების მიზეზი რომ მარტო დამოუკიდებლობა ყოფილიყო, დამოუკიდებლობა ჩვენც გვქონდა. სინამდვილეში საქმე იმაშია, რომ ბალტიის ქვეყნებს არც ამდენი უსაქმური და თავის თავის მტერი ჰყოლია და არც აფხაზები და ოსები, რუსულ დიასპორას კი არც ჩვენთან აულია ხელში იარალი ჩვენს საწინააღმდეგოდ. ტყუილად სახელდება ტაჯიკეთის მაგალითიც, სადაც რუსეთი ხელისუფლებას კი არ ებრძვის, როგორც ეს ჩვენს შემთხვევაშია, არამედ ძლიერ და „ავლანიზებულ“ ოპოზიციას.

დღეისათვის, სამწუხაროდ, სიტუაცია შეიცვალა, გალახ-ულებს მომგებიან ზავს არ უდებენ, მით უმეტეს, როცა რუ-სულ-აფხაზური ვერაგული გეგმის პირველი და მთავარი ეტა-პი – ეთნიკური წმენდა და ქართველთა ბუდეების მოშლა უკვე განხორციელებულია, მეორე ეტაპის რეალიზება – ქართველთა ნაფუძარებზე აფხაზების, რუს-კაზაკ და ჩრდილოკავკასიელ ბოევიკთა და სამხედროთა დამკვიდრება დაჩქარებული ტემპით

მიმდინარეობს, რის შემდეგაც აფხაზეთის რუსეთთან მიერთება უბრალო ფორმალობების საქმეა.

იტყვის კი რეაქციული რუსეთი უარს ამ დიდიხნის ნა-ლოლიავებ პერსპექტივაზე ჩვენი დსთ-ში გაერთიანების სანაცვლოდ? – ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ დღეს ჩვენთვის სხვა გზა არ არსებობს! უნდა გვეყოს გონიერებაც და ვაჟკაცობაც „ბაბაია“ ვუთხრათ ადრესატს, რათა, როგორც მინიმუმი, თავიდან ავიცილოთ უარესი – დანარჩენი ნაღმების ამოქმედება და რეანიმაცია ვუყოთ ჩამკვდარ ეკონომიკას.

თანაც დროა, დიდიხანია დროა თითოეულმა ჩვენგანმა გააცნობიეროს ერთი უბრალო ჭეშმარიტება – კიდეც რომ მოხდეს სანაული და მთელი რუსეთი ჩვენებ შემობრუნდეს, თვით მამაზეციერიც რომ დაგვიბრძანდეს პრეზიდენტად, არაფერი საქართველოს არ უშველის თუ: 1. არ შევიკარით ერთ მუშტად, 2. არ ავმუშავდით და 3. რაც მთავარია, თუ დიდმა და პატარამ, ქალმა და კაცმა არ ვისწავლეთ სროლა, არ ვისწავლეთ თავდაცვა გადამთიელი, ნახევრადპირუტყვი მომხვდურებისაგან.

P.S. გონიერების დეფიციტს რა ვუთხრა, თორებ რა ჭირს კავკასიას სხვის სააპეკუნო, რესურსები აკლია, ვაჟკაცობა თუ ნიჭი?! გროვნობის გამოცემულ გეოგრაფიის ერთ სახელმძღვანელოში თეთრი რასის სიმბოლოდ დასახელებულია კავკასიელი. ენგელსის „ბუნების დიალექტიკაში“ მოყვანილ ციტატაში ვკითხულობთ – სპარსელების სისხლი ბევრად უფრო გაკეთილ-შობილდა ქართველებთან და ჩერქეზებთან – მსოფლიოს ამ ორ ულამაზეს ხალხთან მათი ხშირი ქორწინებების წყალობითო.

დაიბეჭდა აკმია ხუცურაულის ფსევდონიმით  
გაზეთი „ერთობა“, 7-15 ივნისი 1994

## ТОВАРИЩ ЗЮГАНОВ!

(Председателю Центрального Комитета Коммунистической Партии,  
Депутату Государственной Думы Федерального  
Собрания Российской Федерации)

Гордость малого ли, великого ли народа, безусловно одобриительно и похвально, если за ней стоит человечность и нравственность, а не море крови, пусть даже любимых Вам Грузин.

А надругивание над трупами?! Игра в мяч отрубленными головами?! Захоронение людей живём?! Выпотрошение беременных и вывешивание вырезок с надписью - «грузинское мясо - дёшево»?! И наконец, нанизывание плачущих детей на кол?! Где же тут место для гордости?! Где же тут повод для лестных слов?! Это же неслыханное варварство! Вопиющий каннибализм!

Это, дорогой Геннадий, позорнейший позор как для Абхазца, так и для Грузина. Конечно не причём здесь весь Абхазский народ - весьма благородный и добродушный по своей натуре, но всё это чинилось на его глазах, и следовательно, с его позволения.

Вам жалко Абхазских стариков и детей, и я с вами полностью солидарен; жалко не только людей, но и животных в беде. А это была настоящая беда и для Абхазского народа. Но вызывает недоумение другое. Раз вы коммунист, стало быть и интернационалист, почему же тогда вам жалко «победителя», у которого, если Аламыс позволит, на выбор дома и накопленные поколениями 250 000 Грузин состояния, а не жалко побеждённых, которых истребили, ограбили и согнали со своих очагов - кого куда, где они как мухи погибают от голода, холода, обиды и ностальгии. Если в самом деле жалко Абхазца, не надо ему морочить голову и пичкать оружием.

Верно, что коммунисты сплотили народы, да так тесно, что до сих пор приходится разъединять их новоявленным коммунистам и фашистующим элементам. Лично меня никто не убедит, что есть альтернатива коммунистическим идеалам, равенству, дружбе, и

сотрудничеству и не только соседних, но и всех народов мира; но как вы можете восстанавливать Советский Союз, в одностороннем порядке, не спросив ни слово об этом самих «будущих» членов этого союза?!!

1994

## НЕ БОРЬБА, А СОТРУДНИЧЕСТВО

### Об Одном Направлении Лингвистических Исследований

Как известно, при изучении нового языка происходит «машинальный» перенос знаний, умений и навыков родного языка на изучаемый. Он проявляется на всех уровнях языка - фонетическом, лексическом и грамматическом.

При максимальном сходстве контактирующих языковых явлений в родном и изучаемом языках перенос оказывается положительным, он облегчает и ускоряет процесс овладения языком, но при видимом сходстве и «скрытом», принципиальном расхождении этих явлений, перенос является отрицательным.

Отрицательный перенос принято называть интерференцией, «сущность» которой состоит в том, что человек, введённый в заблуждение общими свойствами и признаками контактирующих языков, отождествляет все остальные свойства этих языков и переносит всю программу речевого поведения с родного языка на иностранный. Введение «чужеродного элемента» в изучаемый язык ведёт к перестройке моделей, к стиранию границ между различительными признаками обоих языков...» (М. К. Бородулина... Обучение иностранному языку как специальности).

Результатом фонетической интерференции является произвольная замена звуков, ударения и интонации чужого языка звуками, ударением и интонацией своего языка, а лексическая и граммати-

ческая интерференция «выливается» в «типичные» ошибки, свойственные носителям того или иного языка при изучении определённого неродного языка.

Для устранения интерференции при обучении иностранному языку прямисты предлагают полное исключение родного языка из учебного процесса путём одноязычных упражнений и создания «естественных» условий общения на уроке. О невозможности создания естественных условий в неязычной среде говорить не приходится, что же касается исключения родного языка из учебного процесса, то вопрос этот давно получил однозначное решение в советской методике. Как теоретически, так и экспериментально убедительно доказано, что изгнать родной язык из класса при помощи одноязычных упражнений и административным путём дело нехитрое, но изгнать его из сознания учащихся невозможно.

Значит, не борьба с родным языком, а сотрудничество с ним даёт положительные результаты.

Из всего вышесказанного ясно, что обучать одному и тому же неродному языку одинаково, по одному и тому же учебнику, одними и теми же методами и приёмами носителей разных языков нельзя, неправомерно.

Отсюда необходимость составления специальных учебников и разработки специальной, вернее, частной методики обучения тому или иному иностранному или другому неродному языку в той или иной аудитории учащихся, в нашем случае, в абхазоязычной, грузиноязычной и русскоязычной аудиториях учащихся.

А это, в свою очередь, на повестку дня ставит вопрос о предварительном сопоставительном изучении изучаемых и родных языков учащихся, с целью установления в них точек сходства и расхождения, т. е. с целью прогнозирования ожидаемых положительных и отрицательных переносов. Такое сопоставленное изучение западноевропейских и русского языков проведено.

Нет слов, русский является вторым родным языком для каждой нерусской национальности нашей родины, но обучение иностран-

ному языку с учётом их первого родного языка дало бы гораздо лучшие результаты.

Следовательно, неизбежной предпосылкой для интенсификации учебного процесса как по иностранным, так и другим неродным языкам в наших школах является сопоставительное изучение изучаемых и родных языков учащихся со всеми вытекающими отсюда последствиями.

А кому же заниматься этим крайне необходимым и неотложным делом, если не филологическому факультету АГУ, если не республике, где почти каждый второй - по крайней мере билингв?

По нашему глубокому убеждению сопоставительное двунаправленное изучение упомянутых языков должно стать одним из основных направлений НИР на этом факультете с привлечением студенческой молодёжи на уровне СНО и курсовых и дипломных работ.

Подобные исследования дадут хороший материал как для сопротивленного изучения данных конкретных языков, так и для общелингвистических обобщений, и, что самое главное, они оживят и сделают более жизненными и целенаправленными лингвистические исследования в вузе и дадут хороший стимул для научной и учебной деятельности студентов, объединят усилия разрозненных ныне языковых кафедр.

А. Мумладзе,  
старший преподаватель кафедры иностранных языков

«Абхазский Университет», №26 (145),  
20 Сентября 1985

## ВАЖНЫЙ ФАКТОР ПРОГРЕССА ОБЩЕСТВА

### Реформа Высшей Школы: Точка Зрения

Источником многих наших неурядиц в народном образовании являются широко критикуемые сейчас общие болезни нашего общества. Ведь школа — только ячейка общества, она просто, как в зеркале, отразила все наши беды. Между тем, как отмечалось в докладе Генерального секретаря ЦК КПСС М. С. Горбачёва на XIX партконференции, огромна роль образования как одного из основополагающих факторов экономического и социального процесса; перестройка, обновление социализма немыслимы без всенародной активизации интеллектуального, духовного потенциала общества, заложенного в науке, образовании, культуре. Следовательно, необходимы радикальные преобразования системы образования, и мне хочется высказать некоторые соображения, реализация которых поможет интенсификации учебного процесса в вузе и, следовательно, улучшению подготовки специалистов.

Как бы ни был мастит преподаватель, как бы отменно ни было организовано обучение, без активности и способностей студента всё обречено на провал. В этой связи вызывает недоумение существующий ныне порядок отбора студенческого контингента. В средней школе тематика выпускных письменных работ сообщается по радио в день экзамена, тогда как в вузе, где решается судьба кадров для общества, вся процедура как приёмных, так и выпускных экзаменов полностью представлена самим вузам. Такое положение таит в себе возможность злоупотреблений.

Давайте подумаем: так ли необходимы, в создавшейся ситуации, эти злополучные приёмные экзамены, если в школах большая часть поступающих сдаёт на аттестат всего за месяц до приёмных в вузы? Глубоко убеждён, что, круто улучшив работу и усилив контроль в школе, введя участие представителей вузов и широкой общественности в школьных выпускных экзаменах, можно зачис-

лять в вузы по результатам этих экзаменов, набирая контингент с солидным запасом на отчисление неуспевающих. Это доведёт до минимума протекционизм и заставит каждого студента (и школьника) работать «засучив рукава» в течение всего периода обучения.

Трудности, конечно, будут, и в первую очередь — с учебной площадью, но сокращение учебных предметов и лекционных занятий, введение поточных практических занятий, а в крайнем случае — арендование школьных помещений, обеспечат урегулирование этого вопроса. Зато какое это будет облегчение для всей общественности, когда молодой человек получит возможность пробовать свои силы и на практике убедиться, подходит ли он для учёбы в вузе (а самое главное — в том, что без знания не прокочишь), а вуз получит возможности готовить специалистов из тех, кто действительно годится для этой цели.

О перегруженности учебных планов вуза говорится много и не без основания.

Изучение 40–50 предметов может дать скорее дилетанта, нежели профессионала. Нужно всерьёз и не оттягивая надолго заняться пересмотром этих программ, учтя при этом и трудоёмкость отдельных дисциплин, и практическую возможность изучить какое-то их количество в установленное время. Определение учебного времени студента 60 часами в неделю представляется неверным (работал по 10 часов ежедневно, он не сможет ни отдохнуть, ни заняться спортом, ни повысить свой культурный уровень). Рациональное расписание временного бюджета студента — не терпящая отлагательства проблема.

Если учесть экспериментальные данные, говорящие о том, что всего 15 проц. студентов способны воспроизвести и запомнить основное содержание прослушанной лекции, 10 проц. воспроизводят сразу на третью меньше и забывают чрезвычайно быстро, 70 проц. воспроизводят всего 10–15 проц. материала, а 5 проц. студентов всегда «бездельники», то станет очевидно, что большой пользы от лекции сегодня нет, игра не стоит свеч. Вот почему реформа пред-

усматривает сокращение лекционных часов за счёт увеличения самостоятельной работы студентов, семинарских и практических занятий. Укороченные курсы лекций должны носить ориентировочный и методологический характер. Но подробные, постоянно обновляемые курсы лекций должны существовать и переиздаваться. Кстати, очень нужен специальный учебный телеканал, по которому передавались бы образцовые лекции, семинарские и практические занятия, а также школьные уроки и уроки-спектакли о правилах поведения для молодёжи.

Вызывает нарекания и последовательность изучения дисциплин. Думаю, вначале следует проходить все базовые, основополагающие, общеобразовательные предметы, а потом всецело сосредоточиться на специальных. Базовыми для факультета иностранных языков, например, будут: марксистско-ленинская философия, логика, педагогика, психология, лингвистика, родной, русский и латинский языки. Дальше учебный процесс должен переключаться на специальные предметы и проходить их надо на изучаемом языке.

К ныне существующим специальным предметам следует добавить изучение страны избранного языка, такой же курс с добавлением изучения Конституции — о нашей стране, а на старших курсах — обзорные курсы философии, партистории, лингвистики и литературоведения. Повторяю, всё это — на изучаемом языке. Львиная доля времени должна приходиться на практику речевой деятельности, включающую говорение, аудирование, чтение и письмо, причём читаться должна не только проза, классика, но и современная поэзия, драматургия, эпистолярная литература, периодика. Для всего этого, конечно, требуется целый комплекс средств — например, несуществующий пока русско-иностранный страноведческий словарь советской действительности, фонозаписи носителей языка, тексты недублированных кинофильмов... Для изучающих английский язык нужен ещё пока несуществующий словарь слушателя. Все существующие словари — это словари

ри читателя, где слова расположены по алфавиту. Имеются и словарь пишущих, где слова расположены по темам и понятиям. Но словаря, где слушатель найдёт воспринятое им на слух незнакомое слово, написание которого не выводимо из его произношения, нет. А такой словарь для языка, в котором, как шутя сказал К. Маркс, пишется «Лондон», а произносится «Константинополь», крайне необходим.

Надо подумать и о «выходе в жизнь» изучаемого языка. Он может осуществляться сотрудничеством иноязычного факультета с «Интуристом», выполнением на хоздоговорной основе заказов на переводы специальной литературы для народнохозяйственных предприятий, лечебных и научных учреждений.

Это придаст конкретную целенаправленность учебному процессу, оживит учебно-научную работу. А то, что языку гораздо легче и лучше научиться в естественной среде, давно известно. Поэтому следует всячески поддержать предложение ректора МГУ, академика А. Логунова, высказанное на XIX партконференции: направлять нашу молодёжь на учёбу за границу, причём не единицами, а многими сотнями и даже тысячами. В этом плане надо подумать и о преподавателях. Ведь преподаватель, ни разу не только не наговорившийся, но даже не поговоривший с носителем языка, — не преподаватель. Летние школы Англии, Германии и Франции ни в коей мере не в состоянии решить эту проблему, если даже наладить отбор и отправку слушателей туда на «частных» началах. Следует позволить всем преподавателям иностранных языков съездить в соответствующие страны за свой счёт в порядке обмена визитами.

Повышение зарплаты вузовским работникам — своевременное мероприятие и оно даст отдачу, но существующий сейчас порядок оплаты труда по штатным единицам не оправдывает себя. Во-первых, равные по всем параметрам преподаватели часто выполняют разную нагрузку при одинаковой зарплате. Получается, что чем выше научные степени, а следовательно и зарплата преподава-

теля, тем меньше он работает. При таком положении пропадает полезность учёной степени, ущемлена студенческая аудитория и «захлебывается» «простой» преподаватель, обречённый из-за непосильной нагрузки буксовать на месте в смысле своей квалификации. Надо ввести оплату реально затраченного труда согласно установленному тарифу для преподавателей разной квалификации и загрузить каждого из них до предела максимальной полезности.

А. Мумладзе,  
старший преподаватель кафедры иностранных языков АГУ

«Советская Абхазия», № 8 (18155),  
12 января 1989

## НА РОДИНУ ШЕРЛОКА ХОЛМСА

О перегруженности учебных планов вузов уже давно и много говорится, и не без веских на то оснований. Не случайно и на Всесоюзном съезде работников народного образования подчёркивалась необходимость пересмотра содержания учебного процесса, увеличения доли самостоятельной работы студентов, развития конкурсной системы и т. д. Уже сегодня многие вузы пошли на определённое сокращение второстепенных для той или иной специальности дисциплин, однако проблема перенасыщения учебных планов по-прежнему не снимается с повестки дня.

Некоторые специалисты определяют учебное время студента 60 часами в неделю. Правильно ли это? Думается, что нет. Исходя из такой загрузки, получается, что студент должен заниматься, штудировать учебную литературу по 10 часов в день. Но ведь есть ещё у него другие интересы, для удовлетворения которых необходимо свободное время, — это спорт, музыка, те-

атр, кино, общение с друзьями и многое другое, без чего немыслима нормальная жизнь. А при такой учебной загрузке и суток не хватит.

В усвоении предлагаемого воспитанникам вуза материала обычно выделяют несколько уровней: знакомство с материалом, или иначе общую ориентацию, воспроизведение, выработку умений и навыков, творческое овладение материалом. На лекции, как убеждает практика, возможен только первый уровень усвоения. А если учесть некоторые экспериментальные данные, согласно которым всего 15 процентов студентов, так называемые «мыслители», способны воспроизвести и запомнить основное содержание прослушанной лекции, а 10 процентов — т. н. «слушатели», воспроизводят сразу на треть меньше и забывают всё чрезвычайно быстро, а ещё 70 процентов воспроизводят всего 10–15 процентов материала, то становится очевидным, что восприимчивость знаний всецело зависит от индивидуальных способностей, вузовского воспитания, его интеллектуальной «тренированности», умения максимально концентрировать внимание. Сейчас взят крен на самостоятельную работу студентов, расширение семинарских и практических занятий. Всё это в большей степени мобилизует их интеллектуальные ресурсы, однако этого недостаточно. Нужна определённая система, специальная методология. Необходимо и издание полного курса лекций, причём они должны систематически переиздаваться. Очень нужен также и специальный учебный телеканал, по которому будут транслироваться наиболее интересные лекции.

Необходимо упорядочить и последовательность изучаемых дисциплин. Вначале, думается, следует проходить все базовые, основополагающие и общеобразовательные предметы, а потом сосредоточиться на специальных. Базовыми, например, для факультета иностранных языков следует считать марксистско-ленинскую философию, логику, педагогику, психологию, лингвистику, психолингвистику и, конечно же, языки — родной, русский и латинский,

после прохождения которых весь учебный процесс должен сосредоточиться на специальных предметах и вся программа должна вестись уже на изучаемом иностранном языке. К ныне существующим специальным предметам следует добавить курс страноведения страны изучаемого языка.

Большую часть учебного времени необходимо уделять речевой практике. Для этого требуется целый комплекс средств, среди которых нужно обязательно выделить современный русско-иностранный страноведческий словарь, фонозаписи реченоносителей языка и в особенности тексты как уже имеющихся у нас, так и закупаемых недублированных кинофильмов для детальной их проработки до просмотра. Думается, последнее особенно необходимо, поскольку только тогда, когда студент научится соотносить, сличать прослушиваемое с имеющимися у него в памяти языковыми эталонами, когда он приобретёт соответствующую уверенность, его можно уже будет свободно «запускать» в естественную иноязычную среду.

Для изучающих английский язык очень нужен и несуществующий пока, к сожалению, так называемый словарь слушателя. Всё, чем мы располагаем, — это словари читателя, где слова расположены по алфавиту. Имеются и словари для пишущих, где слова расположены по темам и понятиям. Но словаря, где слушатель мог бы найти воспринятое им на слух незнакомое слово, написание которого невыводимо из произношения, всё ещё нет. Следует также наладить централизованное снабжение учебными, в том числе и разговорными, комплексами.

Говоря об овладении иностранными языками, мы большей частью останавливаем внимание на том, чего не хватает для этого сложного процесса. Хорошо известно, например, чтобы легче и быстрее научиться иностранному языку, надо непременно окунуться в естественную разговорную среду. В вузах, в том числе и нашем, такой возможности нет. А потому кажется целесообразным предложение, уже, кстати, не раз высказываемое специалистами, о

направлении студентов на учёбу или стажировку за границу. Речь идёт не о единицах, а о десятках студентов. Разумеется, это далеко не дешёвое удовольствие, но, заметим, образование, притом хорошее, стоит таких средств. Так не будем скучиться, тем более, что вложенное, затраченное может окупиться с лихвой уже в период учёбы студента. Вуз может наладить сотрудничество иноязычного своего факультета с «Интуристом» и выполнять заказы на переводы специальной литературы для народнохозяйственных объектов, а также заказы для лечебных и научных учреждений на хоз-договорной основе. Всё это придаст конкретную направленность учебному процессу, оживит учебно-научную работу. То же можно сказать и в отношении преподавателей. Вузовский педагог, не говоривший ни разу с носителем языка, вряд ли может успешно заниматься преподавательской деятельностью. Это аксиома. Но что делать, когда у большинства вузовских преподавателей нет такой возможности? Следует, очевидно, подумать над тем, чтобы преподаватели получали возможность ездить в зарубежные учебно-научные центры либо за свой счёт, либо путём обменных визитов. Понятно, что всё это связано с валютой, но не будем забывать, что высокий уровень работы — создание научно-учебной литературы, воспитание квалифицированных специалистов — может быть осуществлён лишь очень квалифицированными преподавательскими кадрами.

Сейчас, когда положительные перемены в укреплении прямых контактов с зарубежными партнёрами становятся всё более ощутимыми, мы все понимаем, что отказываться от упрочения языковых контактов нельзя. Вот и на Всесоюзном съезде работников народного образования было высказано немало конструктивных предложений о необходимости крепить межвузовские связи, шире изучать достижения других стран в образовании, идти по пути международной интеграции в подготовке кадров.

Долгие годы в профессиональной подготовке специалистов иностранных языков многое недооценивалось. Сейчас всё круто

меняется, высшая школа обретает гибкость и мобильность. Надо думать, что и подготовка специалистов по иностранным языкам не окажется в стороне от перестроечного процесса.

Акакий Мумладзе,  
старший преподаватель кафедры  
иностранных языков Абхазского  
государственного университета им. А. М. Горького

«Заря Востока», Рубрика — Специалист и Время,  
18 Января 1989

## არა მისაღებ გამოცდებს!

ღმერთმა ქნას, მე ვცდებოდე, მაგრამ ჩემი ღრმა რწმენით, რაც უნდა ვხვეწოთ და ვაუმჯობესოთ საგამოცდო კომისიების მუშაობა, მისაღები გამოცდები დღეს ძირითადად იქნება მშობლების, გამძრომებისა და ავტომატების კონკურსი და არა ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და ნიჭის პაექრობა.

შედეგად მივიღებთ ცარიელ აუდიტორიებსა და ვაი სპეციალისტებს, უსამართლობის ახალ ტალღას, რაც ხალხს შიმშილსა და სიცივეზე მეტად ანუხებს. და დაპირისპირებისა და პოლარიზაციის კიდევ უფრო გამძაფრებას საზოგადოებაში.

საჭიროა სტუდენტთა კონტინგენტის შერჩევა ატესტატის მიხედვით, სათანადო რეზერვით აკადემიურად ჩამორჩენილთა გასარიცხად პირველი სემესტრის შემდეგ. ეს: 1. აიდულებს სტუდენტს ხელებდაკაპინებულმა იშრომოს მთელი სემესტრის განმავლობაში, რაც მას სწავლის შემდგომ პერიოდშიც ჩვევად გაჰყვება. 2. მინიმუმადე დაიყვანს პროფექციონიზმს. 3. გამორიცხავს შეცდომებსა და შემთხვევითობას სესიებზე. და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, 4. დაარწმუნებს სტუდენტთა გარკვეულ ნაწილს უმაღლესი განათლებისთვის მათ არაადეკვა-

ტურობაში და იმაში, რომ ცოდნის გარეშე ვერ გაძვრები და ისინი დროზე ჩამოსცილდებიან დიპლომის მაძიებელთა არმიას და თავის შესაფერ საქმიანობაში ჩაეპმებიან.

გაზეთი „ახალი თაობა“, №37,  
26 ივლისი, 1994

## NEEDED, ANTICIPATED!

There is almost no man in Georgia who doesn't try to study and speak English.

It is only natural that swimming is learnt through swimming, and first steps in this direction are better to be taken in a swimming-pool, where part of the difficulties are removed.

These preliminaries are more or less satisfactorily carried out in our country, but there is no extremely necessary further "whirlpool" where to consolidate, sustain and develop initial achievements, to practice with "authentic swimmers", that is with native speakers of English.

Hence an urgent need in an English club, where users of English – guests and hosts could meet, chat at a cup of tea or a glass of beer, play English indoors, sing English songs, dance, debate on art, literature, politics and watch English films.

Sponsors and Supporters,  
your word?!

1995

## ერთი კონფერენციის კვალდაკვალ....

1. საერთაშორისო არენაზე გასატან ინფორმაციაში უმნი-ფარი, არასაკმაოდ არგუმენტირებული არცერთი დასკვნა არ უნდა გაიპაროს. ერთ წვეთ კუპრს ერთი კასრი თაფლის წაბილ-წვა შეუძლია.

2. ავტოქთონობის დასამტკიცებლად თუნდაც ყველაზე გამძლე ტოპონიმების, ე.ი. მთებისა და მდინარეების სახელ-ნოდებების გამოყენება ძალიან საფრთხილოა. რას გვეუპნება, მაგალითად, თელავი – თელავივი, შატილი, გვარი ჯიბუტი და სახელმწიფო ჯიბუტი, უორდანია და იორდანია?

3. თავისთავად ორი ტერმინის, ამ შემთხვევაში აფსუასა და აფხაზის არსებობა ორი ხალხის არსებობის დასამტკიცებლად არ გამოდგება, ხალხების უმრავლესობა თავისთავს სხვას უწოდებს, ვიდრე მათ სხვები უწოდებენ. ასე ჩვენს შემთხვევაშიც – თვითონ ქართველებად ვთვლით თავს, სხვები გეორგიანელებს გვიწოდებენ.

4. თუ აფსუა სხვაა და მანამდე ამ ტერიტორიაზე მცხოვრები აფხაზი სხვა, მაშასადამე, მათი ენებიც სხვადასხვაა და მაშინ უნდა დამტკიცდეს, როგორ მოახდინა მოსულმა დამხვდურის ასიმილაცია.

5. აფხაზის თუ აფსუას აქ ყოფნა და თითქმის ამავე ენაზე მოლაპარაკე აპაზების სხვაგან ყოფნა ან იმას ნიშნავს, რომ ესენი აქ ჩამოვიდნენ, ანდა იმას, რომ ისინი აქედან გარევეს. ლოგიკით ბუნებრივი უფრო პირველი ვარიანტია, რამეთუ მთა იმდენს ვერ კვებავს, რამდენსაც შობს.

6. ამასთან ნიშანდობლივია, რომ აფხაზეთის გვარებით თუ ვიმსჯელებთ, შიგა რაიონში უფრო ჭრელია მოსახლეობა, ვიდრე მის განაპირა ტერიტორიაზე გალში; რაც იმაზე უნდა მეტყველებდეს, რომ შერვაშიძემ დაპყრობილ სასაზღვრო ზოლში სწორედ მთებიდან ჩამოყვანილი დაქირავებულები დაასახლა, მაგრამ ისინი ქართულ გარემოცვაში გაქართველდნენ.

7. ამ კონფერენციაზე მეტნილად „სასურველის“ მტკიცება დომინირებს; არასასურველის, ჩვენი საწინააღმდეგოს მეცნიერული, არგუმენტირებული გაბათილება კი ნაკლებად ჩანს. მაშინ როდესაც ჩვენ ძირითადად რუსი გვებრძვის, მეცნიერულ მსჯელობაში ლიტონი ფრაზა – „ეს ასე არ არის“, „ისინი ქართველები იყვნენ“ – არ უნდა წარმოითქმოდეს!

8. ჩვენი მსჯელობა ძირითადად ქართულ წყაროებში ტრიალებს, და მეჩვენება, რომ ახალი აქ არაფერია. საჭირო კი იყო

თანამედროვე რუს, ბერძენ, თურქ, ირანელ, სომები და აზერბაიჯანელ მეცნიერთა აზრი, ან მათი მოპატიუებით, ან მათი მასალების თუნდაც თარგმანების მოხმობა-გაანალიზება; რაც მომავლისათვის გვკარნახობს, რომ ისტორიის ფაკულტეტზე უნდა ისწავლებოდეს, პირველ რიგში, ჩვენი მეზობელი ხალხების ენები და ისწავლებოდეს საფუძვლიანად.

9. ხალხის შესწავლა უნდა ხდებოდეს კომპლექსურად. აქ მხოლოდ ისტორიკოსები მსჯელობენ, გამოვიდა მხოლოდ ერთი არქეოლოგი. საჭიროა კი ანთროპოლოგიური მონაცემები, ხალხის ფსიქიკის, ადათ-წესების შესწავლა თუნდაც ფოლკლორიდან; და ვინ იცის, ახლო მომავალში სისხლის ანალიზითაც კი.

10. რათქმაუნდა, ტერიტორიული საკითხები პოლიტიკურად და ძალის გამოყენებით წყდება, მაგრამ ამისათვის მყარი მეცნიერული ბაზაც საჭიროა; და მაშინ გასაკვირია, ჩვენი ამდენი პროფესორებისა და აკადემიკოსების ინერტულობა. ასეთი ღონისძიება რომ აფხაზებს ჩაეტარებიათ, სტადიონი არ ეყოფოდათ.

1995 წელი

## „დირსეული გამარჯვებიდან“ სამარცხევო დამარცხეპარაზი

(მოარული აზრების პირისპირ)

### ბატონო რედაქტორო!

ამ წერილმა რამდენიმე გაზეთი მოიარა, მაგრამ ყველგან ისევ ის ყოფილა მთავარი, თუ ვინ ვის ნინააღმდეგ ლესავს ხმალს და არა ჭეშმარიტების ძიება-დადგენა.

გთხოვთ, თუ დაბეჭდავთ, აზრები არ შეცვალოთ, მიუღებელს დაურთეთ კომენტარი, არადა არ გადამიგდოთ ნაწერი.

გვარს არ ვწერ, რადგან სოხუმში დარჩენილ ცოლისძმას რომ რამე დამართონ...

**რედაქციისაგან:** წერილის გამოქვეყნებისას გავიგეთ, რომ აფხაზეთიდან ლტოლვილი აკაკი მუმლაძის ცოლისძმა აფხაზებს მოუკლავთ.

იმპერიულ რუსეთს ყოველთვის ეჭირა თვალი აფხაზეთზე, მაგრამ ადრე აფხაზობაში ქართული ცნობიერება ჭარბობდა, გადამწყვეტი სიტყვა კი მალარია თქვა - მშრალ ჰავას შეჩვეულ-მა რუსობამ აქ ფეხი ვერ მოიკიდა.

შედგომში, იგივე რუსეთის წყალობით, კლიმატი საპირისპიროდ შეიცვალა - ჭარბებიც დაშრა და ქართული ცნობიერების წყაროც დაშთა - რუსეთში მოსწავლე აფხაზ ახალგაზრდობას მეცნიერებასთან ერთად სათანადო იდეოლოგითაც აიარალებდნენ. გაჩნდა აფხაზეთის დედასამშობლოდან მოწყვეტისა და რუსეთთან მიერთების იდეა, რომლის ფორსირებული ხორცშესხმა ხრუშჩივიდან იწყება; პირველი ქვაკუთხედი ამ მიმართულებით კი აფხაზურ დამწერლობაში უკვე ხმარებული და მისთვის უფრო შესაფერისი ქართული ანბანის რუსულით შეცვლა იყო. ამას მოჰყვა ავტონომიის ხელმძღვანელობის სრული აფხაზიზაცია, აფხაზი ახალგაზრდობის მასიური დიპლომიზაცია და სამეცნიერო დახარისხიანება თბილისში - როგორც უმცროსი ძმების, მოსკოვში კი - როგორც ქართველებისაგან შევიწროებულების, მათი ავტონომიის ფარგლებში წინდაუხედავი აკუმულირებით. გადაიწერა აფხაზეთის ისტორია და აფხაზი ხალხის ყველა არსებული თუ არარსებული უბედურების მიზეზად ქართველი გამოცხადდა. დაიწყო აფხაზეთის საქართველოსაგან გამოყოფისა და რუსეთთან მიერთების მოთხოვნების წამოყენება სხვადასხვა „გარნირებით“. „გარნირები“ და „კანფეტები“ უხვად რიგდებოდა, პრობლემა კი რჩებოდა. ასე გაგრძელდა საბჭოთა კავშირის შეზანზარებამდე. ახლა აფხაზური სეპარატიზმის რუს სულისჩამდგმელებს თავისი შევირდებისათვის აღარ ცხელოდათ, და შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ რესპუბლიკები, და მათ შორის საქართველო, თავს აღწევენ მოსკოვის დიქტატს. შექმნილ სიტუაციაში თბილისს ჩამოდის ზომიერი ორიენტაციის აფხაზთა დელეგაცია ერთერთი პარტიული ლიდერის

ფილიას ხელმძღვანელობით და მომავალ პრეზიდენტს (გამსახურდია) ეკითხება – რას მივიღებთ, მხარი რომ დაგიჭიროთ. ეს უკანასკნელი ჩვეული პირდაპირობით უცხადებს – ვერაფერს ვერ მიიღებთ, ავტონომიას დაკარგავთ; შემდეგ დამატებული ახ-სნა-განმარტება – რაც ჩვენ გვექნება, თქვენც იგივე გექნებათო საქმეს ველარ შველის, მით უმეტეს, რომ ამას წინ უძლოდა ჩვენი პრესისა და ტელევიზიის კატეგორიული გაფრთხილებები – ყველა არაქართველმა, კეთილი ინებოს, მასწავლებელი დაიქირაოს და ქართული ისწავლოსო. თავი რომ დავანებოთ ამ მოთხოვნის მეთოდურ უაზრობას, აქ ძალით გაცხონე ბებიას ძლიერი უარყოფითი ფაქტორიც მოქმედებს, თორემ აფხაზთა უმრავლესობამ არცერთ ქართველზე ნაკლებად არ იცის ქართული. აღნიშნულმა ფაქტმა, ბუნებრივია, ხელი შეუწყო როად გაყოფილ აფხაზთა ჩვენს წინააღმდეგ გაერთიანებას, და რაც კიდევ უარესი, ამ უდროო მაქსიმალური ულტიმატუმის შემდეგ, თვითონ დავუთმეთ მათ დამლუპველი მაქსიმუმი – 28 საპარლამენტო ადგილი, ჩვენი 26-ის საწინააღმდეგოდ.

თავისათვად თავისუფლებისა და თუნდაც პატრონის არჩევის უფლება ყველასა აქვს, მით უმეტეს, როცა „ზედსიქ“ თვითონ კისრულობს „საქორწილო“ ხარჯებს, მაგრამ სხვისი მზითევითა და დედულეთის ამხელა სისხლის ფასად?! განა შენი „ბედნიერებისათვის“ ყველაფერი უნდა იკისრო?! სამწუხაროდ, იკადრეს, იკისრეს და დღისით-მზისით, მთელი მსოფლიოს თვალწინ დაულიტეს, გაძარცვეს, გადაწვეს და ლტოლვილებად აქციეს აფხაზეთის მთელი მშვიდობიანი ქართული მოსახლეობა.

საქმე რომ წახდება, დამნაშავეს ეძებენ და ისიც მხოლოდ განზე – აფხაზეთში რომ ჯარი არ შეგვეყვანა, არაფერი მოხდებოდათ. სულ სხვას ღალადებენ ფაქტები: არ შეგვიყვანია 18-ში, სულ არ გვყოლია 89-ში, მაგრამ იგივე მოხდა. ჯარი ჩვენ არათუ არ უნდა შეგვეყვანა, პირველად და ისიც დაგვიანებით რომ შევიყვანეთ, აღარ უნდა გამოგვეყვანა. რომელ ავტონომიაში არ უყენია რუსეთს ჯარი? ანდა არ დგას ინგლისის ჯარი ჩრდილოეთ ირლანდიაში? დამოუკიდებლობა, პირველ ყოვლისა, ჯარი და

საზღვარია. ჩვენი ჯარი, იგივე აფხაზი და ოსი წარმომადგენლებითურთ, ფსოუსთანაც უნდა მდგარიყო და როკითანაც, დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდანვე. რათქმაუნდა, მაშინ წვევამდელების გაწვევა არ იყო იოლი, მაგრამ ჯერ კიდევ არსებობდნენ კომისარიატები, და ცოტაც იყო, ახალგაზრდების გაწვევა ჩვენ შეგვეძლო.

აფხაზეთი შევარდნაძემ გაყიდაო. დიდი ცოდვა და უფრო მეტი აბსურდია. სამშობლოს გაყიდვა პირველი კაცის დონეზე არ ხდება. „აპა მთელი და მომიტებე პანა?“ სად არის აქ ლოგიკა? ანდა ვიღამ არ იცის, რომ დღეს რუსეთში არარუსს, და მით უმეტეს შევარდნაძეს, ძეგლებს აღარ დაუდგამენ? შევარდნაძე რომ ფუფუნების ტრიფიალი ყოფილიყო, ეკროპის ან ამერიკის ნებისმიერ ქალაქში დასახლდებოდა და განცხრომით იცხოვრებდა. მისი აქ ჩამოსვლის ერთადერთი მიზანი თავისი ცოდნა-გამოცდილებითა და ავტორიტეტით თავისი ხალხისათვის დახმარება იყო. სხვა საქმეა, რა გამოვიდა აქედან. სხვათაშორის, თავიდან არაკეთილი ზრახვები არც პრეზიდენტს (გამსახურდია) ამოძრავებდა.

მიამიტურად და ამაზრზენად უდერს ფრაზა – აფხაზებთან გასაყოფი ჩვენ არაფერი გვქონდა და მშვენივრად ვცხოვრობდით მათთანო. კი, ბატონო, ვცხოვრობდით ერთ დროს, ჭირსა და ლხინს ვიყოფდით, და ასეც უნდა ვიცხოვროთ, თუ ამის საშუალება მოგვეცა, მაგრამ მეხსიერება გვლალატობს, თუ თავს ვიკატუნებთ? განა ძმური თანაცხოვრებისათვის ითითხნებოდა ლიხნის წერილები? ასეთ ცხოვრებას გავექეცით თეატრიდან, უნივერსიტეტიდან, სპორტიდან, პარლამენტიდან? ამისათვის შეიქმნა მონოეთნიური აფხაზური გვარდია და კაპინეტიდან გამოაძევეს ლომინაძე? რამდენჯერ ველოდით ჩვენ დარბევა-აწიოკებას, რომლითაც უკვე აშკარად გვემუქრებოდნენ – მოიცადეთ, მალე დადგება თქვენი აღსასრული, ყარაბალი მოგონილი იქნება? ფილოლოგის დოცენტი თამარა შავრილი ჯერ კიდევ 56-ში ოცნებობდა ქართველებზე ავტომატის ჯერის მიშვებაზე. 64-ში, ერთ რუსულენოვან სუფრაზე ცნობილმა ოლეგ დამენიამ ინტერნაციონალიზმის სადღეგრძელო აფხაზურად დაგვირგვი-

ნა აფხაზეთის სხვა ერებისაგან განმენდის სურვილით, რასაც მის გვერდით მჯდომი ვალერი ყურასქუა ხელის ხელზე დარტყმით მიეგება.

აფხაზეთის რუსეთისათვის გადაცემა დაგეგმილი იყო. აფხაზეთის ქართველებისაგან განმენდა და მისი რუსეთს მიერთება, რათქმაუნდა, დაგეგმილი იყო, მაგრამ არა მის მიერ, ვისაც ასე იოლად აბრალებენ ხოლმე, არამედ მოსკოვისა და სოხუმის ბეჭლი ძალების მიერ.

თუ არა რუსი, აფხაზი ამ ომს არც დაიწყებდა, ვერც დაიწყებდა, და არც არაფერი ჰქონდა მას საომარი. თითქოს უბრალო დეტალებია, მაგრამ რიღასი იმედით გვემუქრებოდა არძინბა, როცა მთელ აფხაზეთს, გუდაუთისა და ტყვარჩელის გარდა, ქართული ფორმირებები აკონტროლებდნენ? ანდა რა აცინებდა ნოდარ ხაშბას, როცა გაგრაში ლტოლვილების დაბრუნებაზე ეკითხებოდნენ, თუ არა ქვეტექსტი – დაიცადეთ, ჯერ კიდევ სადა ხართო? მოკლედ, ამ სცენარში ჩვენ მხოლოდ პროლოგი დავაჩეკარეთ, ყველაფერი დანარჩენი წინასწარ იყო გადაწყვეტილი, რასაც რუსი სამხედროებიც და თვით პასტუხოვიც არ მაღავდნენ – ამ ომს არ მოგაგებინებთო. ილუზიაა, ვითომ რომც გავერთიანებულიყავით, რუსს მოვერეოდით, რომელიც ტანკშიც იჯდა, თვითმფრინავშიც და არტილერიასაც გვიმიზნებდა. მარტო ის ფაქტი რად ლირს, რომ აფხაზების სამხედრო ძლიერება დღითი-დღე იზრდებოდა, მაშინ როდესაც ჩვენ ყველაფერი გვაკლდებოდა. რუსეთმა გემები აფხაზეთის ქართველებისაგან დასაცლელად შემოგვაშველა, თორემ სვანეთის მთებში ხალხის გადასარჩენად თითიც არ გაუნდრევია. რუსეთს რომ სიკეთე ნდომებოდა, აფხაზეთიდან ჯარებს გაიყვანდა და ომიც ერთ დღეში დამთავრდებოდა. „უფროსმა ძმამ“ ჩვენ იმ ორთვალაში შებმული სახედარივით გვაჩიჩაქა, რომლის წინ მისთვის მიუწვდომელ მანძილზე სანუკვარი ბალახი – „დიდი ხელშეკრულება“ იყო ჯოხით ჩამოფრიალებული, და იმდენი გვადევია ამ სატყუარასათვის, ახალ-ახალი პირობების წამოყენებით, სანამ აფხაზეთიდან არ გამოგვაძევა. მერე კი მოგვიგდო ეს ბალახი, მაგრამ მისი სასიკეთო გემო დღემდე ვერ გვიგრძვნია.

იყო კი გამოსავალი ამ ტრაგედიდან? – რათქმაუნდა, და ისიც ერთადერთი – არდავიწყება მამა-პაპური სიბრძნისა, რომ ძალა აღმართს ხნავს, რომ სხვისი ჭირი ღობეს ჩინირია, და მაშასადამე, დათვი რომ გერევა, ბაბაია უნდა დაუძახო, რამეთუ გველსა ხვრელით გამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი.

ჩვენდა სავალალოდ, ბევრს დღესაც ვერ შეუგნია, რომ რუსეთი ჩვენი ბედიცაა და უბედობაც. ბედი – თუ იგი ჩვენდამი კეთილგანწყობილია, და მაშინ ბუზსაც ვერავინ აგვიფრენს, და უბედობა – თუ იგი ჩვენზე გამწყრალია, და მაშინ ყველაფერია მისგან მოსალოდნელი.

რუსეთის დასაყრდენი კავკასიაში საქართველოა, და მას ერთიანი და ძლიერი საქართველო უნდაო. ჯერ ერთი, ეს რომ აბსოლუტური ჭეშმარიტებაც იყოს, რუსეთს თავისი ჭეშმარიტება აქვს. მეორეც, უცვლელი ურთიერთობები არ არსებობენ. იყო საქართველო რუსეთის დასაყრდენი, ამიტომ იჯდა აქ მეფის ნაცვალი, ამიტომ განლაგდა აქ ამიერკავკასიის ჯარების შტაბი, ამიტომ ფუნქციონირებდა აქ ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველო, ამიტომ გეელოლიავებოდასაცით ახალი რუსეთიც. ჯერ გორბაჩივმა შემოგვთავაზა – მოაწერეთ ხელი ჩვენთან კავშირს, და აფხაზეთისა და ოსეთის პრობლემა არ გექნებათო. მერე ამ სუპერსახელმწიფოს მეთაური ელცინი ტყვეში ჩამოვიდა, ყაზბეგში ჩვენს პრეზიდენტთან მოსალაპარაკებლად, მაგრამ ჩვენ – უპურო, უენერგეტიკო, უჯარო, ჭრელხალხიანმა, ნარკომანიითა და კორუფციით დაავადებულმა საქართველომ უარვყავით რუსეთი და „გაეთრი“ ვუძახეთ; სეპარატისტმა კი, რომელიც მუდამ ეტორლიალებოდა მას, დრო იხელთა, კვლავაც მოიპატიუა იგი და აფხაზეთი რუსეთად გამოაცხადა. ეს იყო მთელი ჩვენი საზოგადოებრიობისა და პრეზიდენტის საბედისწერო შეცდომა. არ მინდა ისე გამიგონ, თითქოს მე თავისუფლების ფასი არ ვიცოდე. ის კი არა, ყველა ზემდგომი პირისა და ორგანოს მიმართ დიდიხანია ალერგია მაქვს, მაგრამ როცა სხვა გზა არაა, აფხაზისა და ოსის მონობას ისევ რუსეთის მონობა მირჩევნია, თუმცა ეს ხელშეკრულება აღარაფრით აღარ იქნებოდა ძველებური მონობა.

მეორე, ეს უკვე სახელმწიფოს მეთაურის (შევარდნაძე) დამ-ლუპველი შეცდომა იყო – ათონთან ჩვენი გაჩერება, და კიდევ უარესი – სოხუმისაკენ უკანდახევა. გასაგებია, რომ ათონთან ელცინმა გაგვაჩერა; მე კი დავუმატებდი – ელცინმა + სახარო-ვისეულმა იარღიყმა, რომელსაც ლოგიკაც უმაგრებდა ზურგს – დიდი ჩაგრავს პატარას, და რომელიც მთელ მსოფლიოს მოსდეს რუსეთის საინფორმაციო საშუალებებმა და მათი ხელშეწყობით მოსკოვში გამომავალმა აფხაზურმა ფაშისტურმა გაზეთმა + შე-ვარდნაძის დემოკრატობამ და + „ვეფხისა და მოყმის“ შემქმნელი ხალხის ბუნება-განწყობილებამ. მაგრამ არავითარი გამართლება არა აქვს ჩვენი ათონიდან გუმისთის გამოლმა უკანდახევას, რამაც სუპარატისტების ხელთ ჩაგდონ ნავთობაზა, წისქვილებინატი, სტრატეგიული პოზიცია სოხუმის დასაბომბად, და რაც მთავარია, მათ მიანიჭა არათუ თანაბარუფლებიანი, არამედ უპირატესი მეომარი მხარის „სტატუსი“.

ხელისგულზე ნატარები უმადურები ჩვენ აგვიჯანყდნენ, ჩვენ გვესროლეს, და ჩვენ, როგორც სახელმწიფო ვალდებული ვიყავით, და სანამ რუსეთი ამ ომში გადაჭრით ჩაებმებოდა, ძალაც შეგვწევდა, ბუნაგში გაგვენადგურებია გუდაუთაში მოკალათებული ძმათამკვლელი ომის გამჩაღებლები. რათემაუნდა, ამას უდანაშაულო მსხვერპლიც მოჰყვებოდა, მაგრამ ეს ზღვაში წვეთი იქნებოდა იმასთან შედარებით, რაც შემდეგ ორივე მხარეს დაგვატყდა თავს. ერთადერთი ჩვენი კომპრომისი აქ უნდა ყოფილიყო, ზედმეტი სისხლისლვრის თავიდან ასაცილებლად გუდაუთის დანდობა, სეპარატისტთა დაუყოვნებლივ განიარღებისა და მათი ლიდერობის ტყვედ ჩაბარების ულტიმატუმით. იმავდროულად, რათემაუნდა, ჩვენ მოგვიწევდა დსტ-ში შესასვლელი განაცხადის გაკეთება და რუსეთისათვის ბაზების შეთავაზება, რათა იგი იფიციალურად არ გამოქომაგებოდა აფხაზეპარატისტებს.

რაც შეეხება მესამე შეცდომას, მძიმე ტექნიკის ფოთში გაზიდვა და გუმისთასა და ენგურთან რუსული დივიზიების ჩაყენება, რომელიც სახელმწიფოს მეთაურმაც აღიარა, მისი არდაშვება არ

იძლეოდა საქართველოს მთლიანობის შენარჩუნების გარანტიას, უფრო პირიქით; მაგრამ იგი აგვაცილებდა მშვიდობიანი მოსახლეობის გენოციდს და მის მასიურ დეპორტაციას.

ხომ გავერთიანდით დსტ-ში და რაღა უნდათ ჩვენგანო. უკაცრავული პასუხია – ქალიშვილი თუ შეცდა, მერე წმინდანიც რომ გახდეს, და კარგულს ველარ დაიპრუნებს. რუსს არც აფხაზი უნდა და არც ქართველი; მას უნდოდა ზღვა, და უკვე აქვს ზღვა; მილიარდები ჩაჰავარა ამისათვის, და საეჭვოა, მან იგი დათმოს.

არა სწორი თითქოს რუსეთი ჩვენსკენ შემობრუნებულიყოს, როგორც ამაში გვარწმუნებენ, რადგანაც: 1. როგორც კი რუსეთის დახმარებით ქობალიას ფორმირებები დამარცხდნენ და სახელმწიფოს მეთაურმა განაცხადა – ახლა დროა აფხაზეთსაც მივხედოთო, მაშინვე უბრად მოიხსნა რუსეთის ფლოტილია ფოთიდან და ზღვას მისცა თავი, უეჭველია, აფხაზეთისაკენ, „ნეიტრალიზაციის დასაცავად“; რუსეთის მთავრობამ კი გაგვაფრთხილა – ვინც ენგურს გადალახავს, ჩვენთან ექნება საქმეო. 2. როცა გაეროს ყველა ნევრმა ცისფერჩაფხუტიანების აფხაზეთში შეუვანას მხარი დაუჭირა, საჩქაროდ გაამართინეს პრესკონფერენცია მოსკოვში არძინბას და ათქმევინეს – აფხაზი ხალხი! გაეროს ჯარებს აფხაზეთში არ დაუშვებსო, რასაც ბუტროსის შეტრიალებული გადაწყვეტილება მოჰყვა. 3. არძინბა და კონფედერატები რუსეთის სამშვიდობო ძალებსაც ემუქრებოდნენ, მაგრამ გარკვეული ინსტრუქტაჟის შემდეგ წკრუნიც აღარ დაუძრავთ ამის წინააღმდეგ. 4. რუსეთი ყველა დონეზე ჩვენს მთლიანობას აღიარებს, ამ მთლიანობის ხელმყოფ არძინბას კი გულში იხუტებს, მილიარდებით ასაჩუქრებს და მის ყოველ დიქტატს გვასრულებინებს. საინტერესოა, რა ხასიათზე დადგებოდა რუსეთი, რომელიმე სახელმწიფოს რომ ისე ჩაეკრა გულში ემელიან პუგაჩოვი, როგორც ის ამას არძინბას უშვება? 5. რუსეთი ლტოლვილების დაბრუნებას ქადაგებს ნებაყოფლობის დაუინებითი ხაზგასმით, თვითონ კი ყველაფერს აკეთებს და აფხაზებს აკეთებინებს იმისათვის, რომ ეს ნება, რაც შეიძლება ნაკლებს შემორჩეს, რათა, რაც შეიძლება, მცირე და თავმოყვა-

რეობაგათელილი, უსახო მასა დაბრუნდეს აფხაზეთში, და თანაც იმ დროს, როცა იქ სხვები მეტინი იქნებიან, რაც მას საშუალებას მისცემს „კანონიერად“ მიიწების აფხაზეთი. სწორედ ამით ახ-სნება ის გარემოება, რომ ენგურის მარცხენა ნაპირზე განაღმვა და განიარაღება ოპერატიულად წარიმართა, მარჯვენა ნაპირზე კი აფხაზი ბოევიკები და პოლიცია კვლავინდებურად დათარეშობენ სწორედ ამ სამშვიდობო ძალების თვალწინ.

შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალს ზოგი მთავრობის გადადგომასა, და კიდევ უარესი, გადაყენებაში ხედავს, რაც, ჩე-მის აზრით, ყოვლად დაუშვებელია, მით უმეტეს, როცა ოპოზიციას არც ალტერნატიული კაბინეტი გააჩნია და არც ერთიანი სამოქმედო გეგმა.

შეცდომები, რათქმაუნდა, ბევრია, მაგრამ ისინი არ უნდა ავუ-რიოთ დანაშაულში, და არ უნდა გავწიროთ ერთმანეთი, საქა-რთველოს დასაკარგავი შეილები აღარა ჰყავს, გამოვიყენოთ ყველას, მცირეც არის, ნიჭი და უნარი. ნორმალურ ოჯახში რომ ვინმეს შეცდომა მოსდის, მას ანუგეშებენ და ამხნევებენ, რათა ეს შეცდომა თუ ვერ გამოასწორა, ახალი მაინც აღარ დაუშვას. ვა-ცალით მთავრობას, რისი გაკეთებაც შეუძლია, და არჩევნებიც აგერაა. უნდა გვეცლია პრეზიდენტის თვისაც. მთავრობის სასახ-ლისათვის დაშენილი ტყვია, მანამდე შავნაბადაზე, და საერთოდ მიტინგებზე გასროლილი ტყვია საქართველოს თვის ნასროლი ტყვიაა, რაც სასტიკად უნდა აიკრძალოს კონსტიტუციით.

ამასობაში, პარტიების ამ განევ-გამოწევაში კი ბუზე-ბივით იხოცებიან განამებული, ახლობლებდაღუბულ-დაკარ-გული, დამშეული, ნოსტალგირებული და იმედგადანურული ლტოლვილები.

მეტის მოთმენა აღარ შეიძლება, დროა რუსეთს კატეგორიულად მოეთხოვოს – შეწყვიტოს ჩვენი გაპამპულება, ნუ გვას-ვამს თავზე ველურ გარეწრებს, ახლავე შექმნას არჩევნებამდე სამოქმედო დროებითი ქართულ-აფხაზური პოლიცია და ადგი-ლობრივი მართვის ორგანოები თავისი ხელმძღვანელობითა და გაეროს მეთვალყურეობით, და ფიზიკურად შესაძლო დროში გა-

ნახორციელოს უკლებლივ ყველა ლტოლვილის უპირობო დაბ-რუნება, ყოველგვარი დამამცირებელი ანკეტების გარეშე, სადაც გაუბედურებულ ადამიანს აიძულებენ თავის გაძარცულ, გადამ-წვარ კარმიდამოში დაბრუნების უფლება ფაშისტურ რეჟიმთან იმათხოვროს.

არადა, შევაგროვოთ მთელი საქართველოს მოსახლეობის ხელმოწერები, დავუდოთ ეს ტომები გაეროს და მთელი მსოფ-ლიოს ნინაშე ვითხოვოთ – გაყვანილ იქნას რუსეთის უკლებლივ ყველა ჯარისკაცი აფხაზეთის ტერიტორიიდან, რომელიც რო-გორც თვითონაც სცნო, საქართველოს განუყოფელი ნაწილია. მანამდე კი: 1. დაუყოვნებლივ შევუდგეთ მთელი მოსახლეობის სამხედრო-ფიზიკურ მომზადებას საცხოვრებელ ადგილებზე, იარაღის ხმარება და პირველადი სამედიცინო დახმარების გან-ევა უნდა შეეძლოს ყველას – დიდსა და პატარას, ქალსა და კაცს. 2. თუ აფხაზებმა შეძლეს მთელი მსოფლიოს აფხაზების მობი-ლიზება, ჩვენ ხომ საზღვარგარეთაც მეტი ვართ, ავამოძრავოთ ისინი და ჩვენც შემოვიყვანოთ „ბოევიკები“. 3. დავწეროთ და მსოფლიოში გავაგრცელოთ საქართველო-რუსეთის და ჩვენი აფხაზებთან და ოსებთან ურთიერთობების მოკლე ისტორია. 4. დროებით მოვეშვათ ამდენ გასართობ პროგრამებს და შევქმნათ ძლიერი რადიომაუნყებლობა ჩრდილოკავკასიელთა მთავარ ენ-ებზე, რათა გამოვიყვანოთ ისინი დეზინფორმაციიდან და დავა-ნახოთ მესამე ძალის ხრიკები. 5. დავადგინოთ ქვეყნისათვის საჭ-ირო მარცვლის რაოდენობა და დავთესოთ საადრეო პურისა და ქერის შესაძლო მაქსიმუმი, მოვიყვანოთ ამ ფართობებზე მეორე მოსავალი. 6. დავაჩერა გაზ-ნავთობის ძიება-მოპოვება ინ-ვესტიციების მაღალი პროცენტით მოზიდვის საშუალებით. 7. გადამწყვეტი ბრძოლა გამოვუცხადოთ მაფიასა და ნათლიმამო-ბას, გზა მივცეთ ნიჭისა და პროფესიონალიზმს.

გაზეთი „ალია საქართველოდან“,

№7 – (116), თებერვალი, 1995

აკმია ხუცურაულის ფსევდონიმით გაზეთი

„ქართული ქრონიკა“, თებერვალი 1995

## აფხაზეთი: რა დავაშავეთ ასეთი?!

(გოჩუას ქუჩის ტრაგედია)

ალბათ ბევრმა არ იცის, რომ აფხაზეთში ქართველთა გენო-ციდი გაერომ არ სცნო. ამის ერთ-ერთ მიზეზად გარდა იმისა, რომ იგივე გაერო ცალი თვალით რუსეთს უმზერს, ჩვენი დიდი „წვლილიც“ უნდა აღვნიშნოთ, რადგან დღემდე არათუ ვერ აღვრიცხეთ ჩვენს მიმართ იქ ჩადენილი ბარბაროსობის ფაქტები, არამედ თავადვე გავყეირით და ხმამაღალ, აბსურდულ განცხა-დებას ვაკეთებთ – აფხაზეთში 300 ათასი ქართველი ცხოვრობდა და ყველა, 300 ათასივე უნდა დაპრუნდეს. გამოდის, რომ აფხ-აზეთში ჩვენთვის თითოც არ დაუკარებიათ (?!).

რა ხდება სინამდვილეში? ამის მაგალითად, სოხუმში გოჩუას ქუჩის მარტო 150-მეტრიან მონაკვეთში მომხდარი ტრაგიკული ფაქტებიც კმარა, სადაც ბინძურმა ომში 25 ქართველის სიცოცხლე შეიწირა.

ამ ქუჩის №1-ში მცხოვრები გივი ჭელიძე აეროპორტში დახ-ვრიტეს; ნაღმზე აფეთქდა ანზორ ჭელიძე, (მცხ. №3), რამაც მისი ავადმყოფი დის, ნათელა ჭელიძის სიკვდილი დააჩქარა; დარდს გადაყენა მათი მამა ვახტანგ ჭელიძე, დედა კი, ზინა ჭელიძე აფხ-აზებმა დახვრიტეს... ამოწყდა მთელი ოჯახი. №7-ში მცხოვრე-ბი მამა-შვილი კოტე და ნოდარ სიგუჟები აფხაზებმა ერთმანეთს დააკლეს. (უნდა ითქვას, რომ ნოდარმა მტრის ვალი არ გაიყ-ოლა – თავის დროზე 1 „ბოევიკი“ გაანადგურა, 3 ტყვედ აიყვა-ნა.) აეროპორტში დახვრიტეს ამავე ქუჩის №11-ში მცხოვრები, სოხუმის რ-ნის კულტურის განყოფილების გამგე აკაკი სიგუა. №15-დან სვანეთის თოვლიან მთებში დაიღუპა და საფლავსაც ვერ ელირსა სამამულო ომს გადარჩენილი ბორის (ბოჩია) დარ-ჯანია. დახვრიტეს №17-ში მცხოვრები რეზო მანჯგალაძე. კაცი, რომლის მრავალრიცხოვან მეგობრებში აფხაზიც ბევრი ერია და სუფთად ლაპარაკობდა ბების მშობლიურ აფხაზურ ენაზე (შეიძლება ამის იმედითაც დარჩა სოხუმში), მაგრამ არ აპატიეს,

– რადგან მოროდიორებს მეზობელთა სახლების გაძარცვას არ ანებებდა. მასთან ერთად სიცოცხლეს გამოასალმეს მისი მეუღ-ლე გალინა და მეზობელი გურამი. №18-ში ექიმი ნიკოლოზ (კო-ლია) ძაძამია თავისი სახლის აივანზე აფხაზ და სომებ „სტუმ-რებს“ ესაუბრებოდა. მისი მეუღლე, აფხაზეთის დამსახურებული ექიმ-გინეკოლოგი უუჟუნა გალდავა კი სამზარეულოში „სტუმ-რებს“ სადილს უმზადებდა. სომხებმა იცნეს მათი შვილების ამქვეყნად მოვლენის ხელშემწყობი ქალი და ცოლ-ქმარს ქართ-ველობა აპატიეს. თუმცა მოულოდნელად გამოჩენილმა რუსმა ბოევიკმა ყოველგვარი მიზეზის გარეშე მასპინძელს ავტომატის ჯერი დაახალა და ლია კარებში ყუმბარა შეაგდო. სახლიც და მისი უდანაშაულო პატრონიც ხანძარმა შთანთქა... №20-ში მცხ-ოვრები, მანქანით მომავალი რეზო ჯიმშელეიშვილი, მეუღლე ნაზი ქაჯაიასა და მეზობელ რეზო ქადარიასთან ერთად ჭურვით ააფეთქეს და მანქანაშივე ამობუგეს. №22-დან სვანეთის მთებს უსაფლავოდ შერჩა მარო ხოჭოლავა.

თავსდატებილ მძიმე განსაცდელს გადაჰყვნენ: გოგუცა სოტ-კილავა (მცხ. №5-ში); იურისტი სულიკო შამუგია (მცხ. №10-ში); სამამულო ომის ინვალიდი მიშა ელიაძე და მისი მეუღლე პანა (№29); ბონდონ ხვიტია (№24); დახვრიტეს ისტორიკოსი ლორენ ოდიშარია (№26).

მომხვდურებმა ხასებად დაისვეს და მონებად აქციეს ბერძე-ნი ა.ზ. და ქართველი ნ.მ.. ფაშისტები რეზო ქადარიას სახლის პირველ სართულზე გამარჯვებას ზეიმობდნენ. მათ ლრეობას ა.ზ. ემსახურებოდა. ნ.მ. მეორე სართულზე მყოფ ბანდის ჩერ-ქეზ მეთაურთან აგზავნეს. ქართველთა სისხლისღვრით დაქან-ცულ გადამთიელს ჩასძინებოდა... ვინ იცის, რა აზრებმა გაურ-ბინა უბედურ გოგონას იმ მომენტში, მაგრამ ფაქტია, რომ მან მი-თოლოვიური ივდითივით იძია შური – იქვე მიყუდებული ავტომა-ტით სული გააფრთხობინა მტარვალს, შემდეგ კი ცეცხლს მისცა იგი. თავაწყვეტილი ლრეობით გართულმა ბანდიტებმა მხოლოდ მაშინ გაიაზრეს მომხდარი, როცა კვამლმა და ცეცხლმა მათ-თან ჩააღნია. ნ.მ. მალე შეიძყრეს და სახლების დაწვის მუქარით

გარეთ გამოყრილი მოსახლეობის თვალწინ საშინელი წამებით მოაკეთდინეს. მათივე განკარგულებით, სამი დღის განმავლობაში გვამისათვის ხელი არავის არ უნდა ეხლო. ნ.მ. მიწას მეზობლებმა - უკრაინელმა ფრანიამ და ესტონელმა ლინდამ მიაბარეს.

ახალი გადაუმოწმებელი ცნობებით, აფხაზებს მოუკლავთ აგრეთვე ამ ქუჩის მცხოვრები, დრანდის სკოლა-ინტერნატის სასწავლო ნაწილის გამგე თევდორე ხუხუა.

რამდენი ასეთი ქუჩა და სოფელია აფხაზეთში? დარჩა კი იქ ცოცხალი ქართველი? რამდენი ადამიანი დამახინჯდა ფიზიკურად და სულიერად? რამდენი სახლი და ნაშრომ-ნაღვანი განადგურდა? ..

ძნელი დასაჯერებელია კაცმა, რომელსაც აქამდე ქათმის დაკვლა უჭირდა და ახლა კაცი მოკლა, ანი ნორმალურად და მშვიდად იცხოვოს. მერედა რისთვის, რისთვის ეს ყველაფერი, რა დაგაშვერთ ასეთი?!

**გაზეთი „ალია საქართველოდან“,  
N11 – (120), მარტი, 1995**

## მაშ რაღად მიდეა მთავრობა?!...

ბუნებრივი შერჩევა, თუ თვითონ მთავრობაა შერჩეული არაბუნებრივად?!

ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა, ვით ქვითკირსაო. სამწუხაოდ, ჩვენთან ქვითკირსაც ლანა-ლუნი გაუდის, და თუ ვინმე მაგრობს და აქტიურობს, ისევ სკამების მაძიებლები და უკულმართი ძალები. შიმშილ-ფეხოსნობით დაოსებული, სიცივისაგან გათანგული და განუკითხაობით დაბოლმილი ძირითადი მოსახლეობა, განსაკუთრებით კი პენსიონერობა და ინტელიგენცია, ხელჩაქნეული ელოდება, თუ რა მოხდება თავისით. ხდება კი უარესზე უარესი: ჩამკვდარია მრეწველობა, ძლივს სუნთქავს სოფლის მეურნეობა, გამოკეტილია სამეცნიერო ინსტიტუტები

და თეატრები, დაცარიელებულია აუდიტორიები და ბიბლიოთე-კები; უურნალიდან გადმოხატული, გონიორიზებული მდივნების ამარაა მიტოვებული ხელმძღვანელ-გვამთა კაბინეტები.

სულ პირველობაზე ვდებთ თავს და ვართ უპირველესები - ქვეყანა მდინარეებს მიაქვს და კვარიც საძებარი გვაქვს; ღვთით-მომადლებულ ბუნებაში ორი კი არა, ერთი ხეირიანი მოსავალიც ვერ მოგვიყვანია; აკადემიკოს-პროფესორებით გაჯერებულთ ყველაფერი სხვისი საკითხავი გვაქვს; უსაწვავოდ ვერ გვითესია და გვირთვლია და გასაყიდი საწვავის ცისტერნებს გვერდს ვერ აუვლი; პური გვენატრება და ყოველ ნაბიჯზე პური იყიდება; საკუთარი არც საქონელი გაგვაჩნია და არც ფული, ვაჭრობით კი ყველა ვაჭრობს, ვისაც სურვილი და გადაადგილების უნარი აქვს. საეჭვოა, სხვაგან მოიძებნოს კაცი, რომელიც უსაქმურობით ამაყობდეს და საკუთარ დედაზე იგინებოდეს.

ზოგი ყველაფერზე ომს ახოცავს ხელს. თქმა არ უნდა, ომი უდიდესი განსაცდელია, მით უმეტეს, როცა მას სტიქიური და სოციალური უბედურებებიც ახლავს, მაგრამ ამაზე მეტი ომი გადავიტანეთ და ამას ქვეყნის პარალიზება არ გამოუწვევია. პირიქით, დიდი და პატარა, ქალი და კაცი ან იბრძოდა ან ჭაპან-წყვეტით შრომობდა; მცხეთა უშევებდა ასანთს, აგარა - შექარს, რაც მე მიჭირდა, სხვასაც უჭირდა, და რაც მთავარია, ყურები არ ჩამოგვიყრია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე VI საუკუნეში იქრებოდა კოლეური თეთრი, ერეკლე ასხამდა ზარბაზნებს, ჩვენ კი - შაპ-აბასთან საომარ იარაღს ისევ შაპ-აბასს ვთხოვთ. იქნება სულაც ამან დაგვაკარგვინა ჯერ გაგრა და მერე ყველაფერი? ყოველ შემთხვევაში, ომი მეორე მხარისთვისაც ომი იყო და თუ მათ რუსები მოიხმარეს, ეს ჩვენ არ გვამართლებს. რატომ თვითონ არ მოვიხმარეთ რუსი და რატომ გავიხადეთ ეს უკვანტო საქმე საკვანტოდ? ანდა თუ ერთმა მუჭა აფხაზმა მთელი მსოფლიო შესძრა და ბოევიკები დაგვასია, ჩვენ ხომ საზღვარგარეთაც მეტი ვართ? რატომ ვერ შევძელით მათი მობილიზება? აფხაზები რომ ჩვენს „კაიკაცობაზე“ მთელს მსოფლიოში წიგნებს წიგნებზე ავრცელებდნენ,

ჩვენ თბილისის ქუჩებში სექსისა და სიყვარულის პრობლემებს ვარკვევდით. ასე აღმოგრძნდით ინფორმაციული მდევრის როლში, ჩვენ ვერცერთი მათი ყალბი გადაცემა ვერ ჩავჭერით და ყველა გოლით დავაგვირგვინებინეთ, თანაც იმედს ისევ იმ მსაჯზე ვამყარებდით, ვინც მათ ეს გოლები გაატანინა და თუ იგი ერთ პენალტს და იმასაც ისეთ დროს მოგვცემდა, როცა თამაშის ბედი გადაწყვეტილი იყო, ჩვენ საქვეყნოდ გავყვიროდით, მსაჯი ჩვენ-სკენ შემოტრიალდათ.

არც ყბადალებული 70 წელი ხსნის ჩვენი სიდუხჭირის გამოცანას. ჯერ ერთი, ეს 70 არ ყოფილა ყოველთვის 70. მეორეც, არავის ლიტონი განცხადების გარდა, ფაქტიურად არ დაუმტკიცებია, რომ ეს 70 სხვა ქვეყნების 70-ს ჩამოუყარდებოდა, და ბოლოს, ამ 70-მა მარტო ჩვენთან ისამოცდაათა? რატომ ჩავვარდით ყველაზე უარეს დღეში?

იქნება მართალი იყო ლერმონტოვი? ასტაფიევი? სხვა „კეთილმსურველები“? მაგრამ ხომ იყო დიდგორი? ხომ ფაქტია „დარუბანდიდან ნიკოფისამდე“? იქნება მართლა სომეხი იყო რუსთაველი? თამარი – აფხაზი? სტალინი – ოსი? მაგრამ რაღა ჩვენ მოგვეტმასწენ? იქნება მართლა წავიწყმიდეთ სული და აფხაზებს წავგლიჯეთ ანბანი, თვითონ კი პირშიჩალაგამოვლებულები დაგროვეთ? მაგრამ ხომ გავსარჯეთ ეს უქმად წაგდები განდი წაყოფიერად ქვეყნისა და დუნიაზე მიმოფანტულ ჩვენი კულტურის კერებში?

უცილობლად არსებობს ერის ჰოროსკოპიც, ოლონდ არა ზენაარის მიერ ბედისწერად ბოძებული, არამედ განვითარების კანონზომიერებიდან გამომდინარე, ერის ფსიქოგენური თავისებურებებიდან განპირობებული და ისტორიული ვითარებით შეკაზმული. ერის მესვეურთა დანიშნულება სწორედ ამ ჰოროსკოპის წაკითხვასა და მისი გათვალისწინებით ქვეყნის მართვაში მდგომარეობს.

ჩვენი ბეწვის ხიდზე სიარული არ ახალია, ძველია. ჩვენი ისტორია, სააკადემებისა და შადიმანების ისტორიაცაა, მაგრამ თუ სააკადები გარბოდნენ და არა შადიმანები, ეს ლუარსაბების

კისერზეა. ერისკაცთა მოვალეობა, პირველ ყოვლისა, შადიმანების აღმოცენებისა და შადიმანობის პირობების ამოძირკვაა.

ცხადია, მთის ძირას რა ხდება, მწვერვალიდან უფრო მასშტაბურად ჩანს. მწვერვალზე მდგომის მოქმედება რომ შეაფასო, იმის გვერდით თუ არა, მასთან მიახლოებულ ბორცვზე მაინც უნდა იმყოფებოდე, მაგრამ თუ ჩვენ ასე გაგვიხანგრძლივდა დაღმა სვლა და „ბნელ ზოლში“ ყოფნა, სრული უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ ვერ წაიკითხეს ჩვენმა თავკაცებმა ეს ჰოროსკოპი.

ქართველს ჰეგელზე ადრე შეუნიშნავს – რა ერი, ის ბერიო და სახელმწიფო მეთაურსაც უხსესნებია – ვინდა უნდა ავირჩიოთ, ყველანი აქა ვართო, მაგრამ მას ის აზრიც წამოსცდენია – ვინც აქა, ყველა აქ არ უნდა იყოსო და თუ იგი მაინც მარტო იმ ფაქტიდან გამოდის, რომ რაც არ უნდა ებრძოლო სარეველას, იგი მაინც ჯაბნის კულტურულ მცენარეს, არ იქნება ბატონი ედუარდი მთლად მართალი. რამეთუ, თუ მართალ კაცს დროზე ხელი შეაშველე, ის თავისთანებით ფესვებს მოიმაგრებს და საიმედო დასაყრდენად იქცევა.

რად მინდა მთავრობა, რომელიც ვერ მამუშავებს, ვერ მკვებავს, ვერ მამგზავრებს და ვერ მიცავს? რის მაქნისია მინისტრი, რომლის არც დანიშვნა მიგრძენია და არც მოხსნა? რა საჭიროა თბილქალაქვაჭრობა, ვაჭრობის სამინისტრო, ცეკვაშირი, გამგეობებისა და მერიის ვაჭრობის განყოფილებები, თუ თბილისის მაღაზიებში ვის რა და როგორ უნდა, იმას და ისე ჰყიდის? თუ მაღაზიიდან მაღაზიამდე და თვით ერთი მაღაზიის შიგნით, დახლიდან დახლამდე ფასები ფანტასტიკურად მერყეობს? თუ დღეს ყველაფერს ხელზე უფრო იაფად იყიდი, ვიდრე მაღაზიაში?

განუკითხაობა და უსამართლობა ტაძრის ნაცვლად სასაფლაოზე მიგვიყვანს. წინასწარ დაკანონება იმისა, ვინ უფროსი უნდა იყოს და ვინ ქვეშევრდომი, ვინ – ელჩი და ვინ ამ ცხოვრების ლენჩი, ვის – ოქსფორდი, და ვის „მოგვშორდი“, ამოუსვლელ ჭაობში ჩაგვთლავს და თუ ვითარება ასე გაგრძელდა, მალე საქართველოში ჩაწყობის გარეშე გამარჯობასაც აღარავინ გეტყვის.

პირველკაცობა არ უნდა იყოს ერთი რომელიმე კლანის და კუთხის პრეროგატივა. ეს გზა ხსნილი უნდა იყოს ნებისმიერი ქართულად მოაზროვნე-მოლაპარაკე მკვიდრისათვის. თუ ყველას თანაბარი შანსი მიეცა, განზე ყურებას არავინ დაიწყებს. კარგისაგან არ გარჩიან. თუ გვინდა პური მეპურემ გამოაცხოს, მივუშვათ იგი თონქესთან და თუ ფქვილსაც ვერ, ან არ ვალირსებთ, წყალი მაინც არ გადაუკეტოთ.

თუ დემოკრატია, დემოსს ვყითხოთ, ვის ანდობს თავის ბედს, არა შპარგალკით – გინდა თუ არა, ან ეს აირჩიე ან ისო – არამედ მივცეთ მას უფლება თვითონ ჩაწეროს თავისი სასურველი კანდიდატურა ბიულეტენში.

არ გამოგვადგება ჩვენ განცხადებები: სილამაზე გადაგვარჩენს, სიყვარული გადაგვარჩენს, სიკეთე გადაგვარჩენს, რწმენა გადაგვარჩენსო. მახინჯების გარემოცვაში, სილამაზე შეიძლება საბედისაწერო გამოდგეს; სიყვარულს არა მარტო უშენებია, ბევრი მსხვერპლი და ნგრევაც გამოუწვევია; სიკეთე ბევრმა შემოგვიბრუნა ბოროტებად; ყველაფრით ურნმუნო აფხაზებმა კუდით ქვა გვასროლინეს.

შევწყვიტოთ ერთხელ და სამუდამოდ საშველის გარედან ძებნა! არაფერი და არავინ არ გადაგვარჩენს შრომისა და გონიერების გარდა. 100%-იანი გარანტი კი არ არსებობს. მამაზეციერს არავისთვის პირობა არ მიუცია, მე გაგაჩინეთ და მევე დაგარჩენთო. პირუკუ – ხელი გაანძრიეთ და გიშველითო. ჰოდა, ავამოძრაოთ ბოლოს და ბოლოს, ხელიც და თავიც! მოგვეცეს ამის საშუალება!

გაზეთი „ალია საქართველოდან“,  
№13 – (122), აპრილი, 1995  
გაზეთი „ფორუმი“,  
№27 (56), 18-25 ივლისი, 1995

## „არძინებას აფხაზეთში“ დაბრუნება აფხაზეთის დაკარგვაა

უკვე 5 მილიარდს გადაჭარბებული, უსაშველოდ მზარდი მოსახლეობა და დედა-პლანეტის ამონურვამდე დასული რესურსები: რა ვჭამოთ? რა ვსვათ? რით გავთბეთ? რა ვისუნთქოთ? როგორ გადავურჩეთ სტიქიას, დაბინძურებულ გარემოსა და მეტი მადისა და ძალის მქონე თანამოძმეთ? – აი დღევანდელ პრობლემათა მოკლე ნუსხა.

სავალალო პერსპექტივიდან ერთადერთი გამოსავალი მთელი დედამინის ერთი, მრავალეროვანი მმართველობის ქვეშ გაერთიანება იქნებოდა, რაც საშუალებას მოგვცემდა დაგვერეგულირებია შობადობა და დემოგრაფიული მოძრაობა, შეგვეცვალა ცალკეულ სახელმწიფოთა არმიები საერთო, გაცილებით მცირერიცხოვანი სწრაფი რეაგირების არმიით, საბოლოოდ აგველო ხელი მასიური მოსპობის იარაღებზე, და მთელი მატერიალურ-მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი მიგვემართა საარსებო საშუალებათა მოპოვება-გაუმჯობესებასა, ხალხის განათლებასა და სამედიცინო მომსახურებაზე.

სამწუხაროდ, კაცობრიობა ისევ ჯუნგლების კანონს ამჯობინებს და თვითგანადგურების გზას ადგას. თუმცა მსახურალი ხელი ჯერ მხოლოდ პატარა ხალხებში ტრიალებს, და როგორც წესი, ძლიერთა ამა პლაზეტისათა აშკარა მსარდაჭერითა და დირიქტორით.

უმიზნოდ და უმიზეზოდ არაფერი ხდება, დ მაინც რა უნდა რუსეთს ჩვენთან? რამეთუ, დღეს ალარავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ აფხაზურ-ქართულ კონფლიქტად მონათლული ძმათამკვლელი ომი ფაქტიურად რუსეთის მიერ საქართველოს დალაშქრო იყო.

რუსეთს უნდა კავკასია, როგორც ბუთერული ზონა, და მისი მთავარი სტრატეგიული სამხედრო-ეკონომიკური ღირებულება – შავი ზღვა. (ისე კი, რათქმაუნდა, არც მისი წიაღისეული და სხვა ნედლეული, ან თუნდაც კურორტები და ციტრუსები ჰქვეთს

კბილებს.) ხოლო კავკასიის გასაღები, მისი ცენტრალური და ამ ზღვის 286კმ-იანი ზოლის პატრონი სახელმწიფო – საქართველოა.

მაშასადამე, რუსეთი კავკასიიდან, კერძოდ საქართველოდან, ცოცხალი თავით ფეხს არ მოიცვლის, მაიძულებელი ძალა კი, როგორც უკვე უნდა დავრჩმუნებულიყავით, ჯერჯერობით არ არსებობს. რუსეთი ის ჩიტი არაა, ერთი ხელის აქნევით გაგეცალოს. განა არ გვახსოვს რა აღმფოთებით მიმართავდა რუსეთის ელჩს ბატონი ალექსანდრე ჩიკაიძე – რატომ არ გაგყავთ ჯარები აფხაზეთიდან, რას უდგანან იქ, რას აკეთებენო? იყო უკიდურესი განცხადებებიც, ზეპირიც, წერილობითიც, კედლებზეც, ოფიციალურ დოკუმენტებშიც, მაგრამ სპილოს ყურიც არ შეუბრტყავს ფინიას წკავწკავზე. რუსეთს რომ კონფლიქტის ზონიდან ჯარი გაეყვანა, ომი მეორე დღესვე დამთავრდებოდა, მაგრამ მას იგი ასეთი დასასრულისათვის არ „ჩაუწყვია“.

რუსეთი კავკასიაში მკაცრი რეალობაა, და მოგწონს ეს, თუ არ მოგწონს, ამას ქვიშაში თავის ჩაყოფით ვერ შეცვლი, კამეჩთან მოჭიდავე ხარს, და მით უმეტეს თიკანს კი, რქები არ შერჩება. ჩვენ კი კაცობრიობის გაკეთილშობილების ილუზითა და 9 აპრილის სისხლიანი გამარჯვებით ეიფორიას მიცემულებმა სამი საბედისაწერო შეცდომა დავუშვით. პირველი იყო ჩვენი კატეგორიული უარი გორბაჩოვის წინადადებაზე – მოაწერეთ ხელი ჩვენთან კავშირს, და აფხაზეთისა და ოსეთის პრობლემა არ გექნებათო. მე შორსა ვარ იმ რწმენისაგან, რომ რუსეთისათვის პირის გატეხა უცხო ხილია, მაგრამ მაშინ მისი №1 ამოცანა კავშირის დაშლის შეჩერება და ამ პროცესის როგორმე უკან დატრიალება იყო. ამდენად იგი ავტონომიებში დემოკრატიული არჩევნების ჩატარებასა და იქ გარდაქმნების გატარებას არა და ვერ დაგვიშლიდა. ხოლო როცა კაცი მესაკუთრეა და მისი ცხოვრების ავკარგიანობა მისივე ხელთაა, მისთვის ძლიერ ცოტა მნიშვნელობა აქვს ვინაა სათავეში.

მეორე დიდი შეცდომა იყო გუმისთასთან ფეხის დასობა, რამაც გატეხა ომის დინამიკა, მოშალა საომარი განწყობა, და რაც

მთავარია, საშუალება მისცა მოწინააღმდეგეს სათანადოდ მომზადებულიყო, რათქმაუნდა, რუსეთის ძალისხმევით. არავითარ ლოგიკას ჩვენი ეს მოქმედება, უფრო სწორად, უმოქმედობა, არ ექვემდებარება. ჩვენ აგვიჯანყდნენ, ჩვენ გვესროლებს, და მიუხედავად ელცინის გაფრთხილებისა, ჩვენ, როგორც სახელმწიფო, ვალდებული ვიყავით, და სანამ რუსეთი ამ ომში გადაჭრით ჩატარებოდა, კიდეც შეგვეძლო ბუნაგში გაგვენადგურებია გუდაუთაში მოკალათებული ძმათამკვლელი ომის გამჩაღებლები, ამით კი ყველაფერი თავის ადგილას დალაგდებოდა, თუნდაც ჩვენი დსტ-ში გაერთიანებისა და რუსეთისათვის ბაზების მიცემის ფასად.

რაც შეეხება მესამე შეცდომას (მძიმე ტექნიკის ფოთში გაზიდვას, როცა მტრის ტექნიკა ადგილზე რჩებოდა, და გუმისთასა და ენგურთან რუსული დივიზიების ჩაყენებაზე უარის თქმას), რომელიც სახელმწიფოს მეთაურმაც ალიარა, მისი არ ძაშვება არ იყო საქართველოს მთლიანობის შენარჩუნების გარანტი, მაგრამ იგი აგვაცილებდა მოსახლეობის გენოციდსა და მის მასიურ დეპორტაციას.

შედეგად რუსეთმა თავისი დიდიხნის ნალოლიავები სურვილი, გარკვეული დანახარჯებითა და დათვურად, მაგრამ მოულოდნელად უმოქლეს დროში და გადაჭარბებით აისრულა. რადგანაც თუ იგი აქამდე მარტო ტერიტორიას ჯერდებოდა და მისი მოსახლეობის გადახარშვა და გამოხშირვა მომავლის საქმე იყო, ახლა ქართველებისაგან განმენდილი აფხაზეთი უდევს ლანგარზე, და დღის წესრიგში ამის იურიდიული გაფორმებალაა.

ასე რომ, მთელ ამ უთვალავ მოლაპარაკებათა სერია უტიფარი თვალთმაქცობა იყო, რომელიც რუსულ-ვლადისლავური სცენარით და ჩვენი ცალმხრივი, დამამცირებელი კომპრომისებით მიმდინარეობდა. ახლა კი ცხადდება, რომ აფხაზეთს ექნება ყველა სახელმწიფოებრივი ატრიბუტი! კი მაგრამ, ბენელა?! ეს ხომ იგივეა, რასაც სეპარატისტები თავიდანვე მოითხოვდნენ?! რაღა საჭირო იყო ამდენი ხოცვა-ულეტა?! ამხელა მატერიალური და სულიერი რესურსების გაჩანაგება?! დროის ფლანგვა?! ნუთუ

ისე დავჩაჩინაკდით, რომ სულ სხვის დუდუკზე ვიცუნდრუკოთ?! რა ფასი აქვს თავლათდასხმულ არსებობას?! ასეთ სიმბოლურ თავისუფლება-დამოუკიდებლობას?! რა გაიძულებთ, ბატონი ედუარდ, ბატონი უწოდოთ ამდენი უდანაშაულო ქართველობის გამულები არძინებას?! გააცხადეთ, ბოლოსდაბოლოს, ყველაფერი თქვენებურად, ვაუკაცურად, და მთელი საქართველო თქვენთან დადგება.

ლტოლვილების ფაშისტური რეჟიმის ქვეშ დაბრუნება აფხაზეთის დაბრუნება კი არა, მისი საბოლოო დაკარგვაა ამავე ხალხიანად. რამეთუ ბევრი განამებული, და ჩვენი სახელმწიფოს უსუსურობით სასომიხდილი ლტოლვილი უკვე ხმამაღლა აცხადებს – რა მომცა ქართველობაში ტანჯვის გარდა, დამაბრუნონ ჩემს კარ-მიდამოში და აფხაზადაც ჩავენერები და რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლასაც ხმას მივცემ, მაინც მის ხელში არა ვართო?

არა, ეს არ არის ურმის გადაბრუნების შემდეგ მოძებნილი გზა. ეს უფრო ხრამში გადასაჩეხი მარშრუტია, რომელსაც თავს გვახვევენ.

ამდენი დაპირებებისა და მერე ცივი შხაპის შემდეგ, ნუთუკიდევ ძნელი მისახვედრია რა პოზიცია უჭირავს რუსეთს? ჩვენი იგი კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებას გვკარნახობს და აფხაზეთის სტატუსსაც თვითონ გვიდგენს, თავად კი მთელი სამხედრო არსენალით მიდგომია და უუჯავს ადრე იარაღით დაპყრობილ ჩეჩენეთს. დუდაევზე დაპატიმრების სანქციაა გაცემული, არძინბას კი გულში იხუტებენ და პრესა-ტელევიზიით მის პოპულარიზაციას ენევიან. რად ღირს თუნდაც „ოსტანკინოს“ მიერ ახლახან გადაცემული სიუჟეტი, სადაც არძინბა 9 მაისის გამარჯვებას ულოცავს ვეტერანებს. იმის აღნიშვნა კი დაავიწყდათ, რატომ გარდაიცვალა ლტოლვილად ამ გამარჯვების დროშის რაიხსტაგზე ამტანი მელიტონ ქანთარია. ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებსო – თუ რუსეთს ჩვენი მთლიანობა სურს, რა ესაქმება ამ მთლიანობის დამრღვევ სეპარატისტთა გაზეთს, და მით უმეტეს, წარმომადგენლობას მოსკოვში?!

დროა ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას!

ჩვენ კარგისა და ცუდის გარჩევა არ გვეშლება, და არც უმა-დურობა გვჭირს. ბევრ ავადმოსაგონართან ერთად ქართველ ხალხს ისიც ახსოვს, რომ რუსეთმა გადაგვარჩინა ფიზიკურ განადგურებას, გააერთიანა დაქუცმაცებული საქართველო, დაგვაბრუნებინა დაკარგული ტერიტორიების გარკვეული ნაწილი, ფეხზე წამოგვაყენებინა ეკონომიკა და კულტურა, და კვლავ გაგვიყვანა საერთაშორისო არენაზე. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რუსეთი იყო ჩვენი საქონლის გარანტირებული ბაზარი. და ჩვენ ახლაც, ამდენი უსიამოვნებების შემდეგაც, მზადა ვართ, სულითა და გულით, პატიოსნად ვითანამშრომლოთ მოძმე, ერთმორწმუნე რუს ხალხთან, მაგრამ არა არძინბების უღელქვემ, „რა გვჭირს ამის ფასი, თვარა კი“.

დროა შეწყვიტოს რუსეთმა ჩვენი გაპამპულება, ნუ გვასვამს თავზე, ველურ გარეწრებს. როგორც ჩვენ არ გვინდა ვინმეს დაჩაგვრა, ისე თვითონაც ვერ შევურიგდებით მონობას. დროა გაუქმდეს ბატონყმობა აფხაზეთსა და სამაჩაბლოში!

არადა, წარვუდგინოთ გაეროს, ევროთათბირს, ნატოს, მთელ მსოფლიოს მთელი ჩვენი მოსახლეობის ხელმოწერილობათა ტომები – რუსეთის უკლებლივ ყველა ჯარისკაცის საქართველოდან გაყვანის მოთხოვნით.

ეს იქნება თავგანწირულის სამკვდრო-სასიცოცხლო ნაბიჯი, მაგრამ იგი უნდა გადაიდგას. აზრი არა აქვს აბუჩად-აგდებული, შეურაცხყოფილი, დაკოდილი ერის არსებობას. „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი!“

გაზეთი „ალია საქართველოდან“, №31 – (140), ივლისი, 1995

## ჩავა იგორი სოხუმში?

ყოველ შემთხვევაში, ვარდების გარეშე ეს არც ეგების

აუცილებელია ჩვენ ველაპარაკებოდეთ არა ცალკეულ ჯგუფებს, რომელთაც, როგორც წესი, თვით სეპარატისტები აკომპლექტებენ და მართავენ, არამედ უშუალოდ აფხაზეთის მთელ მოსახლეობას.

ამისათვის კი საჭიროა გაეროს ეგიდითა და ხელშეწყობით დაარსდეს პერიოდული რუსულენოვანი გაზეთი „დიალოგი“, სადაც აფხაზებმა უნდა დაწერონ არა აკვიატებული ზოგადი ფრაზა, რომ მათ სურთ დამოუკიდებლობა, არამედ მათ უნდა გააკეთონ ზუსტი, დანომრილი ჩამონათვალი თუ რას მოელიან ისინი ამ დამოუკიდებლობისაგან, რა უნდა მისცეს მათ დამოუკიდებლობამ, როგორია მათი კონკრეტული მოთხოვნები, ჩვენ კი ამ მოთხოვნებზე უნდა გავცეთ ასევე კონკრეტული და არგუმენტირებული პასუხები იმავე ნომერში.

გაზეთი უნდა იყოს უფასო და მიმოებნიოს მთელს აფხაზეთს გაეროს შვეულმფრენით.

ეს გაცილებით იაფი და შედეგიანი იქნება ვიდრე ფეტიშად ქცეული გაუთავებელი, ძვირადლირებული და არაფრისმომტანი შეხვედრა-ვოიაჟები და მოლაპარაკებები.

## ღია ცერილი ჰარლამენტს

### ბატონებო!

მგონი, უკვე ნათელია, რომ აფხაზეთის მშვიდობიანი გზით დაბრუნება შეუძლებელია. და რადგანაც დღეს ყველაფერს მხოლოდ ძალა წყვეტს, ჩვენ კი ეს ძალა, როგორც ჩანს, არ გაგვაჩნია (და არცაა გონივრული კიდევ ამდენი ქართველის მსვერპლად გაღება), მაშასადამე:

1. ჩვენც შემოვიყვანოთ ბოევიკები, რისთვისაც დავბეჭდოთ წიგნი-ბლანკები სახელწოდებით: „ქართული ჯილაგის ხსნის ფონდი“ ქართულ და შესაბამის ენებზე, ყველა ქვეყნის ქართული დიასპორებისათვის, სადაც თითოეული პიროვნება თვითონ ჩაწერს (ჩაბეჭდილ ნომერზე) თავის ვინაობას, მისამართსა და შემონირული თანხის ოდენობას დოლარებში, რითაც იქვე დავიქირავებთ ბოევიკებს.

წიგნები გამოიფინება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.

2. ახლა მაინც შევუდგეთ მოსახლეობის სამხედრო-ფიზიკურ წვრთნას საცხოვრებელ ადგილებზე, თუნდაც ჯერჯერობით, ტირებისა და ინდივიდუალური თავდაცვის შემსწავლელი კურსების დონეზე. ყველა ქართველმა – დიდმა თუ პატარამ, ქალმა თუ კაცმა უნდა იცოდეს სროლა.

3. თუ ვერ ამოვძირკვეთ ნათლიმამობა და კორუფცია და მათზე დაფუძნებული უსამართლობა და განუკითხაობა, თუ არ დაფასდა ნიჭი, პროფესიონალიზმი და კეთილსინდისიერება, ვერ ავალორძინებთ ჩამკვდარ პატრიოტიზმსა და ეროვნული ერთობის სულისკვეთებას. პირველკაცობა არ უნდა იყოს რომელიმე კუთხის პრეროგატივა, ეს გზა ხსნილი უნდა იყოს ნებისმიერი ქართულად მოაზროვნე და მოლაპარაკე მკვიდრისთვის.

4. ჯარში უნდა გავიწიოთ არაქართველი წვევამდელებიც.

5. „ამერიკის ხმისა“ და „თავისუფლების“ დახმარებით, თბილისში უნდა ამუშავდეს ძლიერი რადიომაუწყებლობა კავკასიის მთავარ ენებზე, ისე კი არც ჩვენს მოსახლეობას აწყენდა თავისი ქვეყნის მოკლე, პოპულარული კურსი.

6. სანამ „ეკლიან გზას“ გავრისკავდეთ, ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოეთხოვოს რუსეთს საქართველოს იურისდიქციის აღდგენა და ყველა ლტოლვილის უპირობო დაბრუნება აფხაზეთსა და სამაჩაბლოში. არადა, მოვითხოვოთ რუსეთის ჯარების გაყვანა, თუნდაც, კონფლიქტის ზონებიდან და მისივე ე.ნ. „სამშვიდობო ძალების“ შეცვლა უკრაინის ან გაეროს სამშვიდობო ძალებით.

7. საპროტესტო აქციაზე უნდა დაჯდეს მთელი ჩვენი პარლამენტი და იგი უნდა მოეწყოს მოსკოვში, საიდანაც დაიგეგმა და

განხორციელდა ჩვენი ტრაგედია, და სადაც მთელ მსოფლიოს დავანახვებთ, რა გვჭირს და ვისგან გვჭირს. საამისო ფაქტოპრივი მასალა კი თავზე საყრელი გვაქვს. რად ღირს თუნდაც რუცკოისა და პასტუხოვის ციტირებები – თბილისს დაგიბომბავთო და ამ ომს არ მოგაგებინებთო, ანდა გრაჩოვის განცხადება თვითმფრინავების გადალევის თაობაზე და იქვე ჩამოგდებული თვითმფრინავის ფოტოსურათი, რომელიც გადაუდებავი „დაგვრჩა“ და რომელშიც რუსი ოფიცერი აღმოჩნდა. უნდა ვუჩვენოთ, როგორ იხოცებოდნენ სახლ-კარიდან აყრილი ადამიანები სვანეთის თოვლიან მთებში, როგორ დაქვითინებდა გულმოკლული მამა დალუპულ ქალიშვილს და როგორ იკრავდნენ გულში ყველაფერ ამის შემდეგ, ფაშისტ არძინბას გრაჩოვი და ნიკოლაევი. რათქმაუნდა, ეს იქნება თავგანწირულის სამკვდრო-სასიცოცხლო ნაბიჯი, მაგრამ იგი უნდა გადაიდგას, სხვა გზა ჩვენ უბრალოდ აღარც დაგვრჩენია. და კიდევ:

8. თუ კომუნისტურ წყობილებას ვგმობთ და უარვყოფთ, რატომ არ ვუბრუნებთ ამ წყობილების მიერ ჩამორთმეულ მიწებს თავის პატრონებს? რატომ ვანანილებთ მათ სხვებზე? რატომ გამოვდივართ კომუნისტების ამ მთავარი „დანაშაულის“ თანამონანილებად და „ხელისდამცლელებად“?

9. თუ დემოკრატია, თვით დემოსის ვკითხოთ, ვის ანდობს თავის ბედს; არა შპარგალკებით – გინდა თუ არა ეს აგვირჩიე ან ისო – არამედ მიცეცეთ მას უფლება, თვითონ ჩაწეროს სასურველი კანდიდატურა დანომრილ და ბეჭედდასმულ ბიულეტენში. ასე უნდა ირჩეოდნენ „ძირეული კოლექტივების“ თავკაცები, რომლებიც შემდეგ თვითონ დააკომპლექტებენ თავის აპარატს და თავის მხრივ, აღნიშნული წესით აირჩევენ თავიანთი უშუალო ზემდგომი ორგანოს თავკაცებს, რომლებიც ასევე თვითონ დააკომპლექტებენ თავიანთ აპარატებს და აირჩევენ თავიანთ ზემდგომ თავკაცებს, და ასე შემდეგ ქვევიდან ზევით მინისტრთა საბჭოსა და პარლამენტამდე, რომლებიც შესაბამისად აირჩევენ პრემიერ-მინისტრსა და პარლამენტის თავმჯდომარეს.

თუ ნებისმიერი დონის თავკაცი ვადის გარკვეულ მონაკვეთ-

ში მის მიერვე წარმოდგენილი გეგმის მინიმუმსაც ვერ ახორციელებს, იგი მექანიკურად უნდა უთმობდეს ადგილს არჩევნების მიხედვით №2-ე კანდიდატს.

რათქმაუნდა, უკეთეს შემთხვევაში ეს არის საარჩევნო სისტემის ზოგადზე ზოგადი პოსტულატური მონახაზი, მაგრამ მისი დედააზრი – ნამდვილი დემოკრატიულობა და საფეხურეობრიობა ქვევიდან ზევით, ერთადერთი ალტერნატივა უნდა იყოს ჩვენი დუხშირი ცხოვრებით განამებული საზოგადოებისათვის.

ახალი ველოსიპედია? მერე რა არის ამაში ცუდი? მითუმეტეს ჩვენი გზების პირობებში? და ბოლოს:

10. ხელისუფლების ძალით ჩამოგდება და ამის მცდელობა უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც სამშობლოს ღალატი, რამეთუ სულ ნავის გადაბრუნების შიშში მყოფი მებადური არათუ თევზეს ვერ დაიკტერს, შეიძლება თავის გადარჩენის მიზნით სატანასაც დაუკავშირდეს.

**გაზეთი „ალია საქართველოდან“, №40 – (149), აგვისტო, 1995**

## დალი პიპავა – ქალღმართი თუ ეალდეამონი!?

აფხაზეთიდან დევნილები დედათბილისმა შეგვიფარა – დაგვაბინავა, დაგვაპურა, შეგვმოსა, მაგრამ მოხდა ისე, რომ პირველ თოვლს მაშებით შევეგებე. მიშველა სოცუზრუნველყოფის სამინისტროს მუშაკმა მზია გაგუამ, რომელმაც თავისი თანამშრომლებისა და ნათესავ-მეზობლების დახმარებით მთელ ოჯახს ჩაგვაცვ-დაგვახურა. დიდი დახმარება აღმოგვიჩინეს სასოფლო-სამეურნეო (ბატონი ნაპოლეონ ქარქაშაძე) და ვეტერინარულმა უმაღლესმა სასწავლებლებმა რექტორების თაოსნობით. დღემდე ჰუმანიტარული დასაქმებით გვეხმარება ინგლისური ფირმა „ოქსფორდი“, რომელიც კილო ძაფის მოქსოვაში 8000

მანეთს გვიხდის. ძლიერ შეწუხებული გვყავს თბილისელები, რომელთაც ჩვენზე ნაკლებად როდი უჭირთ, და ბინაშიც შევინწროვდნენ, ტრანსპორტზეც და თავის მწირ ულუფასაც გვიყოფენ. მაგრამ, როგორც იტყვიან, თითო მახინჯი ყოველ ოჯახშია. და მე მხედველობაში მყავს არა იმდენად შარაგზის ყაჩაღები, რომლებიც ყოველ სალამოს ძარცვავენ, ტანზე ხდიან და რატომლაც სასტიკად სცემენ სასტუმრო-სახლში მომავალ ლტოლვილებს, რამდენადაც სახელმწიფო მაღაზიებში ბლომად მოკალათებული პატენტიანი მძარცველები, რომელთა წყალობით დღეს შავ ბაზარზე უფრო იაფად იყიდი ყველაფერს, ვიდრე სახელმწიფო ქსელში; და თანაც ეს ფასები მაღაზიიდან მაღაზიამდე, და თვით ერთი მაღაზიის შიგნით, დახლიდან დახლამდე ფანტასტიკურად მერყეობს.

ფულმა რომ სხვა ყველაფერი გადაავინებათ, მათ შორისაა მეტროს სადგურ დელისთან მდებარე „სანტექნიკის“ დირექტორი დალი კინაძე და მისი მოადგილე რეზო კინმარიშვილი, რომლებთანაც სწორედ ზემოთხსენებულ „ოქსფერთან“ ჩემი ბავშვების მიერ გამომუშავებული ფულით შევიძინე უცნობი წარმოშობის (უყუთო, უიარლიყო, უინსტრუქციო) კეროგაზი. ჩემდა საუბედუროდ, კეროგაზი უვარებისი გამოდგა – საშინლად ხრჩოლავს და წამდაუწუმ ქრება – მაგრამ მაღაზიის დირექციამ ცივი უარი მტკიცა საქონლის უკან დაბრუნებაზე. ვის არ მივმართე თხოვნით დახმარებისათვის – ცეკავშირს, თბილქალაქვაჭრობას, ვაჭრობის სამინისტროს, საბურთალოს გამგეობას და თვით მერიის ვაჭრობის განყოფილების გამგეს, ბატონ ცეზარ მოსიძეს, მაგრამ დალი კინაძეზე ზემდგომი პირი და ორგანო არ აღმოჩნდა. ის კი არა, აღნიშნულმა ქალბატონმა ზურგი შემაქცია და აგდებით გამომიცრა – ვინ არის ცეზარ მოსიძეო. ახლა, როდესაც ამ ჩემს ოდისეას თვალს ვავლებ, ეს კითხვა მეც მებადება. მართლაც, ვინ არიან ეს უხვთანამშრომლებიანი სამსახურები, თუ მათ არაფერი ეკითხებათ, და თუ სახელმწიფო მაღაზიებში ვისაც რა და როგორ უნდა იმას და ისე გაჰყიდის. ხოლო რა უნდა ენოდოს ქართველ მანდილოსანს, დალი კინაძეს და ქართველ

ვაუკაცს, რეზო კინმარიშვილს, რომლებმაც არძინბასაგან განსხვავებით უიარალოდ, „კანონიერად“ წამართვეს ინგლისელების მიერ ფაქტიურად ნაწყალობევი ფული, ეს პატიოსანი მკითხველისათვის მიმინდვია.

27 იანვარი, 1995

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქტორმა, გივიჩიქვინიძემდაურეკა მაღაზიას და გამათბობელი დაიბრუნეს, მაგრამ მათ თავსა და გულებში არავითარი ცვლილება არ მომხდარა; იქ მხოლოდ ფულსა აქვს ადგილი, რომლის გულისთვისაც ისინი, თუ დასტირდათ, გზაშიც დაგვხვდებიან. რეზომ მისაყვედურა – ადგილზე უნდა გაგესინჯაო; დალიმ შეასწორა – სახლში, მაგრამ მაშინვე უნდა გაგესინჯაო. მე ავუხსენი, რომ მე მაშინ არც ნავთი მქონდა და არც ჭურჭელი. – ნავთი თუ არ გქონდა, კეროვაზს რას ყიდულობდიო. კვლავ შევეცადე ამეხსნა, რომ ერთბაშად ყველაზრის ფულს ვერ ვიშოვიდი, მაგრამ შემაწყვეტინა – კაი, ახლა გააჭირვეს საქმე ამ ლტოლვილობით, ჩვენ ყველა ლტოლვილები ვართო და მერე დააგვირგვინა – ვინაც გამოგყარათ იმას მოკითხეთ, ჩვენ რა შუაში ვართო.

## ვისთვის საპაზრო, ვისთვის საპრაზო, ანუ ვისია დღეს საქართველო?

თბილისის ერთ პრივატიზებულ გასტრონომში უცებ ალიაქოთი ატყდა, გაისმა გასროლის ხმაც, მერე კარიდან დაფეხებული 12-13 წლის ბიჭუნა გამოვარდა, ქუჩაზე გადარბენისას კინაღამ მანქანას შეუვარდა, და ბეწვზე გადარჩენილი ხალხში გაუჩინარდა.

ლიპიანმა „ზუბალაშვილმა“ და „სარაჯიშვილმა“ თავის დამაქცევარ, ფუნთუშის გამტაცებელს რომ ვეღარ მისდია, შორიდან მუშტი მოუღერა და მსუყე-მსუყე „ლოცვა-კურთხევით“ თავის სამფლობელოში შებაჯბაჯდა.

ამჯერად ინციდენტი მშვიდობიანად ამოიწურა – ფუნთუშაც პატრონს შეუნარჩუნდა, და სხვისი ქონების ხელმყოფიც გადარჩა. თუმცა, არის კი ის ახალგაზრდა გადარჩენილი?!

რაც შეეხება მშენებარე საზოგადოების ბურჯ-კომერსანტს, მისთვის აქამდე თუ არავის უკითხავს რითი მოიხელთა ამხელა მაღაზია, როცა მისი ხელფასი პურის საფასურს არასოდეს აცილებია, ანი ვინ რას გაუბედავს? როგორც უნდა, ისე მოიქცევა, კანონი მის მხარეზეა. მას თავი ქუდში აქვს; მისი შვილების მომავალი გარანტირებულია. ვინ იცის, ისინი ახლაც უკვე ამერიკაში ეუფლებიან პროფესიას. ესეც შენი სამართალი, და ესეც შენი სამართლებრივი სახელმწიფო!

მეორე, ცოტა უფრო მოზრდილმა ბიჭმა მეტროს მატარებლის ვაგონი რომ ხელგაშვერილმა და თავჩაქინდრულმა ამაოდ ჩაიარა, გასასვლელთან კედელს მიეყრდნო, სახეზე ხელები აიფარა და ფშლუჟუნი მორთო. ვაი, სირცხვილო, და მართლაც სატირალო, ჩვენო ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო!

მეტროს სადგურში უარესი ტრაგედიაც დატრიალდა – 19 წლის ახალგაზრდა სიცოცხლეს გამოიესალმა. სასწრაფო ორი საათის შემდეგ მოვიდა. ამის თაობაზე ტელევიზიაში მიწვეულმა, ალბათ, სათანადო, შეუზღუდავი პასუხისმგებლობის პირმა აგვისნა და დაგეამშვიდასავით, რომ ეს საბაზრო ეკონომიკაა და გასაკვირი არაფერია. ასეთმა დამაიმედებელმა ფრაზამ ახლახანაც გაიუღერა ცისფერი ეკრანიდან – თბილისის ქუჩებში იმდენი ხალხი დადის, აღარ ყოფილა საქმე ისე ცუდადო.

მაძღარი კაცის როყიო წამონასროლია, თორემ ბევრი კი არ დადის, ძლივს დალასლასებს, და მერე, ჩვენი უბედურებაც იმაშია, რომ მათი უმეტესობა აქ კი არა, სულ სხვაგან და სულ სხვაგვარად უნდა დადიოდეს; თანაც კი არ უნდა დადიოდეს და ქუჩა-ქუჩა დაეხეტებოდეს, არამედ საქმეს უნდა აკეთებდეს! ახლა რამდენი აღარც დადის?! რამდენს კუბო და საფლავიც არ ღირსებია?! თუმცა რა დიდი წილადობილა უნდა იმის გამოცნობას, თუ რა დღეში უნდა იყოს გაჭენებულ ფასებთან 8,50 ლარის ამარა მიტოვებული ხალხი?

რაღა შორს წავიდე, თვითონ დამკინეს ძალლებმა ქუჩაში. რვადე ვიარე ლტოლვილთა და რესპუბლიკურ პოლიკლინიკებსა, საბურთალოს სანებიდსადგურსა და მიმდებარე პოლიკლინიკას და რესპუბლიკურ საავადმყოფოს შორის; თანაც ოთხი დღე-აზეთის ჯანდაცვის მინისტრის მიერ ნაშოვნი ვაქცინით, სანამ მკურნალობას დამიწყებდნენ, და ისიც, რათქმაუნდა, საბაზრო საწყისებზე.

ახლა, ივლისში კი მომცეს თებერვალში გამოწერილი პოლისი, მაგრამ მასში არ წერია, რის უფლებას იძლევა იგი, და მაშასა-დამე, ყველაფერი ისევ ექიმის სინდის-ნამუსზეა დამოკიდებული. ცნობილია, მხოლოდ ზოგადი პრინციპი – ჩვენ ნება გვეძლევა დავიხოცოთ, რომელიც გვინდა „ინდივიდუალური“ ავადმყოფობისაგან, მაგრამ თავი უნდა შევიკავოთ „კოლექტიური“ დაავადებებისაგან, რათა ამ საქმეში არ ჩავითრიოთ მთავრობის საზრუნავი ზედა ფენები.

მახსენდება, ჩინეთმა ერთ დღეში მოსპო იქ არსებულ ბელურათა მთელი კორპუსი. ეს არ გამოდგა გონივრული, მაგრამ აქ ყურადღებას იპყრობს ამ ღონისძიების უბადლო ორგანიზებულობა. რატომდა არ შეგვიძლია ჩვენ რამდენიმე ათეულ ძალს მოვუაროთ? კი ბატონო, ცოდვაა; თანაც შეიძლება ბრიჯიდ ბარდოსაც ეწყინოს, მაგრამ ხალხიც ხომ ცოდვაა?! თუმცა ქვეყანაში, რომლის დედაქალაქის ქუჩებს სამ-სამი სახელწოდება ანერია და ორი ზედმეტის ჩამომხსნელი არ გამოქვებილა – გასაკვირი, მართლაც რომ, არაფერია.

სხვათა შორის, ბათუმში ნაგავს, მათხოვარს და მანანწალა ძალლებს ვერ ნახავთ. ისე კი, კედლებზე შემორჩენილ საარჩევნო პლაკტებზე ბატონი ასლანის ჩამოუხეველი სურათიც იშვიათობაა.

ფაქტიურად ჩვენთან მხოლოდ პოლიცია ფუნქციონირებს. ისე სწრაფად და რადიკალურად შეიცვალა კრიმინოგენური სიტუაცია, რომ ხალხი მეტად პიკანტურ აზრს მიადგა, – არ სდომებია მთავრობას, თორემ სხვა პრობლემებსაც ასევე გადაჭრიდაო. მშვიდობა და სტაბილურობა კეთილდღეობის საწინდარია, მაგრამ

როცა გაშვერილი ავტომატების დაშვებას, გაშვერილი ხელების დაშვება არ მოსდევს, ეს ძირითადად, ისევ და ისევ ელიტის უსაფრთხოების ღონისძიება გამოდის.

მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალიაო, მაგრამ ყოველი ახალი კონტაქტითა და კონტრაქტით გამოწვეულ ჩვენს სიხარულს ყოველთვის ცივი შხაპი მოსდევს; რამდენი მეტი ხელშეკრულება დავდეთ, იმდენი უფრო შეგვეკრა ხელიცა და ფეხიც. რამდენი ხანია მარტის ცხვრებივით შეცყურებთ ჩვენი მწყემსების მიერ ტომრით ჩამოკონწიალებულ სულ ახალ-ახალ კატა-იმედს; რამდენი ხელშეკრულება დაიდო – დიდიც და პატარაც, რომელი ბარინი აღარ გვეწია, რამდენი კიდევ ერთი ნაბიჯი გადავდგით მიზნისაკენ, მაგრამ იმის მთქმელი არა და არ ჩანს, თუ კიდევ რამდენი ნაბიჯი დარჩა, რომ არა თუ თავისუფალი, დემოკრატიული ქვეყნის მოქალაქეებად და ქართველებად, არამედ უბრალოდ ადამიანებად ვიგრძნოთ თავი – და არა საკუების მაძიებელ ცხოველებად.

უარესი ომი და განსაცდელი გამოგვივლია, მაგრამ მაშინ ყველანი ერთ ბედექვეშ ვიყავით; ახლა კი, როცა ერთი ბინა-მანქანებს ხელთამანებივით იცვლის, მეორე და უმრავლესობა კი – მხოლოდ შიმშილ-ავადმყოფობის მონაცვლეობაშია, მდგომარეობა აღმამფოთებელი და აუტანელია!

პრივატიზაციას რუსეთში ზუსტი სინონიმი გაურითმეს (прихватизация). ვაუჩერი აღმოჩნდა აფიორა, რომლის გათამაშებითაც „თანაბრად“ განაწილებული სახელმწიფო ქონება უმეტესწილად თაღლითების ხელში გადავიდა.

მე, როგორც ყოველთვის, დავუჯერე მთავრობის მოწოდებას, არ გავყიდე ჩემი ოთხი ვაუჩერი და „საქმეში“ ჩავდე, და როგორც ყოველთვის ახლაც „გაბითურებული“ დავრჩი – ვარ აქციონერი აქციების გარეშე.

ახლა მინას რას ვუშვრებით? – იმის მაგივრად, რომ იგი, როგორც კომუნისტების მიერ ძალმომრეობით ჩამორთმეული თავის პატრონებს დავუბრუნოთ, ჩვენ მას ლეგალურად თუ არალე-გალურად, სხვებზე ვყიდით.

მოკლედ დღეს, პრივატიზაციული მანიპულაციებით და-

კანონდა უსამართლობის ყველა ის უკიდურესი ფორმა, რაც ხრუშჩოვის მიერ გაფხვიერებულ და საზღვარგარეთის მიერ გაპატივებულ ნიადაგზე სარეველას სახით აღმოცენდა.

ჩვენს უბედურებაში უბრალო არც ერია და არც ბერი, რამეთუ ისინი ერთმანეთს განაპირობებენ, მაგრამ მეტი მეტს მოეთხოვება. ვის დავაპრალოთ, მაგალითად, რომ (თუ) ჩვენმა მეზობელმა „ივაჭრა“ და დსთ-ში ასე თუ ისე მომგებიანად შევიდა, ჩვენ უბადრუკად წავიტლინკავეთ, მერე სამარცხვინოდ გაგვლახეს და შიგ ყურით შეგვათროეს.

მე არ ვქადაგებ ვინმეს დასჯას შეცდომებისათვის. წესი-ერ ოჯახში შემცდარს კი არ უკიშინებენ და ახრჩობენ, არამედ ანუგეშებენ და გულს უკეთებენ, რათა ძალ-ღონე მოიკრიბოს და უფრო გაფრთხილდეს. მაგრამ სათავეში „უთავოთა“ და „ავ-თავიანთა“ სიჭარბე უცილობლად მიგვიყვანს ახალ შეცდომებსა და დანაშაულობებამდე, მათი წყალობით თავ-ტან გათიშული და სახელგატებილი ქვეყანა კი წელში ვერ გაიმართება და მზიან შარაზე ვერ გავა.

სათაურით „ვაი, ჩვენს პატრონს“...,  
გაზეთი „ალია“, №23 (193), 11-12 თებერვალი, 1997  
გაზეთი „საქართველო“,  
№17 (1527), 24-27 თებერვალი, 1997

## თუ დემოკრატია, ზოგი რამ დემოსსაც ვკითხოთ

დემოკრატიზაციით მიამიტობამოქარბებულმა, მე ამ და ბევრ სხვა საჭირბოროტო საკითხზე წინათაც მივმართე საქართველოს პარლამენტს, მაგრამ – ყურსა ბამბისა!

ეტყობა, იქ ჩვეული „უჩვენოდ ვინ იმღერეთას“ პრინციპით ხელმძღვანელობენ, და ყურადღების ღირსად მხოლოდ თავისი ნათქვამ-ნააზრევი მიაჩნიათ.

არადა, პარლამენტის დარაჯიც რომ შემხმიანებოდა და თუნ-დაც ვარდენისათვის აკავის მიერ მიცემული რჩევა-დარიგება მოეცა, ჩავთვლიდი, რომ დემოკრატიამ ჩვენში პატარა, კუს ნაპი-ჯი გაბედა.

სამწუხაროდ, დღესაც საკამათოა – დაინიშნოს ადგილობრივი მმართველობის ხელმძღვანელი, თუ არჩეს, და ეს მას შემდეგ, რაც ჩვენ დემოკრატიას შევწირეთ ყველაფერი, რაც გაგვაჩნდა, მისი გულისხმის გავმათხოვრდით და დავჩაჩანაკდით!

გასაგებია ამ ზემოდან ჩამოშვებული წინადადების ქვეტექს-ტი, მაგრამ რატომ უნდა იყოს იგი მოსალოდნელი საფრთხის თა-ვიდან აცილების ერთადერთი გარანტი?

„თვითონ პრეზიდენტი ხომ ხალხის არჩეულია“ – ვერ-აფერი არგუმენტია; ეს უფრო კონტრარგუმენტია, რადგანაც, თუ კაცს პრეზიდენტი ავარჩევინეთ, რომლის ავკარგიანობის გასარკვევად მას არც საჭირო ინფორმაცია გააჩნია და არც სა-თანადო განათლება, თავისი ყურის მეზობლის არჩევას აღარ ვენდობით?

კი ბატონი, იყოს კი არა, აუცილებელიცაა შერეული პრინცი-პი, მაგრამ არა პირველკაცის დანიშვნა და მისი თანამენამცეცე მეტამების არჩევა, არამედ პირიქით – პირველკაცის პატიოს-ნად, ნამდვილად ხალხის მიერ არჩევა, რომელიც შემდეგ თვითონ დაიკომპლექტებს თავის მუშა-აპარატს.

თუ დემოკრატია, თვით დემოსს ვკითხოთ, ვის ანდობს თავ-ის მეზურობას, არა შპარგალკებით – გინდა თუ არა, ან ეს აირჩიე, და ან ისო – არამედ ამომრჩეველთა რაოდენობაზე ზუსტად დაბეჭდილი, დანომრილი და ბეჭედდასმული ბიულეტენებით, სადაც თვითეული ამომრჩეველი თვითონ ჩანერს თავის სასურველ კანდიდატურას.

აირჩევა ის, ვინც ყველაზე მეტ ხმას დააგროვებს.

ახალი ველოსიპედია? მერე რა არის ამაში ცუდი? მით უმეტეს, ჩვენი გზების პირობებში?!

გაზეთი „საქართველო“,  
30 აგვისტო – 2 სექტემბერი, 1997

## სახელები და სახელმოძღვანები

რეპლიკა თბილისის მერიას და მერს  
ბატონ ივანე (ვანო) ზოდელავას

იქნებ აიძულოთ ვინც ჯერ არს, მოაგვარონ შემდეგი თითქმის უდანასარჯო საკითხები:

- დიდიხანია მეტროს მონიშვნები M შესაცვლელია მ-თი;
- მეტროს შესასვლელ-გამოსასვლელებს, რუსული კალკის მაგივრად, უნდა ეწეროს:

შესასვლელი, გამოსასვლელი;

შემოსასვლელი გასასვლელი

- იგივე რუსულის წყალობით სასტუმრო „აჭარას“ „Adjaria“ აწერია;

• „საკოლმეურნეო ბაზარი“ შესაცვლელია „აგრარულით“;

- ვაკე-საბურთალოს გადასასვლელს სამი სახელწოდება აწერია: №21 სახლი თამარაშვილია, №23 – გურამიშვილი, შემდე-გი უნომრო სახლი – გაბაშვილი.

თითქოსდა ლაპარაკად არ ღირს; ორი ზედმეტი აბრის ჩამოხს-ნა კი არავითარ ხარჯებს არ მოითხოვს, მაგრამ ამის გამკეთებე-ლი არ მოიძებნა. ასეთი შემთხვევები და სეხნია ქუჩები თბილის-ში ბლომადაა და ხალხი წვალობს. ისე, სამომავლოდ კარგი იქნე-ბოდა, თუ ქუჩების №1 სახლებზე გაკეთდებოდა დაფები მოკლე ცნობებით ქუჩისთვის სახელის მიმცემი პიროვნებისა თუ მოვ-ლენის შესახებ;

- უფრო ძნელი, მაგრამ მრავალმხრივ აუცილებელია ალირ-იცხოს დედაქალაქის ბინადარი დაწესებულებები, და აღდგეს ქა-ლაქცინობის რამდენიმე ჯიხური.

ისე კი, თუ უზბეკეთი თემურ ლენგს ძეგლს უდგამს და მასზე ფილმის შემქმნელთა კონკურსს აცხადებს, ჩვენ რა გვჭირს, რომ ჩვენს შვილებს სულ სხვისი კარნახით ვახარისხებთ?

დავანებოთ, ჯერ-ჯერობით, თავი სტალინს, რომელიც ფაქ-ტიურად, ქართველობისათვის ამოაწუმპავეს, თორემ ისეთივე

და მეტი ცოდვების სულისჩამდგმელი და შემოქმედი ლენინი ისევ მავზომლეუმში ჰყავთ. ნოე უორდანია რომ პლეხანოვს არ ჩამოუვარდებოდა, თვით რუსი მეცნიერებისაგან მომისმენია და წამიკითხავს. ანდა, რატომაა უგულებელსაყოფი თუნდაც კარლო ჩხეიძე, მიხაკო და ირაკლი წერეთლები, სპირიდონ კედია, ნოე რამიშვილი, სხვები და სხვები?

ბევრი რამაა გადასააზრებელი, და არა მარტო „ქართული ენციკლოპედიის“ მესვეურთათვის. პირვენებათა ერთადერთი საზომი, მათი პარტიულობა კი არა, მათი რეალური მოღვაწეობისა და ცალკეულ ქმედებათა მარგი კოეფიციენტი უნდა იყოს, ეპოქასა და კონკრეტულ სიტუაციასთან მიმართებაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, აქამდე არსებული კრიტერიუმებით, როცა ჩვენი უფრო წარმატებული შთამომავლობა ხორცს ყოველგვარი შუამდგომლების გარეშე, უშუალოდ მცენარისაგან მიიღებს, ყველა ახლანდელ „ერკებს“ ძირ-ფესვიანად მოგვითხრის.

1998 წელი

## პატონო ავთანდილ!

(ჯანდაცვის მინისტრს პატონ ავთანდილ ჯორბენაძეს)

სანამ არათუ ფიზიკურად და გონებრივად ჯანმრთელი ადამიანის ემპრიონმივე დაპროგრამება, არამედ მოსალოდნელი ინვალიდობის დროზე განსაზღვრა და აღკვეთა არ ძალგვიძს, რასაც ემატება დაბადებისშემდგომიუბედური შემთხვევებიც, აუცილებელია ამ ბედით თუ უბედობით დაჩაგრულთ მიეცეთ სპეციალობის მიღებისა და დასაქმების საშუალება, რათა ისინი ზედმეტ ტვირთად არ დააწვენ საზოგადოებას. ამისათვის კი საჭიროა, სპეციალურ საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებს დაევალოთ გამოჰყონ გარკვეული რაოდენობის უკონკურსო ადგილები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, ხოლო არასახელ-

მწიფო სასწავლებლების შემთხვევაში ეს ვალდებულება უნდა ჩაიდოს მათზე გაცემულ ლიცენზიებში.

რა თქმა უნდა, ეს საკითხი უშუალოდ არ შედის თქვენს კომპეტენციაში, მაგრამ თუ თქვენ მას სათანადო ორგანოების წინაშე დააყენებთ, იგი დადებითად გადაწყდება.

მისასალმებელია, რომ ჩვენი მედიცინა საერთაშორისო ინტეგრაციის გზას დაადგა, გახშირდა უცხოელ მედიკოსთა საქმიანი ვიზიტები ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ სამწუხაროდ, როცა ეს ვიზიტები საქველმოქმედო ხასიათს ატარებს, საკუთარი პრესტიუსის ამაღლების მიზნით უცხოელ შარლატანთა ჩამოყვანა ფართოდ რეკლამირდება.

ამიტომ საჭიროა ეს პროცესები, ისევე როგორც წამლების იმპორტი, მოექცეს ჯანდაცვის სამინისტროს კონტროლქვეშ; ხოლო მათი გამჭვირვალობისათვის სამინისტროში დაიდგას სპეციალური, კომპიუტერიზებული საინფორმაციო ტელეფონი, საიდანაც ავადმყოფი შეიტყობს სად, როდის და რა პირობებით ინარმოებს ავადმყოფთა მიღება უცხოელი სპეციალისტების მიერ.

2000 წელი

## დემოკრატიაში დემოსიც უდაბავი გავრიოთ, ბ-ნო პრეზიდენტო!

ავადსახსენებელი აფხაზურ-ქართული კონფლიქტის წინ საქართველოს კათალიკოს პატრიარქმა, უნიდესმა და უნეტარესმა ილია II-ემ თვისტომისმკვლელი ქართველის შეჩერება ბრძანა, რაც სამწუხაროდ, ვერ ხერხდება და რასაც, სხვათაშორის აფხაზებმა კუდი გამოაბეს და კათალიკოს პატრიარქს უკადრისი აკადრებს.

მე უფრო გადაჭრით ვიტყოდი: სხვისი სიცოცხლის განზრახ ხელმყოფი, სიცოცხლის ღირსი არ არის! მაგრამ ვაი, რომ იძულე-

ბული ვართ ვიღაცას თავი მოვაწონოთ. მით უმეტეს დაუშვებელი და დამტკიცებულია სისხლიანი გადატრიალება. გამსახურდიასათვის ნასროლი ტყვია, როგორი პრეზიდენტიც არ უნდა ყოფილიყო იგი, მთელ საქართველოს მოხვდა, რაც ასე საბედისწეროდ ბუმერანგად იქცა მავანთა ცნობიერებაში. გაჭირვება, თავისთავად, ტერორიზმს არ ბადებს თუ მას ახსნა აქვს და მაშასადამე, თუ იგი საყოველთაოა. პირიქით, ერთცუდბედქვეშობა უფრო ადულაბებს და წმენდს საზოგადოებას. ისტორიას მრავლად ახსოვს „ლამაზად მოშინების ადამიანები“, რომლებიც მაღალზნეობრივ იდეალებს და სხვა ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს ქმნიდნენ.

მაგრამ როცა საშემოდგომოებ-სკოლადამთავრებული მისაღებ გამოცდებზე უკან იტოვებს თავის ფრიადოსან თანაკლასელს და ბოლოს მისი ბოსი ხდება, როცა ხულიგანი მინისტრდება, როცა ლოთი და მაფიოზი დესპანია, როცა ელიტის დანაშაულის უმაღლესი სასჯელი სამსახურიდან გადაყენებაა, ციხეები კი მეისრებს ვერ იტევს, როცა 2 მილიარდიანი კრედიტის მე მხოლოდ გადახდა მეკითხება, როცა ჩემი უფლებამოსილება „წერე და იკითხეს“ ფარგლებს არ სცილდება, როცა შენი შვილი საზღვარგარეთ ეუფლება შენს სამემკვიდრეო განათლებას, ჩემსას კი პური და წამალი უჭირს, მოკლედ, როცა მტკიცედაა დადგენილი ვინ უნდა იყოს ელჩი და ვინ ამ ცხოვრების ლენჩი – როგორდა გინდათ დამარწმუნოთ, რომ ეს ქვეყანა ჩემიცაა ან რომ კანონის მორჩილება მარტო ჩემი ვალდებულებაა?!

ასე რომ, სწორედ ზემოდან მომდინარე უსამართლობა და განუკითხაობა ამკვიდრებს საზოგადოებაში ძალადობას, როგორც მიზნის მიღწევის ერთადერთ საშუალებას და ქმნის ნიადაგს ხელი აღმართონ პრეზიდენტზე და თავზე დაგვამხონ სიმწით მოპოვებული სახელმწიფოებრიობა რომლის ღირსიც, გამოდის არ ვყოფილვართ!

უსაშველო მხოლოდ სიკვდილია, მაგრამ დღევანდელი კვერცხი არ უნდა ვარჩიოთ ხვალინდელ ქათამს და ეს ქათამი დამსახურებისდა მიხედვით ყველას უნდა შეხვდეს – „სხვისი პრობლე-

მები“, „სხვისი შვილები“ ქვეყანაში არ უნდა არსებობდნენ!

ხომ სავსებით კანონზომიერია, რომ ისეთი ნიჭიერი და პოლიტიკურ ოროგმტრიალებში გამონრთობილი კაცის შვილი, როგორიც ჩვენი პრეზიდენტია „გვარზე ხტოდეს“, მაგრამ „გახსენით გული“ ბატონო პრეზიდენტო, და ბრძანეთ, გამორიცხული იყო თქვენი ვაჟის იუნესკოს კონკურსში არ გამარჯვება თქვენ რომ თქვენ არ ბრძანებულიყავით?

დღეს აღარავინ თხოვს ვინმეს სააკადემიასა და სტალინობას, მაგრამ აუცილებელია მოვერიოთ ჩვენს მთავარ მოსისხლე მტერს „ჩანწყობას“ და ყველას მივცეთ თავისი თავის რეალიზების საშუალება.

მე რომ მეკითხებოდეს სპეციალურ გადასახადს დავაწესებდი და ყველა ბავშვს ერთნაირ საბაზო სწავლა-განათლებასა და აღზრდას მივცემდი, სადაცვე დადგინდებოდა თვითეულის შესაძლებლობები, მიღრეუილება, და ყველა თავისი გზით განწესდებოდა – ვინ, ყოველგვარი მისაღები გამოცდების გარეშე უმაღლესში და ვინ, შესაფერის პროფესიულ სასწავლებელში.

აი, მოახლოვდა საპრეზიდენტო არჩევნები და ბუნებრივია, ჩვენთვის სულერთი როდია, ვინ და როგორ შეგვიძლვება 21-ე საუკუნეში.

აქეთ უნდა ითქვას, რომ დღევანდელი საარჩევნო სისტემა არადა არ წარმოადგენს ხალხის ნების ასახვის გარანტს. უფრო სწორად, იგი აშკარად ფსევდოდემოკრატიული და არასანდოა და ყველგან ექსცესებს ბადებს, ჩვენში ახლახან ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების ექო კი ჰამბურგსაც მისწვდა.

ქეშმარიტად დემოკრატიული და ნაკლებხარჯიანი არჩევნებისათვის საჭიროა:

1. ასარჩევმა პირმა თუ პარტიამ გამოაქვეყნოს თავისი დასაბუთებული, დაპირებების ვადებში განერილი პროგრამა, რასაც ამომრჩეველი საარჩევნო პუნქტში გაეცნობა და რის მიხედვითაც იგი არჩევანს გააკეთებს. 2. საარჩევნო ბიულეტენები უნდა იყოს სახელმწიფო (ოლქისა თუ უბნის მითითებით) და დანომრილი ამომრჩეველთა რაოდენობის მიხედვით. არავითარი

კრებები, ტელევიზიონური კოპწიაობა და რეკლამები. 3. ყველა ამომ-რჩეველმა თავისითვის უნდა ჩაინიშნოს რა ნომერი ბიულეტენი შეხვდა და ვის მისცა ხმა, რაც საშუალებას მოგვცემს გავაკონ-ტროლოთ ჰქონდა თუ არა ადგილი გაყალბებას.

რაც შეეხება პრეზიდენტობის კანდიდატებს; როგორც ბა-ტონმა ირაკლი წერეთელმა ბრძანა – „დღეს შევარდნაძეს ვე-რავინ წაქცევს“, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ხალხი გადაიღალა ამდენი უშედეგო „ქმედითი ღონისძიებებისაგან“ და იგი უფლებამოსილია, ბოლოსდაბოლოს, იცოდეს: 1. როდის გამთლიანდება საქართველო; 2. როდის აღარ გვეყოლება იძუ-ლებითი მათხოვრები, ქურდები და სხეულით მოვაჭრები; 3. რო-დის გახდება ყველასთვის ხელმისაწვდომი განათლება, ექიმი და წამალი; 4. როდის ამოვისუნთქავთ თავისუფლად უსამართლო-ბისა და განუკითხაობისაგან!

გაზეთი „დრო“, №3 (219),  
25 იანვარი – 1 თებერვალი, 2000

## ცისცერი მთები ანუ: თანა შენსვენ

მიშვერილი ავტომატების გაშვერილი ხელებით  
შეცვლა ვერაფერი სტაბილურობაა

### რედაქციისაგან:

ეს წერილი რედაქციაში ორმა პიროვნებამ მოიტანა: ერთი პა-ტარაა, მეორე ავტორი – ბატონი აკაკი მუმლაძე, სოხუმელი პედ-აგოგი, უსინათლო... ბავშვი უფროსს მოჰყვა. უფროსი, ალბათ, ახლა მას მოუსმენს.

წერილი საკმაოდ ხანდაზმულია, მაგრამ მას სიძველე არ დას-ტყობია, უფრო – პირიქით.

11-მა გაბაშვილ-გურამიშვილის დაღმართი შლ-

იგინ-შლიგინით ჩაირბინა, კანონიერი სიამაყის გრძნობითა და ნიშნის მიგებით ავუარეთ „ჩრდილოეთის მზის“ ათინათსაც, მა-გრამ უდენობა, საწყალი კაცის ქვასავით, ზედ აღმართის თავ-ზე წამოგვეწია და ჩვენც ბუზლუნ-ბუზლუნით ჩამოვრიგდით ტრანსპორტიდან.

საბედნიეროდ, მანძილები ისე დამოკლდა, გზა „ნიუ-იორკ-იდან“ „ბიგ ბენამდე“ (მაღაზიები) სულ რაღაც 5 წუთში დავიფარე. ის იყო დიდებული „ბაბილონის“ საცოდავი კონტურებიც გა-მოჩნდა, რომ კვლავ გამოცოცხლდა ტროლეიბუსები. ეტყობო-და, წინადღის თავსხმას მდინარეებში წყალი მოერეკა და ენერგე-ტიკოსებსაც ისევ ემარჯვნათ 500-ვოლტიანთან.

მგზავრებათა საველიჩში“ ძველი დიდების ნაშთი 10 შელანძლული სკამიდან 4 ვაკანტური აღმოჩნდა. სამწუხაროდ, ოთხსავესათვის ბრძოლაში სასტიკი მარცხი ვიწვნიე. უკანასკ-ნელმა დამარცხებამ შვილიშვილისტოლა ჯეელთან მუხლებზე მეტად გული მატკინა.

„ზვიადი რომ ყოფილიყო, ეს არ დაგვემართებოდაო“, – სინან-ულით წარმოთქვა ვიღაცამ. „ზვიადი რომ იყო, სწორედ იმიტომ ჩავცვივდით ამ დღეშიო“, – არ დააყოვნა პასუხმა. აქ ტროლეი-ბუსი ორად გაიყო. მე ვცადე უმიზნო კამათის დეპერსონიზაცია და ორივე პრეზიდენტს მოვუძებნე პლიუს-მინუსები, რამაც ორივე მხარე გადამკიდა. მიშველა ჩემი დანიშნულების გაჩე-რებამ. სუნთქვაშეკრულმა, გიტარების გრიალში გადავირპინე მიწისქვეშა გადასასვლელი, მინიკაბა და მაქსინვერა, ყველაფ-რისაგან თავისუფალი ახალგაზრდობის ტალღა გავარღვიე და ცოდნის ტაძრის სალაროს მივაშურე, სადაც მახარეს, ხელფასი მეორე კვირამდე არ იქნება და მომატებულს ჩვენ კი არა, თელასს გადასცემენ ჩვენი სახელითო.

ისევ გადავლაშქრე გვირაბი და 8-ს ავეკონწიალე. რუსთაველ-ზე ნაცნობი სახეების დანახვამ დარღი გადამყარა – აფხაზეთის გეოდეზიისა და კარტოგრაფიის დეპარტამენტის თავკაცი და გუდაუთის გამგებელი თავქუდმოგლეჯილი გარბოდნენ – ალ-ბათ, „ობიექტებზე“.

„საქართველოში“ წერილი მიმქონდა და კვლავ ჩაბნელებულ „მუსიკალურ ცენტრს“ მივეცი თავი. ორიკვირის წინანდელ თქეშს გვირაპის ფსკერი მოელექა, რომელზეც პატიოსან ქვეითებს საცალფეხო ბილიკი გაეტკეპნათ და რიგორიგობით გადიოდნენ ფონს. მესიერებაში ამოტივტივდა პოეტი: „რად გინდა მერი, თუნდ იყოს ბრძენი, თუ თავის ცხვირწინ ტალახს ვერ ხედავს?!“ არადა, ჩინური წესით, ერთ-ერთი თათბირის ორი პასიური მსმენელი რომ ნიჩბებით მოვლინებინა, ორ საათში პრობლემა მოიხსნებოდა. ისე, სკვერიდან გვირაბში ჩასასვლელი რომ აღმოსავლეთის მაგივრად დასასვლელით გაეკეთებინათ, მგზავრს ამ კიბის მანძილის ორჯერ გავლა აღარ მოუხდებოდა და გვირაბსაც მეტი ნათელი დაადგებოდა. ასევე, ჭავჭავაძეზე, უნივერსიტეტის V კორპუსთან, ფალიაშვილის ქუჩა რომ გვირაბში ჩასასვლელებშუა მოქცეულიყო, შიგ ჩამავალსა და იქიდან ამოსულს ამ ქუჩის გადაჭრა აღარ მოუწევდა. ამ გახსნებაზე, ვინ დაგეგმა, ვინ ააშენა და ვინ ჩაიბარა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, სადაც უსარგებლო ფართი ბევრად სჭარბობს დაკავებულს და სადაც შარშანწინ შესასვლელის ჭერის „სინკარი“ ჩამოვარდა?! ასე რომ, ეს „წვრილმანები“ არც მარტო ახლანდელი და არც მარტო ერთი რომელიმე პიროვნების „დამსახურებაა“. რაც ერი, ის ბერიო, მაგრამ, ბუნებრივია, მეტი მეტს მოეთხოვბა.

რა თქმა უნდა, აღარ ისვრიან წამდაუნუმ, ამოქმედდა თეატრები, იმართება „თბილისობები“, ტარდება ფესტივალ-სიმპოზიუმები, ლამის თბილისი გადაჰყარონ უურნალ-გაზეთებმა, მთელი ქვეყანა სწავლობს. მაგრამ ვინ უწყის, როგორ შემოგვიბუმერანგდება კეთილდღეობის ეს პოტიომკინური ატრიბუტიკა, როცა ამხელა კრედიტების დაბრუნების დრო დადგება და თითქმის უმუშევარი, დიპლომებით ამბიცირებული არმია დასაქმებას მოგვთხოვს?

მიმვერილი ავტომატების გაშვერილი ხელებით შეცვლა ვერაფერი სტაბილურობაა. ვერც თუნდაც 400-ლარხელფასიანი მოსამართლის მიერ 10-ლარშემოსავლიანი „დამნაშავის“ გაციხოვნება მოგვცემს წესრიგს. აბსურდია დაასტაბილუროუსამართ-

ლობით გაწამებული უმუშევარი, რომელსაც უპურ-უექიმობით ცოლ-შვილი ელუბება, თაღლითები კი დუღან და გადმოდიან.

ამასწინათ დამამიმედებულ ცნობად გაცხადდა, ყოფილ საბჭოთა რესუბლიკებს შორის ვერცხლის მედალი დავიმსახურეთ წინსვლაშიო. Two good to be true! (ქუჩაში გაკრული უზარმაზარი პლაკატის გამოძახილია, სადაც too გიადის მაგივრად, შეცდომით two good დაუბეჭდავთ) მაგრამ მე მაინც მებადება კითხვა – რატომ ვერცხლი და არა ოქრო?! ან რატომ არავინ ამბობს, რა დაგვაკლდა და რა უნდა ვიღონოთ, რომ ის ოქროც ვიგდოთ ხელთ?! უფრო დამაჯერებელი კი იქნებოდა, სისტემატურად გვეცნობებოდეს რა ლირს მათი საარსებო კალათა და როგორია მათი შემოსავალი. ყველაფერს კი, აჯობებდა, ფიცი გვწამდეს და ბოლო არ გვაკვირვებდეს, თორემ ერთი მუჭა კვაჭების ფუფუნებისაკენ და დანარჩენი „ხურდა“ ხალხის შიმშილით სიკვდილისაკენ წინსვლა ისედაც თვალსაჩინოზე თვალსაჩინო.

უიმედობა და აღმტოთება გიპყრობს, როცა სოციალურ სფეროზე დახარჯული სულ უფრო მზარდი, შთამბეჭდავი ციფრები სახელდება, შენი მდგომარეობა კი დღითი-დღე უარესდება. რით უნდა აიხსნას, მაგალითად, რომ გაგანია ომის დროს დენი, გაზი და ტელევიზია რეგიონებსაც სწვდებოდა, დღეს კი დენი და გაზი დედაქალაქსაც უჭირს? თვეობით გვიანდება ისედაც მიზერული პენსია-ხელფასები, პოლისი არ დამანახოთო – საჯაროდ აცხადებს მკურნალი აკადემიკოსი; ვაუჩერი კი აღმოჩნდა აფიორა, რომლის გათამაშებითაც „თანაბრად განაწილებული“ სახელმწიფო ქონება ძირითადად თაღლითების ხელში აღმოჩნდა. ჩვენს ე.ნ. წინსვლაზე ლტოლვილებად ქცეული დევნილების სულ უფრო გადუხტირებადი ყოფაც ნათლად მეტყველებს. ძნელი მისახვედრი არაა, რომ უარეს დღეში არიან თვითონ თბილისელები, რომლებიც კომუნალურსაც იხდიან და ყოველნაირი ტრანსპორტით მგზავრობის საფასურსაც.

ვერა და ვერ აღორძინდა მრეწველობა და ვერ შესრულდა მილიონი სამუშაო ადგილის დაპირება. ამის თაობაზე პრეზიდენტის მიერ ახლახან გაკეთებული განცხადება უფრო სოფისტიკის

სფეროს განეკუთვნება, რადგან გლეხს არასოდეს დაუჩივლია, შრომა მაკლიაო. ის კი არა, ყანა-ვენასიდან დაბრუნებული იგი სულ იმის ნატერაშია – „ნეტა ფეხი დაბანილი მქონდეს და ცოლი დაურვებული მყავდესო“.

ამაო პრეზიდენტის შეგონება – კაცი რომ ხეს დარგავს, ის ხეს არ მოჭრისო. უფრო მოჭრის, რადგან ყოველდღიური ლობიოს მოსახარში სხვა საშუალება არ გააჩნია, ახლა კი თავის გასამართლებელი აქვს – კიდევ დავრგავ, გაიზრდება და ხეიქნება.

მოკლედ, სოფელი, ფაქტობრივად, თვითდინებაზეა მიშვებული – არა აქვთ დენი, საწვავ-სათბობი, სასუქები, შეამ-ქიმიკატები, ტექნიკა, ტრანსპორტი, გასაძების ბაზარი. დანიშნული გამგებელი „მუხრან-ბატონები“ მხოლოდ იმას ახერხებენ, ხალხი ხელჩაქნეულ, კრინტ-დაუძვრელ მასად, და მართლაც, მონებად აქციონ!

რამდენად გამართლებულია ამ სიტუაციაში დეპუტატთა სატრანსპორტო მომსახურეობაზე 25 მილიონის ხარჯვა, მეტროში ძვირადლირებული გამშვები დანადგარების წამდაუწუმ ცვლა და მსგავსი „ხელგაშლილობანი“?

ვისი იმედი უნდა ჰქონდეს რიგით მოქალაქეს იმ ქვეყანაში, სადაც თვით ადვოკატთა თავკაცას იჭერენ, სადაც წერილობით ვერ დაგვიდგენია პატიმართა ბრალეულობა და სადაც პარლამენტარი ბათიაშვილი საქვეყნოდ ადანამაულებს ნიკო ლეკიშვილ-სა და ნუგზარ შევარდნაძეს მაფიოზობაში და თითქოს არაფერი, დღემდე არავის არც ერთი მხარისათვის პასუხი არ მოუთხოვია?!

ვერც ის ჯარია ჯერჯერობით საიმედო, სადაც 6000 დეზრეტირია და სადაც ჯარისკაცები ან თავს იხრჩობენ, ანდა იმუქრებიან – თუ რამე ატყდა, პირველ რიგში, ჩვენ ოფიცირებს გავუსწორდებითო. ან ის რა საზღვარია, რომელსაც ერთი მუქა აფხაზი გადმოდის და ნახირს მწყემსებიანად გტაცებს, მანქანა-ავტობუსებს მძლოლ-მგზავრებიანად და გემებს ეკიპაჟები-ანად? აფხაზეთიდან თბილისში თავისუფლად ჩამოდიან, მაგრამ, აბა შენ სცადე და სოხუმში ჩადია!?

ერთადერთი და, მართლაც, თვალსაჩინო წინსვლა საერთაშორისო სარბიელზე გვაქვს.

ტრაგედია ერის დაქუცმაცება, გათითოკაცებული ქვეყანა განწირულია, ერთობასა და პატრიოტიზმს კი ერთბედექვეშობა და ერთნაირშესაძლებლობა იძლევა. დემოკრატიულ ქვეყანაში დემოსი უფლებამოსილია თვითონაც მოსთხოვოს თავის მთავრობას არათუ მარტო შემოსავალ-გასავალის სრული დეკლარაცია, არამედ ხელმძღვანელთა ოჯახების წევრთა ერთგვარი დოსიეც, რათა გაძნელდეს მაინც მმართველ ეშელონებში კასტების გადანასკვ-გადმონასკვა და იმის წინასწარდაკანონება, თუ ვინ უნდა იყოს ელჩი, თუნდაც მილიონობით ლარისა და აუწყავი მორალური ზარალის ფასად და ვინ – ამ ქვეყნის ლენჩი. არავის ეეჭვება, რომ გენი და გარემო თავისას შვრება, მაგრამ თუ ინგლისის სამეფო ოჯახმა ერთ-ერთი თავისი პირმშო სასურველ სკოლაში ვერ მოაწყო, მისი არასაკმაო ნიჭიერების გამო, დავიჯეროთ, რომ ჩვენთან გამონაკლისები არ არსებობენ?! ვითომ, ჩვენი ელიტარული თაობა უფალმა მთლიანად ვუნდერკინდებით დააკომპლექტა?!

პიროვნების კარიერის ერთადერთი თუ არა, ერთ-ერთი მთავარი გარანტი მისი ნიჭი, ცოდნა-უნარი დ ზნეობა უნდა იყოს! არადა, თუ დღევანდელი საკუთარი კვერცხი ვარჩიეთ ხვალინ-დელ ყველას ქათამს, ხვალ აღარც ერთი გვექნება და აღარც მეორე, ამის მაგალითები ისტორიაში ბლომადაა!

გაზეთი „მეოთხე“,  
18-25 თებერვალი, 2000

## შაგრენის ტყავი) მორიგი შეკუმშვის წინაშეა!

და ვაი თუ მართლა რამე იცოდა ვანგამ!

CHG-მ რომ იმპერიის აღდგენის კონტურები ვერ წარმოაჩინა, რუსეთმა ახლა საპირისპირო ხერხს მიმართა და იგი დამსჯელი დეზინტეგრაციის გზას დაადგა. სავიზო რეჟიმმა ეს ქვეყანა უნდა განმინდოს ყოფილი „მოძმე რესპუბლიკებიდან“ იქ საშოვარზე შესული ხიზნებისაგან, რამაც კიდევ უფრო უნდა დაამძიმოს ამ უკანასკნელთა დუხჭირი ყოფა და კვლავ ძველ „ბაგებზე“ დააბრუნოს ისინი.

ამ მანევრით რუსეთი განსაცდელს უმზადებს ურჩ საქართველოს, გვიკეტავს სოლიდური ეკონომიკური ინექციის წყაროს და გვიორმაგებს უსახლკაროთა და დაუსაქმებელთა ისედაც ვეებერთელა არმიას. ეს არმია ქუჩაში უნდა გამოვიდეს და ქვეყნის მყიფე სტაბილურობას ძირი გამოუთხაროს, ხოლო მისი გარკვეული, უპერსპექტივობით იმედგადანურული ნაწილი, ვინ იცის, იქნებ არძინბას სამარცხვინო ქვეშევრდომობასაც დაყაბულდეს და თავის ჩამქრალ კერას დაუბრუნდეს, საიდანაც მას „გამარტივებული წესით“ რუსეთის მოქალაქეობის შანსი უჩნდება. ამ შემთხვევაში „მოსახლეობადაბრუნებული“ აფხაზეთი „უფლებამოსილია“, რუსეთთან ინტეგრირების საკითხზე რეფერენდუმი ჩატაროს და სასურველი შედეგებიც გარანტირებულია. ასეთად ივარაუდება მოვლენათა განვითარების მოსკოვური სცენარი, რაც, სხვათა შორის, შვებით ამოასუნთქებს გაეროსაც, და იგი ამ საკითხზე ხელს დაიბანს.

თუმცა, შეიძლება ჩვენი მეზობელი არც დაკმაყოფილდეს ისეთი „მცირედით“, როგორიც აფხაზეთი და სამაჩაბლოა.

სწორედ ამიტომ, ამას წინათ, როგორც ჩვენი „საიმედოდ“ დაცული საზღვრიდან გვაცნობეს, მან 50 თუ 160 შეიარაღებული ჩეჩენი შემოგვიგზავნა, ალბათ აქაურ თანამოძმეებში „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის“ შესაკონიწებლად და თავის ისტორიულ სამშობლოში დასაბრუნებლად,

რათქმაუნდა, ჩვენი ტერიტორიითურთ.

ასეთი „გასამზითვებლები“ ჩვენ სხვაგანაც მოგვეპოვება და ცხადია, დიდი „დემოკრატიული“ „დერქავა“ ძალ-ლონეს არ დაიშურებს პატარა „ტოტალიტარული“ სეხნის მიერ „დაბურული რუკის მოსაწესრიგებლად“.

შემდეგ? შემდეგ კი კიდურებმოქმული, სიცივით გათოშილი, შიმშილით დაოსებული და სკამის მტაცებელი „პატრიოტებით“ სავსე ქვეყნის უძღებ ხახაში გადაძახებას რაღა უნდა?! ისე, რაც გვჭირს, ჩვენი ხელშეწყობის გარეშეც არ მომხდარა...

ჩვენი ყველაზე დიდი გულარხეინობა ამდენი წყლის რესურსების მქონე ქვეყნის რუსეთის ენერგეტიკაზე „მიბმა“ იყო. ხომ ცნობილია: არ არის ენერგეტიკა, არ არის წარმოება და დასაქმებულობა და, აქედან გამომდინარე, ქვეყნის წელგამართულობა.

მეზობელი რომ ხშირად შორეულ ღვიძლ ნათესავს სჯობს, ეს ქართველს არ ესწავლება, მაგრამ, როცა მეზობელი სულ ორმოს გითხრის და ხაფანგებს გიგებს, ამის ატანას აზრი აღარ აქვს. როგორ შეიძლებოდა დათანხმება რუსეთისათვის სამშვიდობო მისის დაკისრებაზე – იმის შემდეგ, რაც მან ჩვენ აფხაზეთში დაგვმართა! ანდა, თუ სამშვიდობო ძალების დანიშნულება აფხაზებსა და ქართველებს შორის მოს განუახლებლობა იყო, რა უნდოდათ ენგურთან? ისინი ღალიძეგასთან უნდა განლაგებულიყვნენ, გალის მოსახლეობა მთლიანად ქართულია, ბუნებრივია, ენგურს გაღმა-გამოღმა ქართველობა ერთმანეთს არ დავერეოდით და არ დაიღუპებოდა ათასობით მშვიდობიანი გალელი, არ დაიწვებოდა ამდენი სახლი და არ გვეყოლებოდა ამდენი დევნილი.

საუბედუროდ, ჩვენ ისევ ქვიშაში თავჩარგული „ვჭვრეტ“ მოვლენებს: ფესტივალს ფესტივალზე ვაცხობთ, ვტკბებით უცხოელი გასტროლიორების კონცერტებით, ვნებივრობთ რესტორნებსა და სამორინებში, ვაშენებთ სასახლეებს და დავგრიალებთ იმპორტული ავტომანქანებით; მოკლედ, ლაფში ჩაფლული ურემი შინ მიტანილი გვგონია და უდრტვინველად ვთამაშობთ წარმატებულ სახელმწიფოს. არადა, თეთრს

თეთრზე უნდა ვაწებებდეთ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის შესაქმნელად და განსამტკიცებლად, ჩვენს მდგომარეობაში მყოფი ქვეყნის ყველა მოქალაქე – ქალი და კაცი უნდა გადიოდეს სამხედრო ფიზიკურ წვრთნას და ეს შეიძლება ყაზარმის გარეთაც გაკეთდეს – საცხოვრებელ და სამუშაო ადგილებსა და სასწავლებლებში.

გაზეთი „დრონი“, 28 დეკემბერი, 2000  
გაზეთი „ასავალ-დასავალი“,  
№4 (337), 22-28 იანვარი, 2001

## გაღმა შედავების პრიცეპით, - ჩემი შენ გითხარიო...

საინტერესოა, რა უფლებით გვსაყვედურობს ზოგიერთი სომები ლიდერი თურქეთთან ალიანსს, როცა სომხეთის რუსეთთან ალიანსის თაობაზე ჩვენ ერთი აუგი სიტყვაც არ დაგვცდენია. მითუმეტეს, რომ თურქეთში სომხეთა ტრაგედია მოხდა, და სხვათამორის, იქიდან გადმოხვენილ სომხეთა უმეტესობა სწორედ საქართველომ შეიკედლა, მაშინ როდესაც რუს-აფხაზთა მიერ ქართველთა გენოციდი აგერ გუშინ განხორციელდა და რა პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, სწორედ იმ ლტოლვილ სომხეთა შთამომავლობის ერთმა ნაწილმა გვესროლა მადლობის ნიშნად.

ჩვენ არ გვჩვევია განეული სიკეთის ვინმესთვის დამადლება, მაგრამ იძულებული ვართ ამ ბატონებს ისიც მოვაგონოთ, რომ სპიტაკის მიწისძვრისგან დაზარალებულთა და აზერბაიჯანიდან გამოქცეულთა უმრავლესობა ისევ საქართველომ შეიხიზნა, მაშინ როდესაც არცერთი ჩვენი მიწისძვრისაგან და სტიქიური უბედურებისაგან დაზარალებული და არცერთი აფხაზეთიდან ლტოლვილი სომხეთს არ შეუფარებია.

მთელმა მსოფლიომ იცის, რომ რუსეთი მტრულადა განწყო-

ბილი საქართველოსადმი, მაგრამ თუ სომხეთს რუსეთთან ურთიერთობა აწყობს, ჩვენ ამას ვერ დავუშლით, მაგრამ არც ჩვენ უნდა დაგვიშალონ თურქეთთან ურთიერთობა, რომელიც ჩვენ ყოველნაირად გვეხმარება და თანაგვიგრძნობს.

არა, სომეხო ძმებო, არ ავყვეთ კავკასიის „მეგობრის“ მზაკვრულ ხრიკებს და ჩვენ არცერთ გარეშე ძალასთან ალიანსი არ დაგვჭირდება, ჩვენი რეგიონის ღირსეული აყვავებისათვის.

გაზეთი „მეოთხე“, 15-22 ივნისი, 2001

## ფიცი რომ გვამდეს, გოლო არ უნდა გვაკვირვებდეს!

ქართველს ჰეგელზე ადრე უთქვამს – რაც ერი, ის ბერიო, მაგრამ როცა ისინი ერთმანეთს წინ ვეღარ ეწევიან, ან უნდა გაიყარონ, ანდა ერთად დაიღუპონ.

ჩვენ არც ერთი გვაწყობს და არც მეორე, მაგრამ როდემდე უნდა ვიმეორებდეთ, რომ რომი ერთ დღეში არ აშენებულა და როდემდე უნდა ვიწყებდეთ „გამოსწორებას“ ყოველი „ორშაბათიდან“ მცონარა მოსწავლესავით?

კი ბატონო, ფიციცა გვნამს და ყოველგვარი გარანტიების გარეშე წარმოთქმული ლიტონი სიტყვაც, მაგრამ რა ვუყოთ ამ ბოლოს?

არადა, მოისმენ და წაიკითხავ, სამთავრობო თუ არასამთავრობო ხალხის მსახურთა უმრავლესობის გამოსვლებს და პირდაპირ გული აგიზუდება, რა თავგანნირულ ოფლის ღვრაში არიან ისინი ჩვენი ქვეყნის გადასარჩენად, ფაქტები კი სწორედ საპირისპიროს მეტყველებენ – ხალხისათვის ამ თავგადაკლულთა ბროლის კოშკები და პრესტიული ავტომანქანების გრიალი ცასა სწვდება, ხალხის ისედაც გაუსაძლისი ყოფა კი დღითიდლე უარესდება.

მოკლედ, ეს უკვე ლიმიტია! მეტის ატანა და მოთმენა აღარ შეიძლება!

თუ მთავრობას ნამდვილად სურს ხალხის მთავრობა იყოს და არა მისი მძარცველი და თვალში ნაცრის შემყრელი, იგი ერთ-ბედქეშ უნდა დადგეს ხალხთან და მაქსიმალურად გამჭვირვალე გახადოს ქვეყანაში მიმდინარე პროცესები.

ამისათვის კი საჭიროა დაარსდეს სპეციალური ყოველკვირული გაზეთ-ბიულეტენი შემდეგი რუპროკებით:

**1. ქონებრივი დეკლარაციები,** სადაც უკლებლივ ყველა ხელმძღვანელი – პრეზიდენტიდან დაწყებული და გამგებლებით დამთავრებული, აგრეთვე ყოველი არასამთავრობო ორგანიზაციის თავეცი და ყოველი პარტიის ლიდერი – ვალდებული იქნება გამოაქვეყნოს თავისი ოჯახისა და ახლო ნათესავების ქონების ნუსხა და მისი შეძენის წყაროები.

არავითარი დაინტერესებულ პირთა სადღაც სირბილი, ამ დეკლარაციების გასაცნობად! დაინტერესებული მთელი საქართველო ვართ დავინახოთ თუ ვინ გადაგვაქცია საკვების მაძიებელ ცხოველებად, რათა დროზე ჩამოვიგლიჯოთ უძლები წურბელები გაძვალტყავებული სხეულიდან, დარჩენილი სისხლი რომ შევინარჩუნოთ და იქნებ ეს წურბელებიც გადავარჩინოთ, მათი ნაცარტუტაში გაგორებით და არამის სისხლის წამონთხევინებით.

**2. ინვესტიციები, კრედიტები, დახმარებები.** აქ უნდა დასახელდეს ყოველგვარ ინერციათა ადრესაატები, ოდენობა, შედეგებზე პასუხისმგებელი პირები, რათა ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს თავიდან ავაცილოთ სხვის ფუფუნებაზე დახარჯული ვალების გადახდა.

**3. პრივატიზაცია.** თუ ქვეყნის ქონება მართლა ხალხის საკუთრებაა, კიდეც უნდა ვუთანხმებდეთ ამხალხს, ანდაუკიდურეს შემთხვევაში, ვაცნობებდეთ მაინც თუ სად, რა და როგორ იყიდება. ხალხი უფლებამოსილია ისიც იცოდეს, თუ როგორ აღმოჩნდა ე.წ. ვაუჩერიზაციით „თანაბრად“ დანაწილებული ქონება ძირითადად ჰალსტუხიანი ყაჩაღების ხელში.

**4. ვაკანსიები, კონკურსები!** სამართლიანობის, აქედან გამომდინარე პატრიოტიზმის და თუნდაც ქვეყნის განვითარების საშიში მტერია „ჩანცყობა“. ულირსთა აღზევება რყვნის და ხლეჩს საზოგადოებას, თრგუნავს ნიჭა და პროგრესს. ბევრი ახალგაზრდა მიდის დღეს საზღვარგარეთ სასწავლებლად, რაც მისასალმებელია, მაგრამ ყოვლად შეუწყნარებელია, რომ ეს ხდება ჩანცყობით, ვითომ კონკურსით, არაიშვიათად ისე მაღულად რომელიმე სასწავლებლიდან და დაწესებულებიდან, რომ ამ ინსტიტუტის თანამშრომლებმა ამის შესახებ არაფერი იციან. უბედურება ისაა, რომ როგორც დიდმა მგოსანმა ბრძანა, მარტო წვრთნა საქმეს ვერ შველის, ამ „ოკეანედალეულებს“ კი გზა ხსნილი აქვთ საკომანდო სიმაღლეებისაკენ, სადაც ისინი ბუნებრივია, თავისზე უკეთესებს არ გააჭაჭანებენ. გავიხსენოთ გიორგი მეფის სიკვდილისწინა აღსარება.

ასე რომ, საგალდებულო უნდა იყოს ამ გაზეთში ასეთი კონკურსების და მათი შედეგების გამოცხადება.

აქვე უნდა ქვეყნდებოდეს ადგილობრივი სამუშაო ვაკანსიები და დასაქმების კომიტეტის მიერ საელჩოების დახმარებით საზღვარგარეთ კერძო სექტორში მოძიებულ ვაკანსიათა დასახელებები, რაოდენობა და პირობები, რომელთაც ეს კომიტეტი შესთავაზებს რიგების მიხედვით თავის სიებში დაფიქსირებულ უმუშევრებს.

**5. არჩევანი.** ქვეყანაში, სადაც დევნილი ამბობს – არ გვინდა ახლა რომ დაგვაბრუნონ, შევარდნაძეს მიენერებაო – პრეზიდენტობა ცხვირით უნაყოფო მინის ხვნასა ჰგავს, მაგრამ პრეზიდენტობა მაინც ყველას უნდა, რისი უტყუარი დასტურიც ჩვენი პარტიების ზებუნებრივი სიმრავლეა.

ხალხს და საქმეს, რათქმაუნდა, არავითარი პარტია არ სჭირდება. საქმეს მხოლოდ გამკეთებელი უნდა, პატიოსანი, გამჭრიახი და გამრჯე პროფესიონალი, რომელთა ნაკლებობას საქართველო ნამდვილად არ განიცდის, მაგრამ რომლებიც სკამებზე კონკურსის გამო სწორედ ამ სხვადასხვა პარტიებად გვევლინებიან; ხოლო თუ ამ სხვადასხვაობას შინაარსობრივი

საფუძველიც აქვს, საჭიროა თითოეულმა პარტიამ ამ გაზე-თით ხალხს განდოს ქვეყნის სსნისა და აღმშენებლობის თავი-სი სტრატეგია – არა ზოგადი, პარტიი გამოკიდებული დაპირე-ბები, არამედ დასაბუთებული, კონკრეტულ ვადებში განერილი ეკონომიკის დარგებზე – თავდაცვის, ჯანდაცვის, განათლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო სექტორებზე ორიენტირე-ბული სამუშაო გეგმა, რათა ხალხმა თვითონ განსაჯოს რომელი პროგრამაა მისთვის მისაღები და მაშასადამე, ვისზე უნდა შეაჩე-როს თავისი არჩევანი.

**6. კიდით-კიდემდე.** ამ რუბრიკამ ჩვენი ხალხი გლობალუ-რი პროცესების კურსში უნდა ამყოფოს. აქ უნდა იძექდებოდეს მსოფლიოს მოწინავე ქვეყანათა ერთგვარი დოსიე. დროა, არა მარტო „ქურუმებმა“, არამედ უბრალო ხალხმაც იცოდეს ამა თუ იმ ქვეყნის ადმინისტრაციული წყობის, ეკონომიკის, თავდაცვის, ჯანდაცვის, განათლების სისტემისა და დემოკრატიული მდგო-მარეობის შესახებ. კერძოდ, სათანადო პერიოდულობით უნდა ქვეყნდებოდეს ცნობები ამ ქვეყნების ხალხთა დასაქმებულობა-ზე, ხელფასების ამპლიტუდაზე, გადასახადებზე და უპირესეს ყოვლისა, სამომხმარებლო კალათაზე – ძირითადი საკვები პრო-დუქტების ფასების მითითებით.

ასეთი ინფორმაციები ჩვენ უახლოესი მეზობლების – რუსე-თის, უკრაინის, აზერბაიჯანის, სომხეთის და თურქეთის შესახე-ბაც არ გავაჩინია და შეიძლება სწორედ მათგან დავიწყოთ.

**7. მთავრობის ანგარიში.** მთავრობამ, მისმა ყველა რგოლმა მაქსიმალურად გამჭვირვალე უნდა გახადოს თავისი მუშაობა და სათანადო რეგულარობით გამოაქვეყნოს ხოლმე ცნობები დასახ-ული გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ, რათა დროზე გატარდეს ადეკვატური ზომები. შემოდგომაზე წინიღება რომ არ გავანბილონ, ზაფხულში უნდა შეირჩეს კრუხიც და კვერცხ-იც. დროა შევიგნოთ, რომ შესაკრებთა გადასკუპება-გადმოსკუ-პებით დიდი ხანია მცირდება ჯამი.

ამიტომ, თუ გვინდა, რომ ეს ჩვენი კორუფციასთან მებრძოლი ბრიგადა ბრეჭევისეულ „სახალხო კონტროლად“ არ იქცეს, იგი

უნდა დაკომპლექტებულიყო დარგობრივი პრინციპით და არა ზემოდან, არამედ ხალხიდან, ოპოზიციიდან.

**8. ჩვენ გვწერენ – ჩვენ ვპასუხობთ.** დიალ, ეს გაზეთი უნდა გახდეს არა კიდევ ერთი მრავალთაგანი, არამედ ერთადერთი, რომელმაც მთავრობასა და ხალხს შორის ჩატეხილი ხიდი უნდა ალადგინოს და მათ შორის უშუალო დიალოგი ანარმონს, და მა-შასადამე, იგი მთელ საქართველოში უნდა გავრცელდეს და მას ყველა იყიდის.

**P.S.** ისე კი, ყველა ეს ჩვენი ფუსფუსი და სკამებისათვის გამარ-თული ძიძგილაობა სასაცილოდ ჩანს იმის ფონზე, თუ რა მეთო-დურად გვაგლეჯს „უფროსი ძმა“ აფხაზეთსა და სამაჩაბლოს და რა ახალ სიურპრიზებს გვთავაზობს იგი კეთილი მეზობლების პირით.

გაზეთი „ივერია ექსპრესი“,  
№14 (608), 29 ივნისი – 5 ივლისი, 2001

## პატონო მიხეილ!

თუ ამ თქვენს ნამდვილად გმირულ წამოწყებას მთელი მოსახ-ლეობა არ აჰყვა, თქვენი უსაფრთხოებაც საეჭვოა და, ქვეყანა ხომ დაღუპულია და დაღუპული.

ამიტომ 1. საჭიროა ხალხს ეცნობებოდეს ამ გაუმაძლარი „დი-ნოზაერების“ ქონებრივი დეკლარაციები; არა კანტი-კუნტად – უამრავ სხვადასხვა გაზეთში, რომლებსაც ხალხი ვერ ყიდუ-ლობს – არამედ რეგულარულად, ერთადერთ, მთელ ქვეყანაში გავრცელებად სახალხო გაზეთში, რომლიც მკითხველიც და კო-რესპონდენტიც ძირითადად „უბრალო“ ხალხი იქნება, და რო-მელშიც უკლებლივ ყველა რანგის თავკაცი ვალდებული იქნება გამოაქვეყნოს თავისი ოჯახის სრული „დოსიე“; ხოლო თუ მას რაიმე „გამორჩა“, ხალხი ამავე გაზეთში შეახსენებს; და 2. უნდა შეიქმნას დაუსჯელთა დასჯის პრეცედენტები.

P.S. აქვე გთავაზობთ ასეთი გაზეთის აღწერილობას, რომელ-იც სხვათა შორის, ერთი თვის ნინ გაზეთ „ივერია-ექსპრესში“-ც დაგტეჭდე და სახელმწიფო მინისტრსა და პრეზიდენტსაც გავუგ-ზავნე, მაგრამ სამწუხაროდ – „არსაიდან ხმა, არსით ძახილი“!

თუ პასუხისათვის მოიცლით, ჩემი კოორდინატებია...

2001 წელი

## რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ლაკმუსი აფხაზეთია

11 სექტემბრის ტრაგედიამ ბევრ რამეზე აგვიხილა თვალი.

თქმა არ უნდა, ტერორიზმი უნდა დაისაჯოს, და დაისაჯოს საკადრისად. მაგრამ ბოროტებას მარტო ბრძოლის ველზე კი არ უნდა ვებრძოლოთ, არამედ აგრეთვე, და განსაკუთრებით – თავებში. ამისათვის კი საჭიროა კაცობრიობამ ამოავსოს ის სო-ციალური უფსკრული, რომელიც როგორც ქვეყნებს შიგნით, ისე მათ შორის არსებობს, და ახალი თაობები აღზარდოს ერთიანი მორალური სტანდარტებით და ეროვნულ-გლობალური პატრი-ოტიზმის სულისკვეთებით.

მალე ცხრა წელი შესრულდება, რაც აფხაზეთი მოგლიჯეს საქართველოს; ცხრა გრძელი წელინადია 300 000 დევნილს ცინი-კური რეზოლუციებით კვებავენ, მაშინ როდესაც აფხაზი სეპა-რატისტები და მათი რუსი ინსპირატორები და მხარდამჭერები გამომწვევად ზეიმობენ ქართველთა ძარცვა-გადაწვებს, გენოც-იდა და ეთნიკურ წმენდას, რისთვისაც მათ ჯერ კიდევ პასუხი არ უგიათ.

მოკლედ, თუ რუსეთი და გაერო მართლა სცნობენ საქართვე-ლოს მთლიანობას და ასე სწადიათ აღადგინონ სამართლიანო-ბა, დიდი ხანია დროა მათ შეადგინონ და შეასრულონ რუსეთის ცისფერ თუ წითელჩაფხუტიანთა ეტაპობრივი გადაადგილების მოკლევადიანი გრაფიკი – ჯერ, და დაუყოვნებლივ – ენგურიდან

ლალიძეგამდე, შემდეგ დალიძგიდან კოდორამდე, იქიდან კელას-ურამდე, შემდეგ გუმისთამდე, და ა.შ. სანამ ეს საოკუპაციო ჯარი სულ არ გავა აფხაზეთიდან.

ამასთან, და რაც მთავარია, ამ „სამშვიდობოების“ თუ სახიფ-ათოების ყოველ გადაადგილებას თან უნდა სდევდეს დევნილთა უბირობ დაბრუნება თავიანთ სახლებში, სადაც ისინი, დამხ-ვდურ მოსახლეობასთან ერთად, თვითონ აირჩევენ თავიანთ დროებით მმართველობას და თვითონვე გადაწყვეტენ – რა სა-გნები და რა ენაზე ასწავლონ თავიანთ შვილებს.

ხოლო თუ რუსეთი, და მაშასადამე, გაერო და სოხუმი ამ წინა-დადებასაც უარყოფენ, მაშინ ჩვენ საბოლოოდ უნდა დავრწმუნ-დეთ, რომ რუსეთის პოზიცია უცვლელია და იგი განუხრელად ცდილობს თავისი ნამოქმედარის დაკანონებას, რა შემთხვევა-შიც ჩვენ გვრჩება ყველაზე არასასიამოვნო მაგრამ ერთადერთი არჩევანი, რომელსაც დიდი ხანია გვთავაზობს ბატონი თამაზ ნადარეიშვილი, და რომელსაც უნდა დაემატოს ბატონ თემურ შაშიაშვილის ინიციატივა და ჩვენი აქტიური მუშაობა როგორც ქართულ, ისე აფხაზურ დიასპორებთან საზღვარგარეთ – უპირ-ველეს ყოვლისა კი, ჩვენი ერთსულოვნება, ერთსულოვნება და ერთსულოვნება!

გაზეთი „იბერია თაიმსი“, №3, 2002  
სათაურით „კმარა მონური დათმობები!“,  
„დილის გაზეთი“, 6 თებერვალი, 2002

## ЛАКМУС РУССКО-ГРУЗИНСКИХ ОТНОШЕНИЙ – АБХАЗИЯ

Скоро девять лет как Абхазия оторвана от Грузии, девять долгих лет 300 тысяч обездоленных кормят циничными заявлениями.

Впрочем, если Россия и ООН действительно признают целостность Грузии, и в самом деле заинтересованы в восстановлении

справедливости, то давно пора составить и выполнять ускоренный график поэтапного перевода Русских «миротворцев» пока и сейчас-же с Ингури к Гумисты, потом от Галидзги до Кодори, оттуда до Келасури, потом до Гумисты и так далее пока эти оккупационные войска совсем не покинут Абхазию.

Причём, и что самое главное, каждый перевод этих войск должен сопровождаться безусловным возвращением беженцев в свои дома, где они, вместе с законно проживающим там населением, сами выберут своё временное правление и сами решат - каким предметам, и на каком языке обучать своих детей.

А если и это мирное предложение будет отклонено и если вообще ООН не изменит своё невозмутимое отношение к конфликтам и голоду на земле, то можно заключить, что это мировое сообщество вовсе не против освободиться от «лишних» малых народов, и тогда справедливее переименовать ООН в ОСМС, то есть в Организацию Сильных Мира Сего.

## ABKHAZIA – LITMUS OF RUSSIAN-GEORGIAN RELATIONS

The September 11 tragedy has opened our eyes at a lot of things.

It goes without saying terrorism must be punished and punished severely, but evil should be fought not only in battlefields, but also and especially - in heads, for which mankind ought to fill up the social chasm existing both within and between countries and to bring up new generation according to the same moral standards and in the spirit of national and global patriotism combined.

It will soon be nine years as Abkhazia has been cut off Georgia, nine long years the 300 000 displaced persons and refugees have been fed up with cynical resolutions, while the Abkhazian separatists and their Russian inspirators and supporters have been defiantly celebrating the

robbery, arson, genocide and ethnic cleansing of the Georgian population, they have so far got away with.

In short, if Russia and UNO really recognize the unity/integrity of Georgia and are so anxious to restore justice, it is high time they made up and performed a short-term schedule of the Russian “blue- or rather redhelments” gradual removal, first and immediately from the Enguri up to the Ghalidzga, then from the Ghalidzga to the Kodori, from there to the Kelasuri, then to the Gumista and so on until this occupant army leaves Abkhazia altogether.

At the same time, every removal of the “peace- or conflict keepers” must be followed by unconditional return of the refugees to their homes, where they – together with the other people living there will elect their provisional government and they themselves will decide what subjects and in what language to teach their children.

But if Russia and hence UNO and Sokhumi reject this peaceful and just proposal, then we must conclude once and forever that Russia is Russia and it is doing its best not only to preserve, but to legitimize the situation it has created itself in Abkhazia, in which case there won’t be any other way out but resuming bloodshed between the Georgian and Abkhaz nations - leading to their destruction, especially of the latter.

## არც ერთი ნაბიჯი ნინ, რამდენიმე პი – კვლავ უკან

აბუჩადაგდებული ჩვენი პრეზიდენტი (შევარდნაძე) იხტიბარს არ იტეხს, და როგორც ყოველთვის, სოჭის დეკლარაციასაც იმედისმომცემად აცხადებს. გრძელდება „ჩრდილოეთის მზისათვის“ გუნდრუკის კმევის ამაო პოლიტიკა, არადა საქართველოსადმი რუსეთის უცვლელი მტრული განწყობა ამ შეხვედრის თხილამურებ-გაგულიათი შეზავებული პრელუდიიდანაც კარგად გამოჩნდა. (თვითგამოცხადებული აფხაზეთის პრემიერ

მინისტრი გენადი) გაგულიას ამ სიმაღლეზე გამოჩენა სულაც არ იყო სიურპრიზის უმნიშვნელო დეტალი. რუსეთი დიდი ხანია ცდილობს საერთაშორისო მოლაპარაკებებში სეპარატისტთა თანასწორუფლებიან მხარედ წარმოჩენას, რადგანაც აფხაზეთის „კანონიერი“, ე.ი. მისივე თხოვნით მიერთება მას მხოლოდ მაშინ შეუძლია, თუ ეს უკანასკნელი დამოუკიდებლობას მოიპოვებს.

დროა გავაცნობიეროთ, რომ ეს ომი არ ყოფილა ანცი ბიჭების შემთხვევითი წაკინჯლავება, რომელიც ერთმანეთის გადაკოცნით თავდება ხოლმე. ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში წერდა რუსეთის მეფისნაცვალი მიხეილი თავის მეფეს აფხაზეთის ტერიტორიის კაზაკებით დასახლების აუცილებლობის შესახებ.

საბედნიეროდ, მაშინ ამ უტიფარი ბარბაროსობის განხორციელება ვერ მოხერხდა, თვით კაზაკთა მიზეზით, რომლებიც აქაურ ჰავას ვერ შეეგუენ. შემდგომში კი, თავისუფალი ადგილებითანდათანობით შეიგვისოსტიქიური უბედურების ადგილებიდან აყრილი და სხვა მეზობელი რაიონებიდან მოსული ქართული მოსახლეობით, რომელმაც, სხვათა შორის, ადგილობრივ ძირძველ ქართველებთან, აფხაზებთან და სხვა ხალხებთან ერთად დააშრო ჭაობები, გაანაშენიანა ქალაქები, ააშენა კურორტები, გააშენა ზვრები და პლანტაციები და სრულად აამოქმედა აფხაზეთის ეკონომიკურ-ინტელექტუალური პოტენციალი. სწორედ თავისი ბნელი ზრახვების „ხელისშემშლელი“ ამ ქართველობისაგან განმინდა რუსეთმა აფხაზეთი ე.ნ. აფხაზურ-ქართული კონფლიქტის შედეგად; მარტო 7000-მდე მშვიდობიანი ქართველი ანამეს და დახვრიტეს, ასობით კი გაძარცვეს, გადაწვეს და დევნილებად აქციეს.

რაღა არ ვცადეთ ჩვენი მეზობლის გულის მოსაგებად ამ ძნელი 10 წლის განმავლობაში. ჯერ იყო და, არათუ არ გავამხილეთ რომ აფხაზეთის ტრაგედიის ავტორი სწორედ რუსეთი იყო, არამედ მასვე მივანდეთ თავისი ნამოქმედარის გამოსწორება. შემდეგ დავთმეთ ჩვენი წილი საზღვაო ფლოტი და შეიარაღება, უარი ვთქვით ჩვენს წილზე იმ ვალებიდან, რომელიც უცხოეთმა უნდა გადაუხადოს საბჭოთა კავშირის მემკვიდრე რუსეთს, უყ

ოყმანოდ დავამტკიცეთ პარლამენტში რუსეთ-საქართველოს ჩარჩო-ხელშეკრულება, რომელიც რუსეთის დუმას არც განუხილავს და 25 წლით გაუგრძელა აქ ყოფნის ვადა რუსეთის სამხედრო ბაზებს ჩვენმა პრეზიდენტმა, მაგრამ უძლები იმპერია აფხაზეთს არ ეშვება.

რუსეთის პროგრამა მაქსიმუმია – აფხაზეთის მეშვეობით საქართველოს კვლავ თავის წიაღში შეთრევა და ამით სამხრეთ კავკასიის თავის პლაცდარმად და ბუფერულ ზონად შენარჩუნება, პროგრამა მინიმუმი კი – აფხაზეთის მიტაცება ისევ და ისევ პროგრამა მაქსიმუმის შემდგომში განსახორციელებლად. ამისათვის კი იგი არავითარ შემთხვევაში აღარ დაუშვებს ქართველების მოსულას აფხაზეთის ხელისუფლებაში. აფხაზეთში დაბრუნდება ქართველების ის უმნიშვნელო ნაწილი, რომელიც თანახმა იქნება მეორეხარისხოვან მოქალაქეობასა და სეპარატისტთა უყრმოჭრილ ქვეშევრდომობაზე; და მაშასადამე, აფხაზეთის რუსეთთან მიერთებაზე.

ასე რომ, დღევანდელი ჩვენი გასაჭირის მიზეზად მხოლოდ ჩვენი პრეზიდენტების შეცდომების დასახელება ან უმეცრებაა, ან მკრეხელობა; მითუმეტეს, რომ ეს ორი უკანასკნელი დაბადებულიც არ იყო, როცა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პრობლემა ზუსტად ასეთივე სიმწვავით იდგა ჩვენს წინაშე.

საერთოდ, უღრუბლო ცა იშვიათად თუ გვლირსებია, ძირითადად კი სულ ვაის გავეყარე და ვუის შევეყარეს რეჟიმში ვგანამარიობთ.

როგორც მოსალოდნელი იყო, 7 მარტის სოჭის სამიტზე პუტინმა არა თუ არ დააკმაყოფილა ჩვენი კანონიერი მოთხოვნები აფხაზეთისა და სამაჩაბლოს რუსიუკატორული პასპორტიზაციის აკრძალვისა, და დსტ-ს გადაწყვეტილებათა საწინააღმდეგოდ ამ რეგიონებსა და რუსეთს შორის შემოღებული უვიზო მიმოსვლის აღკვეთისა და სოჭსა და სოუმშს შორის ამოქმედებული სარკინიგზო მარშრუტის გაუქმების შესახებ, არამედ პირიქით; მან ამ მარშრუტის სომხეთამდე გაგრძელება მოითხოვა და ამ 3-4 აბი გლუკოზის გადაყლაპვის სანაცვლოდ დევნილთა

აფხაზეთში დაბრუნება შემოგვთავაზა, რაც მართლაც რომ განხორციელდეს, თქმა არ უნდა – იგი დაინტება და დამთავრდება გალით; თანაც იქ ყველა გალელი ვერც დაბრუნდება და არც დაბრუნდება. თუ არ შეიქმნა შერეული ქართულ-აფხაზურ-რუსული მმართველობა, რასაც ასე ენინააღმდეგება რუსეთი.

საქართველომ უკვე შექმნა სოჭის შეთანხმებათა სარეალიზაციო მუშა ჯგუფები და შეიძლება მეორე მხარემაც იგივე ქნას, მაგრამ ჩემი სუბიექტური აზრით, არავითარი შეთანხმება და ჩარჩო-ხელშეკრულება ჩვენს წილხვედრ ჩრდილოელ მეზობელთან არადა არ მიგვიყვანს ტაძრამდე.

ჩვენი ხსნა და სასურველი მომავალი ერთობა-გონიერებასა და ეკონომიკურ და სამხედრო ძლიერებაშია და ისიც მხოლოდ მაშინ, თუ ამერიკა და მსოფლიო საზოგადოებრიობა ნამდვილად მოიცლის ჩვენთვის.

მარტი, 2003

## მეოლოდ ლოგიკის სამრეკლოდან

ინგლისში ორთავიანი კაცი „ნაცხოვრება“ და ეს თავები თურმე ხშირად ჩხუბობდნენ ერთმანეთთან.

რაღა გასაკვირია, თუ ცალ-ცალკე მოსიარულე თავები განსხვავებულად აზროვნებენ და თუ ერთსა და იმავე თავშიც ხშირად იბადება საპირისპირო აზრები, რისი დასტურიც ადამიანის ორჭოფობა და ყოფილობა.

აზრთა ჭიდილი განვითარების საწინდარია, მაგრამ მასში არაკვალიფიციურმა, წინდაუხედავმა, და მითუმეტეს, ანგარებიანმა ჩარევამ შეიძლება სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანოს.

აზრთა სხვადასხვაობა უდევს საფუძვლად ტერიტორიულ დავებსაც, სადაც ყველას თავისი „სიმართლე და სამართალი“ აქვს. აფხაზი, მაგალითად, ამტკიცებს, რომ ეს ტერიტორია მარტო მისია, რადგანაც იგი აბორიგენია, ქართველი კი – მოსული.

ოსი აღიარებს, რომ იგი სამაჩაბლოში მოსულია, მაგრამ აფხაზებს – მიწა მისია, ვინც მასზე ცხოვრობსო. თვითონ რუსი კი, რომელიც აფხაზსაც ესარჩელება და ოსსაც, ჩერებს უცხადებს – ეს მიწა ჩემია, რადგანაც დაპყრობილი მყავხარო.

სავსებით ბუნებრივია, რომ ისტორიული კატაკლიზმებით დაწერილი დღევანდელი მსოფლიოს რუკა ბევრს აღიზიანებს და დღემდე ვერ მოუნელებია. მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ 6000-ზე მეტ ენაზე მოლაპარაკე კაცობრიობა სულ რაღაც 260-მდე სახელმწიფოდაა ნარმოდგენილი; ისეთ მრავალრიცხოვან ხალხს, როგორიც ქურთები არიან, საერთოდ არ გააჩნია თავისი სახელმწიფო; ორადაა გახლეჩილი ირლანდია, კორეა, კვიპროსი, აზერბაიჯანი და სომხეთი; ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილები აქვს დაკარგული საქართველოსაც.

სამწუხაროდ, დღეს არა თუ ისტორიის სიღრმეებში, არამედ აგერ ჩვენს „თვალწინ“ დატრიალებულ უკულმართობათა „გათეთრებაც“ არ ხერხდება. მსოფლიო „წესრიგის“ ფუნდამენტი ისევ ორმაგი სტანდარტებია; შენ რომ უსასრულო მოთმინებას გიორჩევ, თვითონ ისეთსავე სიტუაციებში უმაღლ იარაღს აუღარუნებენ. მოკლედ, ისევ ძალა ხნავს აღმართს. ერთადერთი იმედია, ამ ძალამ ინამუსოს და აწი მაინც აჭამოს პური სამართალს.

ყოველ შემთხვევაში ასეთი საერთაშორისო სამართალი დადგენილია და მის მიხედვით ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები ცნობილი არიან სუვერენულ სახელმწიფოებად თავიანთ საბჭოთასდროინდელ საზღვრებში. ასე რომ, აფხაზი და ოსი უნდა გათავისუფლდეს თავსმოხვეული, სამარცხვინო ეიფორიისაგან და იზრუნოს თუ როგორ აღადგინოს და განავითაროს თანამშრომლობა თავის ქართველ თანამემამულეებთან ერთიანი სამშობლოს ძლიერებისა და კეთილდღეობისათვის.

მაშასადამე, იმის დადგენას, თუ ვინ სად იყო პირველი და ვინ მეორე, დღეს არავითარი პოლიტიკური მნიშვნელობა არა აქვს, მისი მეცნიერული და თანაც ზოგადსაკაცობრიო ღირებულება კი უაღრესად დიდია და ეს კვლევა-ძიება კეთილსინდისიერად და მიუკერძოებლად უნდა გაგრძლედეს.

მე, როგორც არაისტორიკოსი, არაფერს არ ვამტკიცებ, მაგრამ მე უფლება მაქვს ვიცოდე სიმართლე, რის საშუალებასაც არ იძლევა ის ზოგიერთი შტამპადქცეული არგუმენტაცია, რომელთაც აფხაზეთის პრობლემის გარშემო კამათში ორივე მხარე იყენებს.

მეტი რომ არ ვთქვათ, განცვითრებას იწვევს, მაგალითად, აფხაზ ისტორიკოსთა მტკიცება – აფხაზეთი არასოდეს არ ყოფილა საქართველოს ნაწილი. ამ ლიტონისიტყვაობის გამოსააშკარავებლად, ჩემი აზრით ორი ფაქტიც კმარა, კერძოდ ის, რომ 1. აფხაზეთის დედაქალაქს დიდხანს ერქვა ქართული სახელი „ცეუმი“, საიდანაც შეიძლება მომდინარეობდეს მისი თანამედროვე სახელწოდება „სუხუმი – სოხუმი“, და 2. საქართველოს მეფეთა ტიტულატურაში პირველი კომპონენტი სწორედ „აფხაზთა“ იყო.

რაც შეეხება „აფხაზეთის სამეფოს“, რომლის მეფე აფხაზი იყო, საჭახტო ქალაქი კი – ქუთაისი, მისი ქართულობის დასტურად არასაკმარისად მიმაჩნია ის ფაქტები, რომ ამ სახელმწიფოს მოსახლეობის უმრავლესობა ქართველები იყვნენ და რომ (ამ სახელმწიფოს მოსახლეობის) მისი ოფიციალური ენაც ქართული იყო, რადგანაც აფხაზებს თავისი დამწერლობა არ გააჩნდათ. როგორც ერთი, ისე მეორე შემთხვევის პრეცედენტები ისტორიაში ბლომადაა.

ჯერ კიდევ უფრო აბსურდულად უდერს აფხაზ სეპარატისტთა განხცადება, ქართველები აფხაზეთში მხოლოდ მაჰაჯირობის შემდეგ ე.ი. XIX საუკუნის მეორე ნახევარში გამოჩნდნენ.

სინამდვილეში მაჰაჯირთა, ე.ი. აფხაზთა „დიდი მეგობრის“ – რუსეთის მიერ აფხაზეთიდან გაძევებულთა შორის ბევრი ქართული გვარი ერთა, რომლებიც უკვე გააფხაზებული იყვნენ და მაშასადამე, სულ ცოტა ერთი საუკუნე მაინც ცხოვრობდნენ აქ, აფხაზეთის ამ ტრაგედიის დატრიალებამდე. თანაც სად გაააფხაზეს აფხაზებმა ქართველები, თუ ქართველები აქ არ ცხოვრობდნენ? და პირიქითაც – ვინ გაააფხაზა ქართველები, თუ აფხაზები აქ არ ცხოვრობდნენ? და რაც მთავარია – ვის და როგორ აუშენეს ქართველებმა ამდენი მართლმადიდებლური ტაძარ-მონასტერი

აფხაზეთში, თუ აქ ქართველები არ ცხოვრობდნენ, და თუ აქ ქართული სახელმწიფო არ არსებობდა?

ამ ქართული ტაძარ-მონასტრების და კულტურის სხვა ძეგლების მეცნიერული აღწერილობის კატალოგები მთელი მსოფლიოს მუზეუმებსა და ბიბლიოთეკებშია დაცული და ამდენად აფხაზეთში ქართველთა კვალის ნაშლის ყოველგვარი მცდელობა არა მარტო ველური ბოროტება, არამედ უმეცრება და უგუნურებაცაა.

სიმწყობრითა და ლოგიკურობით არც ზოგიერთი ისტორიკოსის გამონათქვამი გამოირჩევა. კერძოდ, დაუმტკიცებელია, დაუსაბუთებელია, რომ „აფხაზუა“ და „აფხაზთა“ სხვადასხვაა, მითუმეტეს, რომ ეთნიკურ სახელწოდებათა სინონიმია ჩვეულებრივი მოვლენა მთელს მსოფლიოში. მარტო ჩვენ ვუწოდებთ ჩვენს თავს ქართველებს, სხვებისათვის კი ჩვენ ან გურჯები ვართ, ან ვრაცუები, ანდა გრუზინები, გეორგიან-ხეორხიანები და ა.შ.; თვით აფხაზებიც ჩვენ „აქირთუებს“ გვეძახიან.

ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს აგრეთვე, ლამის აქსიომად ქცეული მოსაზრება, რომ თავდაპირველი, ნამდვილი აფხაზები, რომელთაც ამ კუთხეს სახელწოდება მისცეს და ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსეულ აფსუებს თავისივე სახელი უწილადეს, ისეთივე ქართველები იყვნენ, როგორიც „მეგრელები“, „სახნები“, „იმერლები“, „რაჭველები“ და ა.შ.; თუ ეს „აფხაზები“ ისეთივე ქართველები იყვნენ როგორიც „მეგრელები“, „სვანები“, „იმერლები“ და ა.შ., მაშინ მათაც უნდა ჰქონოდათ ამ ტომებისაგან განმასხვებელი თავისი სპეციფიკური გვარები და სხვა ქართველური ენა და დიალექტი, რისი ნიმან-წყალიც არსად სჩანს.

და მეორე, – შეუძლებელია დაპყრობილი დამპყრობს თავის სახელს უზიარებდეს. ისტორიამ მხოლოდ შებრუნებული ვარიანტი იცის.

არადა „ქართველი-აფხაზების“ მითი ისეთი მიმზიდველი და „ყინვაგამძლე“ გამოდგა, რომ მას მექანიკურად იმეორებს ერთი ჩვენი სასიქადულო აკადემიკოსიც, რომელიც, ეტყობა, თავისი დარგის ექსპერტობით გათამამებული სხვის „დასაკრეფშიც“

გადადის და ასეთ მსჯელობას ავითარებს: აფხაზები ამბობენ: აკრემ, აპუდრა; ახლა თვითონ განსაჯეთ რა ენაა ესო.

განსჯა კი ასეთია – ნაკლოვანს კიარ დასცინიან, არამედ თანა-უგრძნობენ, ხოლო თუ ირონია იკადრე, სათანადო მაგალითები მაინც უნდა შეარჩიო, თორემ ეს სიტყვები ისევე შეუცვლელად იხმარება ქართულში, იმ განსხვავებით რომ აქ მათ „ა“ თავსარ-თის ნაცვლად „ი“ ბოლოსართი ახლავს. ახლა საკითხავია რით სჯობს „ა“ თავსართს „ი“ ბოლოსართი? – რა თქმა უნდა არაფ-რით.

მოკლედ, არავითარი „ქართველი-აფხაზები“ ბუნებაში არ არ-სებულან; „აფხაზებს“ ჩვენ ვუწოდებთ „აფსუებს“, რომლებიც ისტორიის ზიგზაგების გარკვეულ ეტაპზე აქ გაბატონდნენ და ამ კუთხეს დაარქვეს „აფსნი“, რაც ქართულად უღერს როგორც აფხაზეთი.

ვიმეორებ, წარსულის პერიპეტიტის დადგენას არავითარი პოლიტიკური ღირებულება არ გააჩნია, მაგრამ მისი მეცნიერუ-ლი მნიშვნელობა განუზომლად დიდია და აქ, პირველყოვლისა, სამი საკითხია ნათელსაყოფი: 1. როგორ დაეპატრონენ დღე-ვანდელი აფხაზეთის ტერიტორიას აფსუა-აფხაზები; 2. ვის ეკუთვნოდა ეს ტერიტორია, აქ აფხაზების გაბატონებამდე; და 3. როგორ მოხდა, რომ დღევანდელი აფსუა-აფხაზების შემად-გენლობაში 60% ნაქართველარია, ე.ი. ყოფილი მეგრელი, სვანი, იმერელი, რაჭველი და ა.შ.

ამ რეტროსპექტული სურათის აღსადგენად კი ის-ტორიკოსებთან ერთად თავისი სიტყვა უნდა თქვან არქეოლო-გებმა, ანთროპოლოგებმა, ლინგვისტებმა და ფოლკლორისტებ-მა.

19 ივნისი, 2003

## პატონო სერგი!

გადაცემა „კომუნიკატორის“ წამყვანს, სერგი გვარჯალაძეს

თქმა არ უნდა, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთი სოციალ-ურ-ფსიქოლოგიური პრობლემის შესახებ საზოგადოებრივი აზრის გარკვევას, როგორიც „სხვისი შვილებია“, მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა ამ აზრის სათანადოდ კორე-ქტირება სპეციალისტების, ე.ი. ფსიქოლოგის, პედაგოგისა და იურისტის მიერ. ჩემი ამბავი „კომუნიკატორის“ სატელეფო-ნო რეჟიმში ვერ ჩაეტეოდა, ამიტომ გნერთ ამ ნერილს, ვინძ-ლო თქვენ სპეციალისტებთან ერთად კვლავ დაუბრუნდეთ ამ საკითხს.

უშვილო ქართველ ცოლ-ქმარს ნაშვილები ჰყავდა ბიჭუნა, წარ-მოშობით რუსი. კაცი იყო პატიოსანი მშრომელი, მჭედელი, მამუ-ლიც ჰქონდა სოფელში, ასე რომ ოჯახი რიგიანად ცხოვრობდა.

სამწუხაროდ, კოლექტივიზაციამ ყველაფერი უკულმა შეატ-რიალა; მამულის ჩამორთმევა, უფრო მეტად კი კულაკის წოდება კაცმა ვერ აიტანა და იგი ერთ დილას ხანჯლით ყელგამოლადრუ-ლი ნახეს აივანზე.

სპეციალობის არმქონე, მაგრამ შეძლებული ოჯახიდან გა-მოსული, ნებივრობას მიჩვეული და წიგნის მოყვარული ქალი გარკვეული პრესტიჟით სარგებლობდა მეზობლობაში და დიდხ-ანს არ კადრულობდა უბრალო სამსახურს, მაგრამ გაჭირვებამ თავისი ქნა და იგი იძულებული გახდა დამლაგებლად დაეწყო მუშაობა; ამ დროისათვის წამოზრდილი შვილი კი ფოსტალიონად მოუწყვეს.

არცერთი ეს სამსახური კომუნისტური შეგონების მიუხედა-ვად, საპატიოდ არ ითვლებოდა და ორივე – დედა-შვილი თავს დამცირებულად გრძნობდა. ოჯახური პრობლემების ზრდასთან ერთად იმატა მათმა ნერვიულმა დაძაბულობამ და დედის ლანძ-ლვა-წყევლამ. იგი სულ უფრო ხშირად შეახსენებდა ხოლმე ამხ-ანაგებთან გასულ შვილს – შენ მაგათი აყოლა რას გარგია, მაგათ

თავზე მამები ადგათო; ერთხელ კი უკიდურესად გაანჩხლებულმა დედამ შვილს რუსის ნაბიჭვარი უწოდა. ლანძღვას საზღვრები არ გააჩნია და შვილს ამისათვის განსაკუთრებული ყურადღება არ მიუქცევია, მაგრამ როცა შემდგომშიც იგივე არაერთხელ გამეორდა, იგი შეფიქრიანდა, სარკეში თავი შეათვალიერა და თავზარდაცემულმა აღმოაჩინა, რომ დედის წამოძახება ლიტონი სიტყვები არ იყო. ბიჭი დადარდიანდა და გულჩათხრობილი გახდა. შექმნილი მდგომარეობიდან ერთგვარ გამოსავლად იქცა კომისარიატის უწყება და იგიც სიამოვნებით „გაექცა“ თავის გაჭირვებას არმაში.

კარგა ხანს არაფერი ისმოდა მისგან, მერე – ეტყობა, ნოსტალგია მოერია და, როგორც იქნა, მოინერა; მაგრამ მოინერა რუსულად – აქაოდა მე ხომ რუსი ვარო! ასე მონაცვლეობდა დუმილი და რუსული წერილი ჯარში ყოფნის მთელი ხნის განმავლობაში; სამხედრო ვალდებულების მოხდის შემდეგ კი იგი იქიდანვე გაემგზარა ყაზახეთში ყამირზე სამუშაოდ, სადაც ცოლად შეირთო ადგილობრივი რუსი, ვისგანაც მას შეეძინა ვაჟი.

შვილის დაბადებამ, ოჯახურმა საზრუნავებმა და დღომ გაანელა და უკანა პლანზე გადასწია „გენეალოგიური“ საწუხარი; ამას ემატებოდა ქართულად აღზრდილისათვის სათაკილო ზედსიძეობისა და შეუჩვეველი უცხო გარემოს განცდა. იძალა აღმზრდელი მოხუცი დედისადმი პასუხისმგებლობის გრძნობამაც და დედის დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ, იგი ცოლ-შვილით თავის სახლ-კარს დაუბრუნდა. ცოლ-ქმარმა მუშაობა დაიწყო მეზობელ ქალაქში, სადაც ისინი ყოველდღე დადიოდნენ, შვილიშვილს კი ბებია უვლიდა.

დედა არ იყო მაღალი აზრის რუსი ქალების ზნეობაზე, რასაც ისევე როგორც „დრომოჭმულ ცრუნწმენებს“ კომკავშირული მსოფლმხედველობის შვილი არ იზიარებდა, მაგრამ როცა ახლა თანამშრომელ ბიჭებთან თავისი ცოლის საქციელს დააკვირდა, დარწმუნდა, რომ დედა – ზოგადად თუ არა და ამ კონკრეტულ შემთხვევაში მაინც – ცამდე მართალი იყო და მან მიიღო მისთვის ჩვეული მტკიცე და უხმაურო გადაწყვეტილება. „საშვებულებოდ“ ცოლ-შვილი ყაზახეთში მოყვრებს ჩაჰვარა და ოჯახი მიატოვა, თვითონ კი უკიდეგანო რუსეთს მისცა თავი. საუბედ-

უროდ, „სამშობლომ“ თავისი „პირმშო“ არ მიიღო, ვერსად ვერ ჰპოვა მან ვერც ფიზიკური და ვერც სულიერი თავშესაფარი და საბოლოოდ სასოწარკვეთილი და დაუმსახურებელი ხეედრით გამწარებული ყაზახეთში თავის ნაცოლარს სახლში მიეჭრა, თავში უთო ჩაარტყა და სიცოცხლე მოუსწრავა.

სასამართლომ მას სასჯელის უმაღლესი ზომა (დახვრეტა) შეუფარდა.

ასე გახდა მკვლელი – მეტად ნიჭიერი, შრომისმოყვარე, კეთილსინდისიერი, უაღრესად კეთილი, მგრძნობიარე და გულჩვილი ადამიანი.

2002 წელი

## პატონ ივერი!

1. უცხო ენების სტუდენტთა სპეციალიზაცია მომავალ პედაგოგებად და თარჯიმან-მთარგმნელებად უპრიანია განხორციელდეს ბაკალავრიატის ფარგლებში. პედაგოგები პრაქტიკას გაივლიან სკოლებში, თარჯიმან-მთარგმნელები კი – მასმედიასა, გამომცემლობებსა და შესაბამის სამინისტროებში.

2. ჩემს მიერ შედგენილი პედპრაქტიკის დოკუმენტაცია არასწორად იბეჭდება. ამიტომ უნდა შეწყდეს მისი ტირაჟირება მის გასწორებამდე და ახალ პროგრამასთან შესაბამისობაში მოყვანამდე.

3. ჩვენი გაზეთი უნდა ბეჭდავდეს ერთსა და იმავე ინფორმაციას ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე, და მას უნდა ერქვას „სოხუმის უნივერსიტეტი“.

4. თუ დემოკრატიაა, საუნივერსიტეტო თაობირებში უნდა მონაწილეობდნენ სტუდენტებიც და უხარისხოებიც.

პატივისცემით, ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის პედაგოგიური პრაქტიკების ხელმძღვანელი

**„მე პი არ ვაცდეო ლექციებს,  
ლექციები მაცდელი მა“**

ძნელია, არ დაეთანხმო თსუ მაღლივი კორპუსის კედელზე ამ სიტყვების მიმწერს, რამეთუ ლექცია, უკეთეს შემთხვევაში, თუნდაც კარგად ინტერპრეტირებული, მაგრამ მხოლოდ მიზერული ინფორმაციის მიწოდებას უზრუნველყოფს, სტუდენტის დროის ბიუჯეტის უმეტეს ნაწილს კი ნიჭავს.

მოკლედ, ჩიტი ბრდლვნად არ ღირს.

რა თქმა უნდა, ვრცელი, განახლებული, ინფორმაციულად გაჯერებული და ლოგიკურად და ენობრივად გამართული ლექციები ყოველ ხუთ ნელინადში უნდა გამოიცემოდეს წიგნებად და დისკებად, თავსდებოდეს ინტერნეტში და რეგულარულად გადაიცემოდეს სპეციალური სასწავლო-სააღმზრდელო ტელეარხით, რომელთაც სტუდენტი შინ – თავისუფალ და მყუდრო ატმოსფეროში გაეცნობა და დაამუშავებს; ცოდნის სისტემაში მოყვანა და სათანადო უნარ-ჩვევების ფორმირება კი უნდა მოხდეს სემინარულ და პრაქტიკულ მეცადინეობებზე, მსჯელობა-კამათის რეჟიმში და არა გადმოხატული მონოლოგების კითხვის წესით.

უაზრო ანაქრონიზმია დასწრების უურნალი. უურნალი უნდა აღრიცხავდეს მხოლოდ მიმდინარე შედეგებს, ჩათვლების დასაწერად; სტუდენტის ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასება კი უნდა მოხდეს გამოცდებზე, რომელთაც შესაბამისი კადრები ჩაიბარებენ. ამასთან, გამოსაშვებ გამოცდებს აუცილებლად უნდა ესწრებოდნენ შესაბამისი წარმოება-დაწესებულებებიდან მოწვეული ექსპერტები.

P.S. როცა მშვიდობას ვქადაგებთ, უხერხულია გაზეთს ერქვას „სადროშო“, რომელიც ომთან ასოცირდება.

თსუ სოხუმის ფილიალის უცხო ენების კათედრის უფროსი მასწავლებელი 8 დეკემბერი, 2005.

წერილი გაეგ ზავნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, ალექსანდრე (კახა) ლომაიას და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, რუსუდან ლორთქიფანიძეს.

**ღია წერილი საქართველოს განათლებისა და  
მეცნიერების მინისტრს**

**ალექსანდრე (კახა) ლომაიას**

ბატონი ალექსანდრე, ჩემი აზრით, განათლების სისტემაში შექმნილი კრიზისული მდგომარეობიდან ერთადერთი და ყველაზე სამართლიანი გამოსავალია:

1. გადადგეს ყველა, განურჩევლად ყველა უმაღლესი სასწავლებლის რექტორი და ყველგან, ერთნაირი ვადით დაინიშნოს რექტორის მოვალეობის შემსრულებელი.

2. დათქმული ვადის გასვლის შემდეგ კი, ჩატარდეს რექტორთა დემოკრატიული არჩევნები. უფლება უნდა მიეცეს პროფესორ-მასწავლებლებსა და წარჩინებულ სტუდენტობას თვითონ აირჩიონ თავიანთი ხელმძღვანელი – იქნება ეს ყოფილი რექტორი, რექტორის მოვალეობის შემსრულებელი, თუ სულ სხვა პიროვნება.

3. უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვა არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს მისი დამთავრების გარანტი. სტუდენტთა შორის კონკურენცია უნდა გრძელდებოდეს მთელი სასწავლო პროცესის განმავლობაში. აქცენტი ჩარიცხვაზე კი არა, გადასაყვან და გამოსაშვებ გამოცდებზე უნდა კეთდებოდეს; და ამ გამოცდებს – საგნის ლექტორთან ერთად და უმთავრესად – უნდა იბარებდნენ მოწვეული მაღალკვალიფიციური პრაქტიკოსი სპეციალისტები. მაშასადამე,

4. ნუ გავავსებთ საავადმყოფოებს უდანაშაულო დამნაშავეებით, რექტორებიც ჩვენი სისხლ-ხორცი არიან და სტუდენტებიც.

არაა ტრაგედია შევასრულოთ ჩვენი დუხშირი ყოფითვე შობილი ეს ყბადაღებული ხელშეკრულება და სტუდენტებად ჩავრიცხოთ ნამდვილი (არასასტიკი!) შიდა გამოცდების საფუძველზე.

მერწმუნეთ, აკრედიტებულ რაოდენობაზე ცოტა მეტი სტუდენტის ყოლა ტრაგედია კი არა, აუცილებლობაა სწავლა-სწავლების სარისხის გასაუმჯობესებლად.

2005

## მრი რეაცია

1. ატესტატების კონკურსით უმაღლესში ჩარიცხვა, რასაც მთავრობა და განათლების სამინისტრო სამომავლოდ გეგმავს, ჯერ კიდევ 1986-ში შევთავაზე „Учительская Газета“-ს, 1987-ში გამოვაქვეყნები „Заря Востока“-სა და „Советская Абхазия“-ში, ხოლო 1993 წელს, როდესაც ჩვენმა უფროსმა და უმცროსმა ძმებმა თბილისში ცხოვრების დიდი ხნის ნატვრა „ამიხდინეს“, მე ამ წერილით მივმართე განათლების მაშინდელ მინისტრ ბატონ თამაზ კვაჭანტირაძეს, რომელმაც იგი წაკითხვისა და პასუხის ღირსად არ სცნო.

მე დღესაც მიმართია, რომ ყველა სკოლის შემდგომ სასწავლებელში სტუდენტთა ჩარიცხვა უნდა მოხდეს ატესტატების კონკურსის საფუძველზე, თანაც სტიპენდია უნდა დაენიშნოთ მხოლოდ ფრიადოსნებს, სხვებმა კი უნდა ისწავლონ თვითდაფინანსებით.

სტიპენდიების ხელახალი დანიშვნა უნდა მოხდეს ყოველი სემესტრის ბოლოს, რათა სტუდენტები არ გაზარმაცდნენ და ბეჯითად იმეცადინონ სასწავლებლის დამთავრებამდე.

2. დროა, ადამიანის ყოველგვარი საქმიანობა მეცნიერულ ცოდნას ეფუძნებოდეს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო შესაბრუნებელია მეცნიერებისა და განათლების სამინისტროდ, რომელსაც სათავეში ედგება აკადემიკოსი.

აუცილებელია მეცნიერული კვლევებისა და მეცნიერებათა საფუძვლების სასწავლების ინტეგრაცია კვლევებისა და სასწავლების ცენტრებად, რაც ორივე მხარეს წაადგება. მაგალითად, ენათმეცნიერების ინსტიტუტისა და შესაბამისი უმაღლესი სასწავლებლების ბაზაზე მიზანშენონილია შეიქმნას ენათა კვლევისა და სასწავლების ცენტრი, სადაც აღიზრდებიან პოლიგლოტი ლინგვისტები, თარჯიმან-მთარგმნელები და ენათა მაღალკვალიფიციური მასწავლებლები.

აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ბაზაზე უნდა შეიქმ-

ნას მსოფლიომცოდნეობის კვლევისა და სწავლების ცენტრი, ჯერ თუნდაც მხოლოდ დასავლეთმცოდნეობისა და აღმოსავლეთმცოდნეობის განყოფილებებით.

\* \* \* \*

ცოდნისა და გამოცდილების თაობიდან თაობაზე გადაცემის აუცილებლობა ადამიანთა საზოგადოებაში, ჯერ კიდევ მისი ისტორიის გარიუჩრაზე წარმოიშვა. პირველყოფილ საზოგადოებაში სწავლება არ იყო გამოყოფილი ადამიანთა ყოველდღიური საქმიანობისაგან, იგი არაორგანიზებული იყო. პირველი სკოლები აღმოცენდა ძველ აღმოსავლეთში (ბაბილონში, ასირიაში, ეგიპტში, ინდოეთში...). ცნობები საქართველოსა და სომხეთში პირველი სკოლების არსებობის შესახებ IV საუკუნეს განეკუთვნება, აზერბაიჯანში – V, ხოლო რუსეთის სკოლების შესახებ არსებული არასრული ცნობები X-XIII საუკუნეებით თარიღდება (БСЭ - Большая Советская Энциклопедия, т. 29, стр. 424).

საზოგადოების განვითარებასთან ერთად სრულყოფილდებოდა სწავლების მეთოდები, ხერხები, საშუალებები, ფორმები, რომელთაგან ზოგი დღეგრძელი აღმოჩნდა და ჩვენამდე მოაღნია, ზოგი ეფემერული გამოდგა და მაღე დაუთმო ადგილი მათ შეცვლელ სიახლეებს.

სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში სამეცნიერო ინფორმაცია ყოველ 10 წელიწადში ორმაგდება, თანაც მნიშვნელოვნად შემცირდა მათი ცხოვრებაში დანერგვის ვადები. ასე რომ, უმაღლესში მიღებული ცოდნა და უნარ-ჩვევები უკვე ასწრებს საკმაოდ დაძველებას. აქედან გამომდინარე, ჩვენ გვჭირდება არა მხოლოდ დღევანდელი, არამედ ხვალინდელი დღის სპეციალისტი, ე.ი. არა მხოლოდ გარკვეული ცოდნითა და უნარ-ჩვევებით აღჭურვილი, არამედ ამ ცოდნისა და უნარ-ჩვევების შემოქმედებითად გამოყენების უნარითა და ჩვევებით. მაღალკვალიფიციური, შემოქმედებითად მოაზროვნე, იდეურად და ზნეობრივად რაფინირებული სპეციალისტის აღზრდა ობიექტური აუცილებლობაა.

\* \* \* \*

ნანა ოთხისა იქნებოდა, როდესაც ტრადიციული კითხვა დასვა – საიდან მოდიან ბავშვები, და მიიღო ტრადიციული პასუხი, რომ ბავშვებს ბაზარში ყიდულობენ.

პასუხმა სულ ერთი დღე იმუშავა, მეორე დღეს ნანამ იკითხა:

– კი, მაგრამ ბაზარში საიდანოა მოდიანო, და დედა იძულებული გახდა გაემხილა, რომ ბავშვები დედის მუცელში ჩნდებიან. რამდენიმე დღის შემდეგ ნანას ახალი კითხვა დაებადა:

– დედა, ნარგიზას (მეზობელი) რატომ არა ჰყავს ბავშვები?

– ბავშვები საიდან უნდა ჰყავდეს, მას ხომ ქმარი არა ჰყავსო, – მიუგო დედამ.

– ქმარი რა შუაშია, მუცელი ხომ აქვსო? – გაიკვირვა ბავშვმა.

– კი აქვს, მაგრამ იქ ქმარმა უნდა დახატოსო, – არ დაიბნა დედა.

გამოხდა ხანი და ერთ დღეს დანაღვლიანებულმა ბავშვმა ტირილი მორთო. დაუინებული გამოკითხვით გამოირკვა, რომ მას დედისათვის ეთხოვა – თმა ისე გამიკეთე, როგორც ჯულიეტას (დას) აქვსო. დედას ეთქვა – ისე შენ არ მოგიხდებაო, და ახლა დადარდიანებულმა ბავშვმა ვეღარ მოითმინა, აცრემლდა და მამას უსაყვედურა – შენ მე ცუდად დამხატე, ჯულიეტას ყველანაირი დავარცხნა უხდება, მე კი არაო.

სამწუხაროდ დღეს ეს ბავშვი, ჩვენი სკოლისა და დედამისის წყალობით, გაკვეთილს ასე სწავლობს: შერწყმული ნინადადება.. შერწყმული ნინადადება არის ნინადადება.. არა! შერწყმული ნინადადება. შერწყმული ნინადადება ენოდება ნინადადებას, რომელშიც.. არა! შერწყმული ნინადადება. შერწყმული ნინადადება ნინადადებას, სადაც.. და ა.შ. მოკლედ ის სწავლობს სიტყვებს, თანაც მხოლოდ წიგნისეული თანმიმდევრობით და არა აზრს, ე.ი. სასწავლო პროცესში მას გამოურთეს აზროვნება და არ განუვითარეს აზრის დამახსოვრებისა და თავისი სიტყვებით გადმოცემის უნარი.

ეს ბავშვი და ეს სკოლა რომ გამონაკლისი არაა, ამას ნათლად ადასტურებენ მისალები გამოცდები, სადაც თითქმის ყველა აბი-

ტურიენტი თემას ან ზეპირად წერს, ანდა სულაც „შპარგალკ-იდან“ იხატავს.

ბუნებრივია, რომ სკოლა მხოლოდ ერთ-ერთი უჯრედია ჩვენი საზოგადოებისა, და მასში როგორც სარკეში აირეკლება ყველა ჩვენი გასაჭირო; აქ ერთმანეთშია გადახლართული ობიექტური და სუბიექტური.

გარედან „ხელშეწყობითა“ და განვითარების კანონზომიერი მსვლელობის გარდა – რომელიც ერთ მოვლენაში ურთიერთდაპირისპირებულთა ბრძოლით მიმდინარეობს, სადაც ულელშებმული ხარებივით ხან ერთია წინ და ხან მეორე უსწრებს პირველს, და – ჩამორჩენილს ყოველთვის მეტი ჯაფა ანევს, სანამ ის სახრითა და თავისი ძალების დაძაბვით წინ არ გავარდება და მეორეს არ ჩამოიტოვებს – ლომის წილი ჩვენი დღევანდელობისათვის ნიკიტა ხრუშჩოვზე მოდის, რომლის პირადად სტალინის წინააღმდეგ ბრძოლამ უნებლიერ შეინირა კომუნისტური იდეოლოგიაც, რომელიც ცუდი იყო თუ კარგი, საზოგადოების ორგანიზაციას ახდენდა. რნმენამომლილ და უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონენ, იმდლავრა კორუფციამ, ნარკომანიამ და ბანდიტიზმა. საერთოდ, კეთილისა და ბოროტების ბრძოლამ ჩემი თაობის თვალწინ სამი სტადია გაიარა. ჯერ მართალი კაცის უკულმართს ეშმინდა; მერე ძალები გათანაბრდა და მართალ კაცს განუცხადეს – შენ შენთვის და ჩვენ ჩვენთვის, ნუ შეგვეხები და არ შეგეხებითო; მაგრამ როცა ბოროტებამ იმძლავრა და თითქმის ყველა სავარძელში მოიკალათა, მართალ კაცს ადგილს ვინ მოაცდენებდა?! იგი ინტრიგნად მონათლეს და მასზე იერიში მიიტანეს.

## ПУТАНИЦА ГОСПОДИНА ПУТИНА

В связи с недавним заявлением Президента России, господина В. Путина, о причинах «конфликта» в Абхазии и в Южной Осетии, следует заметить, что: 1. Правительство Грузии никогда не упраздняло автономный статус Абхазии!

2. «Конфликт» в Южной Осетии возник задолго до упразднения её статуса как автономного округа. А был устраниён самим Руководством Южной Осетии! Грузинское же Правительство, было это правильно или нет, просто утвердило решение сепаратистов.

Вот истина для тех, кто не в ссоре с историей или с совестью и справедливостью.

А. Мумладзе  
Педагог из Абхазии

<http://board.compromat.net>, 23 Августа, 2004

## ОЧЕРЕДНАЯ ПУТАНИЦА ГОСПОДИНА ПУТИНА

Владимир Владимирович - человек, безусловно, умный и возможно - справедливый, но его заставляют шарахаться от всякой логики и справедливости традиционные, имперские притязания своей державы.

Россия, конечно, могла бы похвастаться референдумом в Чечне, если-бы он там проводился без арт. подготовки, без уничтожения двух президентов и одной трети населения этой республики.

А если уж отцы России, пусть и поздно, но наконец-то, вдруг облагородились и прямо-таки убиваются на самоопределение нации, чему можно только приветствовать, то надо надеяться, что они выведут свои войска из всех захваченных территорий и дадут право оккупированным народам самим строить своё будущее, будь это через референдум, или без него.

Один из многочисленных жертв Российского имперализма  
Госпожа \*

Извините, но у Вас получается путаница причины со следствием. Если Грузины и в самом деле отдаются кому-либо, как вы не очень цивилизовано выражаетесь, то отнюдь не в надежде светлого будущего, а всего на всего в надежде как-нибудь спасаться от России, которая не разборчива в средствах, как можно скорее удушить и уничтожить Грузию.

Поверьте мне, что если даже сейчас, после всего случившегося, Россия перестанет путать и поощрять сепаратистов и вернёт нам своих аннексированных граждан и территории, то лучшего друга чем Россия у нас не будет, и Грузия не только готова но и может успешно сотрудничать с вашей страной как по науке и технике, так и по обороне, экономике и культуре

Господин \*

Давайте оперировать фактами, а не пустословием:

1. В Б.С.э. и в учебниках по истории России чёрным по белому указаны конкретные даты прихвата Россией конкретных территорий.

2. язык - зеркало души народа. Заставляют задуматься слова - Владислав, Владикавказ, Владимир. Удивительно, как вам не даёт покоя навязчивая мечта - овладеть народами, регионами, миром!

3. Когда какой-то переступивший аламыс Абхаз, или отнюдь не шолоховский Казак, или-же далеко не шамиловский шамиль Басаев или Барбаросов, без угрызения совести блаженствует в моей квартире, нагло присвоил имущество нажито мною многолетним трудом, и гордо шагает по земле в моей одежде, наш миротворец Владимир Владимирович мне обещает не восстановления справедливости, не возврата мне право жить в своём доме, а наоборот, в добавок всему случившемуся, он мне советует, вернее диктует мирно сдать бедной России и последние клочки моей земли, под «соусом» самоопределение нации.

Мудрость Соломонова! Ничего не скажешь! Но тут возникает

вопрос - а мы, 300 000 беженцев Владимир Владимирович, по - Вашему, - не нация?! Или-же, почему Вы думаете что самоопределение противопоказано более 100 нациям, живущим под гнётом России?!

Стоит Вам, посмотреть на эти факты честно, и Вам сразу прояснится - кто занимается путаницей, а кто - распутыванием этой злонамеренной путаницы.

Господин \*

Если Вы хотите полемизировать со мной, то не обходите, пожалуйста, молчанием пункты моего письма, и самое главное, приведите себя в порядок в языковом отношении.

Господин \*

В том то и дело что мы, люди разных национальностей жили в мире и дружбе. Абхазы и Осетины Грузии имели максимальные возможности для самоопределения и саморазвития. Они руководили своими республиками и широко были представлены в верховной власти Грузии.

По договорённости, спикером новообразованного Абхазского парламента должен был быть только Абхаз. Абхазы, составляющие 17% населения республики в Абхазском парламенте имели 28 мест, а Грузины 44% населения Абхазии, а Абхазском парламенте имели всего 26 мест.

В отличии от своих Северо-кавказских собратьев, Абхазы и Осетины в Грузии учились, трудились, печатались, и вели радио-теле передачи на своём родном языке.

Как раз при поддержке Грузинского народа и правительства, можно сказать на пустом месте создались Абхазская и Осетинская интеллигенция.

Большинство Абхазских, Осетинских и Северо-кавказских лингвистов и творческих, в особенности, театральных работников воспитывались в Тбилиси.

Сам Владислав Ардзинба работавший в то время в Москве докторскую диссертацию защитил именно в Тбилиси, и кстати един-

ственная в мире диссертация на Абхазском языке была подготовлена и защищена тоже в Тбилиси.

Вот скромный перечень фактов того птичьего недостойного поведения на голову Абхазов и Осетин, о которых вы так образно, но чуть не прилично высказались.

А если несмотря на всё это, затемнённые из вне головы всё равно потянулись к так называемой конфедерации горцев, к фабрикату России для достижения сегодняшнего плачевного состояния вещей, то это дело их вкуса и совести.

Что-же касается резни, то всему миру известно что она была организована той-же силой, которая в 19-ом веке тысяча кавказцев обратило в махаджиры и от которой, если не откроите глаза и вам придётся скулить, при чём уже не на своём родном языке.

Так что, друг, Абхазам, Осетинам и Северо-Кавказцам следует не драться с Грузией, а объединяться с нею что-бы общими силами навсегда сбросить с себя позорную игу России!!

С Уважением А. Мумладзе

[www.politforums.net](http://www.politforums.net), 11 Августа, 2006

**გარაფიული გეოპლოდ ღვერთია,  
სხვა ყველაფერი „შესავათია“!**

იცვლება დრო და იცვლება ადამიანი – მისი მსოფლმხედველობა და გემოვნება. ჩაწერილ სიმღერებსა და ეკრანიზებული „რაიკომის მდივნის“ ბატიფეხურ ლექსებს აღარაფერი ემველება, მაგრამ როცა რუსეთი და მისი დამქაშები ყოველ ღონეს ხმარობებ აგრესორებად და კაციჭამიებად წარმოგვაჩინონ, აუცილებელიცაა გავწმინდოთ ჩვენი სასიმღერო რეპერტუარი ქართველი ხალხისათვის არადამახასიათებელი, საჩოთირო გამოთქმებისაგან.

გთავაზობთ ჩვენ-ჩვენს სიმღერებში არსებულ ზოგიერთ მიუღებელ ფრაზათა შესწორების შესაძლო ვარიანტებს. სახელ-დოპრ:

1. არაქრისტიანულია – „გული გაუპოს დანამა“. შეიძლება იყოს – „უუუუნა წვიმა მოვიდა, დიდი მინდორი დანამა, შვება მოჰვარა სულდგმულსა, ღვთის მადლმა ამისთანამა“.
2. უაზროა – „დაილოცოს შენი სოფლის ნათლია“. შეიძლება იყოს – „დაგელოცოს მშობელი და ნათლია“.
3. არაქართულია – „ბერიკაცი ვარ წუ მომკლავ“. შეიძლება იყოს – „უფროსს უფროსად თუ არ ცნობ, ყველა დაგინებს გმობასა, არაფერი სჯობს ამქვეყნად მამა-შვილობას, ძმობასა“.
4. არავაუკაცურია – „წუ გგონია შენთვის ვკვდები... ვერ დაგიცავს შენი ქმარი“. – შეიძლება იყოს – „მხოლოდ ერთი კოცნა მინდა, ხომ ხედავ რომ შენთვის ვკვდები, თუ სხვა გიყვარს მითხარი და ალარ გამოგეეიდები.
5. გაუმართავი და მთლიანად გადასაკეთებელია „ჩაკრულონ“. შეიძლება იყოს – „ხატის წინ დავდოთ პირობა, ჩვენ გავხდეთ ღვიძლი ძმანია, ზურგში ჩაგუბეტეთ მომხვდურსა, თავს დავაქციოთ ბანია“. (როგორც მოექცა ერთხელ ერეკლე მეფე კარს მომდგარ ლეკებს)
- „არეულობის დროშია ფქვილი ვერ დავდგი კოდითა, ვერ გამოვკვებე ცოლ-შვილი, ვერ გავიარე მოდითა... ერთობა ჩვენი ციხეა, მტრისაგან აულებელი, მშვიდობა ჩვენი დროშაა, სავსე ქვევრი და ბელელი... მაგრამ თუ მტერი არ ცხრება, ვერც ჩვენ ვიქნებით ჯაბანი, ისე დავხვდებით დუშმანსა, ვით ჩვენი მამა-პაპანი“...
6. გაუმართლებელია მკვდრის ციტირება „ვეფხისა და მოყმის ამბავში“. უნდა იყოს – „მოყმემან პირტიტველამა შიბნ გაიარნა კლდისანი“...
7. „თხამ ვენახი შეჭამა“-ს აკლია ერთი რგოლი;

თაგვი მიწას არ ჭამს, მაშასადამე შეიძლება იყოს – „თაგვმა ფეტვი, ფეტვმა მიწა, მიწამ უანგი, უანგმა თოფი, თოფმა მგელი, მგელმა თხა, თხამ ვენახი შეჭამა“.

8. გალაკტიონის ლექსის – „გამარჯობა აფხაზეთო შენი“ – გადაკეთებულ ვარიანტში გალაკტიონის ნაცვლად, აფხაზეთს მივმართავთ ჩვენ, დევნილები, ამიტომ სტრიქონი „შენი ძველი მეგობარი მიცან“ – უკვე გეოპოლიტიკური შეცდომაა, რადგანაც ჩვენ ამ მიწის მეგობრები კი არა, პატრონები ვართ აფხაზებთან ერთად; მაშასადამე, შეიძლება იყოს –

„მოგვაგებე მშობლიური მიწა,  
ჩვენი გაგრა, ათონი და რიწა“.

ასევე: „მოგვაგებე მშობლიური პალმა  
რომ არ დაგვწვას მცხუნვარე მზის ალმა“.

წერილი გაეგ ზავნა ფოლკლორის საერთაშორისო ცენტრისა და ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის „რუსთავი“ ხელმძღვანელს ანზორ ერქომაიშვილს.

გამოქვეყნდა მართლმადიდებლურ ფორუმზე [www.church.ge](http://www.church.ge)  
და ფოლკლორის ინტერნეტ რესურსზე  
[www.folk.ge](http://www.folk.ge), 14 ივნისი 2007

## პირველი რადიოს გადაცემისათვის „სიტყვა ქართული“

1. „მაიმუნი“ ადამიანად მაშინ იქცა, როცა მისი პირით პირველი სიტყვა ითქვა.
2. ადამიანისაგან განსხვავებით, ცხოველები და ფრინველები ყველგან ერთნაირად „ლაპარაკობენ“. მაგალითად, რომელ

ქვეყანაშიც არ უნდა იყოს ძალლი – იგი ყველაგან იღრინება, ყეფს, ყმუის, წკმუტუნებს და წკავწკავებს.

3. ერთი წარმოშობის გვარები სხვადასხვა ენაში: არ მოიძებნება ენა, სადაც ერთი უძველესი ხელობის – მჭედლის სახელწოდებიდან წაწარმოები გვარი არ არსებობდეს. ყოველ შემთხვევაში, ამის მაგალითებია:

- აზერბაიჯანული: დემერჩი – დემერჩი-ოლლი
- აფხაზური: აჯხი – (ა)ჯხინა
- გერმანული: შმიდტ – შმიდტი
- ინგლისური: სმიტ – სმიტი
- მეგრული: ჭკადუ – ცჭკადუა
- რუსული: კუზნეც – კუზნეცოვ(ა)
- სვანური: მიშკიდ-მუშკუდიანი
- სომხური: გარფინ – გარფინიან
- ქართული: მჭედელი – მჭედლიშვილი – მჭედლიძე

4. აფხაზეთში ლაზურ კვალზე მიუთითებს შემდეგი გვარები და გეოგრაფიული სახელწოდებები: 1. ბაბაძიში; 2. ბარმიში; 3. ბალაფში; 4. გაგრიფში; 5. გულრიფში; 6. ზვანდრიფში; 7. ტამიში; 8. ტრაფში; 9. ცარგუში; 10. ხაგუში; 11. ხალვაში.

5. ლინგივსტური რეციდივები: 1. „ყურება“ – თვალების ფუნქცია და არა ყურების. 2. „საზამთროს“ არაფერი კავშირი არა აქვს ზამთართან. 3. „გასაგებია“ უფრო ხშირად ნიშნავს „გავიგე“, ვიდრე „გავიგებ“. 4. „ინდაური“ ქართველისათვის ინდური ფრინველია, ინგლისელისათვის კი – თურქული „turkey“.

## პლიც პითხვეპი

- რომელ დღეს ერქვა ადრე „ერთშაბათი“? – კვირას.
- როდის უდრის 00 24-ს? – შუალამისას.
- რისი ფუნქციაა „ყურება“ – ყურის თუ თვალის? – თვალის.

• რომელი სიტყვა გააძევა ქართულიდან „სნაიპერმა“? – ჩუბინი.

• რომელ სიტყვას აძევებინებენ ქართულიდან „აპლოდის-მენტები“? – ტაშს.

• რომელი ქვეყნის სახელწოდებიდან მომდინარეობს სიტყვა „ლაკონური“? – ლაკონის.

• რომელი სიტყვები იკითხება ერთნაირად წალმა და უკულმა? – აბა, ანა, არა.

• რომელი რიცხვის თავისთავზე ნამრავლი უდრის თავისთავზე მიმატებულს? – ორის.

• რომელი ქვეყნის მგალობელი ჩიტია „იადონი“? – კანარის.

• რომელი ქვეყნის ფრინველია „ციცარი“? – გვინეის.

• რომელი ფრინველები არ ფრენენ შინაურ ფრინველებს გარდა? – პინგვინი და სირაქლემა.

• რომელი ცხოველის და ფრინველის შვილია „ჩოჩორი“? – ვირის და მწყერის.

• რომელი ცხოველის და ფრინველის შვილია „წიწილა“ და „წიწილი“? – „წიწილა“ ქათმის შვილია, „წიწილი“ კი – გველის.

• როდის იხმარება „ნახვამდის“ და როდის „მშვიდობით“? – „ნახვამდის“ იხმარება ხანმოკლე განშორებისას, „მშვიდობით“ კი – ხანგრძლივი განშორებისას.

• ვის უფრო მეტი საგარეო ვალი აქვს ამერიკასა თუ საქართველოს? – ამერიკას.

• ვინ იყო პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის ნათლია? – ეკატერინე მეორე.

• რომელი ცხოველებით იკვებება ადამიანი – ბალახისმამელებით თუ ხორცისმამელებით? – ბალახისმამელებით.

• ხეზე მჯდარი 10 მწყერიდან მონადირემ მოკლა 2. რამდენი მწყერი დარჩა ხეზე? – არცერთი.

## ინტერაქტიული კითხვები განეიღვისათვის

- რამდენს იმატებს წონაში დედამიწა ყოველწლიურად და ხომ არ დადგება დრო, როცა მას თავისი სიმძიმე ორბიტიდან ამოაგდებს?
- ხომ არ მოჰყვება გლობალურ დათბობას გლობალური გამყინვარება?
- რატომ დაადანაშაულა პუტინმა ლენინი იმპერიის დაშლაში?

\*\*\*

თეთრკანიანთა სამშობლოა კავკასია, სადაც ჩვენც მივეკუთვნებით.

ყველანაირი თვალსაზრისით აუცილებელია საქართველოში ფუნქციონირებდეს გაზეთი „კავკასია და კავკასიელები“.

## ლალადი ზომბნარსა შინა

პირადად მე მიმაჩნია, რომ საქონლისა და ფრინველის დაკვლა თუ მოკვლა და საკვებად მირთმევა უდიდესი უსამართლობა და ბარბაროსობა; მაგრამ კიდევ უფრო უარესია, როცა თვითონ ვეჭმევინებით ძალებს.

დღე არ გავა თბილისში, რომ მტრადქცეულმა ჩვენმა მეგობრებმა რამდენიმე კაცი არ დაკბინონ და არ დაათეთონ.

ათეულობით ადამიანი ემსხვერპლა ცოფს, მათ შორის ბავშვებიც, რომელთაც ამ წუთისოფლის თავისი წილი ბოლომდე უნდა ეცხოვრათ, ეხარათ და თავისიანებისა და თავისი ქვეყნის საკეთილდღეოდ ეღვანათ; ისინი კი დღეს, უტვინ-უგულო და ჯიპიან-ლიპიანი ბიძიების წყალობით მიწაში წვანან.

თვითონაც დამკბინეს ქუჩის ძალებმა, ჩემი შვილიც, და არავინ იცის გადარჩენილები ვართ თუ არა.

1993 წლიდან მოყოლებული, ე.ი. იმ დროიდან, როცა ჩვენმა

კეთილისმყოფელმა რუსმა და ჩვენს მიერ დოქტორის გვირგვინ-დადგმულმა არძინბამ თბილისში ცხოვრების დიდი ხნის ოცნება „ამისდინეს“, მე ვწერ და ვრეკავ ამ საკითხის თაობაზე ყველა შესაძლო ინსტანციაში, მაგრამ – ყურსა ბამბისა.

კი დაგვაიმედა ამ ოთხი თვის წინათ ბატონმა გიგი უგულავამ – ახალი აპარატურა შემოვიტანეთ, ძალებს ავცრით და პრობლემა მოიხსნება; მაგრამ მაშინვე ცუდად მენიშნა, რომ მას არ უხსესნებია ვინ და როდის შეაბამდა კატას ეჯვანს და ვინ შეაგნებინებდა თუნდაც აცრილ ძალებს, რომ აღარ გვიღრინონ და აღარ გვიკინონ.

სამწუხაროდ, ჩემი ეჭვები გამართლდა და ეს „სამკვდრო-სასიცოცხლო“ ბრძოლა ოთხფეხა და ორფეხა ფეხოსნებს შორის სულ უფრო მძაფრად გრძელდება.

ამიტომ, რადგანაც ბატონი მერი უძლურია მანანნალა ძალების წინაშე, ჩვენ უფლებამოსილი ვართ მოვთხოვოთ მას გააუქმოს შესაბამისი სამსახურები და გამოთავისუფლებული ფულით გვიმკურნალოს დაკბინილებსა და დაზაფრულებს.

2007

## ბატონო პრეზიდენტო!

გთხოვთ მოცალეობისას გაეცნოთ შემდეგ მოსაზრებებს:

- ა) მთავრობის მუშაობის მაქსიმალურად გამჭვირვალობის მიზნით, და ხალხთან უშუალო დიალოგის საწარმოებლად საჭიროა დაარსდეს სამთავრობო გაზეთ-ბიულეტენი შემდეგი რუბრიკებით: 1. ქონებრივი დეკლარაციები, 2. ინვესტიციები, კრედიტები, დახმარებები, 3. პრივატიზაცია, 4. ვაკანსიები, კონკურსები, 5. ჩვენი არჩევანი, 6. კიდით-კიდემდე, 7. მთავრობის (ყველა რგოლის მიმდინარე და წლიური) ანგარიშები, და 8. ჩვენ გვწერენ – ჩვენ ვპასუხობთ.
- ბ) ჩვენს საზღვარგარეთელ თვისტომთა ასამოძრავებლად

საჭიროა ჩვენს საელჩოებში დაიდოს ქართულ და შესაბამის ენებზე დაბეჭდილი გვერდებდანომრილი, სახელმწიფო სახელმწიფო ნიგნები სახელწოდებით – „საქართველოს ხსნის ფონდი“, სადაც თითოეული მსურველი, სათანადო გრაფებში, თვითონ ჩაწერს თავის რიგით ნომერს, ვინაობას, მისამართს და შემოწირულ თანხას. ნიგნები გამოიფინება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში.

გარდა ამისა, თუ გაყიდვაა, უმჯობესია ჩვენი გასაყიდი ობიექტების სია და პირობები, პირველყოველისა საზღვარგარეთელ ქართველობას შევთავაზოთ და ამით, შესაძლოა, მათი გარკვეული ნაწილი სულაც სამშობლოში დაბრუნდეს.

## თვალსაზრისი

\*\*\*

დღეს ბევრს კამათობენ, საჭიროა თუ არა გარეშე ძალის ჩართვა თბილისში და საერთოდ საქართველოში წესრიგის აღდგენისათვის ბრძოლაში.

ჩემი აზრით, არა თუ საჭიროა, არამედ აუცილებელიცაა და 1. არა მარტო ჩვენი სამართალდამცავი ორგანოებისა და პოლიციის საერთო დაბალი პროფესიონალიზმის გამო; 2. არა მარტო ამ ორგანოების ცხოვრების ცუდი პირობების გამო, რაც მათი მოსყიდვის საშუალებას იძლევა; 3. არა მარტო ამ ორგანოების ნაწილის მთავრობისადმი არაერთგულების გამო; არამედ და უმეტესად 4. სამართალდამცავ ორგანოებსა და დამნაშავეთა სამყაროს შორის არსებული ნათესაური და ძმა-ბიჭური კავშირების გამო.

მაგრამ ყველაფერი ეს კამპანიურ ხასიათს ვერ გასცილდება თუ: 1. არ შევქმენით ცხოვრების ნორმალური პირობები ყველას-ათვის; 2. თუ არ გავამკაცრეთ სასჯელი დამნაშავეთა მიმართ; 3. თუ არ ვიზრუნეთ ხალხის აღზრდაზე.

\*\*\*

მიწის მთლიანად გაყიდვით პრივატიზაციას არც სამართლებრივი, არც მორალური და რამდენადმე არც ეკონომიკური გამართლება არა აქვს.

ჯერ ერთი, თუ კომუნისტურ წყობას უარვყოფთ, რატომ გამოვდივართ კომუნისტების ხელისდამცლელებად და ვყიდით მათ მიერ უკანონოდ ჩამორთმეულ ნაკვეთებს; თანაც მათ ხელში ვუგდებთ, ძირითადად ავაზაკებს, რომლებმაც ნამუსზე ხელის ალებით დააგროვეს ეს თანხა. მე კი, რომელსაც მემკვიდრეობით უნდა გადმომცემოდა/მიმეღო ჩემი მამა-პაპის ნაოფლარი, პირში ჩალაგამოვლებულს მტოვებთ, მხოლოდ იმისათვის, რომ კეთილსინდისიერად მივდევდი კანონს.

მეორეც, რა მორალური გაკვეთილი უნდა მიიღოს ამ ფაქტიდან პატიოსანმა მშრომელმა?!?

მესამეც, აქაოდა, ბიზნესმენი ამ ნაკვეთს თვითონ თუ ვერ დაამუშავებს, სხვას დაიქირავებს და დაამუშავებინებსო.

უსაფუძვლოა შიში, რომ მე თუ ამ საქმეზე ხელი არ მეკიდა, მაშასადამე, ბედოვლათი ვარ, და მიწას ვერ მოვუგლი; უბრალოდ, მე პირადად, სწავლის ნიჭი მქონდა და სწავლას გავყევი, ახლა სწავლა არ მშველის და კანონიერად მოვითხოვ ჩემსას და თუ საჭირო იქნა, დავამუშავებ და მოვუგლი კიდეც.

\*\*\*

იქნებ ჩვენ დავუსვათ წერტილი თვალში დემოკრატიული ნაცრის ყრას, და ამომრჩეველს „შპარგალკა“ კი არ შევთავაზოთ, თუ საიდან გააკეთოს თავისი არჩევანი, არამედ მივცეთ მას უფლება თვითონ ჩაწეროს თავისი კანდიდატურა დასახლებული პუნქტი-სათვის სპეციალურად დაბეჭდილ, და ამომრჩეველთა რაოდენობის მიხედვით დანომრილ ბიულეტენში, სადაც, მაშასადამე, სამად-სამი სტრიქონი იქნება:

1. დასახლებული პუნქტი ... ბიულეტენი № ...
2. ასარჩევი პარტია ...
3. ასარჩევი პიროვნება ...

აირჩევა ის, ვინც ყველაზე მეტ ხმას დააგროვებს; ხოლო თუ ეს რჩეული ნაკისრ ვალდებულებებს ვერ ან არ შეასრულებს, იგი განვეულ უნდა იქნას უკან, და მას ავტომატურად უნდა ჩაენაცვლოს იმავე არჩევნებში მეორე ადგილზე გასული პიროვნება.

მიზანშეწონილია ბიულეტენები წინასწარ დაურიგდეს ოჯახებს, ამომრჩეველ წევრთა რაოდენობის შესაბამისად.

## თქვენ უმიღესობავ!

სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს,  
უწმიდესასა და უნეტარესს იღია მეორეს

დიდი მადლია საპატრიარქოს რადიოს მოღვაწეობა ხალხის განწმენდის, განათლებისა და სასიკეთოდ ამოქმედებისათვის. მაგრამ ბუნებრივია, რადიოს დროებრივი-სივრცობრივი შეზღუდულობისა და სხვა გარემოებათა გამო იგი ვერ სწვდება მთელ მოსახლეობას. ამიტომ, ჩემი აზრით, კარგი იქნებოდა დაარსებულიყო ყოვლისმომცველი, მთელს ქვეყანაში გავრცელებადი ყოველკვირეული გაზრით შემდეგი რუბრიკებით: 1. კვირის ამბები; 2. თეოლოგიური საუბრები; 3. გლობუსი – მოკლე ისტორიულ-გეოგრაფიული და თანამედროვე სოციალურ-პოლიტიკური ცნობებით მსოფლიოს წამყვანი და ჩვენი მეზობელი სახელმწიფოების შესახებ; 4. საქართველოს ისტორიის ფურცლები; 5. ჩვენი სოფელი; 6. ჩვენი ქალაქები; 7. ექიმი გვირჩევს; 8. ქონებრივი დეკლარაციები – ყველა სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებებისა და პარტიების ხელმძღვანელებზე სურათებითა და შემდეგი ცნობებით: განათლება; თანამდებობა; მისი და ოჯახის წევრების ხელფასი და სხვა შემოსავლები; დაგროვილი უძრავ-მოძრავი ქონების ოდენობა და წარმოშობა; რა ქველმოქმედება გაუწევია; რას საქმიანობენ შვილები და შვილიშვილები სამუშაო თუ სასწავლო დაწესებულებების კონკრეტული სახელ-

წოდებების მითითების გარეშე; 9. სად როგორ ცხოვრობენ? – შემდეგი სახის მონაცემებით აშშ დოლარის კურსით: ხელფასები; პენსიები; შემწეობები; სამომხმარებლო კალათა; ქვეყნები: აზერბაიჯანი, აშშ, გერმანია, ესპანეთი, თურქეთი, იაპონია, ინგლისი, იტალია, რუსეთი, საფრანგეთი, საქართველო, სომხეთი, უკრაინა; 10. გრანტები, კრედიტები, ინვესტიციები, ადრესატებისა და პასუხისმგებელი პირების მითითებით; 11. კონკურსები და შედეგები; 12. ვაკანსიები; 13. იდეათა ბანკი; 14. ჩვენ გვწერენ – ჩვენ ვპასუხობთ; 15. ლიტერატურული გვერდი; 16. განცხადებები.

ღრმა პატივისცემით

## ბატონი ბაპურ!

გამომცემლობა „ბაკურ სულაკაური“-ს დამფუძნებელს

1. თქვენ ჭეშმარიტად დიდ საქმეს აკეთებთ მოზარდი თაობის განათლება-განვითარებისათვის, მაგრამ თქვენი გამოცემების კიდევ უფრო გაუმჯობესებისათვის გთავაზობთ რამდენიმე მოსაზრებას: 1. ცხოველთა ქართულ სახელწოდებებს ოჯახის ნებისმიერი წევრი წაუკითხავს და დაასწავლის ბავშვებს, მაგრამ ინგლისური სახელწოდებების სწორად წამკითხველ-წარმომატებლი ჯერ-ჯერობით დიდი იმვიათობაა ჩვენთან. ამიტომ ბლავილის, ყეფის, კნავილის და ა.შ. წაცვლად – ანდა მათ წინ – ბავშვმა უნდა გაიგონოს ცხოველთა სანიმუშოდ წარმოთქმული ინგლისური სახელწოდებები, თანაც წინადადებაში – it is a ... (ეს არის ...)

2. ტვინი მუშაობს სისტემურად, ამიტომ გაუმართლებელია სხვადასხვა, ერთმანეთთან არაფრით არდაკავშირებულ ცხოველთა ერთად წარმოდგენა. ცხოველები წიგნში უნდა განლაგდნენ თემატურად – გარეული ცხოველები, შინაური ცხოველები და მათი ნაშიერები, მწერები, თევზები და ა.შ.; თემის შიგნით კი

ქართული სახელწოდებები უნდა დაიწყოს ანბანურად, რაც ან-  
ბანის დაუფლებასაც წაადგება.

3. ტერმინი „მარტორქა“ მოულებელია ორი თვალსაზრისით.  
ჯერ ერთი, მარტორქა ერთორქიანს ნიშნავს, მაგრამ ეს ცხოველი  
ორორქიანიც არსებობს და ბუნებრივია, მას ორორქიან ერთორქიანს  
ვერ ვუწოდებთ. გარდა ამისა, ერთი თუ ორი რქა ამ ცხოველს  
ცხვირზე აქვს და მის სახელწოდებებში ყველა ენაზე, გარდა  
ქართულისა, ფიგურირებს სიტყვა ცხვირი. ამიტომ „მარტორქ-  
ის“ ნაცვლად უნდა ვიხმაროთ „რქაცხვირა“, მითუმეტეს რომ ამ  
სახელწოდების ხოჭოც არსებობს.

4. აქვე მინდა გაგაცნოთ ჩემ მიერ შედგენილი ქართულ, რუ-  
სულ და ინგლისურ ენათა შემსწავლელი დამხმარე სახელმძ-  
ღვანელო ზოოლოტოს სახით, რომელიც ბავშვებს ასწავლის  
ყველაზე გავრცელებულ ცხოველთა სახელწოდებებს აღნიშნულ  
ენებზე და ავარჯიშებს მათ ამ ცხოველების შესახებ შემეცნებით  
საუბრებში.

## პატონო პაკურ!

### სოფლის მეურნეობის მინისტრს პაკურ კვეზერელს

სოფელი, მართლაც რომ ბედისანაბარადაა მიტოვებული –  
არა აქვთ გზები, ტრანსპორტი, გამწევი ძალა, შხამ-ქიმიკატე-  
ბი, დენი, სანვაკ-სათბობი, პურის ფქვილი. ჩემისახება ქარსაცავი  
ზოლები და ვენახები, რამეთუ კიდეც რომ შეძლონ და მოსავა-  
ლი მოიყვანონ, ჩაბარებაც ჭირს და ანაზღაურების მიღებაც.  
იმერეთსა და რაჭაში ამას ემატება მიწისძვრით გამოწვეული  
დავარიულება, რომელთა აღდგენაზე აღარც არავინ ფიქრობს.  
მაშასადამე, საჭიროა:

1. გამოინახოს კრედიტები და შეიარაღდეს სოფლის მეურნე  
საჭირო მექანიზაციითა და შხამ-ქიმიკატებით.

2. შემუშავდეს მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდა-  
ციები სოფლის განაშენიანების, ამა თუ იმ ნიადაგზე ოპტიმალ-  
ური კულტურების დანერგვისა და ოპტიმალური მოსავლის მოყ-  
ვანისათვის.

3. მისახედი, და სანამ გვიან არაა, გასასწორებელია მიწის პრი-  
ვატიზაციაში დაშვებული უმსგავსობანი.

4. ცნობილია, რომ ჩვენი სასაზღვრო რაიონები ძირითადად  
არაქართველებითა დასახლებული და იქ ნაკვეთების ნორმე-  
ბი უფრო მეტია, ვიდრე ქართველებით დასახლებულ შიგა რე-  
გიონებში. უფრო მიზანშენონილი იქნებოდა დაგვეანგარიშებია  
მთელი ჩვენი სავარგულების საერთო მოცულობა და თანაბრად  
გაგვეუყო იგი მიწის მიღების მსურველთა საერთო რაოდენობა-  
ზე; რის შედეგადაც, შეგვეძლებოდა სასაზღვრო რეგიონებში  
გადაგვესახლებია შიგა რეგიონების ჭარბი მოსახლეობა – არა  
კომლის ძირფესვიანი გადასახლების, არამედ ახალგაზრდული  
ახალდასახლებების სახით.

5. საჩხერის რაიონში კარგი იქნებოდა, გარკვეულ ნაკვეთებ-  
ზე გაგვეშენებია კაკლნარი – მათ გაზრდამდე ნაკვეთი ყანად  
იმუშავებდა, შემდეგ კი მიღებული მოსავლის ბაზაზე ავამუშავებ-  
დით ზეთისახდელ ქარხანას.

### საქართველოს პრეზიდენტის ჰუმანიტარული დახმარება რუსეთს

სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო და ბატონ პუტინს, როგორც  
იქნა, გაახსენდა, რომ „მის“ ოსებსაც უყვართ პური.

სამწუხაროდ, ბატონი მაიოროვისა არ იყოს, მასაც გადაავიწყ-  
და, რომ „რუსი ოსები“ საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრო-  
ბენ; სხვა სახელმწიფოში ტვირთის შესატანად კი, საჭიროა ბაჟის  
გადახდა.

დიდხანს „ივანკა-სტანკავა“ და – ხან იხდიდა, ხან არ იხდიდა –

ადრესატი კი გულის ფანცქალით ელოდა თუნდაც ეშმაკისეულ ნობათს.

გამოსავალი ისევ პრეზიდენტმა სააკაშვილმა გამონახა და გაჭირვებულ რუსეთს თავისი ფონდიდან ბაჟი გადაუხადა.

## როგორც გიზირდეს, ისე გილეინდესო

თავისუფლებისათვის ადამიანი აკვანშივე იბრძვის, მაგრამ მას, ფეხადგმულსაც კიდევ დიდხანს არ შეუძლია დამოუკიდებელი არსებობა. არანაკლებ პრობლემატურია პატარა ქვეყნისა და ხალხის თავისუფლება, მითუმეტეს როცა მსოფლიო წესრიგის არქიტექტორები და დარაჯები – გაეროც და ნატოც ძალის წინაშე საპნის ბუშტებია, სამართალი კი ისევ მუშტებია.

აქედან გამომდინარე, ავბედითი შეცდომა იყო უენერგეტიკო, უპურო, უსაკუთარპურო, უჯარო, მინასა და იარაღს ზურგშექცეული და დისერტაციებს გამოკიდებული ახალგაზრდობის პატრონი და ეთნიკურად ჭრელი პატარა საქართველოს თითქოსდა ვაჟაპური, სინამდვილეში კი ელემენტარულად გაუთვლელი უარი გორბაჩივის წინადადება-მუქარაზე – შემოდით დასთ-ში და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემა არ გექნებათო.

მე შორსა ვარ იმ აზრისაგან, რომ რუსეთი რუსეთობას მოიშლიდა, მაგრამ მას იმ დროს სახელგადარქმეული იმპერიის რეანიმაციისათვის ყველაზე მეტად სწორედ მისი ერთ-ერთი ძირითადი დამანგრეველის, საქართველოს მხარდაჭერა სჭირდებოდა, და თუუ ჩვენ შემდგომ ჩათრევას მაშინვე ჩაყოლას ვამჯობინებდით, იგი ბუნებრივია აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში არათუ ომს, არამედ მის მიერვე ინსპირირებულ ამბოხებებსაც აღარ დაუშვებდა, და მაშასადამე არ დაიღვრებოდა ამდენი სისხლი, არ განხორციელდებოდა ქართველთა ეთნოწმენდა, არ განადგურდებოდა და გაიძარცვებოდა წლობით ნაგროვები და ნაშენები ქონება, არ გაჩერდებოდა ხშირად რუსეთზე განგებ

მიბმული ჩვენი საწარმოები, რაც თავიდან აგვაცილებდა ტოტალურ უმუშევრობას, მოსახლეობის გადატაკებას და მისი დიდი ნაწილის ლუკმა-პურის საშოვნელად ცხრა მთას იქით გადახვენას, და რაც მთავარია, ჩვენ გავაგრძელებდით, იგივე რუსეთის დახმარებით დაწყებული პიდროელექტროსადგურების მშენებლობას და გარკვეულილად მოვახერხებდით ჩვენი ეკონომიკის განმხოლებას და მის საკუთარ ფეხზე დაყენებას.

სამწუხაროდ ქართველი ყოველთვის ეფექტზე უფროა ორიენტირებული ვიდრე შედეგზე, რათქმაუნდა, ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეყუდნოდეს, მაგრამ სანამ ამ თავის პატრონობის თავი არ გვექნებოდა, არ უნდა დაგვვიწყნოდა წინაპართა შეგონებანი – მოთმინებითა შენითაო და მოჩქარეს მოუგვიანდესა და არ უნდა გაგვერისკა ასეთი სახიფათო ნაბიჯი და არ უნდა გაგველო ამხელა მსხვერპლი იმისათვის, რაც სხვა რესპუბლიკებმა მუქ-თად მიიღეს.

ახლა კი როცა, როგორც მოსალოდნელი იყო, „უფროსი ძმა“ უმაღურობისა და ღალატის ბრალდებით გვსჯის – დაპირებისამებრ გვანაწევრებს, თუ ერთ მუშტად არ შევიკარით და თუ მსოფლიოს საზოგადოებრიობამაც არ ან ვერ გვიშველა, ჩვენ ისედაც უკვე დასახიჩრებულ სხეულზე კიდევ რამდენიმე ძნელადმოსარჩენი იარა გაჩნდება და უარესიცა გაცხადებული კრემლის რუპორ ჟირინოვსკის პირით.

საუბედუროდ, სწორედ ეს გაუერთიანებლობაა ჩვენი აქილევსის ქუსლი, რადგანაც საქართველოში ყველას პრეზიდენტობა უნდა, და ერთმანეთის „გადასაჯოკრად“ ყველა თავის პარტიას აკონიქებს და საზღვარგარეთ გარბის მხარდამჭერთა მოსაპოვებლად; მხარდაჭერა კი არსად არ არის უანგარონ და მითუმეტეს მტრის ბანაკიდან.

ღმერთმა ქნას, მე ვცდებოდე და არა ის პოლიტიკოსები, რომელებიც გვარწმუნებენ, რომ რუსეთს დაელაპარაკებიან და მის მიერ ამდენი ოინბაზობითა და იარაღით მიტაცებულ ტერიტორიებს მშვიდობიანად დაგვიბრუნებენ. ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებსო, განა ცოტა ელაპარაკა მოსკოვს იგივე ნინო ბურ-

ჯანაძე, თანაც თავისი სპიკერობისას? განა პირდაპირ არ შეს-თავაზა კრემლს ბატონმა ზურაბ ჟვანიამ – ნუ გვეჩებულით და ალარ ვიქენებით იძულებული ნატოს მივმართოთო? და ბოლოს, როგორ არ უჩილიქა ენა და რაღა არ დაუთმო ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ „ჩრდილოეთის მზეს“, მაგრამ ყურსა ბამბისა!

სიტყვა რომ ზოგჯერ მახვილზე ბასრია, ამაზე არავინ დაობს. ასე რომ არ იყოს, დიპლომატია არც იარსებებდა. სიტყვის ძალა-ზე ნათლად მეტყველებს თუნდაც ჯოტიას არშემდგარი რეკორ-დიც. და აკი შოთაც გვასწავლის – გველსა ხვრელით გამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარიო! მაგრამ როცა გველი, უფრო სწორად კი გველებაპი თვითონაა გამოსული სამართლიანობის ნიღაბქვეში-დან და დემონსტრატულად გვანადგურებს?!

ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყურები ჩამოვყაროთ, ხელი ჩავიქნიოთ და აკანკალებული შევეჭმევინოთ ურჩებულს. ეს არც გამოსავალია და არც ჩვენი ისტორიის, კულტურისა და წინაპრე-ბის საკადრისი. როგორც ცხოვრება გვიჩვენებს, თავისით მხ-ოლოდ ცუდი მოდის, კარგისთვის კი ბრძოლაა საჭირო – თავგან-წირული ბრძოლა, რომელსაც ხელახლა უნდა მივეჩვიოთ.

პირველყოვლისა უნდა შევეშვათ „ხავსებს“, გავთავისუფლ-დეთ ილუზიებისაგან და შევწყვიტოთ მოკლეფეხებიანი მოლოდ-ინების თხზვა.

საბედნიეროდ, ძირითადმა ხავს-ილუზიამ დროზე გვიმტყუნა და დღეს აღარავის სჯერა, რომ მთელი მსოფლიო გიუდება ქართ-ველებზე და ყველა მზადაა ჩვენი გულისთვის აუტკივარი თავი შეუშვიროს რუსეთს.

მეორე ხავს-მოლოდინია რუსეთის დაშლა. რუსეთს შესწევს ძალა და უნარი ჩვენზე ადრე არ დაიშალოს, თანაც დაშლელი რუსეთი კიდევ უფრო დიდი საფრთხე იქნება ჩვენთვის, რამეთუ აღდგება ლეკიანობა და შემოგვესვიან შურისძიებით ანთებული უმართავი რუსი გენერლები და ათასი ჯურის ბანდფორმირებე-ბი.

მესამე ხავს-ილუზიაა, რომ ერთი ქართველი მტრის ათ მეო-მარს უდრის – ომშიც და სპორტშიც; მაგრამ ყოფილა პირიქითაც.

სხვათაშორის ნებისმიერი ხალხის ისტორიასა და ფოლკლორში ეს ხალხი ყოველთვის გმირადა წარმოდგენილი.

ცალკეული ბრძოლები რუსეთისათვის ჩვენ მოგვიგია 1921-შიც და 1992-შიც, მაგრამ ომს ჩვენ მას ვერ მოვუგებთ, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ რამდენი თავიც არ უნდა მოაჭრა ამ გველე-შაპს, მას ახალი თავების რეზტრვები არ გამოელევა.

როგორც წესი, რუსეთი ჩვენ ალყაში გვაქცევს და საზღვრის მთელ პერიოდზე გვიტევს – ხმელეთით, ზღვითა და ჰაერით, ჩვენ კი მას ბუნებრივია ყველგან ვერ დაგხვდებით, რადგანაც ამისათვის არც ცოცხალი ძალა გვყიფნის და არც შეიარაღება.

მეოთხე ხავს-ილუზიაა – ერთმორნმუნე რუსეთი საქართვე-ლოს არ გასწირავს, პატრიარქმა კირილმა აფხაზური და „სამხ-რეთ-ოსური“ ეკლესიების დამოუკიდებლობა არ სცნოვო. არ სცნო იმიტომ, რომ რა შედეგიც ამას უნდა მოეტანა, უკვე სახ-ეზეა, დეფაქტოა. ასე იქცეოდა კარგა ხანს თვით რუსეთის მთავ-რობაც, მაგრამ სათანადო ნიადაგის მომზადების შემდეგ მან 180°-ით შესცვალა თავისი ვერდიქტი და სწორედ მუსულმანთა ხელით გაგვულიტა, გაგვძარცვა და დევნილ-ლტოლვილებად გვაქცია. რუსეთის ერთმორნმუნეობის შთამბეჭდავი სახსო-ვარია მის მიერ აფხაზეთიდან აყრილ ქართველთა უკუბოო სა-ფლავებიც და სულაც უსაფლაო ნეშტები ჭუბერის ხეობაში.

მეხუთე ხავს-ილუზია – მსოფლიო თანამეგრობრობა საქა-რთველოს გასაჭიროები არ დატოვებსო. მეგობრობა ზიარ გობს გულისხმობს, მაგრამ ჩვენი „გობი“ – ჩვენი გეოპოლიტიკური მდებარეობა, მიუხედავად ბაქოსა და ერევანს შორის კარდაცუ-ლობისა, სულაც არ არის უალტერნატივო. და თუ ცნობილი ენერ-გოსადენები მაიც ჩვენ ტერიტორიაზე განლაგდა, ეს არამარტო და არაიმდენად ევროპასა და მასთან ერთად ჩვენზე ზრუნვა იყო, არამედ და კიდევ უფრო მეტად რუსეთის ჰეგემონისტური ზრახ-ვების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიება. ამავე მიზანს ემ-სახურებოდა კოსოვოც, რომელიც საგულდაგულოდ დაუმიზნეს რუსეთს, ჯერჯერობით კი მხოლოდ ჩვენ მოგვახვედრეს და ორი „კოსოვოც“ გაგვიშანშალეს.

იქმნება კონტექსტუალური შთაბეჭდილება, რომ 2008 წლის აგვისტოს ტრაგედიაც გარკვეულწილად ამერიკის „აქტივშია“, რამეთუ სწორედ ამერიკელებმა დაარწმუნეს მიხეილ სააკაშვილი მათ მიერ გაწვრთნილი ჩვენი ჯარის მაღალკუალიფიციურობაში და ფაქტიურად შეაგულიანეს და წააქეზეს ისედაც სულსწრაფი ჩვენი პრეზიდენტი ცხინვალზე საიეროშოდ, რაც როგორც ვიცით, სულ რამდენიმე საათში დამთავრდა ჩვენი სამარცხვინო კრახით, ამდენი ამაო მსხვერპლით და ამხელა ტერიტორიების, ამდენი სამოქალაქო ქონების და უახლესი სამხედრო ტექნიკის და რაც ყველაზე სავალალოა, ისედაც ოდნავ მბჟუტავი იმედისა და პერპექტივის დაკარგვით.

ნიშანდობლივია, რომ როცა აგვისტოს მოვლენებმა შესძრა და ერთხელ კიდევ აღაშფოთა ევროპა, ჯორჯ ბუში თავის სეხნია მცენარეებში მიიმალა და გაიტრუნა, ხოლო როცა ალაპარაკ-და მან მომხდარში თანაბრად დაადანაშაულა საქართველოც და რუსეთიც, რაც დღემდე უცვლელად მეორდება სათანადო საერთაშორისო შეზედრებასა და რეზოლუციებში.

იმ ცხელ დღეებში, მართლაც მთელ მსოფლიოში ბევრ-მა დაირქვა ქართველი, და რუსეთს შეუძახა, მაგრამ რუსეთის აგრძელის შეჩერება მხოლოდ სარკოზიმ შესძლო, რისთვისაც ის იყო მისთვის ძეგლი უნდა დაგვედგა, რომ იგი მოულოდნელად შეუხმატკილდა ჩვენ მტერ რუსეთს და უნიკალური სამხედრო გემისა და შვეულმფრენების მიყიდვას დაპირდა.

ბუნებრივია, არ გამართლდა ჩვენი პრეზიდენტის ამასწინანდელი დაქადნებაც – ველარ დაგვაჩოქებენო; რომ ვერ დაგაჩოქნ, თვითონაც არ უნდა დააჩოქო შენი ხალხი, არ უნდა აიგდო იგი აბუჩად, არ უნდა შელახო მისი თავმოყვარეობა და არ უნდა მიაყენო სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა; და ჯარში უნდა გაიწვიო ყველა პატრონიანიც და ჯარისკაცი უნდა დაარწმუნო, რომ მისი დაღუპვის შემთხვევაში მისი დაობლებული შვილები და დაუძლურებული მშობლები მზრუნველობის გარეშე არ დარჩებიან.

ერთ ბრძენს უთქვამს – საცოდავია ქვეყანა, რომელსაც

გმირები სჭირდებაო, ანუ ჯარისკაცი სახელისა და ჩინ-მედლები-სათვის კი არ უნდა იბრძოდეს, არამედ შინაგანი მოტივაციით, ე.ი. იმის ღრმა შეგნებით, რომ იგი ვალდებულია დაიცვას თავისი შვილების, ოჯახის, ნათესავ-მეგობრების, სამშობლოს უსაფრთხოება.

2008 წელი

## BACK TO THE JUNGLES?!

Psychologists have noticed that names greatly influence their patrons. And indeed – Medvedev is “bearson” in English and the white bear is famous for its extreme brutality.

In its turn, Vladimir means “hold the world”, which is the century-old dream of the Russian imperialist, who for the same reason have renamed the Ossetian capital Dzaujikau into Vladikavkaz - meaning “hold the Caucasus”. As to Putin, it is translated as a “tangler”.

No wonder this mentality is ready to sweep away whole nations and countries off its way to its satanic goal.

It's a pity the world hasn't learnt past lessons and it doesn't or can't take drastic measures to put out separate hearths till they grow into an all-embracing fire.

If Georgia had been heard in time and given those anti-tank and anti-aircraft facilities, the Russian monster might not have celebrated its dirty victory.

Unfortunately what is done cannot be undone, but now late as it is the world must use all possible political and economic levers to stop the Russian aggressors; but if it doesn't help, then the world must do the same on the Russian territory, what Russia has done on that of Ichkeria and Georgia.

Risky? – Extremely risky, but there is no other way to save civilization – freedom, democracy and human rights.

As to the future peace on the earth, and for the good of Russia itself, it must be aided both materially and spiritually; so that its soldiers should not butcher and insult and rob innocent civilians and that they should lose interest to second hand spoons and forks, and WC pans, and half-dry undies just from the clothes-lines.

One of the thousands of victims of the Russian aggression

October, 2008

## მითები, ზაქტიები და ვარაუდები

### გამოხმაურება მოარულ ხმებზე

თუ არა მიზანმიმართული უონგლიორობა, ძნელია ერთმანეთში აგვერიოს მიზეზი და საბაბი, შეცდომა და დანაშაული.

არადა, არც ბატონი ედუარდი და მითუმეტეს, არც ბატონი ზვიადი დაბადებულიც არ იყვნენ, როცა აფხაზეთის პრობლემა არსებობდა და 1921-დან 1931 წლამდე აფხაზეთი ისეთივე საკავშირო რესპუბლიკა იყო, როგორც დანარჩენი საქართველო, და თუ იგი მაინც დაბრუნდა საქართველოს იურისდიქციაში, ეს პირადად სტალინის დამსახურება იყო.

დღეს კი, როცა რუსეთი კვლავ ხელშეუშლელად გვანაწერებს, განტევების ვაცებს კი არ უნდა ვეძებდეთ, არამედ ერთ მუშტად უნდა ვიკვროდეთ და გამოსავალს ვპოულობდეთ.

ხოლო თუ ლინჩის მოყვარულნი მაინც არ იშლიან შავი სიის შეკონინებას, მასში პირველ ნომრად თვით ქართველი ერი მოხვდება, „ბერებიდან“ – სულ მცირე, ერეკლე მეორე, ახლო წარსულიდან კი – ბატონი ედუარდ შევარდნაძე, ბატონი ზვიად გამსახურდია და ამის დიდი შანსი აქვს ბატონ მიხეილ სააკაშვილსაც.

რა პარადოქსულადაც არ უნდა უღერდეს, კონფლიქტებისა და განვითარების წყარო ერთი და იგივეა. ესაა ადამიანის ძალისხმე-

ვა მოიხვეჭოს მეტი და უკეთესი ვიდრე აქვს, და მაშასადამე, ეს პროცესი უსასრულოა, ადამიანს სულ მუდამ რაღაც აკლია, რისი „მიზეზიც“, როგორც წესი, ყოველთვის სხვაა. ეს სხვა კი აფხაზებისა და ოსებისათვის „უფროსი ძმის“ შთაგონებით, აღმოვჩნდით ჩვენ, ქართველები.

ცხოვრება რა თქმა უნდა, არ არის მხოლოდ განცხრომა; განვითარება, ცხადია არ არის უმტკივნეულო და ყველაფერი ეს ბუნებრივია, არ არის განპირობებული მხოლოდ ობიექტური ფაქტორებით, მაგრამ როცა ოჯახში ვინმეს რამე ეშლება გონიერება გვმართებს არ ავყვეთ საეჭვო ჩარევებს და არ გავუმწაროთ სიცოცხლე და არ დავუმძიმოთ განსაცდელი ბრალეულს, თუ არ გვინდა მას უარესისკენ ვუბიძოთ.

საქართველოს, ღვთის მადლით, სხვისგან საპატიებელი, არაფერი არ სჭირს, რამეთუ მას ჯერჯერობით არც ტოლერანტობა შეშლია, არც სტუმართმოყვარეობა და არც სხვებისათვის ხელის გამართვა.

ამიტომ თვალახვეულთა, გონებამოწამლულთა და უმადურთა გასაგონად, არა სასაყვედუროდ არამედ მეხსიერების რეანიმაციის მიზნით უნდა ითქვას, რომ თბილისი ყოველთვის ამიერკავეასიის ინტელიგენციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერა და სამჭედლო იყო და მისი სამეცნიერო და სასწავლებო დაწესებულებებისავსებით მართებულად ღია იყო ჩვენი მოძმე ხალხების ახალგაზრდობისათვის; მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ეს კარი აფხაზეთელი და სხვა პროვინციელი ქართველებისათვის ნამდვილად დახმული იყო, „ჩანყობის“ გარეშე. ერთმა პროფესორმა ეს სიტუაცია ასე განმარტა – თქვენ აფხაზებს რას უყურებთ, მათ მეტი არ მოეთხოვებათ, თქვენგან კი იმიტომ ვითხოვ მუშაობის სტაჟს და ამდენი წიგნის სათითაოდ ჩაბარებას, რომ ჩვენ ნამდვილი მეცნიერები გვჭირდებაო. ადვილი შესამჩნევია რამდენი არასაკადრისია ნაკადრები ამ პროფესორის მიერ ჩემს მოსაგერიებლად ნათქვამ ამ ერთ წინადაღებაში! ახლა დავუბრუნდეთ თხრობას.

ჯერ კიდევ ახლადდაარსებულ თბილისის უნივერსიტეტში,

დიდი ივანე ჯავახიშვილის მოწვევით აფხაზურ ენას, ლიტერატურას და ისტორიას კითხულობდა აფხაზური ლიტერატურის და ისტორიოგრაფიის ფუძემდებელი დიმიტრი გულია. აქვე ქალბატონ ქეთევან ლომთათიძის მიერ დაარსებულ აფხაზური ენის განყოფილებაზე აღიზარდა არაერთი აფხაზი ლინგვისტი, რომელთაგან ორმა – ბატონმა შოთა არისთავამ და ქალბატონმა ლიდია ჭვადუამ სახელმძღვანელოებიც გამოსცეს აფხაზური ენის ფონეტიკასა და გრამატიკაში თავიანთი მასწავლებლის ლექციების მიხედვით.

ერთ რომელიდაცა წელს, სოხუმის VI საშუალო სკოლის მასწავლებელს, ცნობილ საზოგადოებრივ აქტივისტს, ბატონ გრიმა კახაძეს, სოხუმიდან თბილისში ჩამოაყანინეს 83 აბიტურიენტი, ძირითადად აფხაზობა და ისინი უკონკურსოდ დაარიგეს უმაღლეს სასწავლებლებში.

თვით ქართველთა დიდმა „მეგობარმა“ ვლადისლავ არძინბამ სადოქტორო დისერტაცია თბილისში, ბატონ თამაზ გამყრელიძის ხელშეწყობით დაიცვა და არა მოსკოვში, სადაც იგი იმხანად მუშაობდა. არძინბამ თავის კეთილისმყოფელს მაღლობა იმით გადაუხადა, რომ როცა ბატონი თამაზი ჩვენს დელეგაციას გუდაუთაში ჩაჰყვა, იგი მოლაპარაკების მაგიდას არ გააკარეს და მეზობელ ოთახში გამოკეტეს შემანუხებლი მეზობლის ბავშვით.

მსოფლიოში ერთადერთი აფხაზურენოვანი დისერტაცია თბილისშია დაცული. ეს იყო სოხუმის პედინსტიტუტის, შემდგომში კი აფხაზეთის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის უცვლელი დეკანის პავლე არძინბას საკანდიდატო დისერტაცია, რაც მანაც, თავისი ბიძაშვილივით „დაგვიფასა“. თითქოს და აფხაზები კმაყოფილი უნდა ყოფილიყვნენ ამ შეღავათებით, მაგრამ აღმოჩნდა რომ მათში უკვე სულ სხვა განწყობა სუფევდა. მახსოვს ერთხელ ოჩამჩირები, ერთ აფხაზ ქალბატონს შვილის თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში ჩარიცხვა მიუღლოცეს და მან მაღლობა კი გადაუხადა მიმღლოცველს, მაგრამ სინანულით დასძინა – კარგია, მაგრამ ჩემს შვილს იმ მხეცებში რა გააძლებინებსო.

მეორე ინციდენტი გვიჩვენებს როგორ დაატოვებინა ქართულის „სიყვარულმა“ ქართველი გოგონებისათვის სანუკვარი უცხო ენათა ინსტიტუტი, ცნობილი აფხაზი პოეტის, სხვათა შორის შესანიშნავი მექართულის და ნამდვილი ინტერნაციონალისტის, პლატონ ბებიას ქალიშვილს, რომელმაც თურმე შესვენებაზე თავის თანაკურსელებს უსაყვედურა – სადაც არ უნდა წახვიდე, სულ ქართული ისმის და აქ მაინც მელაპარაკეთ რუსულადო, რაზეც მას მიუგეს – თვითონ უნდა ისწავლო ქართულიო. ამ ამბავს ისეთი პოლიტიკური ხმაური მოჰყვა, რომ საქართველოს კომპარტიის ცეკამ თავისი ფეხით ჩაარბენინა ინსტიტუტის რექტორი სოხუმში გაქცეული სტუდენტის უკან დასაბრუნებლად.

მესამე კურიოზი თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში მოხდა. 1992 წლის გაზაფხულზე, ომის დაწყებამდე სამი თვეით ადრე, აფხაზმა სტუდენტობამ მოულოდნელად ინსტიტუტი დატოვა და აფხაზეთში დაბრუნდა. საქართველოს კომპარტიის ცეკამ ახლაც აფრინა ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლები სოხუმში სტუდენტების დასაბრუნებლად, ანდა გამოცდების ადგილზე ჩასატარებლად, რაზეც სტუდენტებმა უარი განაცხადეს – ჩვენ უკვე ჩარიცხული ვართ დასში და თქვენი დიპლომები აღარ გვესაჭიროებაო.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ თბილისში დაფრთიანდა ამიჩბების მთელი ოჯახი; აქ ისწავლეს და გაკანდიდატდნენ ვალენტინა სარია და გიორგი ამიჩბები, ხოლო მათმა უმცროსმა ძმამ ბორისმა მეორე სპეციალობა მიიღო თბილისის კონსერვატორიაში და მთელი წელი სტაუირებდა ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში, სადაც მას თავს ევლებოდნენ.

ნიშანდობლივია, რომ სწორედ პავლე არძინბამ და ვალენტინა ამიჩბამ გააშანშალეს საგაზეთო წერილი ქართველთა „აგრესიის“ შესახებ აფხაზებს ყელში ამოუვიდათ ჩაგვრა და რკინიგზის დასაცავად შემოსულ ქართულ მილიციას ესროლესო. ეს უკანასკნელი ფრაზა ავტორებს ნიშნისმოგებით ჯიქურად წამოსცდათ, თორემ მანამდე რუსები და აფხაზები

ერთხმად გაჰყვიროდნენ – პირველად ქართველებმა გაისროლეს და ომიც მათ დაიწყესო.

სამოქალაქო ომები არსად და არასოდეს არ ყოფილა იშვია-თობა, მაგრამ ეს გასროლა, შეიძლება ითქვას, დაპროგრამებული იყო იმ დროიდან, როცა რუსმა ავტონომიები „გაგვიხერხა“ და რუსულმა მითოლოგიამ აფხაზი დაარჩმუნა, რომ ქართველმა მას ანბანი წაართვა და ახლა მინასაც ართმევს და ენასაც. სწორედ ასე განაცხადა ამ რამდენიმე წლის წინათ ნალჩიკში გამართულ ხალხმრავალ მიტინგზე აფხაზური მოძრაობის ერთ-ერთმა სულისჩამდგმელმა თამარა შაყრილმა, რომელიც სხვათა შორის, მოგვიანებით ისევ აფხაზის ტყვიამ იმსხვერპლა. ასევე პოლიტიკური ტყვიის წერა გახდა აფხაზური მოძრაობის კიდევ ერთი აქტივისტი, ზურაბ აჩბა, რომელმაც რიხიანად დაგვმოძლვრა – დროა შეიგნოთ, რომ აფხაზეთი რუსეთიაო; მაგრამ როდესაც მას ეს შეძახილი სათანადოდ არ დაუფასეს, განბილებულმა აღიარა – რუსეთს აფხაზეთი მხოლოდ საქართველოს წინააღმდეგ ხელკეტად უნდაო.

რაც შეეხება ანბანს, მსოფლიოში 5400-ზე მეტი ენა და მხოლოდ 14 ანბანია, რომელთა შორისაა ჩვენი უნიკალური ქართული ანბანიც. ანბანდაკარგული ხალხები ისტორიამ არ იცის, უთავისანბანო ხალხები კი, როგორც ვხედავთ, უამრავია. წარმოუდგენელია ანბანი წაგართვან და მასზე დაწერილი ერთი ბნერიც არ შემოგრჩეს. ხოლო თუ ასეთი სასწაული მაინც მოხდა, ვინ გიშლის იხმარო შენი „ყოფილი“, შენი ფონეტიკისათვის უფრო შესაფერისი ქართული ანბანი? რა ჭირად გინდა ათასკუდმობმული და რქებდადგმული რუსული?!?

ენა მართლაც ღვთით მომადლებული განძია, რომელიც როგორც აზროვნების იარაღი, როგორც სინამდვილის ასახვის, აზრის გამოხატვის, და მაშასადამე, ურთიერთობის საშუალება, მისი მატარებელი ხალხის ეროვნულობისა და თვითყოფადობის დედაბურჯი და ერთგვარი ჯავშანია. ამიტომ ყოველი თავმოყვარე, მაგრამ უბედობით ხელქვეითი ხალხი თავგამოდებით ცდილობს თავისი ენის შენარჩუნებას, ზემდგომი ხალხი კი – ხე-

ლქვეითი ხალხის თავის ენაზე ალაპარაკებას. ამიტომვე, ოღონდ მხოლოდ ეკონომიკური მოსაზრებით, შეიქმნა ესპერანტო და სხვა საერთაშორისო ენები და ამიტომ გეგმავდა საპჭოთა კავშირი მთელი მსოფლიოს „განითლებასა“ და გაერთეროვნებას, სცენარით – ჯერ მომიჯნავე ქვეყნის ენები უნდა შეჯვარებულიყვნენ რეგიონალურ ენებად, შემდეგ კი რეგიონალური ენების შეჯვარებას უნდა ეშვა ერთი მსოფლიო ენა. სწორედ ამ გეგმის მიხედვით მოკავშირე რესპუბლიკებში ერთმანეთთან „საჭიდაოდ“, თუმცა წინასწარ ცნობილი შედეგით, დაშვებული იყო ორი სახელმწიფო ენა – ფავორიტი რუსული და მარცხისათვის განწირული რესპუბლიკის ენა, რომელიც საქართველოში ბუნებრივია ქართული იყო და მთელი მოსახლეობა ან ქართულ სკოლაში სწავლობდა, ანდა რუსულში.

მაგრამ საბჭოთა ხელისუფლება ამ შეჯვარების ფინალს აღარ დაელოდა და მთელ საბჭოეთში ერთადერთ სახელმწიფო ენად პროგრამით გათვალისწინებული „გამარჯვებული“ რუსული ენა გამოცხადდა, რაზეც, ნებსით თუ უნებლიერ ყველა რესპუბლიკა ყაბულდებოდა, რომ არა საქართველო, რომელიც ამ ზღვარგადასულ ძალმომრეობას გადაულახავ ზღუდედ აღუდგა წინ, რაშიც თავისი წვლილი არ უნდა დავუვინწყოთ ბატონ ედუარდსაც.

ამჯერად მოსკოვმა უკან დაიხია, მაგრამ უმაღვე კიდევ ერთ ვერაგულ გამოსავალს მიაგნო და ე.წ. ერთა თვითგამორკვევის „გარნირით“ ავტონომიებს ენის არჩევის ნება დართო. ამით რუსეთი ერთდროულად ერთი მიმართულებით მიმავალ ორ კურდღლელს გამოეკიდა და წარმატებითაც, რამეთუ ავტონომიებში ამ სეპარატისტული მუხტის ჩატუმბვით მან მძლავრი ლაგამი ამოსდო ავტონომიების „პატრონ“ რესპუბლიკებს, ავტონომიების ხალხები კი პირდაპირ გაუყენა რუსიფიკაციის შარაგზას, რადგანაც ავტონომიებს თავისი ენა მხოლოდ დაწყებით კლასებში ყოფნით, მეხუთე კლასიდან და ზემოთ კი, სათანადო ტერმინოლოგიების, სახელმძღვანელოებისა და მასწავლებელთა კორპუსის უქონლობა-უყოლობის გამო ისინი იძულებული არიან ყველა საგანი თავისი ენის გარდა, რუსულად ასწავლონ და ისწავლონ.

კრემლი მაინც უკმაყოფილო და შეშფოთებული იყო თავისი იმპერიის ხალხთა ენობრივი ასიმილაციის ტემპით.

ერთხელ ერთმა რუსმა მაღალჩინოსანმა, იმჟამად პენსიონერ-მა და ბავშვთა ფილატელიის პრეზიდენტმა, ვინმე კურექმა გამიმხილა – თქვენ ქართველები ყველაზე თავისუფლებისმოყვარე ხალხი ხართ – ყველა რესპუბლიკა ავალაპარაკეთ რუსულად, თქვენ კი ვერაფერი მოგიხერხეთო.

ასევე მსუ-ს ინგლისური ენის კათედრის გამგემ, პროფესორმა ოლგა ახმანოვამ, კათედრაზე მოწვეულ ბრიტანელ პროფესორს გულისტკივილით „გაანდო“ – ჩვენთან არის ასეთი ხალხი, ქართველები, რომლებიც დაშინებით მოითხოვენ დისერტაციებიც ქართულად წერონო.

რაც შეეხება კონკრეტულად აფხაზურ ენას, მისი შევიწროება საქართველოს არც არასოდეს დასჭირვებია – აფხაზეთის სამთავროს ოფიციალური ენა ისედაც ყოველთვის ქართული იყო, საბჭოთა პერიოდში კი ენების საკითხს, როგორც უკვე აღინიშნა, მოსკოვი განაგებდა და არა თბილისი.

ძალა აღმართს ხნავსო და ბევრმა ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა. რაც შეეხება აფხაზსა და ოსს, მათი „თავისუფლებისათვის“ ბრძოლა იმ ვოლიერში შეგდებულ ბოცვრის საქციელს წააგავს, რომელსაც კობრას დაღებული პირი თავშესაფარ სოროდ ეჩვენება და თვითონ უხტება ხახაში მტაცებელს.

აფხაზები აცხადებენ – ნაკადულში დახრჩობას ზღვაში დახრჩობა გვირჩევნიაო. კაცია და გუნება, თორემ ბინძური ზღვა ნამდვილად ვერ მოვა კამკამა ნაკადულთან. ისე მეტი რომ არა ვთქვათ, ცოტა უხერხულია შევიწროებაზე ლაპარაკი, როცა მაქსიმუმ 95 ათასი კაცი ნახევარმილიონიან ავტონომიას მართავ, ფართოდა ხარ ნარმოდგენილი რესპუბლიკის ცენტრალურ ხელისუფლებაში, წერ, კითხულობ, ბეჭდავ და მაუწყებლობ შენს ენაზე, მაშინ როდესაც შენი ჩრდილოკავკასიელი ნათესავები დიდი ხანია რუსიფიცირებული არიან.

საინტერესოა, რომ ჩვენს წინააღმდეგ გაერთიანებული აფხაზი და ოსი რადიკალურად განსხვავებული მოტივაციებით გა-

მოდიან: აფხაზი ამბობს – ეს მიწა ჩემია, რადგანაც აბორიგენი მე ვარო, ოსი კი აღიარებს – მე აბორიგენი არა ვარ, მაგრამ მიწა ჩემია, რადგანაც მე მასზე ვცხოვრობო. აქ ბატონ ბორის ჩოჩიევს უნდა შევახსენოთ – კი ბატონო, მიწა შენია, მაგრამ საცხოვრებლად და არა რუსეთისათვის მზითევში მისართმევად. თანაც თუ ეგ თქვენი სიყვარული წრფელი და ორმხრივია, რაში სჭირდება ამხელა აუთვისებელი ტრამალების მქონე რუსეთს აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთში“ ჩასიძება?

მე ისტორიკოსი არა ვარ, თუმცა არცა აქვს აზრი პოლიტიკური მიწათმოწყობის მიზნით საუკუნეების ბნელეთში ჩაკირკიტებას, იმდენჯერა ეს ჩვენი დედამიწა გადაზომილ-გადმოზომილი.

ის კი არა, შეიძლება ითქვას, ჩვენს თვალწინ შეიქმნა აშშ, მაგრამ როგორ გინდა ეს ხალხი დიდ ბრიტანეთში დაბრუნო, შემდეგ კი ისევ მატერიკზე?

რა თქმა უნდა უსამართლობაა ორად გახლეჩილი კვიპროსი, ირლანდია, კორეა, ის რომ სამ ქვეყანაში განფენილ, მრავალრიცხოვან ქურთს თავისი სახელმწიფო არა აქვს, ის რომ ნახევარი სომხეთი თუქეთს უპყრია, ნახევარი აზერბაიჯანი – ირანს, და რაღა შორს წავიდეთ, ჩვენი საქართველოც ხომ ნაპირებშემოგლეჯილი შაგრენია!?

სამწუხაროდ, დღეს მსოფლიოს რუკის სამართლიანად გადაწერის მშვიდობიანი მექანიზმები არ არსებობს, ამიტომ მოთმინება და გონიერება უნდა გვეყოს არ ავყვეთ ცდუნებას და მაცდუნებელს და არ ვხოცოთ ერთმანეთი, სანამ შექმნილი სიტუაციიდან ცივილიზაციული გამოსავალი არ მოძებნილა.

რაც შეეხება ისტორიულ კვლევა-ძიებას, ისტორიულ წიაღსვლებს – თუ სად და როდის გაჩნდა სიცოცხლე, თვით ადამიანი და რა გზა გამოიარა კაცობრიობამ დღევანდელობამდე, ამას უდიდესი მეცნიერული ლირებულება აქვს და იგი „მტერ-მოყვარის“ პატიოსანი თანამშრომლობის რეზიმში უნდა მიმდინარეობდეს.

ჩემი აზრით არც ქართველია მართალი და არც აფხაზი, როცა ისინი ისტორიულ აფხაზეთში ერთმანეთის არსებობას უარყოფენ,

რადგანაც თუ ეს ასეა, საიდან გაჩნდა მაშინ ამდენი ნაქართველარი აფხაზი და ამდენი ნააფხაზარი ქართველი ამ ტერიტორიაზე?

აფხაზური სეპარატიზმისათვის საფუძველგამომცლელი ეს ფაქტი იმდენად თვალში საცემია, რომ თვით ნიჭიერმა აფხაზმა, ფილოსოფოსმა ოლეგ დამენიამ სხვა ვერაფერი მოიგონა და მაშინდელი სოხუმის პედინსტიტუტის ქართული ენის კათედრის გამგესთან, ბატონ ითარ მიქიაშვილთან საუბარში ასეთი უსუსური თბზულება განავითარა – ჩვენ, აფხაზებს გვარები არ გვქონდა და ქართველებმა შეგვარქვეს თავიანთი გვარებით. ბარაქალა იმ ქართველობას, მაგრამ რაში დასჭირდათ მათ ეს ქველმოქმედება და როგორ განახორციელეს ეს მასიური ღონისძიება ორგანიზაციულად, მითუმეტეს თუ ისინი აფხაზეთის ტერიტორიაზე არ ბინადრობდნენ?!

აფხაზეთის ტოპონიმიკა ქართულიცაა და აფხაზურიც, ზოგჯერ – სინონიმური, რაც მოცემული ადგილის მოსახლეობის ეთნიკური შედგენილობის ცვალებადობაზე მიუთითებს.

საგულისხმოა, რომ სოხუმის უძველესი სახელწოდება დიონსკურია ისევე სარწმუნოდ იშიტორება მევრულად, როგორც ბერძნულად. ამ დასახლებას შემდგომაც ხარგა ხანს ერქვა ქართველური სახელი ცხუმი (რცხილა, რცხილნარი), საიდანაც შეიძლება მომდინარეობდეს მისი დღევანდელი სახელწოდებაც.

აფხაზეთის ეკლესია-მონასტრების არქიტექტურა და კედლების თავდაპირველი მოხატულობა და წარწერები ქართულია. ყველაზე მეტი ქართული წარწერა დაფიქსირებულია დღეს წმინდა აფხაზური სოფლის ლიხნის მონასტრში. აქედან გამომდინარე საკითხავია – თუ აქ ქართველები არ სახლობდნენ და მითუმეტეს, აქაურობას არ განაგებდნენ, ვისთვის აშენდა ეს ტაძარი და როგორ დაუშვეს წარმართმა თუ მუსულმანმა აფხაზებმა ეს, სეპარატისტთა აზრით „რელიგიური ექსპანსია“, როცა მართლმადიდებლობა თვით ქართველებშიც, ზოჯერ ცეცხლითა და მახვილით იკაფავდა გზას.

რბილად რომ ვთქვათ, დაუსაბუთებელია განცხადება, რომ აფხაზუა სხვა იყო და აფხაზი სხვა, რომ თავდაპირველი აფხაზი

ისეთივე ქართველი იყო, როგორც მეგრელი, სვანი, იმერელი და ა.შ., რომელიც შეერწყა ჩრდილო კავკასიოდან გადმოხვეწილ აფსუას, გაუზიარა მას თავისი სახელწოდება, თვითონ კი მის ენაზე ალაპარაკდა.

ჯერ ერთი, როგორც წესი, ყოველი ხალხი თავისთავს უწოდებს ერთს, სხვები კი მას სულ სხვანაირად მოიხსენიებენ. ჩვენც ხომ მხოლოდ თვითონ ვუწოდებთ თავს ქართველებს, სხვებისათვის კი ვართ ვრაცუები, ქაფარები, გრუზინები, გურჯები, გეორგიანები, ხეორხიანები და ვინ იცის კიდევ ვინ? და მეორეც, როგორ გაქრნენ ისე უკვალოდ ეს ქართველი აფხაზები, რომ არც მათ სპეციფიკურ გვარებს, არც ენას, თუ ქართულის დიალექტს ჩვენამდე არ მოუღწევია? დღევანდელი აფხაზეთელი ქართველი კი, სინამდვილეში ან მეგრელია, ან სვანი, ან იმერელი და ა.შ., ძირითადად კი მეგრელი.

ასევე ლიტონისიტყვაობად უდერს ანჩაბაძეებისა და შერვაშიძეების ქართველებად გამოცხადება, რის გაზიარებასაც, სულ მცირე, ორი რამ უშლის ხელს – თვით ამ ხალხის ეროვნული თვითშეგნება და მათი მეორე, აფხაზური გვარები – ანჩაბაძეები აჩბებია, შერვაშიძეები კი – ჩაჩბები, ალბათ ვინმე „შერვაშ“ ჩაჩბას შთამომავლები, თორემ რა კავშირი უნდა ჰქონდეს ჩაჩბას შერვაშიძესთან?

სავარაუდოა, რომ ახლო-მახლო არსებულ ერთადერთ ელიტარულ, ქართულ საზოგადოებაში ინტეგრირებისას, აფხაზმა თავადაზნაურობამ თვითონ შეირქვა, ანდა დაიკანონა მათვის შერქმეული ქართული გვარები.

რატომ უნდა გვეხამუშებოდეს ჩვენ დავუშვათ, რომ ძველი სამეგრელოს თუ კოლხეთის ამ ტერიტორიას ადრევე დაეპატრონენ ჩვენს მიერ აფხაზებად წოდებული აფსუები და იქიდან მოყოლებული ისინი გამუდმებით და გარდამავალი წარმატებით ებრძოდნენ ტერიტორიის ყოფილ პატრონებს – მეგრელებს, რასაც ციხე-სიმაგრეთა და კედელ-ზღუდეთა სხვადასხვა ადგილას შემორჩენილი ნანგრევებიც ადასტურებს. ასეთი პრეცედენტები უამრავია მსოფლიოში. სახელწოდებები – ინგლისი (England)

და ინგლისელები და ინგლისური (English) ამ კუნძულზე შემოიტანეს დამპყრობელმა ანგლებმა (Angles), მანამდე ეს იყო კელტების ქვეყანა, უფრო ადრე კი – იბერების. აზერბაიჯანი წინათ ალბანეთი იყო, სულ სხვა ქვეყანა და სულ სხვა ხალხი.

უაზრო აზრია – აფსუებს აქ, ზღვასთან რომ ეცხოვრათ, თევზების სახელწოდებები ექნებოდათ, რადგანაც უწყლო და მაშასადამე, უთევზო ადგილას არავინ არ ცხოვრობს. ხოლო როგორ აისახება ენაში თევზი თუ სხვა რომელიმე ცხოველი, საგანი ან მოვლენა – მხოლოდ ზოგადად ე.ი. ჰიპერონიმებით, მხოლოდ სახეობებად ე.ი. ჰიპონიმებით, თუ ასეც და ისეც, ეს დამოკიდებულია ხალხსა და ენაზე და არა გარემოზე.

სინამდვილე, სამყარო ერთია ყველასათვის, მაგრამ სხვადასხვა ხალხი რომ მას ერთნაირად „ხედავდეს“, ანაწევრებდეს და სახელდებდეს, სხვადასხვა ენები კი არა, ერთი და იგივე ენის სხვადასხვა დიალექტები გვექნებოდა.

სახელდობრ, აფხაზურს აქვს ზოგადი სახელწოდება „აფსიდ“ (თევზი), სხვადასხვა სახეობათა აღსანიშნავად კი აფხაზი ბარბარიზმების სახით იყენებს რუსულ და ქართულ ნომენკლატურას, რომელთაგან ორი ნასესხობის სახით უკვე ჩარიცხულია აფხაზური ენის ლექსიკურ ინვენტარში. ესენია – ახამსია (ქაფშია), რომელიც ზღვის თევზის აღნიშნავს და აკალმახ (კალმახი), რომელიც მდინარის ერთ-ერთი თევზია.

ცხადზე ცხადია, რომ ეს ფსევდოარგუმენტი სადაურობის დამადასტურებელ საბუთად არ გამოდგება, მაგრამ მან ისე დააფაცურა აფხაზები, რომ ჯერ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა გიორგი ძიძარიამ გამოაქვეყნა სტატია აფხაზთა ზღვაოსნობის შესახებ, შესაბამისი ტერმინების დასახელებით, შემდეგ კი აფხაზეთის კომპარტიის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა, მიხეილ ბლაუბამ შეადგინა და გამოსცა თევზების აფხაზური ტერმინოლოგია.

საერთოდ, უნაკლო არავინ და არაფერია, მაგრამ ამ ნაკლის საცინად აგდება არანაკლები ნაკლია, რომელსაც უტაქტობას უწყლოდებენ.

ასეთი უტაქტობა გამოუვიდა ერთ ჩვენს აკადემიკოსს, როცა მან განაცხადა – აგასტრანომ, ატეატრ – ეს რა ენააო და თავი კი არ შეიწუსა სხვა სიტყვები მანიც მოექცინა, რადგანაც ამ ნასესხობებს ჩვენც ვხმარობთ, იმ განსხვავებით, რომ აფხაზურში ისინი იწყება „ა“-თი, ქართულში კი ბოლოვდება „ი“-თი, და მაშასადამე, ისმის კითხვა – რით სჯობს ქართული სახელობითი ბრუნვის ნიშანი „ი“ – აფხაზურ თავსართ „ა“-ს?

დღევანდელი მსოფლიოს წესრიგი და საერთაშორისო სამართალი არა და ვერ უშვებს აპორიგენობის მიხედვით მსოფლიოს ხელახალ გადანაწილებას. ეს უაღრესად ძნელი, თითქმის შეუძლებელი და უკიდურესად საშიშია.

თუმცა, სამწუხაროდ, დღეს იკვეთება ამის პრეცედენტი კოსოვოს სახით, რაც აუცილებლად გამოიწვევს ჯაჭვურ რეაქციას და კაციობრიობას მიიყვანს მესამე და კატასტროფულ მსოფლიო ომამდე.

ტყუილად ჰვინიათ ძლიერთა ამა ქვეყნისათა, რომ ისინი შეძლებენ ამ ხანძრის ქვედა სართულზე ლოკალიზებას, სადაც მხოლოდ პატარა ერები განადგურდებიან და დედამიწა ამ ზედმეტი „ბალასტისაგან“ გათავისუფლდება.

ასეა თუ ისე, ჭეშმარიტი ე.ი. კომპეტენტური და მიუკერძოებელი ისტორიკოსების საქმე და ვალია დადგინდეს როგორ გადაიკიდა კავკასიონზე ოსური და აფხაზური „ხურჯინები“, კერძოდ აფსუა-აფხაზებმა ჩამოივაკეს კავკასიონის გადაღმიდან, თუ მათი სისხლხორცი და მათი ენის დიალექტზე მოლაპარაკე აბაზები გადარეკა ვინმემ კავკასიონს გადაღმა? საერთოდ, მთა იმდენს ვერ კვებავს, რამდენსაც აჩენს და მთიელთა სწრაფვა ბარი-საკენ ბუნებრივი პროცესია, საპირისპირო მოძრაობა კი ძალდატანების გარეშე არ ხდება.

თვითონ აფსუა-აფხაზები თავს მთიელებად და ჩრდილო კავკასიელთა ნათესავებად მიიჩნევენ და ცნობილ აფხაზ პოეტს ბაგრატ შინკუბასაც ერთხელ უთქვამს ბატონი გენო კალანდიასათვის – ჩვენ აქ მხოლოდ ორი თუ ოთხი კომლი ვართ, ჩრდილო კავკასიაში კი – შინკუბები მთელი სოფელიაო.

როგორც ცნობილია, ურჩმა კავკასიელებმა და მათ შორის აფხაზებმა უდიდესი ტრაგედია გადაიტანეს ჩრდილო მეზობლის-გან, რომელმაც ისინი მიწასთან გასწორა და მაპაჯირებად აქცია.

ამ მწარე გამოცდილებით „ჭკუანასწავლმა“ და დამოუკიდებლობის ეიფორიაში შეტყუებულმა აფხაზმა რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ გაჩაღებულ ომში ძლიერის მხარე დაიჭირა, მისი იარაღობა იკისრა და ფეხებზე დაიკიდა არამარტო თავისი მოძმე, საუკუნების მანძილზე თანამცხოვრები და დანათესავებული ქართველი, არამედ თავისი ღვიძლი ჩრდილო-კავკასიელი ნათესავებიც, რომლებიც რუსეთის უღელქვეშ გმინავენ.

სტრუქტურული თვალსაზრისით, სახელმწიფო თუ სახელმწიფო ბრივი წარმონაქმნი ორი ძირითადი ფენისაგან შედგება. ესენია – მმართველი უმცირესობა და მართული უმრავლესობა. როგორც ზედა, ისე ქვედა ფენაში ადამიანთა სამი ჯგუფი გამოიყოფა: 1. ნამდვილი პატრიოტები, რომელთაც ფანატიკურად უყვართ თავისი ქვეყანა და ზრუნავენ მასზე, 2. ცრუპატრიოტები, რომელთაც მხოლოდ თავისი ოჯახი ადარდებთ და ყველაფერზე მიღიან მისთვის, და 3. კოსმოპოლიტები, ძველი ტერმინოლოგით – ინტერნაციონალისტები, რომელთაც ყველა ქვეყანა და ხალხი ერთხაირად უყვართ, მაგრამ შეიძლება ითქვას, ეს სიყვარული პლატონური და ინერტულია.

სოხუმის და ცხინვალის დე-ფაქტო ხელისუფლებებში სწორედ მეორე ტიპის პატრიოტ-სეპარატისტები სჭარბობენ, რომლებიც თუ არა რუსული კაპიტალი და ტანკი, სათავეში ვერ იტივივებდნენ, ამიტომ რამდენიც არ უნდა ელაპარაკო მათ და რა ალტერნატივაც არ უნდა შესთავაზო, მათთვის ყველა სხვა ვარიანტი წამგებიანია და ისინი ყოველნაირად შეეცდებიან ხელთვებულის შენარჩუნებას.

ქართველი კაცის ტოლერანტობის ერთგვარი საზომი და მახასიათებელი გამოთქმაა – „შემომელახა“ და როცა ჩვენ გვთავაზობენ – აფხაზსა და ოსს ბოდიში უნდა მო(ვ)უხადოთო, პასუხი მოკლეა: ბოდიში უნდა მოიხადოს ორივე მხარემ – ჩვენ იმიტომ,

რომ ვერ დავიცავით ჩვენი მოქალაქეები მტრული ზეგავლენისა-გან და მათ იმიტომ, რომ გვაიძულეს „წევპლისათვის“ მიგვემართა, რის შედეგადაც გალახულები აღმოვწინდით ქართველიც, აფხაზიც და ოსიც.

მიზეზ-მიზეზ, დოს მარილი აკლიაო, როცა გაჯიუტებულ ბავშვს რაიმე დავალებას ვერ ასრულებინებენ და ცოტას „წაუთაქებენ“, ის უკვე სხვანაირად იმართლებს თავს – რატომ გამლახე? ახლა სულ აღარ გავაკეთებო.

დღეს ხშირად გაისმის და არა მარტო არაქართველთაგან – აფხაზეთში ჯარი რომ არ შეგვეყვანა, არაფერი არ მოხდებოდაო. თქვე კაი ადამიანებო, სად გვყავდა ჩვენ ჯარი, აფხაზეთში რომ უკვე ყველაფერი ხდებოდა?! რამ დაგავიწყათ, რომ ხრუშჩიოვისა-გან დამოძღვრილი და სუსლოვისაგან წაქეზებული აფხაზები ყოველ ათ წელინადში ერთხელ გრანადიოზულ, ქუდზე კაცის გამოსვლებს აწყობდნენ და ნაბიჯ-ნაბიჯ, გეგმაზომიერად მიიწევდნენ დამოუკიდებლობისაკენ, 1989 წელს კი მათ დაგვირბიეს 9 აპრილის მემორიალი და დაგვიხოცეს მშვიდობიანი მომიტინგები. თავისუფლებისაკენ სწრაფვა სრულიად ბუნებრივი და მისასალმებელიც კი იქნებოდა, რომ არ ყოფილიყო ყველაფერი ეს მიმართული სხვების გაუტედურებისაკენ.

პირველ ყოვლისა, ყველა სახელმწიფო დაწესებულებაში ქართულს ჩაენაცვლა რუსული. ამას მოჰყვა ისტორიისათვის „ხელების გადაგრებით“ აფხაზეთის მთელი ტოპონიმიკის გადაათხ-აზურება და აფხაზურ გვარებში ქართული კვალის შლა – ჯინჯოლია გახდა აჯინჯალი, ერისთავი – არისთაა, ქირია – კრია და ა.შ.

პედინსტიტუტის ერთ-ერთმა თანამშრომელმა დელიკატურად შემისწორა – მე მალხაზოვიჩი კი არა მახაზოვიჩი ვარო.

ამ ბინძური კამპანიის წინააღმდეგ გაილაშქრა აფხაზეთის ენისა და ისტორიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა, ბატონმა ხუსუტი ბლაზბამ, რისთვისაც იგი გათახეს, გააცამტვერეს და სამსახურიდან მოისროლეს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ კი თავისი ფილიალის ხელმძღვანელი ვერ დაიცვა.

ერთადერთი, ვინც ბატონ ხუხუტის გამოექომავა და თავის კოლეგებს უსაყვედურა – როგორ შეიძლება მეცნიერული კვლევა-ძიებისა და პოლიტიკის ერთმანეთში აღრევაო, ეს იყო ამ საკულტური ინსტიტუტის მეცნიერ-მუშავი და სოხუმის პედინსტიტუტის ლექტორი ლიდია ჭკადუა, რომელსაც ეს „ანტიპატრიოტული“ გამოხდომა არ აპატიეს და პედინსტიტუტის აფხაზური სექტორის სტუდენტებმა ბოიკოტი გამოუცხადეს. საქმის გასარჩევად სტუდენტებთან მოსულ პედინსტიტუტის რექტორს, ბატონ გიორგი ძიძარიას და პედინსტიტუტის პარტკომის მდივანს ბატონ ოთარ ვახანიას სტუდენტებმა სწორედ ასე განუცხადეს – ჭკადუამ რა, ყველაზე მეტი იცის ბლაზბას რომ იცავსო! რექტორმა აქ სტუდენტებს შეუსწორა – ეგ რა შუაშია, ეს რა თქვენი საქმეა, ამას მეცნიერები გაარკვევენ, თქვენ მე ის მითხარით რა პრეტენზიები გაქვთ თქვენი ლექტორის მიმართო; ჭკადუა კარგი მეცნიერია, მაგრამ ხდება ხოლმე რომ ადამიანმა თვითონ იცის, მაგრამ სხვებისათვის ცოდნის გადაცემა კი უჭირსო.

სტუდენტებმა ეს მოტივაცია აიტაცეს, მაგრამ მაშინ პარტკომი ჩაერია და სტუდენტებს ჰქითხა – კი მაგრამ თუ ვერ გიხსნიდათ, ვერ გაგებინებდათ, თავის დროზე რატომ არ გვაცნობეთ და დაელოდეთ სანამ საგანი წაიკითხებოდა და ჩათვლის დრო დადგებოდათ. ამ მოულოდნელი კითხვით შეცბუნებული სტუდენტები ისევ რექტორმა იხსნა – ალბათ ერიდებოდათ და იფიქრეს, კონსპექტების დახმარებით წავიმუშავებთ და როგორმე ჩავაბარებთო, მაგრამ როცა დაინახეს რომ ეს ძნელია, მაშინ მიმართეს ამ უკიდურეს ლონისძიებას, რაც რა თქმა უნდა სწორი არ არისო.

მოკლედ, ლიდია ჭკადუა ამ დროს სადოქტორო დისერტაციას იცავდა თბილისში, ასე რომ იგი ვალდებულიც და როგორც ეტყობა იძულებულიც იყო დადებითად გამოხმაურებოდა აფხაზ-ქართველთა ინტეგრაციის ამსახველ ზემოთაღნიშნულ ნაშრომს.

სამწუხაროდ, გადოქტორების შემდეგ, ნებსით თუ უნებლიერ, ისიც კარდინალურად შეიცვალა. იგი აღარ ჩამოვიდა აკადემიკოს

არნოლდ ჩიქობავას იუბილეზე, სადაც, სხვათა შორის, ბატონ არნოლდის ასპირანტებსა და დოქტორანტებს, ბატონმა ედუარდმა ფულადი საჩუქრები დაურიგა; ლიდია ჭკადუას კი ეს საჩუქარი სოხუმში გაეგზავნა.

რა თქმა უნდა, ავადმყოფობისა და სხვა დამაბრკოლებელი გარემოებებისაგან არავინ არაა დაზღვეული, მაგრამ სახეზეა მეორე ფაქტი – როცა სოხუმში, ლიდია ჭკადუას მისმა ყოფილმა წარჩინებულმა სტუდენტმა, ეროვნებით ქართველმა მიმართა და თავის მიერ შედგენილი ინგლისურ-აფხაზური ლექსიკონის გამოსაცემად რეცენზია და დახმარება სთხოვა; პატივცემულმა დოქტორმა მას დაუფარავი გამძვინვარებით მიახალა – გაიზრდებიან აფხაზები და თვითონ დაწერენო.

სტერილური ხალხი არ არსებობს, ყველას მეტ-ნაკლები პროპორციით ურევია ბუნებრივად თუ იძულებით ასიმილირებული, ან უბრალოდ მიტმასნილი „გარეშებიც“, რომელთა შთამომავლობას შეიძლება აღარც ახსოვდეს თავისი წარმომავლობა, ანდა აღარც ულირდეს მისი აფიშირება; მთავარია ადამიანი ადამიანად დარჩეს. მაგალითად, ცნობილი კომპოზიტორი შუმანი და ცნობილი ავტომრბოლელი შუმახერი წმინდა ქართულ გარემოცვაში რომ აღზრდილიყვნენ, ისინი ფაქტიურად ქართველები იქნებოდნენ თავისი ენით, ფსიქიკით, ადათ-წესებით, მაგრამ მათი ნება იქნებოდა ისიც გერმანელებად აღიქვამდნენ თავს და შეინარჩუნებდნენ თავიანთ გვარებს თუ ქართველებად ჩაეწერებოდნენ და გვარებს ხარაზიად ან ხარაზიშვილად გადმოთარგმნიდნენ. აქვე ჩვენი ტელევიზით აფხაზურ და ოსურ ენებზე ინფორმაციის გადამცემთა საყურადღებოდ უნდა ითქვას, რომ გვარ-სახელები სხვა ენებზე ტრანსლიტერირდება, მაგრამ არ ითარგმნება. ოსური ფუხათა ქართულად ფუხაშვილია, რუსულად – ფუხაევ(ა), აფხაზურად – ფუხაიფ(ჰ)ა; კოკოსკერია ლაზური გვარია, მისი ქართული თარგმანია – კოკოშვილი, რუსული – კოკოევ(ა), ოსური კოკოით და აფხაზური – კოკოიფ(ჰ)ა. ქალბატონ ესმას და ბატონ ვაჟას საქმეა რომელ ვარიანტს აირჩევენ, მაგრამ იგი ერთი და იგივე უნდა იყოს ნებისმიერ ენაზე ლაპარაკისას.

ალსანიშნავია, რომ აფხაზეთში ნააფხაზარი ქართველები უფრო აქტიურობდნენ საქართველოს ნინააღმდეგ, ვიდრე გენეტიკური აფხაზები. სამსახურებში, ტრანსპორტსა და ქუჩაში აფხაზები და ქართველები გაცხარებული კამათობდნენ და ხშირად ერთმანეთს „ჩამოთრეულების“ ეპითეტით ამკობდნენ.

ერთხელ სოხუმის ინტურისტში შევესწარი როგორ „აფხაზილებდნენ“ ქართველები აქამდე ძმაკაც, ახლა კი უკვე „მტრად-ქცეულ“ თავის აფხაზ თანამშრომლებს – რისი იმედი გაქვთ, ბიჭო, თქვენ, როცა ერთი სტადიონი ხართო, რაზეც აფხაზებმა უპასუხეს – ჩვენ ისეთი გეგმა გვაქვს, მალე დადგება თქვენი აღსასრული, ღამ-ღამობით შევიპარებით ხოლმე ქართულ დასახლებებში და ყველა ქართველს ყელებს გამოგჭრითო.

სამწუხაროდ, მარტო რიგით ქართველებს როდი ეგონათ, რომ ჩვენ საქმე სულ ერთ სტადიონთან გვქონდა; ბატონმა ზვიადმა და ბატონმა ედუარდმაც განაცხადეს – ავტონომიების საკითხები ანი მოსკოვში კი არა თბილისში გადაწყდებაო, რაც, როგორც ვნახეთ ძლიერ შორს აღმოჩნდა სინამდვილისაგან.

ვისაც თვალი და ტვინი არ დალატობს და ვინც რაიმე მოსაზრებით არ სირაქლემობს, ადვილად დაინახავდა, რომ აფხაზი სეპარატისტები გამალებული ემზადებოდნენ ომისათვის. ამ მიზნით შეიქმნა ე.წ. „მთიელ ხალხთა კონფედერაცია“, ცენტრით სწორედ სოხუმში და პირადად პრეზიდენტ არძინბას დაქვემდებარებული „აფხაზური გვარდია“, რომელსაც რუსი ოფიცირები ავარჯიშებდნენ.

მასესნდება ერთი მაღალჩინოსანი აფხაზის განცხადება ტელევიზიით – უნდა აიკრძალოს პარასკევობით ჯარისკაცების სახლებში გაშვება, საიდანაც ისინი ორშაბათამდე აღარ ბრუნდებიან და კვირაში ორი დღე გვეკარგებაო.

სოხუმის შვიდივე სახლმმართველობა მხოლოდ აფხაზებით იყო დაკომპლექტებული, რომელთაც დავალებული ჰქონდათ იმ ქართველების სიების შედგენა, რომლებიც აფხაზეთში 1947 წელს და მის შემდეგ დასახლდნენ.

მე ამის შესახებ გავიგე ერთი ჩემდამი კეთილგანწყობილი აფხ-

აზისაგან, რომელმაც მირჩია – იქნება ცნობა გააკეთო რომ 1947 წლამდე ხარ აფხაზეთში ჩანერილი, თორემ ვერავითარ ბინას ვერ მიიღებო. ასეც მოხდა, ჩემს განცხადებაზე ქალაქის საპტომ მიპასუხა – თქვენი ბინა 17 კვადრატული მეტრია, რაც ორი კვადრატული მეტრით აღემატება სამწევრიანი ოჯახისათვის დაწესებულ ნორმასო.

რაოდენობით აფხაზებს სომხებიც სჭარბობდნენ, მაგრამ მათ მხოლოდ ქართველთა სიმრავლე ანუხებდათ, რადგან სწორედ ისინი, ცოტაც არის ეცილებოდნენ ძალაუფლებაში. დემოგრაფიული სურათის შესაცვლელად არძინბამ სპეციალური ბრძანებაც გამოსცა, რითაც იგი აფხაზეთში მცხოვრებ ყველა ადამიანს ეროვნების არჩევის ნებას რთავდა.

ბუნებრივია, რომ ყველას თავისი მშობლიური, თუნდაც ღარიბი ენა ურჩევნია სხვის მაღალგანვითარებულ ენას, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ დღევანდელ მსოფლიოს არ შეუძლია თავისი მოსახლეობა ყველა 5400-ზე მეტ ენაზე აღზარდოს და აცხოვროს.

1978 წელს გამართულ ხალხმრავალ მიტინგებზე აფხაზებმა უკვე ღიად გაიღაშქრეს ქართული ენის ნინააღმდეგ აფხაზეთში და როცა მოსკოვიდან გამოგზავნილმა ცეკას მდივანმა კაპიტონოვმა აფხაზებს განუცხადა – როგორ შეიძლება ქართველს ქართულად ლაპარაკი აუკრძალო თავის სამშობლოშიო, მას აფხაზებმა მიკროფონი გამოურთეს.

სოხუმის პედინსტიტუტში, შემდეგ კი მის მემკვიდრე ასუ-ში საერთო კრებები რუსულ ენაზე ტარდებოდა. არავინ არ უშლიდა არც აფხაზს და არც ქართველს თავის ენაზე გამოსვლას, მაგრამ აფხაზთა უმრავლესობამ აფხაზური ენა არ იცოდა და რაც მთავარია მათ ქართულის გაგონებაც არ უნდოდათ. ამიტომ, როდესაც ქართული ენის კათედრის წევრს აბესალომ გადელიას აფხაზებმა სიტყვა შეაწყვეტინეს – რუსულად ილაპარაკეო და ისიც, რა თქმა უნდა, პოლიტიკური მოსაზრებით გაჯიუტდა, უნივერსიტეტის რექტორმა ზურაბ ანჩაბაძემ თარჯიმნობა იკისრა.

დაძაბულობის ნამდვილ კატალიზატორად იქცა ე.წ. „ლიხინის

წერილი“, რომელსაც ყველა რაიმედღირებულმა აფხაზმა მოაწერა ხელი და მათ შორის, აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა, ბუნებით კეთილშობილმა საქართველოს ცეკაში ნამუშევარმა და მთელს საქართველოში ნამოგზაურებ-ნაქეიფარმა ბორის ადლეიბამაც, რისთვისაც იგი თანამდებობიდან მოხსნეს და ამაზე დარდს კიდეც გადაჰყვა. მის ნაცვლად ამ პოსტზე დაინიშნა აფხაზი ვლადიმერ ხიშბა, რომლის წინააღმდეგ ამხედრება აფხაზებმა ვეღარც მოასწრეს, ისე ჩაბარდა წარსულს კომპარტია და მისი ორგანოები.

პარტიული კონტროლის მოშლამ კიდევ უფრო გაართულა მდგომარეობა და მრავალი მოლაპარაკებების, დათმობებისა და დაპირებების მიუხედავად, საქართველომ ვეღარ შეძლო აფხაზებისა და ოსების შემობრუნება, მეტისმეტად შორსწასული და ძლიერი აღმოჩნდა რუსეთის მიერ გაღვივებული სეპარატისტული განწყობა და ომის ფსიქოზი.

საზოგადოება ორად გაიხლია: შუაზე გაიყო ფეხბურთის გუნდი, მწერალთა კავშირი, დრამატული თეატრი, უნივერსიტეტი. დაპირისპირებამ შერეულ აფხაზურ-ქართულ ოჯახებშიც შეაღნია, იყო შემთხვევები, როცა ერთი შვილი დედას უჭერდა მხარს, მეორე – მამას, ზოგიერთი ოჯახი კი სულაც დაიშალა.

დიდი ძალისამტევაა საჭირო რომ გლობალიზაციამ ხელი არ შეუშალოს კაცობრიობას ენებისა და კულტურების გადარჩენასა და განვითარებაში, საქართველო კი ერთი იმ უიშვიათესი ქვეყანათავანია, რომლებიც ამას შეძლებისდაგვარად ცდილობენ თავიანთი უმცირესობებისათვის.

ცხადია, უნდა დაარსებულიყო აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი და აფხაზური კაპელა, რომელთა მაღალმხატვრულ კონცერტებს სიამოვნებით ვესწრებოდით ქართველებიც, მაგრამ ამას არ უნდა მოჰყოლოდა კინი გეგეჭკორის ანსამბლის გაუქმება და მისი წევრების ქუჩაში გაყრა. ასევე დაუშვებელი იყო ქართული დასის განდევნა მშობლიური კერიდან კინოთეატრის შენობაში და უნივერსიტეტის ქართული ნაწილის მშობლიური კედლებიდან გაძევება.

შერეულ აფხაზურ-ქართულ სოფლებში მხოლოდ აფხაზური სკოლები ფუნქციონირებდა და მაშასადამე, იქაური ქართველობა ძალაუნებურად აფხაზდებოდა.

კრემლის შორსმიმავალი გეგმით აფხაზთა მასიური დიპლომიზაცია მიმდინარეობდა ცალკე რუსეთსა და ცალკე საქართველოში, რასაც ემატებოდა აფხაზეთის კურორტების მოყვარულ რუს პროფესორებთან საქმეების ჩაწყობა. ამიტომ საქართველოს ჭუა უნდა ეხმარა და მოსკოვისაგან გამოეგლიჯა ნება, რომ თვითონ ჩადგომოდა სათავეში აფხაზური ინტელიგენციის ფორმირების კამპანიას, რათა არ შელახულიყო იქმცხოვრებ სხვა ეროვნებათა ინტერესები და არ დარღვეულიყო დემოგრაფიული პარიტეტი.

მოსკოვის ამ ვერაგული გეგმის ჩასაფუშად საჭირო იყო აგრეთვე არ დაგვეშვა ყველა დიპლომიანი აფხაზის აფხაზეთში აკუმულირება და ჭარბი კადრები პარტიული დავალებით სხვა-დასხვა რეგიონებზე უნდა გადანაწილებულიყვნენ, სადაც ზოგიერთი მათგანი კიდეც დასახლდებოდა.

ამის მსგავსი რამ შევარდნაძის დროს ხდებოდა, მაგრამ მხოლოდ პოლიტიკური ელიტის დონეზე, აფხაზეთში კი პროფესიონალთა დიდი კონკურენცია იქმნებოდა, სადაც ყოველთვის აფხაზი „იმარჯვებდა“, სხვები კი იძულებული იყვნენ სხვაგან გა-დასახლებულიყვნენ.

აფხაზობა ბოლო ხანებში ლამის პროფესიად იქცა. ცნობილი სეპარატისტი, უდიპლომო თამარა ხიბბა პედინსტიტუტთან არ-სებულ მოსამზადებელ განყოფილებას ხელმძღვანელობდა და ორ თუ სამ სხვა ადგილზეც მუშაობდა.

1956 წლიდან დაიწყო ყველა სფეროს და ყველა დონის ხელმძღვანელ ორგანოთა აფხაზიზაცია, ძირითადად მოსკოვიდან მოვლენილი კადრებით. საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად დაინიშნა მიხეილ ბლაჟბა, კომკავშირის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად კი – იური კვინინია, ხოლო ყოფილი პირველი მდივანი ქართველი ქალბატონი ნათელა ბოკუჩავა ჯერ ჩამოამეორემდივნეს, შემდეგ სოხუმის

განათლების განყოფილების გამგედ ჩამოაქცეითეს, იქიდან კი მეოთხე საშუალო სკოლის დირექტორად მოისროლეს; ქალბატონ ნათელას აღარ დასცალდა დარჩენილი საფეხურების ჩარპენა, ისე გამოაქვეს აფხაზეთიდან ათასობით სხვა დევნილთან ერთად.

სოხუმის სახპედინსტიტუტის რექტორად ქართველი ნიუჟ ხურციძის ნაცვლად მოსკოვმა გამოაგზავნა აფხაზი აკიბეი ხონელია, რომელმაც ინსტიტუტი ქართველი პროფესორ-მასწავლებლებისაგან გაწმინდა.

ყველაზე გვიანობამდე თანამდებობას შერჩა ინტურისტის მმართველი ქართველი ვახტანგ ჭელიძე, რომელსაც თვით აფხაზურმა კომისიებმა ხელმოსაკიდირომ ვერაფერი უპოვეს, კიდევ ერთი კომისია მიუსიეს, ამჯერად ქართველი ფუნქციონერი გ.მ.-ს ხელმძღვანელობით, რომელმაც ბატონ ვახტანგს საოლქო კომიტეტიდან გამოტანებული ბრალდება ნაუყენა – არ მომწონს მე შენი ნაციონალური პოლიტიკაო, რაზეც ბატონმა ვახტანგმა წარბმეუხრელად უპასუხა – არ ვიცი რას მემართლებით, ბიჭვინთაში ინტურისტის ფილიალი რომ გაიხსნა მის ხელმძღვანელად სრულიად გამოუცდელი აფხაზი დავნიშნეთ, ხოლო წლობით და პატიოსნად აქ მომუშავე კაცს, მე ვერ მოვხსნი, მხოლოდ იმისათვის, რომ ის აფხაზი არ არისო – ვერ მოხსნი და თვითონ მოიხსნებიო და ასეც მოხდა, მაგრამ არც გ.მ.-ს უშველა ამ „დამსახურებამ“ და თვითონაც მალე გამოაპანლურეს სამსახურიდან.

ქართველს ჰეგელზე ადრე უთქვამს – რაც ერი, ის ბერიო, მაგრამ თუ ბერი ერზე შორსმჭვრეტელი არაა, ან მას ვერ აიყოლიებს, ვერც ერი იხარებს და ვერც ბერი იბერებს. სამწუხაროდ, არაიშვიათად შორსმჭვრეტელობა არ არის საკმაოდ შორი, და მითუმეტეს ადეკვატური. ასე რომ, ზოგჯერ აყოლა სჯობს აუყოლობას, ზოგჯერ კი აყოლითაც დაშავდების.

ჭკვიანი, რა თქმა უნდა სხვის შეცდომებზე სწავლობს, ნაკლებ-ჭკვიანი კი იმეორებს და იმეორებს თავისას; ამიტომ ისედაც გულარხეინ ქართველს ილუზიებით კი არ უნდა ვკვებავდეთ – გაერო გადაგვარჩენს, ნატო გადაგვარჩენს, ამერიკა გადაგვარჩენსო, არამედ სულ იმას უნდა ვუკიუნებდეთ ასი თვალი და ასი ყური

გამოისხით, თავი და ხელი გაანძრიეთო. თუმცა 100% გარანტია არცერთ შემთხვევაში არ არსებობს, რასაც ისტორიაც ადასტურებს – ჩვენზე დიდი და ძლიერი ერები აღვილან პირისაგან მიწისა. ცხადია, ეს არ ნიშნავს რომ ცხვირი ჩამოვუშვათ და ყველაფერზე ხელი ჩავიქნიოთ, რამეთუ – ცდა ბედის მონახევრეა.

შეცდომა სინამდვილის არასწორი აღქმა-შეფასება და მასზე არასწორი რეაგირებაა. მაშასადმე, ადამიანის აღზრდა მისთვის სინამდვილის სწორად აღქმა-შეფასებასა და მასზე სწორად რეაგირების სწავლებას გულისხმობს. სამწუხაროდ, სინამდვილე სავსეა არასტანდარტული, არაპროგნოზირებადი და ადამიანის დამბეჭდვი სიტუაციებით, როცა ადამიანი იძულებულია გარევეულ რისკზე წავიდეს, რამაც შეიძლება არ გაამართოს. შეცდომა არ აგვერევა დანაშაულში, რომელიც შეგნებულ, განზრას დაშვებულ შეცდომას წარმოადგენს, თუ მას, ე.ი. შეცდომას კონტექსტიდან ამოგლეჯილად არ განვიხილავთ.

საქართველოს უდიდესი გეოპოლიტიკური შეცდომა იყო მან რომ როკის გვირაბის გაჭრა დაუშვა და ჩვენი დამცავი, ბუნებრივი ზღუდე მოშალა. რა თქმა უნდა, რუსეთის ამ მზაკვრულ, ვითომდა მხოლოდ გზის შესამოკლებელ ღონისძიებას კოლონის მთავრობა ღიად ვერ დაუპირისპირდებოდა, მაგრამ იგი ვალდებული იყო „კულისებიდან“ დაერაზმა მთელი ქვეყანა ამის წინააღმდეგ, როგორც ამას აფხაზები აკეთებდნენ.

მოგვიანებით კი თვით ქართული ეროვნული მოძრაობის დიდი გამარჯვება იყო აქვე, როკის სარკინიგზზო გვირაბის მშენებლობის აღკვეთა და ქართულისათვის სახელმწიფო ენის სტატუსის შენარჩუნება.

ასეთი დიდი, მაგრამ აშკარად შეცდომა იყო ამ მოძრაობის მიერ ჩვენი ჰიდროსადგურების მშენებლობის შეჩერება. ეს მშენებლობა საკავშირო ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა და მას ჩვენთვის ენერგოდამოუკიდებლობა უნდა მოეტანა, რა შემთხვევაშიც რუსეთთან კონფლიქტი ჩვენს მრეწველობას და საერთოდ ეკონომიკას მიწასთან ველარ გაასწორებდა.

სერიოზული შეცდომა გაგვეპარა აგრეთვე ჩვენი ენერგე-

ტიკის ფლაგმანის მშენებლობის დროსაც. საქმე იმაშია, რომ ენგურის წყალსაცავი სამეგრელოშია, ჰესები კი მხოლოდ გალში, აფხაზეთში, საიდანაც დენი აფხაზებს უფასოდ მიენოდებათ. ჩვენ რომც ვიკადროთ და აფხაზებისაგან დენის საფასურის გადაუხდელობის გამო, ამ ჰესებს წყლის მიწოდება შევუწვიტოთ, ამას ვერც შევძლებთ, რადგანაც წყალსაცავი აპიპინდება და როგორც სამეგრელოს ნაწილს, ისე გალსაც წალეკავს.

ეს საფრთხე, დღის წესრიგიდან ვერც მოიხსენება, სანამ ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის ველურობას წერტილი არ დასმია. სხვათა შორის აფხაზეთში მიმდინარე ომის დროს რუსეთმა არაორაზოვნად გაგვაფრთხილა – თუ ტყვარჩელში ბომბი ჩავარდა, მაღაროები აფეთქდება და ენგურშესი დაინგრევაო. ეს, რა თქმა უნდა აშკარა მუქარა და შანტაჟი იყო, რომელიც უთუოდ გაუმეორეს სააკამპილსაც და იგი აიძულეს ენგურშესი რუსეთისათვის მიეყიდა.

აფხაზთა ამბოხებებით გამოწვეული 9 აპრილი გმირობაც იყო, შეცდომაც და დანაშაულიც, რომელმაც რამდენიმე ფრიად საჩითორ და დამატიქერებელი კითხვა დაგვიტოვა:

1. რატომ აღმოჩნდა ამდენი სუსტი სქესის წარმომადგენელი მტერთან პირისპირ მიტოვებული, სად გაქრა ჩვენი მამა-პაპური რაინდობა?

2. რატომ არ მოუსმინეს პატრიარქს, რატომ დააიმედეს ხალხი ლიდერებმა – ვერ გაბედავენო, ხოლო როცა გაბედეს, თვითონ თავს უშველეს, ხალხი კი მიატოვეს?

3. რატომ გახდა 9 აპრილი მარტო ქართველების საქმე, რატომ ვერ იქცა საქართველო სამშობლოდ ეროვნული უმცირესობებისათვის?

4. რატომ ვერ გარისკა ცოტნეობა საქართველოს კომპარტიის ცეკვამ?

გაუმართლებელია აგრეთვე იმ ფაქტის მიჩუმათებაც, რომ დამსჯელი რაზმის ერთმა ჯარისკაცმა ფეხზე წამოაყენა ძირს დაცემული მომიტინგე გოგონა, რისთვისაც თანარაზმელთა რისხვა დაიმსახურა.

საბჭოთა კავშირში პრობლემური საკითხები ზევიდან ქვევით განიხილებოდა. ჯერ საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცეკვას პოლიტბიურო გამოიტანდა გადაწყვეტილებებს, შემდეგ კი საკავშირო და რესპუბლიკურ ქვემდგომ ორგანოებში ტარდებოდა ამ გადაწყვეტილებათა „სატაშო“ განხილვები.

საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცეკვას პოლიტბიუროს დადგენილებით 9 აპრილი შეფასდა, როგორც სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა, რომლის ორგანიზატორები უნდა გასამართლებულიყვნენ და მკაცრად დასჯილიყვნენ. ასე, მზა სახით გადაეცა ეს საკითხი „განსახილველად“ საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის. სესიაზე მოხსენება გააკეთა თვით ამ ვანდალური აქტის დამდგმელმა რეჟისორმა, ამიერკავკასიის ჯარების სარდალმა, იგორ როდიონოვმა, რომლის ყოველ გამონათქვამს დარბაზი ტაშის გრიალით ხედებოდა. მომხსენებლის პირველივე წინადადებებიდან და დარბაზის ველური ოვაციებიდან ნათელი გახდა ხელისუფლების მტკიცე დერუავული პოზიცია მომხდარის მიმართ და აღმტოთებულმა ქართულმა დელეგაციამ დემონსტრატიულად დატოვა დარბაზი. როდიონოვის „წარმატებული“ გამოსვლის შემდეგ მოკლე, მაგრამ დამსწრეთა მაშინკირებელი სიტყვით გამოვიდა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ბატონი ედუარდ შევარდნაძე, რომელმაც მკაცრად დაგმო საბჭოთა ჯარის მიერ თბილისში ჩადენილი ჯალათობა, სამარცხვინო უწოდა მოხსენებას და მასზე დარბაზის რეაქციას და დასახელა ქვეყნისათვის დიდი საფრთხის შემცველი სხვა ფაქტებიც, რის შემდეგაც იგი ტრიბუნიდან ჩამოვიდა და განრისხებული, პროტესტის ნიშნად, პირდაპირ გაემართა გასასვლელისაკენ.

ვითარების ასეთი სენსაციური შეტრიალებით შეშფოთებული საბჭოთა კავშირის კომპარტიის გენერალური მდივანი, ბატონი მიხეილ გორბაჩოვი, შეიძლება ითქვას ფეხდაფეს დაედევნა თავის მარჯვენა ხელს, თავის ნამდვილ ფავორიტ მინისტრს და რამდენიმე წუთის შემდეგ მასთან ერთად უკან დაბრუნებულმა დელეგატებს განუცხადა – ამ საკითხზე დღეს დადგენილებას ვერ

მივიღებთ, რადგანაც იგი მხოლოდ ცალმხრივადაა გაშუქებული და საჭიროა მისი უფრო სერიოზული, დეტალური და ობიექტური გამოკვლევა და შესწავლა.

საქმის შესწავლა დაევალა ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს, ბატონ ანატოლი სობჩაკს რომლის მართლაც დეტალურმა, ობიექტურმა და სამართლიანმა გამოძიებამ თავდაყირა დააყენა პოლიტბიუროს გადაწყვეტილება და იგორ როდიონოვი ძალაუფლების გადამეტების ბრალდებით პოსტიდან გადააყენეს, ქართული ეროვნული მოძრაობის ლიდერები კი ციხიდან გაათავისუფლეს.

მე რომ ბატონ ედუარდ შევარდნაძის აპოლოგეტი არა ვარ, ამას ჩემი საგაზეთო წერილებიც ცხადყოფენ, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ თუ არა ბატონი ედუარდის ეს გაბედული, პატრიოტული შემართება და ნაბიჯი, ვერც ჩვენი ეროვნული მოძრაობის ლიდერები გადაარჩებოდნენ დასჯას და არც საბჭოთა კავშირი დაიშლებოდა ასე მალე.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ამის წყალობით დარია ხელი კეთილმა ბოროტს, ამით შეირყა იმპერიის მოფამთალებული ტახტი და ნანატრმა თავისუფლებამ დღეები დაუთვალა თვითმეტყრობელობას. მიჩვეულს ნუ გადააჩვევო და ბუნებრივია, მოვლენათა ასეთმა მიმდინარეობამ შეაფიქრიანა ჩვენი ავტონომიებიც. ან განსვენებული პროფესორი ვალერიან ქარჩავა ყვებოდა, რომ ქართული მოძრაობის გამოკვეთილ ლიდერთან, ბატონ ზვიად გამსახურდიასთან სოხუმიდან თბილისში ჩამოვიდა აფხაზთა დელეგაცია, ერთადერთი კითხვით – ჩვენ რას მივიღებთ, მხარი რომ დაგიჭიროთ, რაზეც ბატონმა ზვიადმა ჩვეული პირდაპირობით უბასუხა – მიიღებთ იმას, რასაც ჩვენ, ავტონომიები კი აღარ იარსებებსო. ეს იყო მაშინდელი საქართველოს ნაჩეარევი მიზანდასახულობა და განწყობილება, რამაც მთელი წყალი, ბოლო წვეთამდე, რუსეთის წისქვილზე მიუშვა.

ყველა შეხედულებას და კონცეფციას ვერ გადაამოწმებ და როგორც წესი, მექანიკურად იზიარებ ისე, როგორც ხმარება-შია. ასეთი საბჭოური იარლიყით მოიხსენია აფხაზები ერთ-

ერთ მიტინგზე, მათი თავგასული შარიანობით გაბეზრებულმა ზვიად გამსახურდიამ, როცა განაცხადა – აფხაზი ერი ისტორიამ არ იცის, ასეთი ერი ბუნებაში არ არსებობსო. მაგრამ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, მისი გუნდი, მისი მთავრობა მეორე უკიდურესობაში გადავარდა და მან მიიღო უპრეცედენტოდ „დემოკრატიული“, ინფანტილურ-მიამიტური, ვითომდა აფხაზთა გულმოსაგები დადგენილება, რომლის მიხედვითაც ახლადშექმნილ აფხაზეთის პარლამენტში მოსახლეობის 18% აფხაზისაგან აირჩა 28 დეპუტატი, 44% ქართველისაგან – 26 და 38% „არამკვიდრი“ მოსახლეობისაგან – 11, რომელთაგან ვითარებაში ჩახედული, თუ აფხაზებისაგან დაშინებულ-მოსყიდული 7 მათგანი აფხაზურ ფრაქციაში გაერთიანდა, დანარჩენი – 4 ქართულში, რამაც წარმოშვა შეფარდება 35/30 აფხაზთა სასარგებლოდ. გარდა ამისა, იმავე დადგენილების თანახმად პარლამენტის თავმჯდომარე და ავტონომიის პრეზიდენტი მხოლოდ აფხაზი უნდა ყოფილიყო. ასე რომ, ქართული დეპუტაცია მხოლოდ მაყურებელი იყო იმისა, როგორ დაამტკიცა პარლამენტმა წმინდა აფხაზური მთავრობა და შექმნა პრეზიდენტს დაქვემდებარებული აფხაზური გვარდია.

მეცნიერები არასოდეს არ მართავდნენ ქვეყნებს, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მეცნიერი მთელი თავისი არსებით ატომისტურადა კონცენტრირებული სინამდვილის მხოლოდ ერთ რომელიმე უბანზე, ქვეყნის მართვას კი მასშტაბური შორსმჭვრეტლობა და ათასნაირი წვრილმანის გათვალისწინება უნდა.

რაც შეეხება საქართველოს, მას არასოდეს კლებია პრობლემები, არც წვრილმანი და არც მსხვილმანი. საკმარისია ითქვას, რომ საბჭოთა პერიოდში ჩვენი ეკონომიკა ისე იყო გადაჯაჭვული რუსეთის ეკონომიკასთან, როგორც შრომის დანაწილების მომგებიანი პრინციპით, ისე მზაკვრულადაც, რომ რუსეთის იქით ჩვენ სხვა გასაქანი არ გაგვაჩნდა და ჩვენი ყველა სადავე რუსეთს ეპყრა ხელთ. რუსეთი იყო ჩვენი ენერგეტიკაც, ჩვენი პურიც და ჩვენი ბაზარიც და ასეთ დროს ამ ჩვენი სასიცოცხლო „მარყუჟების“ დახსნა და რუსეთისაგან კარის გამოჯახუნება ის-

ეთი წინდაუხედავი ნაბიჯი და ავბედითი შეცდომა იყო, რომლის შედეგების ლიკვიდაციას დღესაც არ უჩანს ბოლო. არადა როგორც მაშინდელმა ჩვენმა პრეზიდენტმა, ბატონმა ზვიად გამსახურდიამ განაცხადა, მას მოსკოვიდან რუსეთის პრეზიდენტმა მიხეილ გორბაჩოვმა დაურეკა და შესთავაზა – მოაწერე ხელი ჩვენთან კავშირს და აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის პრობლემა არ გექნებათო, რაზეც ბატონმა ზვიადმა მტკიცე უარი სტკიცა. მეორედაც სცადა რუსეთმა ჩვენი „გონს მოყვანა“, როცა მისი ახალი პრეზიდენტი ბორის ელცინი თვითონ ჩამოვიდა „ტყეში“, ყაზბეგში ჩვენს პრეზიდენტთან მოსალაპარაკებლად, წინადადებით – დავაყენოთ როკითან რუსულ-ქართული პოლიცია და ერთად ვაკონტროლოთ აქ შექმნილი მდგომარეობაო. ეს შემოთავაზება ჩვენს პრეზიდენტს ჭკუაში დაუჯდა, მაგრამ იგი კატეგორიულად უარყო ჩვენმა პარლამენტმა და საქართველომ საბოლოოდ შეაჭია ზურგი რუსეთს.

მე შორსა ვარ იმ აზრისაგან, რომ ჩვენი დაყოლიებით რუსეთი რუსეთობას მოიშლიდა, მაგრამ იმ დროს იგი საბჭოთა კავშირის დაშლას მისტიროდა და დასთ-ს სახით მის აღდგენას ცდილობდა, და ჩვენთვის ყურის ასაწევად აღარ სცხელოდა; ხოლო სანამ ჩვენთვის მოიცლიდა და ისევ კარნახს დაგვიწყებდა, ჩვენ მისივე დახმარებით დავამთავრებდით შეჩერებული ჰიდროსადგურების მშენებლობას, შევინარჩუნებდით ფაბრიკა-ქარხნებს და მაშასა-დამე დასაქმებულობას, შევქმნიდით და შევაირაღებდით ჩვენს მრავალეროვან ძალოვან სტრუქტურებს და რაც მთავარია, ავირჩევდით ნორმალურ პარლამენტებს, სადაც ხმათა უმრავლესობით მივიღებდით საერთაშორისო სამართლის შესაბამის კანონებს.

სამწუხაროდ, ჩვენი სულსწრაფობით ჩვენი ისედაც მძიმე ბედის ბორბალი ჩვენვე დავატრიალეთ უკულმა და ბიძგი მივეცით საქართველოს ახალ-ახალ შეცდომათა გრძელ კალეიდოსკოპს.

პირველ ყოვლისა, ეს იყო სამძირადაქო მოი, რომელშიც ქვეყანა დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან სულ რამოდენიმე თვეში გაეხვია და რომლის დროსაც ქართველებს გვეყო უგუნურე-

ბა გვესროლა ზარ-ზეიმით არჩეული ჩვენი პრეზიდენტისათვის, რაც კავალ გულში მოხვდა მთელ სქართველოს. პრეზიდენტი გაიქცა, საქართველო კი ორად გაიხლიჩა – რაც კარგად გამოიყენა მტერმა.

სამძირადაქო არეულობისას, რუსეთიდან სომხეთში მომავალი სატვირთო მატარებლები გზაში იძარცვებოდა. არაა გამორიცხული, რომ ეს ხდებოდა აფხაზეთამდეც, რუსეთშივე, ანდა კიდევ უარესი, არც იტვირთებოდა ეს მატარებლები სრულად, მაგრამ სომხეთისათვის მთელი ზარალის ანაზღაურება მხოლოდ საქართველოს ევალებოდა. ამ შემთხვევაში საქართველოს თავიდან უნდა მოეხსნა პასუხისმგებლობა ტვირთების დაცვაზე და იგი რუსეთისა და სომხეთისათვის უნდა გადაეკისრებია. საქართველომ კი ვითომ მომენტი გამოიყენა და აფხაზეთის ხელისუფლებას რკინიგზის ერთობლივად დაცვა შესთავაზა. ცბიერობის დიდოსტატმა რუსეთმა საქართველოს პატარა ცბიერება გაშიფრა, აღმოცენებული სახაფანგო სიტუაცია ხელიდან არ გაუშვა და არძინბას, რომელსაც ყველაფერ ქართულის ხსენებაზე ელე-ტელეთი მოსდიოდა, საჯაროდ განაცხადებინა – ჩვენ ჩვენი ძალებით რკინიგზის დაცვას ვერ შევძლებთ და საქართველო უნდა დავიხმაროთ. მანამდე არძინბა შეპირებული იყო ჩვენზე – მე თქვენ გაიძულებთ გვესროლოთო, და იგი სიტყვის კაცი გამოდგა.

საქართველოს პოლიციას ოჩამჩირეში, დათქმულ დროს და ადგილას, აფხაზური პოლიცია კი არ დახვედრია, რომელთან ერთადაც მას გზა უნდა განეგრძო, არამედ ბანდიტები დაახვედრეს, რომელთაც ქართველი პოლიციელები მანქანაში ჩაცხრილეს, მთელს მსოფლიოში კი ელვის სისწრატით გავრცელდა ცნობა – დიდი საქართველო პატარა აფხაზეთს თავს დაესხა. ამ ინციდენტის შემდეგ ქართული საჯარისო ფორმირებები დაუბრკოლებლივ შევიდნენ სოხუმში, საიდანაც აფხაზური მთავრობა თავისი გვარდიით და სახმელეთო და საზღვაო-სატრანსპორტო საშუალებებით უკვე იყო გახიზნული გუდაუთაში. იმ დროს ქართულ ჯარს სეპარატისტების დამარცხება არ გაუჭირ-

დებოდა, მაგრამ სასწრაფოდ დარეკა რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა და საქართველოს სამხედრო საბჭოს მეთაური ბატონი ელუარდ შევარდნაძე გააფრთხილა – არ გადახვიდეთ გუმისთაზე, თორემ იქ ჩვენი ჯარის ნაწილები დგანან და მე ვერ მოგცემთ გარანტიას, რომ ისინი ბრძოლაში არ ჩაებმებიან.

აქ ისმის ლოგიკური, მაგრამ დაუსმელი და მაშასადამე პასუხაუცემელი კითხვა – რატომ მაინცდამანც გუმისთა? ჩემი პასუხები ასეთია: ჯერ ერთი იმიტომ, რომ მდინარე გუმისთა ბუნებრივი დამცავი ზღუდეა, რომელზეც მხოლოდ ორი ხიდია გადებული, რომელთა გაკონტროლება მცირე ძალებითაც შეიძლება; მეორეც იმიტომ, რომ გუმისთის იქით მდებარეობს ნავთობბაზა, ე.ი. საწვავი და ნისქილეკომბინატი თავისი ბუნერებით, ე.ი. პური; მესამეც იმიტომ, რომ იქვე გუმისთის შემდეგ მდებარეობს ე.ნ. ემერის ლაბორატორია, რომელიც სხვათა შორის ახლაც მუქთად ფუნქციონირებს ამ ჩვენს ტერიტორიაზე და არავინ იცის რას აკეთებს საერთოდ. სწორედ ამ ლაბორატორიის დამცველი პოლეის ტერიტორიიდან გვესროდნენ აფხაზები და ვითომ აფხაზებიც, ჩვენ კი იმ მიმართულებით ლულის მიშვერა სასტიკად გვეკრძალებოდა. ხოლო როდესაც ერთხელ, სოხუმის მაშინდელი ხელისუფალის ბატონი თამაზ ნადარეიშვილის განკარგულებით ეს საპასუხო ცეცხლი მაინც გაიხსნა, რუსეთმა მკაცრად გაგვაფრთხილა და ბატონმა ელუარდმა ბატონი თამაზი სულაც მოაშორა აფხაზეთს; და მეოთხე და მთავარი – რუსეთის გენერალური გეგმის შემსრულებლად ჯერ აფხაზ სეპარატისტებს არც სათანადო შეიარაღება გააჩნდათ და არც ცოცხალი ძალა, ყველაფერ ამის მოგვარებას დრო უნდოდა. ამიტომ 1992 წლის 3 სექტემბერს, ცხადია რუსეთის შუამდგომლობით საქართველოსა და აფხაზეთს შორის დაიდო ზავი, რომელიც ნამდვილი ეგონათ ორივე მხარის რიგით მოქალაქეებს და მეომრებს და ამ უკანასკნელებმა კიდეც აღნიშნეს ეს დღესასწაული „ნეიტრალურ ტერიტორიაზე“, ე.ი. გუმისთის ხიდის შუაგულში.

ამასობაში რუსეთმა კაზაკი და ჩრდილო-კავკასიელი ბოევიკებით გაავსო გუდაუთა, უიარაღო აფხაზებს თავისი გუდაუ-

თის სამხედრო ბაზა გააძარცვინა და რუსეთის გენტაბმა შეადგინა მომავალ საბრძოლო მოქმედებათა გეგმა, და ისევე მოულოდნელად განაახლა ომი, როგორც იგი თავიდან დაიწყო.

რა თქმა უნდა, მთელი ჩვენი შეიარაღება და საომარი მასალებიც რუსული იყო, მაგრამ ჩვენ მათ ვყიდულობდით რუსი ოფიცირებისაგან, სეპარატისტებს კი ყველაფერი ეს უსასყიდლოდ მიეწოდებოდათ, რადგანაც ისინი ჩვენთან ბრძოლით რუსულ საქმეს აკეთებდნენ, რუსეთის სამსახურში იმყოფებოდნენ.

სამწუხაროდ, ეს რომ რუსეთთან ომი იყო და არა სეპარატისტებთან, რატომღაც გვიან დაიჯერა თვით ბატონმა ელუარდმაც და უკვე „თურმეობითში“, განაცხადა – აფხაზეთი დიდი პოლიტიკის ნაწილი ყოფილა; თუმცა გამარჯვებაში ასევე რატომღაც დარწმუნებულმა ჩვენმა სარდლობამ მაშინაც არ დაანება ჩვენი სახელმწიფოს მეთაურს რაიმე გარიგებაზე წასულიყო რუსეთთან. არადა ერთადერთი გამოსავალი, ერთადერთი სწორი ნაბიჯი მაშინ იყო არა გუმისთასთან იმას დალოდება, რაც შემდეგ მოხდა, არამედ სასწრაფოდ გაერთიანება დასტ-ში და იმავდროულად ნებისმიერი საშუალებებით და თუნდაც დანაკარგებით გუმისთის გადალახვა, სეპარატისტების განიარაღება და მათი ლიდერების აყვანა, თუ რა თქმა უნდა მათ რუსეთში გალალვას რუსი ვერ მოასწრებდა. მაშინ და მხოლოდ მაშინ ავიცილებდით თავიდან ჩვენი მოქალაქეების, როგორც ქართველების, ისე აფხაზების ხოცვა-ულეტას, აფხაზეთიდან ქართველების ეთნომენდას და ტერიტორიების დაკარგვას.

ჩემი აზრით, არ ვიცი თავისი გულარხებინობის, მშვიდობის-მოყვარეობის, თუ მართლაც მტრის და მოყვასის სიყვარულის გამო, ქართველი ყოველთვის უგულებელყოფდა აქსიომას, რომ საუკეთესო თავდაცვა შეტევას და იგი ყოველთვის ლახტის წრის შიგნით ელოდებოდა თავდასხმებს და შემდეგ იწყებდა მტრის მოგერიებას. თუ ეს ასე არაა, რით აიხსნება ასე იოლად, თვალის დახამხამებაში გაგრის დაკარგვა, როცა მტრის დესანტს არც სანგრები და სხვა სიმაგრეები დახვედრია წინ, არც რუსების მიერ ჩვენთვის შემოტყუებული ნაღმები აფეთქებია ფეხქვეშ და არც

ქალაქის პატრონის ხელი უგრძვნია რაიმეში. ის კი არა, სწორედ წინა დღეს ბატონი ჯონი ლატარია გულდამშვიდებული უყურებდა და უსმენდა „შავლევოს“ თავის კაპინეტში.

ბატონმა ედუარდმა, ეს სავალალო ფაქტი შემთხვევითობად წარმოაჩინა, რომელიც მოკლე ხანში უნდა გამოსწორებულიყო, მოხდა კი პირიქით და იმ საოცნებო მოკლე ხანში გაგრას მიჰყვა მთელი მიმდებარე ტერიტორია ფსოუმდე, დაიხოცა უამრავი მეომარი და მშვიდობიანი მოქალაქე და მთელი ჩვენი სამხედრო აღჭურვილობა და მძიმე ტექნიკა სეპარატისტებს ჩაუვარდათ ხელში.

საქართველოსაგან გუმისთა-ფსოუს მონაკვეთის ჩამოგლე-ჯის შემდეგ, დღის წესრიგში მეორე ფრონტის, ტყვარჩელის გააქტიურება დადგა. რუსეთს „გული აუჩუყა“ ტყვარჩელელთა სოციალურმა მდგომარეობამ და მან საერთაშორისო წითელი ჯვრის ეგიდითა და ხელშეწყობით მათვის ჰუმანიტარული დახმარების მიწოდება ითავა. როგორც წესი და რიგია, ეს ღონისძიება საქართველოს წარმომადგენელთა თანდასწრებით უნდა განხორციელებულიყო, მაგრამ მათმა იქ გამოჩენამ ისეთი აგრე-სიულობა გამოიწვია აფხაზებში, რომ რუსებმა „ძლივს იხსნეს“ ქართველები. ამ ონის გათამაშებით შემდეგი რეისები ქართ-ველების გარეშე შესრულდა და რუსებმა ტყვარჩელში ჰუმანიტარულ ტვირთებთან ერთად იარაღიც შეიტანეს. ამ მანევრის და შემდეგ ოჩამჩირესთან დესანტის გადმოსხმის მიზანი სოხუმისათვის მკვებავი არტერიების გადაჭრა იყო, რაც რუსებმა კიდეც მოახერხეს ჩვენი „ლებედ, რაკ და შუკა“ ძალოვანების არაკონრინირებულობის წყალობითაც.

გეხსომებათ, როგორ ემუდარებოდა ბატონი უიული შარტავა ოჩამჩირეში დაბანაკებულ ლოთი ქობალიას – მოეშველეთ სოხუმს და სხვა საკითხებზე მერე ვილაპარაკოთო, მაგრამ ამაოდ. სოხუმის ირგვლივ საალყო რკალი თანდათან იკვრებოდა და ვიწროვდებოდა და როცა შრომა, კამანი და სხვა საკომანდო პუნქტები უკვე მტრის ხელში გადავიდა, 1992 წლის 16 ივნისს, ხელი მოეწერა აშკარად კაპიტულანტურ საზავო ხელშეკრულებას,

რომლის ძალითაც ჩვენი მძიმე ტექნიკა უნდა გატანილიყო სოხუმიდან, აფხაზების კი ადგილზე რჩებოდა, ოლონდ მათი გასაღებები „მოუკერძოებულ“ რუსეთს ბარდებოდა.

ჩვენ, იგივე ლოთი ქობალიას შიშით, იძულებული გავხდით ჩვენი ტექნიკა ზღვით, რუსული გემებით გაგვეტანა ფოთში, რისთვისაც სოლიდური თანხები წაგვალიჯა რუსეთმა. დღეს, ეს ხელშეკრულება და სოხუმიდან მძიმე ტექნიკის გატანა კვალიფიცირდება როგორც დიდი შეცდომა, მე კი ვიტყოდი, რომ შეცდომა მისი გაუტანლობა, მისი ადგილზე დატოვება და გასაღებების ასევე რუსეთისათვის ჩაბარება იქნებოდა, რადგანაც ეს მხოლოდ გადაავადებდა სოხუმის დაცემას, შედეგად კი ამას უფრო მეტი მსხვერპლი და ამ ტექნიკის დაკარგვა მოჰყვებოდა.

ერთადერთი და თანაც სერიოზული შეცდომა იმ დროს სახლებში ჩვენი დაბრუნების მოწოდება იყო, რაც ბატონ ედუარდ შევარდნაძეს იმის იმედით მოუვიდა, რომ რუსეთი მშვიდობიანი მოსახლეობისათვის ხელის ხლებას არ დაუშვებდა და არ იკადრებდა.

რუსეთმა კი სწორედ ეს ბოროტება იკადრა, როცა მან მისივე „წყალობით“ გაუბედურებული და თოვლიან ჭუბერს შეჭიდებული მშვიდობიანი მოსახლეობის – უსუსური ბავშვების, უმნეო მოხუცებისა და ბედისაგან დაჩაგრული ხეიბრების მისაშველებლად, სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით, თითოც არ გაანძრია და ისინი დასალუპად განირა. ჭუბერის მინას გაუპატიოსნებლად მიბარებული და ხევებში თავისი ნებით თუ უნებურად გადაჩეხილთა ცოდვა რუსეთის ხელისუფლების უნამუსო ნამუსზე ირიცხება.

არც ჩვენი სახელმწიფოს მეთაურის, ბატონ ედუარდ შევარდნაძის უარი იყო სწორი იმ წინადადებაზე, რომლის მიხედვითაც ერთი რუსული ბატალიონი გუმისთასთან უნდა ჩაყენებულიყო, მეორე კი – ენგურთან. რა თქმა უნდა, ეს არათუ საქართველოს მთლიანობის აღდგენის, არამედ ამ დარჩენილ ტერიტორიაზეც ჩვენი იურისდიქციის სრული შენარჩუნების გარანტი არ იქნებოდა, მაგრამ ნამდვილად აღარ მოხდებოდა ჩვენი მოსახლეობის

დარბევა-დაწიოკება და მათი თავიანთი კარმიდამოებიდან აყრა.

ხშირად გვსმენია გაუაზრებელი საყვედურები ბატონი ზვიად გამსახურდის მისამართით – მუსულმანებში რა უნდოდაო! გაუაზრებელი, რადგანაც ჯერ ერთი, „ვეფხისტყაოსნის“ პატრონი ხალხი არ უნდა ლაპარაკობდეს რელიგიურ ჯებირებზე და მეორეც, ბატონ ზვიადს არჩევანი არც ჰქონია. ქრისტიანულ ამერიკასა და ევროპაში, სხვადასხვა მიზეზების გამო, მას არ წაესვლებოდა, ერთმორნმუნე მაგრამ მტრადქცეული რუსეთი-საკენ იგი ვერც გაიხედავდა და არც გაიხედავდა, მეზობელმა სომხეთმა, იგივე რუსეთის ხათრით იგი არ მიიღო და მან მიაშურა გროზნოს, სადაც მას კარგად იცნობდნენ და პატივს სცემდნენ, და სადაც ხელისუფლების სათავეში მისი მეგობარი და მასავით ეროვნულ-პატრიოტული იდეებით „შეპყრობილი“ ჯოხარ დუდევი იდგა. გროზნოში მართლაც მაღალკავკასიური სტუმართ-მოყვარეობით მიიღეს საქართველოდან გადახვენილები, თვითონ ბატონ ზვიადს კი, როგორც იტყვიან თან გადაჰყვნენ და როცა იგი დაიღუპა დიდი პატივით დაკრძალეს გროზნოს ცენტრში. და მაინც, დამაფიქრებელია ჩეჩენთა და სხვა ჩრდილო-კავკასიელთა ეროვნულ-პატრიოტული იდეოლოგიის არსი, რომელმაც ერთ მაგიდასთან დასვა ბატონი ზვიად გამსახურდია და მისი და მაშა-სადამე საქართველოს მტერი ვლადისლავ არძინბა, და რომელ-მაც შექმნა საქართველოს წინააღმდეგ მებრძოლ ჩეჩენთა, სხვა ჩრდილო-კავკასიელთა და აფხაზთა ალიანსი, ე.ნ. მთიელ ხალხთა კონფედერაცია. ეტყობა ამ იდეოლოგით დაიმუხტა ბატონი ზვიადის „ამალის“ ერთ-ერთი წევრი, ვინმე მარჯანიშვილი, რომელმაც ინაგრა – როდის იქნება რომ ჩემი კახეთი და საქართველოს სხვა კუთხები ცალ-ცალკე გაერთიანდნენ გაეროშიო.

სხვადასხვა ადამიანთა, საზოგადოებათა და ქვეყანათა თანაცხოვრების საკითხი კაცობრიობის ნომერ პირველი პრობლემაა, რომლის თაობაზე, დარწმუნებით მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ – ყველასათვის, ყველგან და ყოველთვის არც კარგია რამე და არც ცუდი. მრავალეროვნება აუცილებელიცაა, საინტერესოც, მაგრამ ხშირად თავსატეხიც. ზოგიერთი ოჯახი,

საზოგადოება და ქვეყანა შეხმატკბილებულად ცხოვრობს, სხვები ერთმანეთს ვერ ეგუებიან და როგორც წესი აყალ-მაყალით იყრებიან. მშვიდობიანად გაიყარნენ, მაგალითა რეუიმის მიერ გაერთიანებული ჩეხები და სლოვაკები, ჩეჩენები და ინგუშები; რაც შეეხება საქართველოს, არა მგონია სიკეთე მოგვიტანოს აკავის „ჩონგურის“ საუკუნეობით შეწყობილი სიმების განცალკევებამ.

სოხუმის დაცემისთანავე, გროზნოდან ჩამოვიდა შურისძიებით გულანთებული და შინაურ და გარეულ ანტიშევარდნაძისტა მხარდაჭერით დაიმედებული ზვიად გამსახურდია და ნაცარნაყრილმა სამოქალაქო ომმა ახალი ძალით იფეთქა. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ რუსეთი მზადა ტახტზე დააპრუნოს ბატონი ზვიად გამსახურდია, ბატონი ედუარდ შევარდნაძე კი პოლიტიკური არენიდან ჩამონეროს.

მუდამ ზენიტში მყოფი პოლიტიკოსი, თავისი კარიერის ასეთ ტრალიკულ ფინანს –ლტოლვილობას, ანდა კიდევ უარესს, არ დაელოდა და ისევ რუსეთს მიმართა, საიდანაც გალახული საქართველოს დსთ-ში შეთრევის სანაცვლოდ, სამხედრო დახმარება მიიღო და მეტოქეს შეებრძოლა. რუსეთის ამ მუხანათობით აღშფოთებულმა ზვიად გამსახურდიამ ეთერში განაცხადა – რუსებმა გვიღალატესო, მაგრამ იგი იძულებული გახდა მოქმედება ახლად გადაწერილი სცენარით განეგრძო, რომლის მიხედვითაც, როგორც ამბობდნენ, აღმოსავლეთ საქართველო განეკუთვნებოდა ბატონ ედუარდს, დასავლეთი, ვითომ აფხაზეთითურთ კი – ბატონ ზვიადს.

ამ დროს თვითონ ზვიადისტები ალაპარაკდნენ აფხაზ-მეგრელთა სამეფოს, ეგრისის აღორძინების შესახებ და ჩვენ, ქართველებს გვეხუმრებოდნენ – რამდენი ხართ, თქვენ ქართველები, ჩვენ აფხაზებს შევუერთდებით და გადაგივლითო.

თავდაპირველად ზვიადის ლაშქარი წარმატებით მიიჩვდა ქუთაისისაკენ და მან სამტრედიაშიც შეაღწია, მაგრამ შემდეგ სამთავრობო ჯარებმა იმდლავრეს და ომიც მოიგეს. ბატონი ზვიადი, რამდენიმე თანამოაზრესთან ერთად ტყეში გაიხიზნა,

შემდეგ კი ისინი ჯიხაშკარელმა კარლო ლურწკაიამ შეითარა, სადაც ბატონი ზვიადი, გაურკვეველ ვითარებაში, თავში ტყვიის დახლით თუ მიხლით გარდაიცვალა.

ბატონ ზვიადს არც სიკვდილის შემდეგ გაუმართლა – ჯერ მას აქვე არაერთჯერ უცვალეს საფლავი, შემდეგ იგი გროზნოში გადაასვენეს და იქაც ორჯერ სხვადასხვა ადგილას დაასაფლავეს, და მხოლოდ 14 წლის შემდეგ დაუბრუნდა იგი სამშობლოს და მთანმინდის პანთეონში დაიკრძალა.

ბატონი ზვიადის საიდუმლოებით მოცულმა სიკვდილმა ბუნებრივი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ერთი ვერსიით – მან თავი მოიკლა, მეორის მიხედვით კი – იგი მოკლეს. ამ საკითხის გარკვევა მაშინ, ცხელ კვალზე არ გაჭირდებოდა, მაგრამ განსვენებული-სათვის ექსპერტიზის ჩატარებაზე ოჯახმა უარი განაცხადა.

ბატონი ზვიადი დიდი ფილოლოგი და დიდი ერუდიტი იყო, რომლის ადგილას სხვა წყნარად ჩაუკვდებოდა წიგნებს და უდიდეს სარგებლობას მოუტანდა თავის ხალხს, მაგრამ მისი სტიქია და ამბიცია სულ სხვა იყო და როცა ეს „სხვა“ ორჯერ გადაიხაზა, მისი მისწრაფებების, განწყობისა და ტემპერამენტის მქონე კაცისათვის, ეს ისეთი ფსიქიკური ტრავმა იყო, რომ მას თუ არა თვითმკვლელობა სხვა აღარაფერი დარჩენოდა.

აკე, მაშინ კიდეც გაურცელდა ცნობა – ბატონი ზვიადი შეუძლოდაა და საჭმელს აღარ ეკარებაო.

რაც შეეხება ბატონი ზვიადის ფიზიკურ განადგურებას; თუ როგორც „გზა“-ში დაიბეჭდა, ტყვია ბატონ ზვიადს ზემოდან ჰქონდა თავში დახლილი, თვითმკვლელობა გამორიცხულია, რადგანაც თვითმკვლელი ტყვიას ან საფეთქელში იხლის, ან შუბლში, ანდა გულში; ხოლო თუ იგი ვინმემ მოკლა – ისევ თავისიანმა, რადგანაც გარეშე შეუმჩნევლად ვერც სოფელში შეიპარებოდა, ვერც იმ სახლში და რაც მთავარია – სიბნელეში იგი ვერ მიაგნებდა, სად იწვა პრეზიდენტი და სად მისი პრემიერი. თანაც, არცერთი მკვლელი არ გარისკავს ცოცხლად დატოვოს თუნდაც საღათას ძილით შეპყრობილი პოტენციური თვითმხილველები, მითუმეტეს როცა მას ხელში „მაყუჩა“ უჭირავს.

თუ ბატონი ზვიადის ლიკვიდაცია მართლაც მოხდა, დაუჯერებელია მასში ბატონი ედუარდის ხელი რეოდა, რადგანაც იმ დროს ამ უზნეობის ჩადენის საჭიროებაც აღარ არსებობდა – სამოქალაქო ომში ორჯერ დამარცხებული კაცი მესამეს ველარ წამოინყებდა და მაშასადამე, იგი ქვეყნისათვის აღარავითარ საფრთხეს აღარ წარმოადგენდა. აქედან გამომდინარე, ბატონ ედუარდს რომ ბატონი ზვიადის ადგილსამყოფელი სცოდნოდა, იგი მას უბრალოდ დააპატიმრებდა და გაასამართლებდა.

პირადად მე, ბატონი ედუარდის ადგილას სრულიად არაორდინალურ, უპრეცედენტო ნაბიჯს გადავდგამდი და არათუ მარტო შევინყალებდი აჯანყებულებს, არამედ შესაფერის თანამდებობებსაც შევთავაზებდი.

საეჭვოა, რომ ბატონი ზვიადი ამ წინადადებას დათანხმებოდა, მაგრამ დიდი ალბათობა იყო, რომ იგი თვითმისამართია აზე ფიქრს გულში აღარ გაივლებდა და რაც მთავარია, ქვეყნის მეთაურის ეს დიდსულოვანი და პატრიოტული საქციელი ხელს შეუწყობდა ორად გახლებილი ქვეყნის გამთლიანებას.

და ბოლოს, უპრიანია აქ დავსვათ შემდეგი ორი კითხვა: 1. როგორ უნდა მოქცეულიყო ბეკეკა მგელს რომ არ შეეჭამა? და 2. იყო თუ არა სტალინი დამნაშავე ჰიტლერის თვითმკვლელობაში? ამ ბოლო კითხვის ადრესატს და პასუხს მიმხვედრი მიხვდება, ვირზე შემჯდარს კი ტონობით ცერცვიც არ უშველის.

უურნალი „სარკე“,

№30, 29 ივლისი – 4 აგვისტო, 2009

№31, 5–11 აგვისტო, 2009

№32, 12 – 18 აგვისტო, 2009

№33, 19 – 25 აგვისტო, 2009

საინფორმაციო პორტალი <http://www.polity.ge>, 14 ივლისი, 2010

## რეფორმის ნახევრები

### Reform Facets

ყველა თავმოყვარე და შორსმჭვრეტელი ქვეყნის მთავარზე მთავარი საზრუნავი სხვა არა უნდა იყოს რა, თუ არა განათლების სისტემა; მისი ტრადიციული სამკუთხედის თითოეული კომპონენტი – მასწავლებელი, მოსწავლე და სწავლების ორგანიზაცია.

როგორც ცნობილია, უცვლელი მხოლოდ ის ფაქტია, რომ ყველაფერი ცვალებადია. გამონაკლისი ამ მარადისობის კანონიდან მით უმეტეს ვერ იქნება განათლების სისტემა, რომელიც არსებული საზოგადოების სარკე და მომავალი საზოგადოების აკვანია.

აქედან გამომდინარე, ყველა თავმოყვარე და შორსმჭვრეტელი ქვეყნის მთავარზე მთავარი საზრუნავი სხვა არა უნდა იყოს რა, თუ არა განათლების სისტემა, მისი ტრადიციული საკუთხედის თითოეული კომპონენტის – მასწავლებელი, მოსწავლე და სწავლების ორგანიზაცია.

მასწავლებელი, პედაგოგი დღესაც ახალი თაობის მატარებელია, მაგრამ ახლა უკვე, როგორც იტყვიან, „მეცნიერების ვიწრო ბილიკებზე“, რაც მეტად ძნელი და საპასუხისმგებლო საქმეა და მაშასადამე, მასწავლებელი ისეთ მატერიალურ და სულიერ კომფორტში უნდა ვაცხოვროთ, რომ იგი მასზე მინდობილი ამ საპატიო მოვალეობის პირნათლად შესრულების გარდა, არაფერზე არ უნდა ფიქრობდეს.

პირველყოვლისა, დასადგენია მასწავლებლის, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა პროფესიონალის იდეალური მოდელი, ერთგვარი „ტერმინალები“, საითკენაც განათლების სისტემის „მატარებლები“ უნდა მიისწრაფონენ.

სავალდებულო კი ყველა პროფესიონალისათვის, ყველა სპეციალისტისათვის მხოლოდ ერთია – თავისი საქმის ცოდნა და სიყვარული, რამეთუ კაცს თუ სამსახურში არ მიუხარია, თვი-

თონაც ცოდვაა და სამსახურიც. მასწავლებელი, რომელსაც მოსწავლეთა ურიამული და სტუდენტთა აუიტირებული დისპუტები არ სიამოვნებს და ნერვებს უმლის, თვითონაც დატანჯულია და სასურველ პროდუქციასაც ვერ მოგვცემს.

განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს უცხო ენის მასწავლებელი, რომელსაც ცოტაც არის, ენციკლოპედიური ხასიათის განათლება უნდა ჰქონდეს, რამეთუ ენა, როგორც ურთიერთობის საშუალება, ცხოვრების ყველა სფეროს მოიცავს.

ასეთი განათლების მისაღებად კი, კითხვასთან ერთად, საჭიროა უცხო ენის მასწავლებელი თავისი არდადეგების მეტ ნაწილს ამ ენის მოღაპარაკე ქვეყანაში ატარებდეს.

მაგრამ რადგანაც დღეს, ჩვენი მასწავლებლობა მოკლებულია ასეთ შესაძლებლობას, განათლების სამინისტრომ ადგილზე უნდა უზრუნველყოს უცხო ენის მასწავლებელთა უფასო საზაფხულო სკოლების და შეღავათფასიანი დასასვენებელი ბანაკების ფუნქციონირება უცხოელ მოხალისეთა გამოყენებით.

ეჭვი არ უნდა იწვევდეს რომ აღნიშნული სამკუთხედის ცენტრალური კომპონენტი, ცენტრალური ფიგურა მოსწავლე და სტუდენტია – საზოგადოებისა და ქვეყნის მომავალი, რომელთა აღზრდასაც დანარჩენი ორი კომპონენტი ე.ი. მასწავლებელი და სწავლების ორგანიზაცია ემსახურება.

ნიჭი, როგორც ვიცით, არ იბადება, იბადება მხოლოდ ტვინის მზაობა, „განწყობა“, პოტენციალი ამა თუ იმ ნიჭის უპირატესი განვითარებისათვის. ნებისმიერი ნიჭისა და უნარის განვითარება შეიძლება, მაგრამ ხშირად, რაც ერთისათვის ღვთით მომადლებული სტარტია, მეორისათვის იგი ის უმაღლესი ნიშნულია, რომლის იქითაც იგი ნაბიჯსაც ვეღარ გადადგამს.

სტვირი არ კეთდება ნებისმიერი ხისაგან, კომპოზიტორსა და პოეტს მხოლოდ კონსერვატორია და უნივერსიტეტი ვერ გაზრდის. აკი ჩვენი „უგვირგვინო მეფე“ აკაკიც ბრძანებს – მაგრამ მარტო წვრთნა რას იზამს, თუ ბუნებამც არ უშველაო.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, საერთოდ, ჰუმანიტარული მიმართულების ბავშვები ბევრად სჭარბობენ „მათემატიკოსებს“.

უთუოდ დადგება დრო, როცა ემბრიონშივე დაპროგრამდება სასურველი ნიჭი, დღეს კი ის მაინც უნდა შევძლოთ რომ სათანადო ტესტების საშუალებით დროზე დავადგინოთ თითოეული ბავშვის გონებრივი, ფიზიკური და ფსიქიკური მონაცემები, რათა არ გადავტვირთოთ, არ გავტანჯოთ და არ დავაჩარუნგოთ იგი ზედმეტი საგნებით და თავიდანვე მიზანშეწონილად წარვმართოთ მისი სწავლა-განათლების პროცესი.

ამ მიმართულებით უაღესად მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია ეროვნული გამოცდები, რომლებიც ახდენენ რა ჩვენი მომავალი ინტელექტუალური კორპუსის სელექციას, ამით სკოლებსაც აიძულებენ ძირშივე აღკვეთონ „ჩანცყაბა“ და „მპარგალკა“.

სწავლების ორგანიზაციაში მოიაზრება სწავლების მიზნები და მასზე დამოკიდებული სწავლების შინაარსი, პრინციპები, მეთოდები, საშუალებები და ორგანიზაციული ფორმები.

სწავლების მიზნებს გვეარნახობს თვითონ ცხოვრება, მთავარია სწორად წავიკითხოთ ეს გამოწვევები.

სწავლების მიზნებიდან გამომდინარე და გლობალიზაცია-ინტეგრაციისათვის ფეხის ასაწყობად აუცილებელია განათლების სისტემის ყოველი საფეხურის სწავლების შინაარსი შეჯერდეს საერთაშორისო სტანდარტებთან და მიესადაგოს ადგილობრივ რეალობას.

მეტი პრინციპულობა გვმართებს რომ ხეჭეჭურის პატრონებმა პანტა არ შემოვისალოთ. დაუშვებელია სწავლების პროცესი-დან შეგნებულობის პრინციპის გაძევება და ამ ნიშის მექანიკური სავარჯიშოებით „ამოქოლვა“. მოსწავლეს და მითუმეტეს სტუდენტს მარტო ის კი არ უნდა ვასწავლოთ, თუ რა როგორაა, არამედ და უმთავრესად ის, თუ რატომ არის ეს ასე და როგორია მისი განვითარების ტენდენცია, რამეთუ „ანმყო შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა“.

იგივე უნდა ითქვას მეთოდზე. ჩვენთან მოქმედი სწავლების სლავური მეთოდიკა ცუდი რომ ყოფილიყო, რუსეთს და თუნდაც საქართველოს ამხელა დიაპაზონის სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალი არ ექნებოდა.

ნაბანი წყალი, რა თქმა უნდა, უნდა გადავაქციოთ, მაგრამ ბუნებრივია უნდა შევინარჩუნოთ ბავშვი და მას ახალი, წმინდა წყალიც გადავავლოთ.

სწავლების მთავარი საშუალება ოდითგანვე სახელმძღვანელოა, რომელშიც სწავლების შინაარსია განთავსებული.

დღეს შესაქმნელია თამაშობებზე დაფუძნებული ინტერაქტიული სწავლების სახელმძღვანელოები უფროს სკლასელთათვის და სტუდენტებისათვის კი – „თვითმასწავლებლები“, რომლებიც მოხსნიან ახსნას და ლექციას და მოსწავლესა და სტუდენტს გადაიყვანენ წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის და ცოდნის თავისით მოპოვების რეჟიმში, რა შემთხვევაშიც მათ ერთი სული ექნებათ როდის მივიღნენ სკოლაში და უნივერსიტეტში და თანატოლებს გაეჯიბრონ, თანაც შეამოწმონ და შეაფასონ თავისი თავი.

უცხო ენის სასკოლო კომპლექტში აუცილებლად უნდა შედიოდეს ენის მატარებელთა მეტყველების ფონოგრამები – საყოფაცხოვრებო ხასიათის დიალოგები, მეზღლაპრეთა ზღაპრები, დეკლამირებული ლექსები და სიმღერები და ყველაფერი ეს თავისი გრაფიკული ტექსტების თანხლებით.

უცხო ენის ფაკულტეტის სტუდენტი, პირველ ხანებში წინასწარ ანალიზურად უნდა გადიოდეს იმ მხატვრულ ნაწარმოებებს, რომლებსაც იგი შემდეგ რამდენიმეჯერ ნახავს ეკრანზე და ზეპირად დაიმახსოვრებს მისთვის საჭირო და საინტერესო ადგილებს.

ბავშვის აღზრდა მართლაც აკვინიდან იწყება, მაგრამ ოჯახის არასათანადო პირობებისა და განათლებულობის გამო, ზოგჯერ ბავშვის ფსიქიკა, ყოფაქცევა და მეტყველება ისე მახინჯდება, რომ ამ „შტამპების“ წაშლა-გასწორებას ბალი და სკოლა ძნელად თუ ახერხებს.

ამიტომ ბავშვის ოჯახური სწავლა-განათლება და აღზრდა უნისონში რომ იყოს ბალისა და სკოლის სტანდარტებთან, საჭიროა დაინეროს და ყველა დედას მიეყიდოს ან საჩუქრად გადაეცეს ბავშვის მოვლის, კვების, აღზრდისა და საწყისი სწავლება-განათლების პოპულარული ენციკლოპედია.

თუმცა მარტო წიგნებით, თუნდაც კარგი, ძირითადი და სახალისო დამხმარე სახელმძღვანელოებით შორს ვერ წავალთ თუ მათ სულ უფრო მეტად არ წავაშველეთ თანამედროვე მდიდარი ტექნიკური საშუალებები – მაგნიტოფონი, კომპიუტერი, კინო, სპეციალური სასწავლებო-სააღმზრდელო ტელეარხი და რადიო.

მოკლედ, განათლების სისტემა უნდა დაკომპლექტდეს მაღალკალიფიციური, მაღალზნეობრივი და მაღალანაზღაურებადი კადრებით და აღიჭურვოს მეცნიერულად და პედაგოგიურად სრულყოფილი სახელმძღვანელოებითა და სხვა სასწავლებო-სააღმზრდელო საშუალებებით, რათა ბალის აღსაზრდელს, სკოლის მოსწავლეს და უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტს მიუხარიდეს თავის სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებაში.

სწავლების ძირითადი ორგანიზაციული ფორმა სკოლაში გაკვეთილია, უმაღლეს სასწავლებელში კი – ლექცია და სემინარი.

დროა წარსულს ჩაბარდეს მონოლოგური და „გადმოგიყარე-გადმომიყარე“ გაკვეთილები. გაკვეთილი უნდა იქცეს მოსწავლეთა ცოდნის სისტემაში მოყვანის და მათი სათანადო უნარ-ჩევებით აღჭურვის სასიამოვნო ატმოსფეროს საამქროდ, სადაც მასწავლებელს თანდათან მხოლოდ დირიჟორის და მონიტორ-კორექტორის ფუნქცია დარჩება.

როცა მოსწავლისა და სტუდენტის ტვინი დასაქმებულია და მას ეს საქმე გამოსდის, დისციპლინის პრობლემა მოიხსება.

დრომოჭმული ანაქრონიზმია ლექცია, რომელიც, უკეთეს შემთხვევაში, ცოდნის ათვისების მხოლოდ საწყისი ეტაპია, სტუდენტის დროის ბიუჯეტის უმთავრეს ნაწილს კი ნოტქავს. მოკლედ ჩიტი ბრდდლვნად არ ღირს.

ჩემი წინადადებაა – უარყოფილ იქნას სალექციო მეცადინეობა, რაც კათედრებისათვის საჭირო ხის მასალასაც დაზოგავს და ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ წიგნებად და დისკებად გამოიცეს და ინტერნეტში განთავსდეს განახლებული, ინფორმაციულად გაჯერებული და ლოგიკურად და ენობრივად გამართული სხვადასხვა ავტორთა ლექციების კურსები არსობრივი კითხვა-რებითურთ, რომელთაც სტუდენტი შინ, მყუდრო ატმოსფეროში

გაეცნობა და დაამუშავებს, ცოდნის სისტემაში მოყვანა და ათვისება კი მოხდება სემინარულ და პრაქტიკულ მეცადინეობებზე მსჯელობა-კამბათისა და სათანადო სავარჯიშოების მეშვეობით. გამოსაშვებ გამოცდებს კათედრებთან ერთად უნდა იბარებდნენ დარგის მოწვეული ექსპერტებიც.

რა ახალი სახელიც არ უნდა დავარქვათ კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობას სკოლაში და მათ ბადალ ღონისძიებებს უმაღლეს სასწავლებელში, ისინი აუცილებლად უნდა გამოვაცოცხლოთ და სრულყოფით რათა „სწავლა ძირშივე გატკბილდეს“.

თუ არა უცხოეთისა და ტრადიციის ზეგავლენა, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს რომ დეკანატი, როგორც ასეთი, განათლების სისტემის სრულიად ზედმეტი რგოლია, და მისი ფუნქციები უნდა დაეკისროს მაპროფილებელ კათედრებს, რომლებიც სწორედ პასუხისმგებელი არიან სასწავლო პროცესის შედეგებზე.

და ბოლოს, ჩემი აზრით, აუცილებელია მეცნიერებისა და განათლების სისტემის ინტეგრაცია, როგორც ამ ორივე სფეროს წარმატებული განვითარების საწინდარი.

სამეცნიერო კვლევებში სტუდენტის აქტიური მონაწილეობა მისი მაღალკალიფიციურ სპეციალისტად ჩამოყალიბების აუცილებელი წინაპირობაა და ეს „შეჯვარება“ დიდად წაადგება მეცნიერსაც, რომლისთვისაც სტუდენტთა აუდიტორია მისი იდეების სასინჯ ლაბორატორიად და მათი ხორცულების მაორგანიზებელ სტიმულატორად იქცევა.

სახელდობრ, ენათმეცნიერების ინსტიტუტისა და შესაბამისი ფაკულტეტების ბაზაზე უნდა დაარსდეს ენათა კვლევისა და სწავლების ცენტრი, ბოტანიკისა და ზოოლოგიის ინსტიტუტებისა და შესაბამისი ფაკულტეტების ბაზაზე – ბიოლოგიის კვლევისა და სწავლების ცენტრი, სოფლის მეურნეობის აკადემიისა და აგრარული და სუბტროპიკული (აკადემიისა) უნივერსიტეტების ბაზაზე – სოფლის მეურნეობის კვლევისა და სწავლების ცენტრი და აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ბაზაზე – მსოფლი-

ომცოდნეობის კვლევისა და სწავლების ცენტრი, ჯერ მხოლოდ დასავლეთმცოდნეობისა და აღმოსავლეთმცოდნეობის განყოფილებებით.

საინფორმაციო პორტალი [www.polity.ge](http://www.polity.ge), 7 თებერვალი, 2010  
გაზეთ „რეზონანსის“ ინტერნეტ-პორტალი  
[www.resonancedaily.com](http://www.resonancedaily.com), 14 აპრილი, 2014  
ელექტრონული პორტალი [www.education.ge](http://www.education.ge), 20 აპრილი, 2014

## „რა ენა ნახდეს... ერი დაეცეს“, ანუ ეართული ეართველსაც უდა ვასნავლოთ

ჩვენი გენისა და გონის გამონაშუქი, ჩვენი ქართული, ჩვენი „ენაი შემკული და კურთხეული“ ისევე ითხოვს დღეს შველას, როგორც თვით ერი და მთელი ქვეყანა, რამეთუ ქართულს, ისევე როგორც ენათა უმრავლესობას ბედმა მდევრის როლი არგუნა, და მაშასადამე გლობალიზაციასა და ინტეგრაციას თან სდევს მასში უამრავ ახალ ცნება-სიტყვათა და შესიტყვებათა შემოძინება, რომელთაც დროზე უნდა ქართული ეკვივალენტების მოძიება, თუ ქართულის ბუნებასთან ადაპტირება, რათა ენის დეპოში განძთან ერთად ჯართმაც არ დაისადგუროს, რაც ისე-დაც ბლომად დაგვიტოვა რუსეთის 200-წლიანმა ბატონობამ.

ამ საშვილიშვილო საქმეში, განათლების სისტემასთან ერთად, თავისი სიტყვა უნდა თქვან მასმედიამ და მთელმა წიგნიერმა საზოგადოებრიობამ, მაგრამ სათანადო ლონისძიებათა დაგეგმვა, შემსრულებლებზე როლების განაწილება და მთელი მუშაობის კოორდინირება ენის პალატის ღვიძლი მოვალეობაა.

გთავაზობთ რამდენიმე მოსაზრებას ქართული ენის სრულყოფილად აფუნქციონირებისათვის, რომელთაგან ზოგიერთის განხორციელება ახლავეა შესაძლებელი, სხვები კი – სამომავლოდ გასათვალისწინებელი:

1. მეტროს სადგურების მიმნიშნებელი M დიდი ხანია შესაცვლელია „M“-ით;

2. მეტროს შესასვლელ-გამოსასვლელებს, რუსული კალკების ნაცვლად, უნდა ეწეროს:

შესასვლელი; გამოსასვლელი;  
შემოსასვლელი; გასასვლელი

3. „საკოლმეურნეო ბაზარი“ შესაცვლელია „აგრარული ბაზრით“;

4. ალსაკვეთია ხალხის გამანვალებელი სინონიმია-ომონიმია ქუჩის სახელწოდებებში. შემდგომში კი ნომერ პირველ სახლებზე (რომლებიც თბილისში, რატომდაც, მარჯვენა მხარეზეა) სასურველია, გაიკრას დაფები ქუჩის „სახელმდებელი“ პიროვნების მოკლე დოსიერი, ქართულ და ინგლისურ ენებზე.

5. თვალის კლინიკებში მხედველობის საზომად, რუსულ ან-ბანთან ერთად, ქართულიც უნდა გამოიყენებოდეს;

6. ბიბლიოთეკებში წიგნების შრიფტის „K“ შესაცვლელია „ქ“-ით;

7. გასაქართულებელია დოკუმენტაციის, და საერთოდ, საქმიანი ქაღალდების წარმოების რუსულისეული მოდელები, და, ბოლოს და ბოლოს, დასადგენია, ვტოვებთ მამის სახელს ხმარებაში თუ არა. გასასწორებელია, აგრეთვე, უცხო ენებში რუსული ტრანსლიტერაციით დამკვიდრებული ქართული ტოპონიმიკა, მაგ. Adjaria კი არა, Achara და ა.შ.

8. ენის ბარბარიზმებით დანაგვიანების მიზეზი ერის წელ-გაუმართაობა და უცოდინარობაა, მთავარი წყარო კი – პოლიტიკურ-ეკონომიკურ-კულტურული ურთიერთობები და ვაჭრობის სთერო, რასაც ხელს უწყობს მავანთა კუდაბზიკობა, მარიონეტული მმართველობა და ერის გადამეტებული „სტუმართმოყვარეობაც“;

9. მაშასადამე, ჩვენი ძალისხმევა უნდა მიიმართოს ამ მიზეზთა და სტიმულატორთა აღმოფხვრისა და აღნიშნულ წყარო-არხთა გადაკეტვისაკენ;

10. სამეცნიერო-ტექნიკურ ტერმინოლოგიას, ჩვენი სათანა-

დო პოტენციალის გათვალისწინებით და საჭირო დაფინანსების პირობებში, ადვილად მოევლება, მაგრამ თავი და თავი საზრუნავი სახალხო ენა უნდა იყოს, ხალხის ფართო მასები, რომელთაც კიდეც უნდა ვასწავლოთ და მათგანაც მუდამ უნდა ვსწავლობდეთ, როგორც ამას დიდოსტატი კონსტანტინე მოგვინდებდა, რადგან ენის ძირითადი შემოქმედი სწორედ „უბრალო“ ხალხია, თანაც არ უნდა დაველოდოთ, როდის დაიბადება ამა თუ იმ კუთხეში დიდი ავტორი და იქაურ ენობრივ ნობათს მოგვართმევს. ამ „საველე“ კვლევა-ძიებაში ფართოდ უნდა ჩავრთოთ ყველა კუთხის სტუდენტი ახალგაზრდობა;

11. უფლება არ გვაქვს ვითმინოთ, არხეინად ვუსმინოთ, როგორ ლაპარაკობს 15-საუკუნოვანი ლიტერატურის პატრონი ქართველი: „ბოჭკა“, „ფადნოსი“, „მისკა“, „კრუჟკა“, „ბაკალი“, „ჩამკა“, „მეშოკი“, „სუჟკა“, „კაშელიოკი“, „ბალკა“, „სტოლბა“, „ფერი“, „ტრუბა“, „პახმელია“, „პარიჩნი“, „კლეჩატი“ და ა.შ.; არ უნდა გავადევნინოთ გარეულ კატებს შინაური, თუნდაც ადრე მოშინაურებული და შესისხლხორცებული „ვექილი“ – „ადვოკატის“, „ჩუბინი“ – „სნაიპერს“, „ჩარექი“ – „ლიტრს“, „ხუროთმოძღვარი“ – „არქიტექტორს“, „კურთხევა“ – „ინაუგურაციას“ და ა.შ.; ის კი არა, ჯერ კიდევ ნმინდა შეუძლია „ჭიქა“ კინალამ გამოგვაცალა ხელიდან უმეცარი ნოქრის მიერ ამ საგანზე წაჯლაბნილმა „სტაქანმა“;

12. თუმცა „უბრალო“ ხალხს რა უნდა მოვთხოვოთ, როცა მასმედიის დიდი ნაწილის ქართული ყურს გჭრის, თვალს გტკენს და გულს გიკლავს. სადაც, როგორც წესი „ბორჯომს ასხავენ“, „კარებებს ხურავენ“, „მადლობას მოუხდიან“, „საკითხებს სვავენ“ და „პრობლემებს წყვიტავენ“. ერთ-ერთი რადიო კი შესაშური ინტენსივობით უნდევს პროპაგანდას, ლამის თბილისის კოლორიტად ქცეულ, „ჩემი“-ს მაშინ, როდესაც ბალტისპირეთში, ქუჩაში ბილნისიტყვაობისათვის აჯარიმებენ.

მოკლედ: 1. მაქსიმალური დატვირთვით უნდა ავამუშაოთ სიტყვათმანარმოებელი მოდელები – წარმოქმნა და თხზვა; 2. უნდა მოვიძიოთ და გავალიტერატურულოთ დიალექტური მასალა; 3.

უნდა ვისესხოთ მხოლოდ ის, რისი არც ეკვივალენტი გვაქვს და არც კალკირება ხერხდება;

13. საჭიროა, ხელმისაწვდომ ფასებში და დიდი ტირაჟით, დაიბეჭდოს ყოვლისმომცველი საყოფაცხოვრებო თემატურ-ანბანური ილუსტრირებული ქართულ-რუსულ-რუსულ-ქართული ლექსიკონი, რომელიც სავალდებულო სამაგიდო წიგნად უნდა იდოს მასმედიასა, გამომცემლობებსა და საფარო ქსელში.

14. შესაქმნელია სულხან-საბას სიტყვის კონისა და ა. მაყაშვილის ბოტანიკური ლექსიკონის მსგავსი ვრცელი დარგობრივი ლექსიკონები, რომლებიც შემდეგ საფუძვლად დაედება დიდ ქართულ ენციკლოპედიას;

15. შესავსები და დასახვენია, თავის დროზე სამართლიანად პრემირებული, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, სადაც ზოგჯერ ციტირებულია საბა, მაგრამ მიუთითებელია, რა მნიშვნელობით იხმარება ესა თუ ის ლექსიკური ერთეული დღეს. მაგალითად, სიტყვა „გულზე“ მოცემულია გამოთქმა – „თუ გული გულობს, ქადა ორივე ხელით იჭმევაო“, მაგრამ განუმარტავია თვით ამ გამოთქმის აზრი და გაურკვეველია „გულის“ რომელი მნიშვნელობის საილუსტრაციოდაა იგი მოხმობილი;

16. დროა, ვიფიქროთ პოლიგლოტი ლექსიკონების გამოცემაზეც;

17. საშური საქმეა, მაგალითად, ქართულ-რუსულ-ინგლისურ-გერმანულ-ფრანგული ლინგვისტური ტერმინოლოგიის შედგენა და გამოცემა, შებრუნებული საძიებლებით;

ჩემი აზრით, გადასაფორმებელია, აგრეთვე, ზოგიერთი ორთოგრაფი. მაგალითად, თუ იწერება „რასაკვირველია“, რატომ არ უნდა ვწეროთ „რათქმაუნდა“? თუ შეიძლება „ზღვისენა“, რატომ არ შეიძლება „ზღვისყური“? და ა.შ.;

18. მარტო წიგნები, ბუნებრივია, საქმეს ვერ უშველის, რადგან ვერბალური ცოდნის ჩვევად ავტომატიზირებას შესაბამის მოქმედებათა მრავალჯერადი, არამექანიკური, შინაგანად მოტივირებული გამეორება უნდა. ცურვა ცურვით უნდა ასწავლო. დღეს ჩვენს სკოლებში გაბატონებული „გადმოგიყარე-გადმომი-

ყარე“ მეთოდით ან მხოლოდ „თუთიყუშებს“ მივიღებთ, ან ჯერ სკოლის ეზო-დერეფნების, შემდეგ კი ქუჩის „აბორიგენებს“. ეს ცურვა აკლიათ ჩვენი სკოლების „ზუთხებს“ და ამიტომაც ვერ მოგვიცილებია „შპარგალკა“ და „რეპეტიტორი“;

19. როგორც ცნობილია, „ადამიანის გაადამიანება“ აკვნი-დანვე იწყება. ბავშვი, დედის რძესთან ერთად, მექანიკურად ითვისებს ოჯახში დამკაიდრებული ქცევისა და მეტყველების შტამ-პებს, რომელთა უმრავლესობა, ამ ოჯახში არათანაბარი კულ-ტურის დონის გამო, საზოგადოებისათვის მიუღებელია, მაგრამ მათ გადაშლა-გაკეთილშობილებას ჩვენი განათლების სისტემა ვერ ახერხებს.

20. ძირეულადაა გარდასაქმნელი მთელი აღზრდა-განათლების სისტემა. ბავშვს, სათანადო თამაშობებით, ბაღშივე უნდა ჩავუნერგოთ სანიმუშო ქცევისა და მეტყველების ნორმები, განსაკუთრებით კი საწყენზე, ჩვენთან „დაკანონებული“ ლანძღვა-გინების ნაცვლად, ცივილიზებული რეაგირების უნარ-ჩვევები. სასკოლო სახელმძღვანელოები უნდა გათანამედროვდეს და გაუსწორდეს საერთაშორისო სტანდარტებს. სწავლება უნდა გახდეს აქტიური, მოსწავლე-მასწავლებლის ურთიერთობა – დემოკრატიული;

21. და ბოლოს, აუცილებელია დაარსდეს სპეციალური სასწავლებო-სააღმზრდელო ტელეარხი, რომლითაც სისტემატურად გადაიცემა საუკეთესო გაკვეთილები და ლექციები მათი შემდგომი საჯარო განხილვისათვის. აგრეთვე, ტიპურ სიტუაციებში, ამა თუ იმ ფსიქოლოგიური ტიპისათვის, სანიმუშო ქცევისა და მეტყველების საილუსტრაციო თეატრალიზებული სცენები.

საინფორმაციო პორტალი <http://www.polity.ge>,  
17 თებერვალი, 2010

## EUROPE KNEELING BEFORE GAS-OILY AND NUCLEAR RUSSIA OR NOT TROUBLING THE TROUBLE ... ?

Russia's almost inborn ambitions are openly declared in the names — Vladivostok (possess the East), Vladikavkaz (possess the Caucasus), Vladislav (possess the Slavs) and what is the most significant — Vladimir (possess the World).

And the Empire of evil thinks its divine right and even its sacred duty to crush and sweep every person and country off the road towards these set goals.

Unfortunately the two-headed vulture is so far successfully realizing its fixed dreams. It has got away with the genocide of Georgians in Abkhazia and “South Ossetia” and Chechens in Chechnya, including all their national leaders and their two legitimate presidents and now it is building Berlin walls in Georgia.

If memory does not betray the World, it can easily recollect that Hitler was beginning just so, exactly analogically. Consequently it is high time to stop the monster until the trouble reaches everybody and not only the Caucasus and at the same time the Russian people should be helped to free itself from its suicidal ambitions.

Akaki Mumladze  
IDP from Sokhumi

February 20, 2010

## ღ01 ԵՎՐՈՊՈՒ ՏԱՀԱՐԴՅՈՂՈՍ ԿՐԵՑԻՇԵՆՔԻ ՏԱՄՐԿ ԹՈԽԵՈՂ ՏԱԱԿԱՑՅՈՂԸ

Ծագոնո პրեზիդենտ,

დამეთანօმებით, რომ თუ გვინდა ჩვენი ხալხის մաრ-  
գո-ქմբեցების პოტենցիալս սրულաდ զույնեցდეთ, մայսიմալ-  
უրաდ უნდა զթրունացდეთ ამ ხალხის չանմრտուղոბաსა, სწաշ-  
լու-გանատլեბաსა, აღზրდասა და კეთուղացდებაზე მთელი მათი  
Տուքուղուն განմաշալոბაში, რიստուն աշխատա:

1. Տաֆորո გամուցես და պահանջ დედაս եղանական ფաս-  
ში მուყიდოს, Տուքուղուրա და պահանջ კո Տահուրա და გადაეცես  
„ծագմա მოւլա-ծագրուն ბաში და აღზրდის ეնცուղու კედი“.  
Տայմե იმაში, რომ პրոბլեմուր ռջաხში ծագմա სաთვის არავის  
ცხელა, ხშირად კი თვით ծագմա „პրոბլեմուր“, რომლის „մոრ-  
ջულებաს“ მხოლოდ წერტილ ცდილობენ. ռջաხუրი ծագմա იბი  
და მათი თანმდევი ლექსიკა ანგრევს ծաგმა ფსიქიკას და სამო-  
ქმედო პროგრამა და სტერეოტიკება მის ყოფა ცევასა და მე-  
ტყველებაში. ხოლო რուცა ქვეყანაში ასეთი ռջաხების სიჭრბე,  
მათში დამახინჯებული ნორჩების რეაბილიტაცია აღარც ეზო-  
შემდგომ აღმზრდელებს – ბალს, Տეղակա, ქუჩას და სხვა თავყრი-  
ლობებს ეიოლებათ, რამეთუ ისინი უმეტეს სწილად, თუნდაც უკვე  
განსწავლული, მაგრამ ასეთ ռջաხებში სამუდამოდ დაღდას მუ-  
ლი სუბიექტებით არიან დაკომპლექტებული. ვის უნდა მიბაძოს  
მოზარდმა, თუ მთელ ქვეყანაში და თვით მის ზედა ეშელონებშიც  
უთანხმოების „մოგვարების“ ერთადერთი გზა დედის გინება და  
მუშტიკერივია. ეს არ არის მარტ ჩვენი პრობლემა, მაგრამ თუ  
გვინდა ქვეყანაში ზეობდეს ზნეობა და განიტვირთოს ციხეები,  
Տաելմნიფոს მთავარი Տահուն աշխատա და „ზნեմու კლე“  
ռջաხები უნდა იყოს.

2. დიდი ხანია გამოსაცემია აշრეთვე „პოპუլաრული Տա-  
մեდიცინ ენცուղու კედი“ Տաთანადო აუდიო და ვიდეო ილუս-  
ტრաციებით, როგორც მთელი მოსახლეობის, ისე თვით ռջաხის  
ექიმის სათვის დასახმარებლად, რომელიც ყოველ Տოფլու უნდა

ჰყავდეს, Տաდაც იგი წელու და ერთხელ მთელი Տოფლის პრო-  
ფილაქტიკურ გასინჯვას უნდა ანარმოებდეს.

3. ნიჭი და Տաჭირო უნარების უმრავლესობა არ იბადება,  
იბადება მხოლოდ ორგანიზმის ტვინის მზაობა „განწყობა“, პო-  
ტენცია ამა თუ იმ ნიჭის თუ უნარის უპირატესი განვითარები-  
სათვის; თანაც რაც ერთისათვის საწყისი ეტაპია, მეორისათვის  
იგი ის უმაღლესი ნიშნულია, რომლის იქითაც იგი ნაბიჯსაც ვეღ-  
არ გადადგამს. მაშასადამე, Տაზოგადობა ვალდებულია დროზე  
შეიცნოს „ნიჭები“ და განაწესოს ისინი შესაბამის სპეციალიზე-  
ბულ Տასწავლო-Տააღმზრდელ დაწესებულებებში. „ფილოლო-  
გი“ არ უნდა გავტანჯოთ ტრიგონომეტრით, „მათემატიკოსი“  
არ უნდა გადავღალოთ ბოტანიკითა და ზოოლოგით.

4. „ნიჭების“ კორუფციის მარწუხებიდან ხსნის ქმედით Տა-  
შუალებად მოგვევლინა ეროვნული გამოცდები, მაგრამ სკოლის  
გამოსაშვებ გამოცდებს ფეხდაფებ და დაგვენებული და ახალგაზ-  
რდობის ნერვებმგლეჯი ეროვნული გამოცდები არ დაგვჭირდ-  
ება თუ Տათანადო გავაკონტროლებთ გამოსაშვებ გამოცდებს  
სკოლებში და ამ გამოცდების შედეგებით დავაკომპლექტებთ  
შემდგომი საფეხურის Տასწავლებლებს. თანაც ფრიადოს ნების  
Տასწავლებას სრულად დააფინანსებს Տახელმწიფო და უზრუნვ-  
ელ ჟირფის მათ სტიპენდიითა და იაფი Տაერთო Տაცხოვრებლით.  
დანარჩენი სკოლადამთავრებულები Տასწავლას განაგრძობენ დას-  
წრებულ და დაუსწრებელ Տასწავლებლებში თვითდაფინანსე-  
ბით. თუმცა უმაღლესში მოწყობა აღარ უნდა ნიშნავდეს ერთხ-  
ელ და სამუდამოდ განაღდებულ მონაბოვარს, კონკურენცია  
სტუდენტთა შორის მუდამ უნდა მიმდინარეობდეს, სემესტრული  
გამოცდები კი უნდა წყვეტდეს – ვინ დარჩება Տახელმწიფო დაფუ-  
ინანსებაზე და ვინ მოიპოვებს მას.

5. Տასწავლո ლექცია ცოდნის მიღების მხოლოდ Տაწყისი  
ეტაპია, სტუდენტის დროის ბიუჯეტის უდიდეს ნანილ კი ნოქა-  
ვს. გამოკვლევებმა ცხადპყვეს, რომ ლექციას უსმენს, მაგრამ არ  
იწერს ნიჭიერი უმცირესობა; ლექციას იწერს, მაგრამ არ უსმენს  
„მუშა“ უმრავლესობა; ხოლო არც უსმენს და არც იწერს ყალთ-

ბანდობა. შემდეგ, გამოცდების წინ ეს სამივე კატეგორია, ჩაუჯდება ხოლმე თავის თუ სხვის კონსპექტებს და როგორც ბატონი ნოდარ დუმბაძე ბრძანებს – ცოდნით თავგასივებული შედის გამოცდაზე და ბურთივით დაჩუტული გამოდის იქიდან. მოკლედ, ჩიტი ბრდღვნად არ ღირს. რაც შეეხება ლექციებს, მათი განახლებული, ინფორმაციულად გაჯერებული და ოფიციურად და ენობრივად გამართული კურსები შესაბამისი კითხვებითურთ ყოველ ხუთ წელიწადში უნდა გამოდიოდეს წიგნებად, დისკებად და კასეტებად, რომელთაც სტუდენტი შინ, მყუდრო ატმოსფეროში, ან ბიბლიოთეკაში დაამუშავებს, და ერთი სული ექნება, როდის მივიდეს სასწავლებელში და თანატოლებს გაეჯიბროს. ამ შემთხვევაში, ცოდნის სისტემაში მოყვანა, მისი განმტკიცება-დამახსოვრება მოხდება სემინარულ და პრაქტიკულ მეცადი-ნეობებზე მსჯელობა-კამათის რეჟიმში, სწავლების საბოლოო მიზნის – სათანადო უნარ-ჩვევების ფორმირებას კი უზრუნველყოფს საწარმოო და პედაგოგიური პრაქტიკა. ეს სიახლე, სააუდიტორიო საათების უფრო რაციონალურად გამოყენების და სტუდენტთა დამოუკიდებლობის ზრდის გარდა, „ლექტორსაც“ გაათავისუფლებს ფურცლებზე მიჯაჭვულობისაგან და მას კათედრის ზომბიდან ცოცხალ ადამიანად ჩამოადემოკრატებს სტუდენტთა აუდიტორიაში, სადაც იგი სასწავლო პროცესის ორგანიზატორიც იქნება, აქტიური მონაწილეც და შემაჯამებელ-შემფასებელიც.

დისტანციური სწავლების საშუალებები გამოყენებულ უნდა იქნას აგრეთვე მთის მცირეკონტინგენტიან სკოლებშიც, სადაც ხშირად ზოგიერთი საგნის მასწავლებელი არცა ჰყავთ ხოლმე. საერთოდ, მასმედია უფრო შემეცნებითი და საქმიანი უნდა იყოს, ვიდრე საღლაბუცო და იგი ხშირად უნდა გადასცემდეს სანიმუშო გაკვეთილებს და მათ საჯარო განხილვებს.

6. სრული ანაქრონიზმი და გაუმართლებელი ფუფუნებაა დეკანატი, ამიტომ მისი ფუნქციები – ცხრილების შედგენა, აუდიტორიების დანაწილება და აკადემიური მოსწრების აღრიცხვა – უნდა გადაეკისროს მაპროფილებელ კათედრებს, ანუ მიმდინ-

არეობებს, მითუმეტეს რომ მოსწრებაზე სწორედ ისინი არიან პასუხისმგებელი. რაც შეეხება სახელმწიფო გამოცდებს, მათ კათედრებსა და სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად უნდა იპარებდნენ შესაბამისი დარგისა და სფეროს მოწვეული ექსპერტებიც.

7. როგორც ადრეც გწერდით, ჩემი აზრით, მიზანშეწონილია მეცნიერებისა და სწავლების ინტეგრაცია კვლევისა და სწავლების ცენტრებად, რაც ორივე მხარეს წაადგება. მაგალითად, ა. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი შეიძლება გაერთიანდეს ი. ჭავჭავაძის და ი. გოგებაშვილის სახელობის უნივერსიტეტებთან სახელნოდებით – „ი. ჭავჭავაძის, ი. გოგებაშვილის და ა. ჩიქობავას სახელობის ენათა კვლევისა და სწავლების ცენტრი“, სადაც აღიზრდებიან პოლიგლოტი ენათმეცნიერები, თარჯიმან-მთარგმნელები და ქართულ და უცხო ენათა მაღალკვალიფიციური მასწავლებლები. რაც შეეხება სპორტის უნივერსიტეტს, მისი ადგილი უფრო სამედიცინო უნივერსიტეტთანაა. დროა, აგრეთვე აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ბაზაზე დაფუძნდეს „მსოფლიომცოდნეობის კვლევისა და სწავლების ცენტრი“, ჯერ თუნდაც მხოლოდ დასავლეთმცოდნეობის და აღმოსავლეთმცოდნეობის განყოფილებით.

8. ინგლისურის მასწავლებლებად უცხოელ მოხალისეთა ასე ექსპრომტად და უკონკურსოდ სკოლებში შეშვება არც ისე უნაყოფო იქნება, როგორც ამას ოპოზიცია შიშობს და არც ისე წაყოფიერი, როგორც ამას პოზიცია იმედოვნებს. საერთოდ კი, უცხო ენათა წარმატებით სწავლა-სწავლებისათვის საჭიროა: а) ახალი სტაბილური მემკვიდრეობითი სახელმძღვანელოების შედგენა და მასწავლებელთა კორპუსის გადამზადება ადგილებზე ფუნქციონირებად საზაფხულო სკოლებში უცხოელ მოხალისეთა დახმარებით; ბ) უცხო ენათა მასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის უნდა ენცობოდეს აგრეთვე საზაფხულო დასასვენებელი ბანაკები უცხოელ მოხალისეთა მონაწილეობით; გ) აუცილებელია, არც ისე ძნელია, ჩვენი საელჩოების დახმარებით დამკვიდრდეს დამსვენებელთა ოჯახური გაცვლა-გამოცვლა უცხ-

ოეთთან განსაკუთრებით არდადეგების პერიოდში; დ) უცხოენო-ვანი კინოფილმების ნახვა, ტიტრებით თუ უიმათოდ, უნდა შეიძლებოდეს როგორც კინო-თეატრებში, ისე შესაბამის უმაღლეს სასწავლებლებში, რომელთა სცენარებს სტუდენტები წინასწარ გაივლიან ანალიზური და სინთეზური კითხვების რეჟიმში; ე) ინტერნეტი რომ ყველასთვის ხელმისაწვდომიც იყოს, ის ვერ შეცვლის წიგნს, ამიტომ ვინმემ უნდა მოჰკიდოს ხელი ჯერ თუნდაც ჩვენს ხელთ არსებული უცხოენოვანი მხატვრული ლიტერატურის გადაბეჭდვა-გაყიდვის სარფიან საქმეს.

9. დღეს ძნელია და უკიდურესად საზიანოცაა „ჭურში“ იყოლიო საკუთარი ხალხი. პირიქით, აუცილებელია დაარსდეს და მთელ საქართველოში იყიდებოდეს ყოვლისმომცველი ნამდვილი „სახალხო გაზეთი“, რომელიც მოსახლეობას მიაწვდის ობიექტურ ინფორმაციას საქართველოს და ქართველთა დღევანდელობის, წარსულისა და სამომავლო პერსპექტივების შესახებ გლობალურ ჭრილში და ხალხს შესთავაზებს მეცნიერულად დასაბუთებულ, ქმედით რეკომენდაციებს ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში წარმატებული საქმიანობისათვის და ამ სფეროთა წარმატებული ფუნქციონირებისათვის.

გაზითის მრავალიცხოვან რუბრიკებს შორის აუცილებლად უნდა იყოს შემდეგი სამი: 1. „რაციონიზატორული წინადადებები“, 2. „დიალოგები მთავრობასთან“, და 3. „სამომხმარებლო კალათა და შემოსავლების ამპლიტუდა დოლარებში ჩვენთან და მეზობლებთან“ – სომხეთში, აზერბაიჯანში, უკრაინაში, რუსეთში და თურქეთში. ყველაფერს კი აჯობებს გაერო რუსეთის „ხათრით“ თუ მთლად არ ამოიკვეთავს ფეხს საქართველოდან და გამოგვიცემს გაზითს „Триалог“, რომლითაც ჩვენ, აფხაზები და ოსები ერთმანეთს დაველაპარაკებით და შევეცდებით ხელახლა დავამყაროთ სამეცნიერო, ეკონომიკური, კულტურული და სპორტული ურთიერთობები ერთმანეთთან.

10. სანამ პროფესიული კლუბების ფუფუნებას მივაღწევდეთ, საჭიროა პროფესიონების სასახლეში გამოიყოს თუნდაც ერთი სადისკუსიო დარბაზი, სადაც კვირის ყოველ დღეს რიგ-რიგო-

ბით შეიკრიბებიან მეცნიერების სხვადასხვა დარგისა და ცხოვრების სხვადასხვა სფეროს ექსპერტები და ფიროსმანის ჭიქა ჩაიზე იმსჯელებენ თავანთ პროფესიულ და საერთაშორისო საჭიროობრივ საკითხებზე, რაც აამაღლებს მათი საქმიანობის დონეს და შეათხელებს ქუჩის აქციონერთა რიგებს.

11. ბევრი სასიკეთო გაკეთდა და კეთდება სამომავლოდაც, მაგრამ თუ აგრარული ქვეყნის ხერხემალი – სოფელი თავის თავ-საც ვერ ირჩენს, იმპორტსა და გრანტებზე ჩამოკონნიალებულ ამ ქვეყნას საერთოდ არ აქვს მომავალი.

12. სოფლების დაცარიელება, მოსახლეობის ცხრა მთას იქით გადახვენა და დედაქალაქის ხიზნებით გადატვირთვა საგანგაშო ფაქტებია, მაგრამ ამ სიტუაციის წამალი სოფლისა და მთის აღორძინებაა და არა „ზედმეტების“ ძალადობრივი გადასახლება და ისიც შუა ზამთარში.

13. პირველყოვლისა უნდა აღდგეს მტს-ები და რეაბილიტირდეს ქუთაისის საავტომობილო ქარხანა, რომელიც სასოფლო-სამეურნეო ტექნიკასაც გამოიუშვებს. ტექნიკა სამუალებას მოგვცემს ხორბლის მოსავალი მოხმარების 50%-მდე მაინც ავიყვანოთ, ნაპურალებზე კი სხვა კულტურების მეორე მოსავალიც მივიღოთ.

14. სოფლის მეორე აქილევსის ქუსლია გახშირებული გვალვები, ამიტომ ნაწილობრივ მაინც უნდა მოხერხდეს ნათეს-ნარგავების მორწყვა, თუნდაც ჭაბურლილებიდან.

15. არარაციონალურია ეკონომიკურად, ტექნიკურად და უსაფრთხოების თვალსაზრისითაც ვრცელ და ოღონ-ჩოლრო ტერიტორიებზე განთვენილი სოფლების გაზმომარაგება მიღებით. სოფლისათვის ყველაზე უფრო ოპტიმალური გაზის ბალონებით მიყიდვაა. გლეხი გაზს ძირითადად სამზარეულოში მოიხმარს, გათბობისათვის და თონქები კი იგი გამოიყენებს შეშას, რომელსაც ნაწილობრივ თვითონაც დაამზადებს თავისი ნაკვეთების ნაპირებზე მაღლემზარდი საშეშე და სამასალე ხეების დარგვით.

16. საერთოდ, ტყეების გაჩერებითა და ხანძრებით გამოწვეული დანაკლისის კომპენსირება უნდა მოხდეს როგორც ახალი ტყეე-

ბის გაშენებით, ისე შარაგზების ორივე მხარეზე ქარდამცავი და მსხმოიარე ხეებისა და ბუჩქების დარგვით.

17. სოფლის სისუფთავისათვის საჭიროა არა მარტო შიდა გზების დაგება, არამედ საყოფაცხოვრებო ნაგვისა და ჯართის რეგულარულად გატანა სპეციალიზირებული მანქანებით.

18. უნდა ვალიაროთ, რომ თითქმის დაუბანელია ჩვენი გლეხი. არადა, სულაც არაა ძნელი თუნდაც საზაფხულო საშხაპების გამოვება თუნუქის სანყლე ავზებით.

19. უნდა იყიდებოდეს აგრეთვე მინაში ჩათხრილ ორმოზე დასადგამი ასაწყობი ტუალეტები, სასტიკად უნდა აღიკვეთოს ფერალური მასის მიმვება ღელებსა, მდინარეებსა და ტბებში.

20. დროა, გავტეხოთ ნავსი – ავაშენოთ ქარის ელექტროსადგურები და მოვიყვანოთ ბრინჯი დაჭაობებულ ტერიტორიებზე. დასანერგია სხვა ახალი კულტურებიც. ყოველშემთხვევაში, ვარდების რევოლუციის ქვეყანას ვარდები არ უნდა შემოჰქონდეს ჰოლანდიიდან.

21. არავინ არ უნდა ჩამოვასახლოთ კომპაქტურად, აღარ გვჭირდება ახალი თავსატკივარი ავტონომიები. ცარიელი სივრცეები უნდა გავანაშენიანოთ ახალგაზრდული დასახლებებით, მთის სასაზღვრო ზოლი კი დავასახლოთ მესაზღვრეთა ოჯახებით, რომლებიც დასაქმდებიან მესაქონლეობით და მესაქონლეობის პროდუქტების გადამუშავებით.

22. გადამამუშავებელი სანარმოები ჰაერივით სჭირდება ბარსაც, სადაც ისინი დასასაქმებენ მუშახელს და სახელმწიფოსაც მეტ მოგებას მოუტანენ, ვიდრე შესაბამისი ნედლეულის, მაგალითად, ხე-ტყეისა და ჯართის გაყიდვა. საჩხერის შამპანკომბინატის გაუქმებამ ბევრ ოჯახს გამოაცალა პირიდან ლუკმა და გააჩენა წლობით ნალოლიავები ვაზი.

23. გეთანხმებით, რომ ჩვენი მდებარეობის და ზომის ქვეყანაში ყველა დასახლებულ პუნქტს უნდა ჰყავდეს თავისი სახალხო ლაშეარი და დიდი და პატარა, ქალი და კაცი უნდა გადიოდეს გარკვეულ სამხედრო წვრთნას საცხოვრებელ ადგილებსა, სასავლებლებსა და სამსახურებში. ოღონდ, ამ შემთხვევაში უნდა

სუფევდეს სრული გაგება და ურთიერთპატივისცემა მოსახლეობასა და მთავრობას შორის, რისი მიღწევაც შეუძლებელია სანამ მინისტრები და სხვა ხელმძღვანელი მუშაკები ათასობითლარიან ხელფასებს ღებულობენ და ასეთსავე პრემიებსაც უნიშნავენ თავის თავს; ხალხი კი შიმშილობს. სახელმწიფო ქრთამი კორუფციას ვერ აღმოფხვრის, თანამდებობებზე უნდა ინიშნებოდნენ ექვთიმე თაყაიშვილები, რომლებიც საბედნიეროდ, ჯერ არ გადაშენებულან. სიტყვამ მოიტანა და უნდა ითქვას; რადგანაც ჩვენი დამოუკიდებლობის დღე 26 მაისია, ჩვენი პირველი პრეზიდენტი ბატონი ნოე უორდანიაა, რაც არანაირ ჩრდილს არ აყენებს შემდგომ პრეზიდენტებს.

24. რადგანაც გვაქეს რეგიონები და არა გუბერნიები, ჩვენ უნდა გვყვანდნენ რეგიონატორები და არა გუბერნატორები.

25. ჩვენი ჰიმნის პირველი სტროფის მეორე ნახევარი არაპოეტური, არაფრისმთხმელი და ბუნდოვანია.

ჩემი ვარიანტია – „ღვთისმშობლის ხვედრი ედემი  
(ან ღვთით დალოცვილი მთა-ბარი)  
პირნათელია ღმერთთანა“, ანუ  
ჩვენ ვასრულებთ ყველა  
ვალდებულებას ღვთის წინაშე.

გაეგზავნა პრეზიდენტს ელექტრონულ მისამართზე  
აიტვირთა გაზეთ რეზონანსის ინტერნეტ-პორტალზე,  
[www.resonancedaily.com](http://www.resonancedaily.com), 12 მაისი, 2011.

## არამართეს ღაღადი ჩალით დაცურულ უდაპნოსა შინა

განათლების სისტემის რეფორმის აუცილებლობისა და გზების შესახებ მე ჯერ კიდევ 1986-ში მივწერე “უჩიტესესკაია გაზეტა”-ს, საიდანაც რედაქტორმა მოზგოვამ მიპასუხა - ბევრ რამეში

გეთანხმებით, მაგრამ ეს არაა საგაზეთო წერილი და გირჩევთ პირდაპირ სამინისტროს მიმართოთ.

სამინისტროსათვის მე არ მიმიმართავს, რადგანაც გამოც-დილებით ვიცოდი - იქ ყურსაც არავინ შეიძერტყავდა. გაზეთი კი სწორედ იმიტომ ვარჩიე, რომ თანამოაზრები შემომეკრიბა და ერთად გვეპრძოლა ამ “კერკეტი” საკითხის მოსაგვარებლად.

ერთი წლის შემდეგ ეს წერილი “ჩანაცემით” დამიბეჭდა რე-დაქტორმა ამირეჯიბმა “ზარია ვოსტოკა”-ში, რომანტიკული სა-თაურით - “შერლოკ ჰოლმსის სამშობლოში”; ჩანაცემის გარეშე, ოღონდ აფხაზეთის უნივერსიტეტის რექტორ ალეკო გვარამი-ასთან შეთანხმებით რედაქტორმა იულია გერიამ - “სოვეტს-კაია აბხაზია”-ში; ხოლო 1993 წელს, როცა ჩვენმა უფროსმა და უმცროსმა “ძმებმა” თბილისში ცხოვრების დიდი ხნის ნატვრა “ამიხდინეს”, მე ამ წერილით მივმართე ჩვენი განათლების მაშინ-დელ მინისტრს - ბატონ თამაზ კვაჭანტირაძეს, რომელმაც იგი წაკითხვისა და პასუხის ღირსად არ სცნო; მაგრამ როცა ეროვნული მისალები გამოცდები უჩემოდ დაარსდა, მასში “აქტიური” მონაწილეობისათვის ბატონმა თამაზმა ჯილდოც დაიმსახურა.

ნეტამც თუნდაც დაგვიანებით და თუნდაც ისევ უჩემოდ სხვა ჩემი წინადადებებიც რეალიზდებოდეს. ისე, რათემაუნდა, ჯო-ბია თუ შინაურ მღვდლებსაც ექნებათ შენდობა და ტყეში პანტის ძებნას არ გადავყვებით.

სხვა - ყურში არ-შეშვებული წერილებია - საქართველოს პრეზიდენტისადმი, საქართველოს პრემიერ-მინისტრისადმი და საქართველოს განათლების მინისტრისადმი. სამწუხაროდ, დემოკრატიის მშენებლებს დემოსის აზრი არ აინტერესებთ.

ელექტრონული პორტალი [www.education.ge](http://www.education.ge),  
15 აგვისტო, 2013

## პალეიდოსკოპი

1. რადგანაც გვაქვს რეგიონები და არა გუბერნიები, უნდა გვყავდნენ რეგიონატორები და არა გუბერნატორები.

2. ჩვენი ჰიმნის ტექსტში ფრაზა “განათებული მთა-ბარი” ბა-ნალურია და არავითარ პოეტურ მუხტის არ შეიცავს, ხოლო “წილ-ნაყარია ლმერთთანა” - ბუნდოვანი და არაფრისმთქმელია. ჩემი შემოთავაზებაა:

„ღვთისმშობლის ხვედრი ედემი

(ან ღვთით დალოცვილი მთა-ბარი)

პირნათელია ლმერთთანა”, ანუ ჩვენ ვასრულებთ ყველა მოვა-ლეობას ღვთის წინაშე.

3. ზამთარზე მშვენიერი სიმღერის ტექსტში გაპარულია შე-უსაბამობა - თუ უკვე ზამთარია და სიცივეა, შემოდგომა კი არ მიდის, არამედ უკვე წასულია. უნდა იყოს:

„გვიახლოვდება ზამთარი,

შემოდგომა მიდის...

4. ვლადისლავ არძინბას სახელი სალავებზე ბატონობას ავალებს, ის კი თვითონ ხდება მათი მონა-მორჩილი.

5. მაჟაჯირობით „ჭკუანასწავლმა“ და დამოუკიდებლობის ეიფორიაში შეტყუებულმა აფხაზმა რუსეთ-საქართველოს ომში ძლიერის მხარე დაიჭირა და მისი “იარაღობა” იკისრა.

6. უნდა ვკითხოთ იმ აფხაზებსა და ქართველებს, რომლებიც აფხაზები ერთმანეთის აბორიგენობას უარყოფენ, მაშინ საიდან გაჩნდა ამ ტერიტორიაზე ამდენი ნაქართველარი აფხაზი და ამდენი ნააფხაზარი ქართველი?

7. საჭიროა გაეროს ეგიდითა და სპონსორობით დაარსდეს რუ-სულენოვანი გაზეთი „Триалог“, რომლითაც ჩვენ, აფხაზები და ოსები ერთმანეთს დაველაპარაკებით საჭირობოროგო საკითხებ-ზე და ჩვენ მათ შევთავაზებთ ბიზნესში, კულტურულ და სპორ-ტულ ღონისძიებებში მონაწილეობას.

8. რა თქმა უნდა, კარგი და მხოლოდ კარგი უნდა ქნა, მაგრამ არ უნდა დადო ქვაზე იქ, სადაც გაივლი და ქვაც აღარ დაგხვდე-

ბა. ვინ მოსთვლის რამდენი ასეთი ქვა აქვს დაკარგული საქართველო!

9. როგორც ერთმანეთის გვერდით ნაზარდი და მაშასადამე, ერთი ნიადაგით ნასაზრდოები სხვადასხვა მცენარე სხვადასხვა ფორმის, ფერის, და გემოს ნაყოფს იძლევა - ზოგი ტკბილს, ზოგი მნარეს და ზოგიც მუავეს, ისევე ერთნაირი განათლების მქონე ადამიანები სულ სხვადასხვა მიმართულებით ეწიკებიან („ელექტრო რაც და შუკებიან“) საზოგადოებას.

10. ვარდი უეკლოდ არ იკრიფება, მაგრამ ცხოვრებაში „უვარდოდაც“ ბევრი იჩხვლიტება.

11. გულზე მუშტმობრაგუნე „დემოკრატიის მშენებლებს“ დემოსი მხოლოდ არჩევნების დროს ვახსენდებით. კი ბატონი, დავდგეთ ერთად, გადავიღოთ „კარტიჩკაც“, მაგრამ ამის შემდეგ თქვენ რომ ჯაპებით რესტორნებსა და სამორინებში წაგრიალდებით, მე რატო უნდა წავჩანჩალდე ფეხით იაფი პროდუქტების საძებნელად?

12. მოკლედ, სანამ ელიტა განცხრომაშია, აგრარული ქვეყნის ბურჯი - სოფელი კი თავსაც ვერ ირჩენს და უკაცრიელდება, გრანტებსა და იმპორტებზე ჩამოკონნიალებულ ამ ქვეყანას საერთოდ არ აქვს მომავალი.

13. მუქთად არავინ არაფერს იძლევა, გრანტი “დოპინგია“ რათა მაქსიმალურად გამოგიყენონ, ხოლო ექსპორტს გადაჭარბებული იმპორტი საკუთარი წარმოების დადამბლავება და სხვის წარმოების გასაღების ბაზრად ქვეყნის დაკავებაა.

14. დღევანდელი ადამიანის ყოველგვარი და მითუმეტეს გონიერივი საქმიანობა მეცნიერულ ცოდნას უნდა ეფუძნებოდეს. თვით “განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო“ შესაბრუნებელია “მეცნიერებისა და განათლების სამინისტროდ“.

15. მეცნიერული ცოდნა “მენდელეევის ტაბულაა“, რომლის ყოველი შემადგენელი ნაწილი, ყოველი დოზა წინას წანაზარდი და მომდევნოს წასაზარდია. მეცნიერებისა და განათლების მიზანი სწორედ ამ წანაზარდების წაზრდა და მათ შორის სიცარიელების ამოვსებაა.

16. კაცობრიობის განვითარების ამ ეტაპზე აუცილებელია მეცნიერული კვლევებისა და მეცნიერებათა სწავლების ინტეგრაცია კვლევებისა და მეცნიერებათა სწავლების ცენტრებად, რაც ორივე მხარეს წაადგება. მაგალითად, “ენათმეცნიერების ინსტიტუტის“ და შესაბამისი უმაღლესი სასწავლებლების ბაზაზე მიზანშეწონილია დაარსდეს “ენათა კვლევისა და სწავლების ცენტრი“, სადაც აღიზრდებიან პოლიგლოტი ლინგვისტები, პოლიგლოტი თარჯიმან-მთარგმნელები და დედაენისა და ერთი რომელიმე უცხო ენის კვალიფიციური მასწავლებლები. “აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის“ ბაზაზე უნდა შეიქმნას „მსოფლიომცოდნეობის კვლევისა და სწავლების ცენტრი“, ჯერ თუნდაც დასავლეთმცოდნეობისა და აღმოსავლეთმცოდნეობის განყოფილებით.

17. “ენციკლოპედია“ ზოგადი ცნობარის გარდა ყველა სხვა ცნობარებსა და ლექსიკონებსაც უნდა გამოსცემდეს. ძლიერ ბევრი გვაქვს გადმოსათარგმნიც და გადასათარგმნიც.

18. ენის სწავლების მეთოდიერისა და მასწავლებლის დანიშნულებაა ჩახახედოს და გააშინაუროს მოსწავლე ენის დეპოსა და მეტყველების სამზარეულოში, რათა ხელი შეუწყოს მოსწავლის ლინგვისტური აზროვნების ჩამოყალიბებას და მასში ენის შემოქმედებითად გამოყენების უნარ-ჩვევების ფორმირებას.

19. უნამუსოს წამუსაზე ვერ შეაგდებ - ვინც ერთ ლოყაში გაგილანუნებს, მეორესაც უშენოდ მიაგნებს. ვინც არ უნდა მართავდეს საქართველოს, და რა გუნდრუკასაც არ უნდა უკმევდეს იგი რუსეთს, ეს მართლაც უკანასკნელი, ჩვენდამი თავის ექსპანსიონისტურ პოლიტიკას არ შეცვლის. ხომ ძვირად დაგვიჯდა რუსეთისაგან კარის გამოჯახუნება, მაგრამ უაფხაზეთოდ და უოსეთოდ უკან დაბრუნება სრული კატასტროფა იქნებოდა. ისე, რუსეთი არათუ არ აპირებს ჩვენს დაბრუნებას, არამედ იგი მტკიცედ მიყვება ჩვენი გაერაყება-გაავლანისტანების მუხანათურ გეგმას, რომლის მორიგი ნაბიჯებია ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის გაერთიანება, მათი ჩვენს ტერიტორიაზე გამრავლება-დამკვიდრება და სიტუაციის არევა ჯავახეთსა და პანკისში მათი შემდგომი წაგლეჯისათვის.

20. ასეთ ვითარებაში ჩვენი ამერიკელი და დასავლეთელი მეგობრების პასური მაყურებლობა და დელიკატური შეგონება-მოწოდებები რუსეთისადმი, სწორედ ამ ბარბაროსის წისქვილზე ასხამს წყალს. ჩვენ გვჭირდება არა მოსამძიმრება-შეშფოთებები და ტურისტული დამკვირვებლები, არამედ რეალური დაცვა რეალური ოკუპანტისაგან.

21. სამწუხაროდ, მსოფლიო წესრიგის არქიტექტორები და დარაჯები, გაეროც და ნატოც ძალის წინაშე საპნის ბუშტებია, სამართალი კი ისევ მუშტებია, რომლებიც ჩვენ არ გაგვაჩნია.

ელექტრონული პორტალი [www.polity.ge](http://www.polity.ge), 31 მარტი, 2014

## აგრარული კალეიდოსკოპი

1. თუ სხვას ვუშენეთ „ბამი“ და „ნია გრუზინსკაია“, დიდი ხანია დროა ჩვენ სოფელსაც მივხედოთ და იქ გავაშენოთ კეთილმოწყობილი ახალგაზრდული დასახლებები, სადაც ისინი დასაქმდებიან სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებით და მისი სასაქონლო ნაწილის ადგილზე გადამუშავებით. თუ კაცს ადგილზე აქვს ჯანდაცვა, განათლებისა და გართობის საშუალება, რაღაც უნდა გაიხედოს მან ქალაქისაკენ.

2. არასახნავ-სათეს ცარიელ ადგილებში უნდა გაშენდეს თხილის, კაკლის და წაბლის პლანტაციები.

3. მთის სასაზღვრო ზოლები უნდა დასახლდნენ მესაზღვრეთა ოჯახებით, რომლებიც დასაქმდებიან მეცხოველეობით და მეცხოველეობის პროდუქციის ადგილზე გადამუშავებით, ახალგაზრდობა კი ივლის ადგილობრივ ბალებსა და სკოლებში.

4. მაგისტრალური გზების ორივე მხარეზე უნდა დაირგოს წიწვიანი, საჩრდილობელი და მსხმოიარე ხეები და ბუჩქები.

5. უნდა ვალიაროთ, რომ დაუბანელია ჩვენი სოფელი. არა-

და, სულ არაა ძნელი დამზადდეს და მოსახლეობას მიეყიდოს ადვილად ასაწყობი თუნდაც მხოლოდ საზაფხულო საშხაპეები მზეზე წყლის გათბობის ავზებით.

6. სასტიკად აღსაკვეთია ფეკალური მასების მიშვება ღელე-მდინარეებსა და ტბებში. აუცილებელია, დამზადდეს და მოსახლეობას მიეყიდოს მიწაში ჩათხრილ ორმოზე ადვილად ასაწყობი ტუალეტები. მიწა ყველაზე კარგი საშუალებაა ფეკალის სასუქად გადასაქცევად.

7. დღეს ნაგავი, თუ მეტად არა, არანაკლებ ანუხებს სოფელ-საც. აუცილებელია, თუნდაც კვირაში ერთხელ სოფელში სანაგვე მანქანის ჩამოტარება და ნაგვის გატანა.

8. ასევე გასატანია ჯართიც.

9. გარდაცვლილთა დაბინავების პრობლემა არახალია, ძველია. მსოფლიო ომების მსხვერპლთა უდიდესი უმრავლესობა ლია ცის ქვეშაა, დარჩენილია უსაფლაოდ, უპტრონოდ, ტყე-ღრეებსა და უფსკრულებში გაფანტული.

„ერთმორწმუნე“, სინამდვილეში გაურჯულოებულმა სწორედ წარსულის ეს ეპიზოდები გაგვამეორებინა და დაგვიმეორანდუმა, ჯერ აფხაზეთში, შემდეგ კი თოვლიან ჭუბერში, სადაც მის მიერ განწირულ ქართველთა უკუბოვო საფლავებია მიმოფატული და ჭუბერის უფსკრულებში თავგადახვენილთა სულაც ნეშტები ასვენია.

ღმერთმა გვაშოროს ომები და კონფლიქტები, მაგრამ ეს პრობლემა სწორედ მშვიდობიანობის დროს რთულდება.

მოქნილმა ბიზნესმენებმა ჩვენთან ადრევე დაიჭირეს თადარიგი და იაფად შეისყიდეს სასაფლაოდ გამოსაყენებელი ტერიტორიები, საიდანაც ახლა მამასისხლად ყიდიან თითოეულ სასაფლაოს. ეს წესი დიდი ხანია მუშაობს უცხოეთშიც, სადაც განსვენებული საფლავები რჩება მანამდე, სადამდეც მისი იქ ყოფნაა დაფინანსებული, ამის შემდეგ კი საფლავი უქმდება. დიდი ხანია აფხაზეთში ქართველების საფლავების გადახვნას აპირებენ აფხაზები, მაგრამ ჯერჯერობით მათ ამისათვის საჭირო სახსრები არ გააჩნიათ.

ჩვენს სოფლებში ახალ-ახალი სასაფლაოები თანდათან ნთქავს ბალ-ვენახებსაც.

პოლონეთის ქალაქებში „მრავალსართულიანი“ საგვარეულო სასაფლაოები ჰქონიათ. აფხაზებსაც აქვთ საოჯახო სასაფლაოები თავიანთ კარ-მიდამოებში.

რაღა შორს წავიდეთ, რამდენი ხანი ჩვენ ქართველი დევნილები ამაოდ ვეძებთ ადგილს საქაოშიც და საიქიოშიც. მოკლედ, ადრე თუ გვიან, საფლავები გაქრება და კაცობრიობა მივა გახალხურებულ ინდურ ტრადიციამდე, ანდა უბრალოდ კრემაციამდე.

10. ჩემი აზრით ამინდის პროგნოზის გადაცემა უნდა იწყებოდეს ამინდის გამაპირობებელ გარემოებათა აღნიშვნით. შემდეგ ანბანურად უნდა ჩამოითვალოს დასახლებული პუნქტები და დასახელდეს იქაური ამინდები ჯერ აღმოსავლეთ საქართველოში, შემდეგ კი დასავლეთ საქართველოში. დამერწმუნეთ, დღემდე ბევრმა არ იცის რომელია აღმოსავლეთ საქართველო და რომელი დასავლეთი. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ პროგნოზები არ უნდა ცხადდებოდეს მხოლოდ ქალაქებისათვის, რადგანაც სოფელს მეტად თუ არა, არანაკლებ ესაჭიროება მოსალოდნელი ამინდის გათვალისწინება.

11. ქალაქები კი არ უნდა ვზარდოთ და ვაფართოოთ, არამედ პირიქით, ისინი უნდა განვტვირთოოთ ზედმეტი, დაუსაქმებადი მოსახლეობისაგან.

ელექტრონული პორტალი [www.polity.ge](http://www.polity.ge),  
31 მარტი, 2014

## დიდი მიზანების პატარა ისტორია

### მოსაზრება

გენდერულ „უთანასწორობას“, რაზეც დღეს ასე ბევრს ლაპარაკობენ, თვითონ უფალმა დაუდო სათავე, როცა მან ადამი თხისაგან გამოძერნა, ევა კი ადამის ნეკნისაგან შექმნა, იმის ხაზგა-სასმელად, რომ იგი ადამის მორჩილი უნდა ყოფილიყო.

აქედან გამომდინარე, თავდაპირველად ადამიანად, კაცად მხოლოდ ადამის მამრობითი სქესის შთამომავალი, მამრობითი სქესის პირი ითვლებოდა; ქალი კი მხოლოდ ცოლი და დედა იყო.

ეს უთანასწორობა დღემდე შემორჩა ჩვენ ეკლესიას, სადაც ქალი არ შეიძლება სასულიერო თანამდებობაზე დაინიშნოს, იგი არ შეიძლება თავსაბურავის გარეშე ლოცულობდეს, ხოლო ყოველი თვის გარკვეულ დღეებში იგი საერთოდ არ შეიძლება გაეკაროს ეკლესიას.

მოგვიანებით, როცა კაცობრიობა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქალიც ადამიანია, ენაში გაჩნდა რთული სიტყვა – „დედაკაცი“, რომელმაც თავის მხრივ მოითხოვა მეორე რთული სიტყვა – „მა-მაკაცი“.

დღეს, „კაცი“ თავისი ფართო მნიშვნელობით კვლავინდებურად აღნიშნავს „ადამიანს“, ოღონდ ახლა აქ „ქალი“-ც შედის, თავისი ვიწრო მნიშვნელობით კი – „კაცი“ აღნიშნავს მხოლოდ „მამაკაცს“.

ასეთივე მოვლენები განვითარდა ენის ამ უპანზე ინგლისურშიც, სადაც „mann“ აღნიშნავდა ადამიანს, რომელშიც ქალი არ მოიაზრებოდა, ქალი კი აქაც იყო მხოლოდ „wif“ (ცოლი) და „mōdor“ (დედა).

მოგვიანებით, როცა ადამიანის ცნობიერებაში ზემოთალნიშნული რევოლუცია მოხდა და ქალიც ადამიანად, კაცად ჩაითვალა, ენაში გაჩნდა რთული სიტყვა „wifman“, რომელიც გარკვეული ფონეტიკური ცვლილებების შედეგად დაკრისტალდა როგორც „woman“ (დედაკაცი, ქალი).

დღეს, „man“ თავისი ფართო მნიშვნელობით კვლავინდებულად აღნიშნავს ადამიანს, კაცს, ოღონდ ახლა აქ ქალიც შედის; თავისი ვიწრო მნიშვნელობით კი „man“ აღნიშნავს მხოლოდ მამაკაცს.

აღსანიშნავია, რომ „man“ როგორც მიმართვა – „კაცო“, „ადამიანი“ ინგლისურშიაც იხმარება. „კაც“ მამაკაცის საკუთარი სახელია აფხაზურში (კაც ზვანბაია). ამ სიტყვიდან ნაწარმოები გვარი კაცია ფართოდაა გავრცელებული მეგრულსა და აფხაზურში; „Katz“ გვარის ხალხი ცხოვრობს გერმანიაში, ისრაელსა და ამერიკაში.

www.education.ge, 22 იანვარი, 2015

## სასწავლო ლექცია და დეკანატი – ორივანეპროცესი

ამ წერილის წასაკითხად კომბლეს გამოკიდებულმა მინისტრმა ალექსანდრე ჯეჯელავაძე ვერ მოიცალა

სასწავლო ლექცია ცოდნის მიღების მხოლოდ საწყისი ეტაპია, სააუდიტორიო დროის უდიდეს ნაწილს კი ნოქავს. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ლექციას ისმენს, მაგრამ არ იწერს ნიჭიერი უმრავლესობა, იწერს – მაგრამ არ უსმენს მუშა უმრავლესობა, არც უსმენს და არც იწერს – თანამდევი ყალთაბანდობა. შემდეგ, უშუალოდ გამოცდის ნინ ეს სამივე კატეგორია ჩაუჯდება ხოლმე თავის თუ სხვის კონსპექტებს და ასე სახელდახელოდ გატენილი თავით შედის გამოცდაზე, საიდანაც უკეთეს შემთხვევაში შევსებული მატრიკულით, მაგრამ ყოველთვის ბურთივით დაჩუტული თავით გამოდის – როგორც ამას ბატონი ნოდარ დუმბაძე შენიშნავს.

რა თქმა უნდა, პერიოდულად განახლებადი, ინფორმაციულ-

ად გაჯერებული და ლოგიკურად და ენობრივად გამართული ლექციების კურსები სათანადო კითხვარებითურთ ყოველ 5 წელიწადში ერთხელ უნდა გამოდიოდეს წიგნებად და დისკებად, რომელსაც სტუდენტი შინ, მყუდრო გარემოში ანდა ბიბლიოთეკაში დაამუშავებს და მას ერთი სული ექნება როდის მივიდეს სასწავლებელში და თანაკურსელებს გაეჯიბროს სემინარებსა თუ პრაქტიკულ მეცადინეობებზე, სადაც უნდა მოხდეს ცოდნის სისტემაში მოყვანა და დამახსოვრება, ხოლო ცოდნის გამოყენების უნარ-ჩვევების ფორმირება უნდა უზრუნველყოს პედაგოგიურმა საწარმოო და სამედიცინო პრაქტიკამ.

ეს სიახლე არა მარტო სტუდენტს მიაჩვევს ცოდნის დამოუკიდებლად მოძიებას და განუმტკიცებს რწმენას თავისი თავისადმი, არამედ დიდად წაადგება ლექტორსაც, რომელსაც გაათავისუფლებს ფურცლებზე მიჯაჭვულობისაგან და ჩაიყვანს „ზომბის ტრიბუნიდან“ ანუ კათედრიდან სტუდენტთა აუდიტორიაში, სადაც იგი მეცადინეობის წამყვანიც იქნება, აქტიური მონაწილეც და შემაჯამებელ-შემფასებელიც. და რაც არანაკლებ მინიშვნელოვანია, ეს დაზოგავს კათედრებისათვის საჭირო დიდძალ მასალას.

ანაქრონიზმია დეკანატიც, რომლის ფუნქციები – ცხრილების შედგენა, აუდიტორიების დანაწილება და აკადემიური მოსწრების შეჯამება და სასწავლო ნაწილში წარდგენა თავისუფლად შეიძლება გადაეკისროს მაპროფილებელ კათედრებს ანუ მიმდინარეობებს, რომლებიც სწორედ პასუხისმგებლები არიან სწავლების შედეგებზე.

სახელმწიფო გამოცდებს კათედრებთან ერთად უნდა ღებულობდნენ მოცემული დარგის პასუხისმგებელი მუშაკები და ექსპერტები.

30 ნოემბერი, 2016

## მოგონება

ესაა გახსენება ერთი კაცური კაცისა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს თსუ-ში სწავლობდა და მეორე კურსიდან მოხალისედ წავიდა ჯარში.

ფრონტში გამწესებამდე მოსამზადებელი ეტაპის გავლისას, მოსკოვში, ბატონმა აკაკი ჩხიოვაძემ გაიცნო რუსი გოგონა.

ახალგაზრდებს ერთი ნახვით შეუყვარდათ ერთმანეთი და სახელდახელიდ, არაოფიციალურად შეულლდნენ.

დემობილიზაციის შემდეგ ბატონმა აკაკიმ შეირთო სხვა ცოლი, ქართველი ექიმი, დაამთავრა უნივერსიტეტი და სამუშაოდ გაანაწილეს სოხუმის პედინსტიტუტში, სადაც იგი 1956 წლამდე იყო უცხო ენათა ფაკულტეტის დეკანი და უცხო ენათა კათედრის გამგე.

მისი ყოფილი სტუდენტი, შემდგომში ამ პედინსტიტუტის, შემდეგ კი აფხაზეთისა და სოხუმის უნივერსიტეტების უფროსი მასწავლებელი, ამჟამად პენსიონერი აკაკი მუმლაძე, თავის მასწავლებელს, ბატონ აკაკი ჩხიოვაძეს ახასიათებს როგორც უაღრესად ნიჭიერ, ერუდირებულ, ღრმად მოაზროვნე, ზედმინევნით თავმდაბალ და უკეთილშობილეს პიროვნებას, რომელიც აქტიურ მონაწილეობას დებულობდა როგორც პედინსტიტუტის, ისე მთელი ქალაქის საზოგადოებრივ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში.

თვითონ აკაკი მუმლაძეს, როგორც ფრიადოსან და ხელმოკლე სტუდენტს თავისი სეხნია ლექტორი ყოველნაირად ხელს უწყობდა და მატერიალურადაც ესმარებოდა.

აკაკის ერთხელ გადაუწყვეტია რაიმე პატივი ეცა თავისი კეთილისმყოფელი ლექტორისათვის და სოფლიდან ჩამოუტანია ნიგოზი, ჩურჩელები, ხილი, ფელამუში და ღვინო; მაგრამ ამ განზრახვის სისრულეში მოყვანა ვერ მოუხერხებია. ჯერ როგორც მორიდებულ ახალგაზრდას, ძლივს გაუგია თავისი ლექტორის მისამართი, შემდეგ ორჯერ წაულია თავისი ძლევნი მისთვის მისართმევად, მაგრამ ორივეჯერ უკანვე გამობრუნებ-

ულა. ჯერ უფიქრია, ვაითუ იუკადრისოს – რაში მჭირდება მე შენი პროდუქტებით; შემდეგ კი კიდევ უარესი, ვაითუ გამინერეს – შენ რა, გინდა ხალხი ამილაპარაკო, აკაკი ჩხიოვაძე ქრთამებს ლებულობსო? მესამედ მტკიცედ გადაუწყვეტია – რაც იქნება, იქნება, დღეს მივუტანო, მაგრამ ინსტიტუტიდან საერთო საცხოვრებელში დაბრუნებულს კალათი დაცარიელებული დახვედრია – ბიჭებს გაეხსნათ და პატრონისათვის აღარაფერი დაეტოვნებინათ.

სტალინის გარდაცვალების შემდეგ კრემლი შეუდგა აფხაზეთის ხელმძღვანელი ორგანოების სრულ აფხაზიზაციას. პედინსტიტუტში რექტორად ქართველი ნიჟა ხურციძის ნაცვლად მოსკოვიდან გამოაგზავნეს აფხაზი აკიბეი ხონელია, რომელმაც პედინსტიტუტი ფაქტიურად გაწმინდა ქართველი პროფესორ-მასწავლებლებისაგან.

ბატონი აკაკი თბილისში გადმოიყვანეს და აღმასკომში დანიშნეს სკოლების განყოფილების უფროსად. შემდეგ იგი მიავლინეს რომელილაც განვითარებად ქვეყანაში, სადაც განათლების სისტემის ორგანიზებაში ესმარებოდა იქაურ ხელმძღვანელობას. საზღვარგარეთიდან დაბრუნების შემდეგ ბატონმა აკაკიმ დაიცვა დისერტაცია და დაინიშნა პუშკინის სახელობის პედინსტიტუტში ახლადგახსნილი კულტურის ფაკულტეტის დეკანად.

ეს ფაკულტეტი მოგვიანებით დაიხურა, ამასობაში ბატონ აკაკის საპენსიო ასაკმაც უნია და იგი გადასახლდა გურიაში, სადაც თავისი სოფლის სკოლაში მასწავლებლობდა გარდაცვალებამდე.

ბატონ აკაკის სამი ვაჟი ჰყავდა – მოსკოველი და ორი ვაჟი მეორე ცოლისაგან. სამივემ დაამთავრა პოლიტექნიკური ინსტიტუტი და წარმატებით თამაშობდნენ კალათბურთს თბილისის „დინამოში“.

1993 წელს ბატონ აკაკის დიდი განსაცდელი დაატყდა თავს – გარდაიცვალა მისი ვაჟი. რაც შეეხება დანარჩენ ორს, ერთი თბილისში მუშაობს, მეორე კი – უკრაინაში. მისი დისწული კი, ირაკლი გუდავა თბილისის მეცხრე საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებაში მუშაობს.

## მინიატურები

- რადგანაც გვაქვს რეგიონები და არა გუბერნიები, უნდა გვყვანდნენ რეგიონატორები და არა გუბერნატორები.
- ჩვენი პიმინის ტექსტში - „განათებული მთა-ბარი“ არავითარ პოეტურ მუხტს არ შეიცავს, ხოლო „ნილნაყარია ღმერთთანა ბუნდოვანი და არაფრისმთქმელია. ჩემი შემოთავაზებაა:  
“ღვთისმშობლის ხვედრი ედემი  
(ან ღვთით დალოცვილი მთა-ბარი)  
პირნათელია ღმერთთანა”  
ანუ ჩვენ ვასრულებთ ყველა მოვალეობას ღვთის წინაშე.
- დემოკრატის მშენებლებს დემოსი მხოლოდ არჩევნების დროს ახსენდებათ.
- ადამიანთა მსგავსად, ერთმანეთის გვერდით ნაზარდი და მაშასადამე, ერთნაირი ნიადაგით ნასაზრდოები სხვადასხვა მცენარე სხვადასხვა ფორმის, ფერის და გემოს ნაყოფს იძლევა.
- თუ მცენარეს “ჭკუა” არა აქვს, როგორ იძლევა ერთმანეთის გვერდით დათესილი თუ დარგული და მაშასადამე, ერთიდამავე ნიადაგით მკვებავი სხვადასხვა მცენარე სხვადასხვა ფორმის, ფერის და გემოს ნაყოფს?!
- ვარდი უეკლოდ არ იკრიფება, უგარდოდ კი ბევრი იჩხვლიტება.

• კარგი უნდა ქნა, მაგრამ არ უნდა დადო ქვაზე იქ, სადაც გაივლი და ქვაც ალარ დაგვხვდება. ვინ მოსთვლის, რამდენი ასე-თი ქვა აქვს დაკარგული საქართველოს!

• უნამუსოს ნამუსზე ვერ შეაგდებ, ვინც ერთ ლოყაში გაგილანუნებს, მეორესაც უშენოდ მიაგნებს. ვინც არ უნდა მართავდეს საქართველოს, და რა გუნდრუკსაც არ უნდა უკმევდეს იგი რუსეთს, რუსეთი ჩვენდამი თავის ექსპანსიონისტურ პოლიტიკას არ შეცვლის.

ხომ ძვირად დაგვიჯდა რუსეთისაგან კარის გამოჯახუნება, მაგრამ უაფხაზეთოდ და უოსეთოდ უკან დაბრუნება სრული კატასტროფა იქნებოდა. ისე, რუსეთი არათუ არ აპირებს

ჩვენ დაბრუნებას, არამედ იგი მტკიცედ მიყვება ჩვენი გაერაყება-გაავლანისტანების დაპირებულ მუხანათურ გეგმას, რომლის მირიგი ნაპიჯებია ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის გაერთიანება და სიტუაციის არევა ჯავახეთსა და პანკისში მათი შემდგომი წაგლეჯისათვის.

ასეთ ვითარებაში პასიური მაყურებლობა მტრის წისქვილზე ასხამს წყალს, ამიტომ თუ ამერიკასა და დასავლეთს ნამდვილად სურთ დაგვეხმარონ, ჩვენ გვჭირდება არა მათი “შეშფოთება” და დამკვირვებლები, არამედ რეალური დაცვა რუსი ოკუპანტებისაგან.

15 აგვისტო, 2013

# პერიოდული განეზია

## სალაშორი ცინასეარმატყველება

ვინი პუპის მოტივებზე

რუსეთს უყვარს საქართველო,  
ქართველები სძულს,  
რაც არ უნდა მოეფერო,  
არ შეიცვლის რჯულს.

მის ამხელა ტრამალ-ველებს,  
„წყალიც“ უნდა მეტი,  
შენით თუ არ დაანებებ,  
უნდა გრეხვოს კეტი.

ან რა სინდის-ნამუსია,  
მასზე ადრე ჩნდები,  
შვი დავითი, რუსთაველი,  
სტალინი და სხვები.

აქ ათონი, იქ სინაი  
სად არ შედგი ფეხი,  
რაღად გიკვირს დაგატეხოს  
რაკეტების მეხი.

მაინც ცოფს ჰყურის პასტუხოვი,  
ლამის სთხლიშოს ბუტროსს,  
ამდენ გადარჩენილ ქართველს  
არ იცის რა უყოს.

მაგრამ პურს ჭამს სამართალი,  
ხმას აღიღებს მიღეთი,  
რასაც რუსი სხვას უკეთებს,  
თვით დაპმართებს ჩინეთი.

## ავსტრია

ჩემს მწირ პენსიას ვეძებდი,  
ვერ ვნახე დაკარგულიყო,  
ფოსტის უფროსთან შევედი,  
მაგიდას მიპარჭყულიყო.

ხელთ ყავის ჭიქა ეჭირა,  
გარს კოფისტები ესია,  
გულისფანცქალით ვკითხავდი  
სად არის ჩემი პენსია.

მხრები აჩეჩა ლამაზმა,  
როს ფსკერზე ცერი შეახო,  
ამის შესახებ, ბიძია,  
სჯობს ჯორბენაძეს ეახლო.

მეც ავდექი და წავედი,  
დრო მქონდა, ფული კი არა,  
კაცმა ხომ ბედის ძებნაში,  
ქვეყანა შემოიარა.

სამინისტროში ზღვა იდგა,  
ლანძღვა, გინება, გნიასი,  
ხშირად ისმოდა ხსენება  
ედიკ და ხუფენიასი.

მწარედ მოსთქვამდა მინისტრიც  
- ცუდი დამიდგა სემესტრი,  
დევნილებიც მე შემხიზნეს  
თან მოაყოლეს სეკვესტრი.

ღმერთი უშველის ჭყონიას,  
იკისრა თანადგომაო,  
მაგრამ სხვა გზაც თუ არ გაჩნდა  
მომიწევს გადადგომაო.

გული მატკინა ნათქვამმა,  
არ მომენონა ვერსია,  
ასეთი კაცის დაკარგვას  
სჯობს მე დავკარგო პენსია.

გულდათუთქული დავბრუნდი,  
ქუჩებს კი ტბორავს ჯიპები,  
აფერუმ ჩვენს ქართველობას  
კაი ვყოფილვართ ბიჭები!

## რეპუსი

შე საწყალო საქართველო,  
დერეფნობა გენატრება,  
ქარავნები ჩაივლიან,  
ჩონჩორი კი შენ დაგრჩება.

ეს სამოთხე რომ გაჩუქეს,  
მადლს რად დააკლეს მარილი,  
რად ჩაგისახლეს მეზობლად,  
ამხელა ნამუსაყრილი?

## აპა მთალი და მომიტევა პანა

შემოვიტყუოთ ინვესტორები,  
მივართვათ რაც გვაქვს – ვაკე და გორები.  
ისინი აიშენებენ აგარაკებს  
ჩვენ კი მოვუვლით მათ პირებს და - რაკებს.  
რას იზამ, ვარდს თან სდევს ეკალი,  
მაგრამ სად წავა ამდენი ფეკალი?!

## ეკოლოგიაზერებოლო!

ვიყიდე ძეხვი,  
ალმოჩნდა ნეხვი,  
ამიტყდა -რანი,  
რაღა ვქნა ანი?

## ისიც ადამიანია...

თავისებურად ცოდვაა რუსიც  
რა ესარკოზებ - რა ებუშება  
მამა-პაპათა გეგმა-ოცნება  
სადღაც ცხინვალში თუ ეფუშება?

## ВЛАДИ МИР-ობის აგონია

ქართველს რომ ქართველობა სურს,  
ვერ აუტანია რუსა.

არ ეშვები ურჩობასო?  
მოგანატრებ თურქობასო.

აფხაზეთში რა გინდაო,  
იმყოფინე მთაწმინდაო.

რომ მზარავს ოსის ბედიო  
მიტომ გავხვრიტე ქედიო.

სიკეთე რომ ვერ შეიშნოვო  
გროზნომ ცრემლი ვერ შეიშროვო.

მერკელია თუ სარკოზიო  
ხელში მაქვს მათი ნარკოზიო.

თუ გადავეტე ონკანიო  
გათავდა მათი ტორტმანიო.

დროა შეუშვათ ყურშიო  
ფეხებზე მკიდია ბუშიო.

დღეს თუ ხვალ სულერთიაო  
მსოფლიო რუსეთიაო.

## ტერაციისეული

დილა იყო გაზაფხულის მშვიდი,  
ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი.

დედა იყო – ჯაფა ადგა დიდი,  
შინ ელოდა პირყვითელა შვიდი.  
ჰოდა დილის სისხამი თუ ბინდი,  
ხიდან ხეზე  
დაფრინავდა ჩიტი.

## კაცია და გულება

მინდა მოვიშორო ნოსტალგია, რომელიც თურმე ბრმათა ბანგია.  
მაგრამ თვალწინ მიდგას, ისევ მენატრება იმდროინდელი ნე-  
ტარება:

სავალდებულო შრომა, უურნალ-გაზეთების რიგში დგომა,  
ექიმი და სწავლა უფასო, ურთიერთობები უკლასო,  
მგზავრობა და პროდუქტები იაფი, კაპიკიანი ნათურების კიაფი.  
თანაც ფაქტი რომ ჭირვეულია, და ეს უფსკრულიც ძირეულია?!  
შენ ცურაობ დოლარებში, მე კი ვიხრჩობი ვალებში,  
შენი შვილი რომ პარიზში დაშტრიკინობს, ჩემსას ენატრება პური  
და საფშვიტინო;

კი ბატონო, დავდგეთ ერთად, მაგრამ ამ „კარტიჩაზე“ მეტად  
მინდა ვიცოდე ეს ინტეგრაცია, ხომ არ არის ისევ პროფანაცია?!  
ლმერთმა შეგარგოს პრეზიდენტობა, მაგრამ  
მეც მომწიყინდა სიდუხჭირის რეზიდენტობა.

## ნაკვესები

რაც ახალია, თავსახალია.

კრიტიკა კარგია, თუ იგი მარგია.

შრომები რომ არ გახდეს გადასაყრელი,

ავტორსაც ჭირდება მაკლერი.

ადრე ქართველს გზას უხსნიდა მხოლოდ ჩაწყობა,

მაშინ როდესაც სხვას ყოფნიდა ცეკას განწყობა.

დაე, ახლაც ხარობდეს ყველა ერი, მაგრამ არც

ქართველი უნდა იყოს გერი!

მეტად საჭირო უნარია – მეგობრად არ შეგვესაღოს ყუფარია.

რა აზრი აქვს კარგი ქნა და ქვაზე დადო იქ,

სადაც გაივლი და ქვაც აღარ დაგხვდება.

ვინც ერთ ლოყაში გაგილანუნებს, უშენოდ მიაგნებს მეორესაც.

გიყვარდეს მტერი, თუ ხარ შტერი,

ჯვარი მოძღვარს ჩააბარე,

და პუტინის სურათი „ატარე“.

მაშინ დაგიცავს ჯვარი,

თუ გყავს ძლიერი ჯარიო.

მოიჭირე ქამარი და შეიძინე აბჯარი.

## სახალისო ისტორიები

### ნაცული დეიდას ისტორიები

ამავე სახელნოდების რადიოხუმრობით „შთაგონებული“

ბაზარში ვარ საყიდლებზე, დეზერტირებში. მოგეხსენებათ, ზაფხულია და თუ არაფერი შეჭამე, ფეხებს გაფშიკავ. ჰოდა, დავდივარ ამ მართლა გამყიდველ-გადამყიდველებში, ვარჩევ საქონელს და ვევაჭრები; და უცებ, ისე მწვავედ მომიარა, რომ ხელში ალებული სტაფილო უსახელოსავით ვისროლე ძირს.

რაღა დაგიმალოთ და სენადექსინი მქონდა დალეული და ძლიეს შევასწარი ტუალეტში.

მე თუ მკითხავთ, ამაზე დიდებული დაწესებულება კაცს არ შეუქმნია. ზოგიერთი ამტკიცებს, ყველაზე დიდი გამოგონება ბორბალიაო – მაგრამ ეს ხომ აბსურდია! რომელი ბორბალი გიშველის ამისთანა წნევიან სიტუაციებში?! ჰოდა, გამოვდივარ იქიდან სახეგაბადრული, შვებით ამოსუნთქული და ნასიამოვნები. მაგრამ რად გინდა რა, დამეტაკა ვიღაცა ოხერი და სულ ჩამიშხამა ყველაფერი; არადა, ვინ იფიქრებდა, რომ ასე პატიოსნად ჩაცმული ახალგაზრდა ქურდი იქნებოდა! ჩამომგლიჯა კისრიდან „კულონი“ და გამდლიტა ხელიდან ჩანთა მთელი ჩემი ფულითა და ოქროულობით. ფული – ჯანდაბას! ხელის ჭუჭყა, მაგრამ რომ წარმოვიდგინე, რომ ეზოში შესვლისას, მეზობლების დასანახად ვერც ყურებზე და მაჯა-თითებზე ვეღარაფერს გავიკეთებდი – სისხლმა ყელში ამომასხა და გაგიხარიათ მე ის ვითრინე; უნდა გენახათ რა კისრისტებით მოპქუსლა! შიქ-შიქ, ეგრე გიხდება-თქო მივაძახე და მსუბუქად წამოვედი სახლში. არა, შენი ჭირიმე, სულ სხვაა დემოკრატიის უვადო გარდამავალი პერიოდი!

## სამი ნამდვილი ახპავი

\*\*\*

საბჭოთა სკოლაში მოსწავლეთა შეფასება ხუთბალიანი სისტემით ხდებოდა. ერთოსანი ოროსანისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ ერთოსანი პირდაპირ იმავე კლასში რჩებოდა, ოროსანს კი საშემოდგომო გამოცდა ენიშნებოდა. მაგრამ რადგანაც სკოლები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ აკადემიურ მოსწრებაში, დირექტორი დამრიგებლების მეშვეობით მასწავლებლებს აიძულებდა წამატებული ნიშნები ეწერათ. ამის გამო, ერთიანი როგორც ნიშანი გაქრა, ყველა საშემოდგომო გამოცდა ბარდებოდა და სკოლასაც ყველა ამთავრებდა. ერთ სკოლაში გამოსაშვებ გამოცდებზე, როცა ერთი „ვაი-მოსწავლე“ დაფასთან გაიძახეს, მან ცივი უარი განაცხადა – რაზე უნდა გამევიდე, ხო იცით რო არ ვიციო. რად იცი ბიჭი შენ ვირზე შეჯდომა – დაუცაცხანა მასწავლებელმა – გამოდი და რა იცი, იქნება ყველაფერი გაგახსენდესო. გაგულისებული მოსწავლე ბუზლუნ-ბუზლუნით გაემართა დაფისაკენ – აპა, გამოვალ და რაღაცას გევიხსენებ არ დევინახავ, რო აღარ მოეშვებით ხოლმე კაცსაო.

\*\*\*

სხვა სკოლაში პირველი კლასის მასწავლებელმა მეორე გაკვეთილზე ერთი მოსწავლე მოისაკლისა და კლასმა ერთხმად უბასუხა – ტუალეტში წავიდაო. მასწავლებელმა მოსწავლეები დატუქსა – რამდენჯერ უნდა გითხრათ მე, რომ ერთხმად ლაპარაკი არ შეიძლება, უნდა ასწიოთ ორი თითი და ვისაც ნებას დავრთავ, იმან უნდა თქვას. თანაც, ბავშვებო, შესვენება იმისთვისაა, რომ ყველაფერი იმ დროს მოასწროთო. ამის თქმა და ერთი პატარა გოგონას წამოხტომა მერხიდან ერთი იყო. მან ორი თითი მაღლა შემართა და „მასწ“, „მასწ“-ის ძახილით იქაურობა აიკლო. აბა რა გინდა, გოგონი? – ლმობიერად მიმართა დისციპლინირებულ მოსწავლეს მასწავლებელმა. – მე შესვენებაზე ვქენი „მასწ“ – თავმომწონედ განაცხადა გოგონამ. მასწავლებელი შეცბა, მა-

გრამ დიდაქტიკის მიხედვით მოსწავლე შეაქო და თან დაარიგა – აი, კარგად მოქცეულხარ, მაგრამ შენს კარგ საქციელზე თვითონ კი არ უნდა ილაპარაკო, არამედ სხვამ უნდა თქვასო. – სხვას არავის დავუნახივარ, „მასწ“ – იმართლა თავი გოგონამ, რამაც მასწავლებელი წონასწორობიდან გამოიყვანა და ცოტა არ იყოს გაანინატა. – დაუნახისარ თუ არ დაუნახისარ, ყველაფერი კი არ უნდა ილაპარაკო, გაუწყრა იგი აბეზარ მოსწავლეს. – აბა რაზე უნდა ვილაპარაკო, „მასწ“, – იკითხა გაოგნებულმა გოგონამ. – რაზე უნდა ილაპარაკო და, გაკვეთილზე გაკვეთილი უნდა მოყვე, იცი გაკვეთილი? გოგონამ გაკვეთილი იცოდა.

\*\*\*

სასკოლო საღამოზე სხვებთან ერთად ერთი ბიჭუნაც უნდა გამოსულიყო ლექსით. მაგრამ ხალხის დანახვაზე ბავშვი დაიბნა, ლექსი დაავიწყდა და ერთი და იგივე ფრაზა რამდენიმეჯერ გაიმეორა. – ლენინ, არ მჯერა შენი სიკვდილი, ლენინ არ მჯერა შენი სიკვდილიო. ამ დროს დარბაზზიდან მამამისმა დაუყვირა – იცხაკა შვილო, ან დეიჯერე, ანდა ჩამოდი ძირს, ნუ მომჭერი თავი ამდენ ხალხშიო.

## ანეკდოტი

\*\*\*

ლენინის მატარებელი მოულოდნელად გაჩერდა. როცა ბელადმა იკითხა რა მოხდაო, მას მოახსენეს – ამას იქით ლიანდაგები აღარ აგიაო. ლენინი მატარებლიდან ჩამოვიდა, ცერებით პიჯაკის გულისჯიბებზე ჩამოეკიდა, გაიარ-გამოიარა და თანამგზავრები დაამშვიდა – არა უშავს, შაბათობას მოვაწყობთ და ყველაფერი მოგვარდებაო. რამდენიმე ხნის შემდეგ იმავე ადგილას მეორე ლიანდაგზე სტალინის მატარებელი გაჩერდა, როცა მიზეზი მოახსენეს, ბელადმა პირიდან ცოფები ყარა – დამნაშავები დაიხვრიტებიან და თქვენც იგივე გელით, თუ სა-

ნამ ვსადილობ ლიანდაგები არ დაგიგიათო. მუქარამ გაჭრა და სტალინის მატარებელმა გზა განაგრძო. რამდენიმე ხნის შემდეგ იმავე ადგილას მესამე ლიანდაგზე ხრუშჩოვის მატარებელი გაჩერდა. როცა მიზეზი მოახსენეს, მან სარკასტულად იკითხა – აბა უკეთესს სტალინისაგან რას ელოდებოდითო!? შემდეგ უბრძანა, გავლილი ლიანდაგები აყარეთ ხოლმე და წინ გადმოაგეთ-ხოლმეო. ასეც მოიქცნენ და ხრუშჩოვის მატარებელმაც გზა განაგრძო. რამდენიმე ხნის შემდეგ იმავე ადგილას მეოთხე ლიანდაგზე ბრეუნევის მატარებელი გაჩერდა. როცა მიზეზი მოახსენეს, იგი დიდად არ შენუხებულა და თანამგზავრებს შესთავაზა – მოდით ფანჯრებთან დავსხდეთ, ვიყუნტალოთ და ყველას ეგონება რომ მივდივართო.

\* \* \*

ბაზარში ერთი კაცი კაკალს ყიდულობდა და იქვე ყიდდა იმავე ფასად. როცა კითხეს, ამას რად შვრებიო, მან უპასუხა – კაკლის ჩერიალი მიყვარსო.

\* \* \*

გზისპირა მინდორში ორი სვანი მუშაობდა – ერთი ბარით ორმოებს თხრიდა, მეორე კი ამ ორმოებს ისევ მიწით ავსებდა. გაკვირვებულმა გამვლელმა ერთხანს უყურა, შემდეგ კი მობიდიშებით ჰკითხა – უკაცრავად კი ვარ, მაგრამ რატომ თხრით ერთი ორმოებს, მეორე კი ისევ მიწით ავსებთო. ეს მეორე კი არა, მესამეა – აუხსნა მპარავმა – მეორეს ორმოებში ნერგები უნდა ჩაეყარა, მაგრამ იგი დღეს შეუძლოდაა და სამუშაოზე ვერ გამოცხადდაო.

## ზ ღ ა პ რ ე ბ ი

ორი ორიგინალური და სამი გადაკეთებული ზღაპარი

### ჩიტუნას თავგადასავალი

ტანწერნეტა ნაძვის ხეზე ჩიტუნას კოპნია ბუდე მოექსოვა და შიგ პირყვითელა ბარტყებს ზრდიდა. ერთ ქარწვიმიან დღეს, სად იყო და სად არა, საიდანლაც მსუნავი მელია მოეხეტა და ჩიტუნას ასძახა – ჩიტო, ჩიტო, ჩიორაო! ჩიტუნას ელდა ეცა, გულმა რეჩხი უყო, მაგრამ ისევ კაი სიტყვით სცადა მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილება და თავაზიანად გადმოეპასუხა მტაცებელს – რაო, ბატონო მელაო? მაგრამ მელიარისი მელია იქნებოდა, ვინმე შებრალებოდა და თავის ბოროტ განზრახვაზე ხელი აეღო? მან ხმა აიმალლა და ყოველგვარი მიკიბულობა-მოკიბულობის გარეშე, ჯიქურად მიახალა ჩიტუნას – ერთი ბარტყი გადმომიგდე, თორემ შავ დღეს დაგაყენებ. ცულს მოვიტან ცუნცულასო ხელე-ჩოს და ნალდუნასო, ხესაც მოვჭრი ხის ძირსაცა, შენც შეგჭამ და შენს შვილსაცა.

თავზარდაცემული ჩიტუნა საგონებელში ჩავარდა. აღარ იცოდა რა ექნა. ობოლსა და უთვისტომოს არც არავინ ეგულებოდა დახმარება რომ ეთხოვა და აღარც დრო ითმენდა, ამიტომ სასონარკვეთილმა ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა, – თვალები მაგრად დახუჭა, ბუდეში ფრთა მოაფათურა, რომელი ბარტყიც მოხვდა, ის ამოიყვანა, გულში ჩაიხუჭა, გადაკოცნა და საწყალი ბარტყი მტაცებელს გადაუგდო, თანაც მიაწყევლა – შხამად შეგერგოს შენ ჩემი საცოდავი ბალდის უმანკო სიცოცხლეო.

შეშინებული ბარტყები გატრუნული უსმენდნენ მელიასა და დედიკოს საუბარს, მაგრამ ბევრი ვერაფერი გაიგეს რა მოხდა და დედიკოს დაეკითხნენ – დედიკო, დედიკო ვინ იყო ის კაცი, რა უნდოდა და სად გაქრა ჩვენი დაიკონა ჩიორუკაო. ჩიტუ-

ნამ თვალები შეიმშრალა და შვილები დაამშვიდა – ის კაცი, შვილებო, ავტობუსის მძღოლი იყო, თქვენი დაიკონა ჩიორუკა, მე გერმანიაში გავაგზავნე სამურნალოდ. თქვენ ყველას ახელილი გაქვთ თვალები, ჩიორუკა კი საოპერაციოაო. სად არის გერმანია, დედიკო და როდის ჩამოვა ჩვენი დაიკონაო, – არ ცხრებოდნენ პატარები. – გერმანია, შვილებო შორსაა, აი იმ ხეებს გადალმა, მაგრამ როგორც კი ჩიორუკას თვალებს აუხელენ და ფრთებიც მოუმაგრდება, ის მაშინვე აქ გაჩნდება ჩვენთანაო, – ისევ იცრუა ჩიტუნამ. რა კარგია, რა კარგია, დაიკონა მალე ჩამოფრინდება, გერმანულ ჭიებსაც ჩამოგვიტანსო – გახალისდნენ ბარტყები.

სამწეროდ ამ შემთხვევიდან დიდი დრო არ გასულა, რომ კვლავ მოცანცარდა გაიძვერა მელია თავისი მოთხოვნითა და მუქარით. ჩიტუნას ცივმა ოფლმა დაასხა, კინალამ გული შეუღონდა. ახლა მიხვდა რომ სულ ტყუილ-უბრალოდ გასწირა საბრალო ჩიორუკა, წუნკი მელია მას აღარ მოეშვებოდა, სანამ ყველა ბარტყეს არ შეუჭამდა. ისიც ცხადი იყო, რომ ტირილითა და ვიშვიშით ვერც ჩიორუკას გააცოცხლებდა და ვერც სხვა ბარტყებს გადაარჩენდა. ამიტომ გული გაიმაგრა, ღმერთს შველა სთხოვა და თვითონ შეუტია შემოჩენილ მტერს – მე ჩიტი არ ვიყო, თუ შენ ეგ თავხედობა შეგარჩინო, სადაც გინდა წაეთრიე, რაც გინდა ის მოათრიე, მაგრამ მე შენი აღარ მეშინია და ანი, შენ ჩემგან ერთი პატარა ბუმბლი რომ ბუმბლია, იმასაც ვეღარ მიიღებო. – ამასაც ვნახავთო, დაექადნა მელია და ხელსაწყოების მოსატანად გაიქცა. ბუნებრივია, ჩიტუნასაც აღარ დაედგომებოდა სახლში უქმად, მან თმები გადაივარცხნა, კაბა დაიფერთხა და იქვე ახლომდებარე რუსეთის სამხედრო ბაზას მიაშურა, სადაც ულვაშებიან საწყობის გამგეს წლობით ნაგროვები მანეთიანები ჩაუთვალა, იქიდან კი პატარა მაგრამ ძლიერი ბომბი წამოიღო. ის იყო სახლს მიუახლოვდა, რომ საზიზღარი მელიაც გამოჩნდა მთელი თავისი აღჭურვილობით. ახლა კი გიჩვენებ მე შენ სეირსო – შესძახა ჩიტუნამ, მერე რაც ძალი და

ღონე ჰქონდა ბომბი მოიქნია, მელიას ესროლა და იქვე სული გააფრთხობინა.

ჩიტუნას რომ სცოდნოდა, რომ მელიას არც ხეზე ასვლა შეუძლია და არც ხის მოქრა, მელიას მუქარას ის ყურსაც არ ათხოვებდა.

იქაც ლხინი, აქაც ლხინი.

არსად ჭირი, არსად ცრემლიანი,

ბლომად ქატო, ბლომად ფქვილი!

ყველგან ხარობდეს ადამიანი!

## ძმობილები

რწყილი და ჭიანჭველა დაძმობილდნენ, ერთმანეთს მეგობრობა შეფიცეს და გაუდგნენ გზას უკეთესი ადგილის მოსაძებნად.

ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს მიადგნენ მდინარეს, რომელზეც ხიდი არსად ჩანდა. ძმობილები შეფიცრიანდნენ – რწყილი კი გადაახტებოდა მდინარეს, მაგრამ ჭიანჭველას არც ხტომისა და არც ცურვის ინჩი-ბინჩი არ გაეგებოდა, თანაც იგი ორჯერ მეტი იყო რწყილზე და რწყილი მას ზურგზე ვერ შეისვამდა. იფიქრეს, იფიქრეს და ბოლოს ისევ რწყილს გაახსენდა ცდა რომ ბედის მონახევრეა და მან ჭიანჭველას შესთავაზა – მოდი ცოტა უკან დაიხიე, იქიდან მდინარისაკენ გამოქანდი, ნაპირიდან ისკუპე და იქნება მეორე ნაპირზე გადახტეო. ჭიანჭველას ჭკუაში დაუჯდა ძმობილის რჩევა – უკან დაიხია, იქიდან შურდულივით გაქანდა მდინარისაკენ და ნაპირიდან ისკუპა. სამწერაროდ, ნახტომი არ აღოჩნდა საკმარისი და საბრალო ჭიანჭველამ შიგ შუა მდინარეში მოადინა ტყაპანი. საბედნიეროდ, იქვე ახლოს პატარა კუნძული იყო, რომელზეც ჭიანჭველა აცოცდა და დახრჩობას გადაურჩა. მაგრამ, ბუნებრივია, იგი იქ სამუდამოდ ვერ დარჩებოდა, მით უმეტეს რომ უკვე გაზაფხული იდგა, მწვერვალებზე თოვლი დნებოდა, მალე წყალდიდობა დაიწყებოდა, წყალი კუნძულს გადაუვლიდა და ჭიანჭველასაც წალეკავდა. შეშფოთებულმა

ჭიანჭველამ ძმობილს შესთხოვა – მიშველე რამე, ძმაო. იქნება სადმე გრძელი ჯოხი ან ბანარი იშმოვო, ხიდად გადმომიგდო და დახრჩობას გადამარჩინო. რა თქმა უნდა, გიშველი, გული არ გაიტეხო, მე შენ გასაჭირში არ მიგატოვებო - დააიმედა ძმობილი რწყილმა და ხტუნვა-ხტუნვით გაუდგა გზას. სამწუხაროდ, სად არ მივიდა, ვის არ სთხოვა, მაგრამ უფულოდ არავინ არაფერი არ მისცა, ფული კი მას ერთი თეთრიც არ გააჩნდა. ის იყო სასონარკეთილებას უნდა მისცემოდა, რომ ვიღაცის ბოსტანში დიდი თეთრი ლორი დაინახა, რომელიც დინგით მინას ჩირქნიდა და იქიდან ამოთხრილ სტაფილოსა და ჭარხალს შეექცეოდა. რწყილი ახტა, დახტა, მივიდა ლორთან, თავაზიანდ მიესალმა, ხომ კარგად ბრძანდებითო - მოიკითხა, მერე კი შეევედრა - კეთილო ლორო, მომეცი, თუ შეიძლება, ცოტაოდენი ჯაგარი, ჯაგრისაგან დავგრეხ ბანარს, ბანარს ხიდად გადავუგდებ კუნძულზე თავშეფარებულ ჩემ ძმობილ ჭიანჭველას და დახრჩობას გადავარჩენო. ასეთ კეთილ საქმეში ხელს როგორ არ გაგიმართავ, მაგრამ იქნებ შენც მიყო სიკეთე, ცოტა საღი რკო მიშმოვო, მომკლა ამ ძირნაყარი და ჭიანი რკოს ჭამამა - დაიღრუტუნა ლორმა. კეთილი, ახლავე დავტრიალდებიო - მიუგო გახარებულმა რწყილმა და ხტუნვა-ხტუნვით გაუდგა გზას. ბევრი იხტუნა, თუ ცოტა იხტუნა, მიადგა მუხას. ჯერ თავაზიანდ მიესალმა, ხომ კარგად ბრძანდებითო - მოიკითხა, მერე კი შეევედრა - კეთილო მუხა, მომეცი თუ შეიძლება, ცოტაოდენი რკო; რკოს მივუტან ლორს, ლორი მომცემს ჯაგარს, ჯაგრისაგან დავგრეხ ბანარს, ბანარს ხიდად გადვუგდებ კუნძულზე თავშეფარებულ ჩემ ძმობილ ჭიანჭველას და დახრჩობას გადავარჩენო. ამ კეთილ საქმეში ხელს როგორ არ გაგიმართავ, მაგრამ იქნება შენც გვიყო სიკეთე და ცოტაოდენი ბალახი გვიშმოვო; ადრეული გაზაფხულია და ბალახი ჭირსო - დაიჩივლა ძროხის პატრონმა. კეთილი, ახლავე დავტრიალდებიო - მიუგო გახარებულმა რწყილმა და ხტუნვა-ხტუნვით გაუდგა გზას.

და მუხაზე არ იჯდა. რწყილი თავაზიანად მიესალმა ყვავს, მალე გამოჯანმრთელება უსურვა, მერე კი შეევედრა - კეთილო ყვავო, ჩამოშორდი, თუ შეიძლება, მუხას; მუხა მომცემს რკოს, რკოს მივუტან ლორს, ლორი მომცემს ჯაგარს, ჯაგრისაგან დავგრეხ ბანარს, ბანარს ხიდად გადავუგდებ კუნძულზე თავშეფარებულ ჩემ ძმობილ ჭიანჭველას და დახრჩობას გადავარჩენო. ამ კეთილ საქმეში ხელს როგორ არ გაგიმართავ, მაგრამ იქნება შენც მიყო სიკეთე და ცოტაოდენი ყველი მიშმოვო; შიმშილია მე რომ მაჩხავლებსო. რაც შეეხება ამ რკოებით აყროლებულ მუხას, ახლავე მივატოვებ და სუფთა ალვის ხეზე გადავჯდებიო - დაიჩივლა ყვავმა. კეთილი, ახლავე დავტრიალდებიო - მიუგო გახარებულმა რწყილმა და ხტუნვა-ხტუნვით გაუდგა გზას.

ბევრი იხტუნა თუ ცოტა იხტუნა, მივიდა ძროხის პატრონთან. ჯერ თავაზიანად მიესალმა, ხომ კარგად ბრძანდებით, ქალბატონოვო მოიკითხა, მერე კი შეევედრა - კეთილო ქალბატონო, მომეცი, თუ შეიძლება, ცოტაოდენი ყველი; ყველს მივუტან ყვავსა, ყვავი დასთმობს მუხასა, მუხა მომცემს რკოსა, რკოს მივუტან ლორსა, ლორი მომცემს ჯაგარსა, ჯაგრისაგან დავგრეხ ბანარსა, ბანარს ხიდად გადავუგდებ კუნძულზე თავშეფარებულ ჩემ ძმობილ ჭიანჭველასა და დახრჩობას გადავარჩენო. ამ კეთილ საქმეში ხელს როგორ არ გაგიმართავ, მაგრამ იქნება შენც გვიყო სიკეთე და ცოტაოდენი ბალახი გვიშმოვო; ადრეული გაზაფხულია და ბალახი ჭირსო - დაიჩივლა ძროხის პატრონმა. კეთილი, ახლავე დავტრიალდებიო - მიუგო გახარებულმა რწყილმა და ხტუნვა-ხტუნვით გაუდგა გზას.

ცოტა იხტუნა თუ ბევრი იხტუნა, მივიდა ერთ დიდ ტრიალ მინდორში, სადაც ქორფა ბალახები დაგლიჯა და ძროხის პატრონს მიურბენია; ძროხამ მეტი რძე მოიწველა, მეტი რძისაგან მეტი ყველი ამოიყვანა ძროხის პატრონმა და კარგა მოზრდილი ნაჭერი რწყილს გადასცა. რწყილმა ყველი მიურბენია ყვავს, ყვავმა დასთმო მუხა, მუხამ მისცა რკო, რკო მიუტანა ლორს, ლორმა მისცა ჯაგარი, ჯაგრისაგან დაგრიხა ბანარი, ბანარი ხიდად გადაუგდო კუნძულზე თავშეფარებულ თავის ძმობილ ჭი-

ანჭველას, ჭიანჭველა გამოყვა ბანარს, ნაპირზე გადმოვიდა და განსაცდელს გადაუჩრა. ძმობილები ერთმანეთს გადაეხვივნენ, ერთმანეთს გამარჯვება მიულოცეს, მერე კი დაფიქრდნენ - ამ ბანარს რა ვუყოთ, რომ გადავაგდოთ გარემო დაბინძურდება, თანაც ისეთი კარგი ბანარია, კიდევ გამოდგება რამეშიო. იფიქრეს, იფიქრეს და გადაწყვიტეს ბანარი გაეყიდათ. ასეც მოიქცნენ - ბანარი ბაზარში წაიღეს, სადაც მას მაშინვე გამოუჩნდა მუშტარი, ანუ მყიდველი და ძმობილებსაც ცოტა ფული გაუჩნდათ. როგორც იტყვიან, მადა ჭამაში მოდისო და როცა ძმობილებმა საკუთრებაში ცოტა ფული დაიგულეს, საღერლელი აეშალათ და კიდევ მეტი მოინდომეს. იფიქრეს, იფიქრეს, როგორ ვიშოვოთ მეტი ფულიო და გადაწყვიტეს - მოდი ბანრების ბიზნესს მოვკიდოთ ხელიო. ასეც მოიქცნენ. გააგრძელეს ძროხის მომარაგება ბალახებით, ძროხამ უმატა წველას, ყველმაც იმატა ზომა-წონაში და ძროხის პატრონიც სულ უფრო დიდ ნაჭრებს აძლევდა ძმობილებს, რომელიც მათ მიჰქონდათ ყვავთან, ყვავი ახლოსაც აღარ ეკარებოდა მუხას, მუხა იძლეოდა რკოს, რკო მიჰქონდათ ლორთან, ლორი იძლეოდა ჯაგარს, ჯაგრისაგან გრეხდნენ ბანრებს და სარფიანად ყიდდნენ ბაზარში. ასე დაუგროვდათ ძმობილებს კარგა დიდი თანხა და ახლა ის გაუხდათ საფიქრელად, რაში მოვიხმაროთ ამდენი ფულიო. იფიქრეს, იფიქრეს და გადაწყვიტეს - მოდი ამ ხალხს დავეხმაროთ და მდინარეზე ხიდი გაუდოთო. ასეც მოიქცნენ - შეისყიდეს საჭირო მასალები, დაიქირავეს ხელოსნები და მალე მდინარეზე მშვენიერი ხიდი გადაჭიმეს. ბუნებრივია, რომ ხიდით სარგებლობისათვის ბაჟიც დააწესეს. ბაჟი, ე.ი. ხიდზე გადავლა-გადმოვლის საფასური დიდი არ იყო და ხალხი მას სიამოვნებით იხდიდა. ახლა ძმობილებმა დაასკვნეს - ეს სწორედ ის ადგილია, რომელსაც ვეძებდითო და ისინი პირდაპირ ხიდის თავში დასახლდნენ. შემოსავლის ნაწილს ისევ ხიდის მოვლა-პატრონობას ახმარდნენ, ნაწილით კი სისხლს ყიდულობდნენ სასაკლაოდან რწყილისათვის, ხოლო ათასნაირ ტკბილეულობას საშაქარლამოდან - ჭიანჭველასათვის.

ასე გადაარჩინა მეგობრობამ ჭიანჭველა და დიდი სიკეთე მოუტანა ხალხსაც.

იქაც ლხინი აქაც ლხინი,  
ბლომად ქატო, ბლომად ფქვილი.  
არსად ჭირი, არსად ცრემლიანი  
ყველგან ხარობდეს ადამიანი.

## ციური მაღვიძეარა

ტოროლას მაინც არ მოველავ,  
ბევრიც რომ მქონდეს წამალი,  
საწყალი დამის მეხრისა  
ის არის კარგი მამალი.

ირიურაჟებდა თუ არა, თავქოჩორა ტოროლა მაღლა ცაში აიჭრებოდა და ისეთ საამო ჰანგებს აგვირისტებდა, იმის მოსმენას არაფერი სჯობდა. სამწუხაროდ, იმ დღეს ტოროლას დედათავისისათვის არ დაეჯერებია, გარეთ საუზმის გარეშე გამოსულიყო, ამიტომ მშიერ კუჭზე ამდენი მღერით დარტიანდა, ღრუბელზე ფეხი წამოკრა, წაპარბაცდა, ქვედა ღრუბელზე ჩავარდა და გრძნობა დაკარგა. ზედა ღრუბელს შეეცოდა ტოროლა, საჩქაროდ შხაპუნა წვიმა წამოუშინა და ცივი წვიმის წვეთებით ტოროლა მოასულიერა.

ამ დროს, შემთხვევით, იქვე ახლო-მახლოს მშიერი ბუზი მიბზუოდა საკბილოს საძებნელად. როცა მან ღრუბელზე გამოტილ ტოროლას თვალი მოკრა, გახარებული მისკენ გაქანდა, გულზე დააჯდა და ის იყო სისხლი უნდა გამოეწოვა, რომ გონს მოსულმა ტოროლამ ბუზს კარგა მაგრად ჩაუნისკარტა, პირში იგდო და უჭმელობითა და სიმღერით გამშრალი ყელი ჩაიკოკლოზინა.

ტოროლას კუჭმა დაგვიანებული საუზმე რომ ხელთ იგდო, ციბრუტივით დატრიალდა, ბუზი საჩქაროდ გადაამუშავა და პატრონს მიაწოდა. ტოროლამ სული მოითქვა, ჯანზე მოვიდა,

ფრთხები ააფართხალა, ისევ მაღლა, მაღლა ცაში აიჭრა და ახალი ენერგიით განაგრძო შეწყვეტილი სიმღერა.

ზლაპარი გვასწავლის, რომ საუზმის გარეშე სახლიდან ფეხი არ უნდა გაადგა.

იქაც ლხინი, აქაც ლხინი,  
ბლომად ქატო, ბლომად ფქვილი.  
არსად ჭირი, არსად ცრემლიანი,  
ყველგან ხარობდეს ადამიანი.

## დათუჩას თავგადასავალი

ტყის პირას, ერთ კეთილმოწყობილ გამოქვაბულში ცხოვრობდა მურა დათვი თავის შეილთან, დათუჩასთან ერთად.

როგორც კი მაღლა ცაში ტოროლას გალობა გაისმოდა, დათუჩა ლოგინიდან წამოხტებოდა, დილის გამამხნევებელ ვარჯიშს გააკეთებდა, მერე ეზოში გავიდოდა, იქ მოჩუხჩუქე წყაროზე ხელ-პირსა და კისერს დაიბანდა, კბილებს გაიხეხავდა და საუზმეს მიუჯდებოდა. საუზმეზე იგი დედათავისის მიერ დამზადებულ ნუგბარ საჭმელებს მიირთმევდა და შარბათივით ტკბილ ყურძნის წვენს დააყოლებდა ხოლმე. საუზმის შემდეგ დათუჩას სახლში გამჩერებელი არავინ იყო. ამიტომ დედა-შვილი ტყეში მიდიოდა, იქ მთელი დღე სუფთა ჰაერზე დაეხეტებოდნენ და ტყის ნობათს შეექცეოდნენ. ტყეში კი ბლომად იყო თხილი, წაბლი, შინდი, კუნელი, ზღმარტლი, მარწყვი, უოლო, ქაცვი, ჭერამი ანუ ველური გარგარი, მაჟალო ანუ ველური ვაშლი და პანტა ანუ ველური მსხალი.

ერთხელ, როცა დედა ბაზარში იყო წასული, დათუჩას გადაავინდა დედისათვის მიცემული პირობა და მარტო წავიდა ტყეში. მიდიოდა და მიიმღეროდა - დელი, დელი, დელასა, ჩემი სალამი ყველასა; ოდელია დელია, ნუ ეშმაკობ, მელია, შენც მიფრთხლდი მგელო, შე პირდაუბანელო. ტყეში წავარდით რომ გული იჯერა

და ტყის ნობათითაც დანაყრდა, სახლისაკენ გაემართა. ამ დროს ერთი დაფუტუროვებული ხიდან ფუტკრების ზუზუნი შემოესმა და დათუჩა ცას ენია სიხარულით, რადგან მან იცოდა, რომ სადაც ფუტკრები ბინადრობენ, თაფლსაც იქ ინახავენ. თაფლი კი დათუჩას თავის თავზე მეტად უყვარდა. ელვის სისწრაფით აბობლდა ხეზე, ფულუროში თათი შეყო და სურნელოვან თაფლს სვლეპა-ტლეკა დაუწყო. სამწუხაროდ, მისი სიამოვნება დიდხანს არ გაგრძელებულა. როგორც კი ფუტკრებმა დაუპატიჟებელი სტუმარი შეამჩნიეს, ყოველი მხრიდან დაესიერ და ნესტრით უჩხვლეტელი ერთი წერტილიც არ დაუტოვეს. ნაჩხვლეტ-ნაკბენებისაგან აღრიალებული დათუჩა ძირს გადმოენარცხა და შინისაკენ მოკურცხლა დედათავისისაგან სასწრაფო დახმარების მისაღებად. სამწუხაროდ, დედა სახლში არ დაუხვდა, ჯერ არ დაბრუნებულიყო ბაზრიდან და დათუჩამ გადაწყვიტა მას გზაში გასდგომოდა. მაგრამ ნაკბენებისაგან უკვე ისე გასიებულიყო, კარში არ გაეტია და იძულებული გახდა ოთახში ბოლოთის ცემას მოჰყოლოდა. დედა რომ დაბრუნდა და შვილი ამ ყოფაში ნახა, კინაღამ გაგიუდა, მერე გაუწყრა - რა გინდოდა უჩემოდ ტყეში რომ მიდიოდი, ანდა რაში გჭირდებოდა ქურდობა, როცა იცოდი რომ ბაზრიდან მე ჩურჩხელებისა და თაფლის გარეშე არასოდეს დავბრუნებულვარო. ამ ერთხელ მაპატიე და ანი ყველაფერს დაგიჯერებო - ამოიბურტყუნა თავჩაქინდრულმა დათუჩამ, რამაც დედას გული მოულბო, მან შვილს დაუყვავა, თავზე ხელი გადასვა, მერე მთელ ტანზე თურმანიძის მალამო წაუსვა და დღის ბოლოსათვის საღ-სალამათი ფეხზე წამოაყენა. ახლა დათუჩა მიხვდა და ყველა ბავშვი უნდა მიხვდეს, რომ რამხელაც არ უნდა იყო, უფროსების, და მით უმეტეს მშობლის რჩევა-დარიგებას ყური უნდა ათხოვოს.

იქაც ლხინი, აქაც ლხინი,  
ბლომად ქატო, ბლომად ფქვილი  
არსად ჭირი, არსად ცრემლიანი  
ყველგან ხარობდეს ადამიანი!

## გოჭუნიები

სოფლის ბოლოს, ერთ ფარდალალა საღორეში ცხოვრობდა დედა ლორი, რომელსაც სამი გოჭი ჰყავდა: ღრუტუნა, ღრიტინა და ჭყვიტინა. ზამთრობით ღორთან და გოჭებთან ყოველდღე მოდიოდა მათი პატრონი და საჭმელებს უზიდავდა. მაგრამ ზაფხულობით ისინი თავის ნებაზე იყვნენ მიშვებული, მახლობელ ტყეში დაეხეტებოდნენ და ტყის ნობათს შეექცეოდნენ. ტყეში კი ბლომად იყო ძირნაყარი რკო, თხილი, წაბლი, შინდი, კუნელი, ზღმარტლი, მარწყვი, უოლო, ქაცვი, ჭერამი ანუ ველური გარგარი, მაჟალო ანუ ველური ვაშლი და პანტა ანუ ველური მსხალი და ქორფა ბალახი. როცა მათ სურდო შეეყრებოდათ ან მუცელი ასტკივდებოდათ, ისინი დინგით მინიდან ამოჩიჩნიდნენ ველურ ნიორს, შეახრამუნებდნენ და მაშინვე შევბას იგრძნობდნენ ხოლმე.

როცა გოჭები წამოზარდნენ და დაბურვაკდნენ, გოჭებმა დედას განუცხადეს - ჩვენ ახლა დიდები ვართ, ნამდვილი ბურვაკები, წავალთ ცალკე დავსახლდებით და შენც ჩვენთან გადაგიყვანთო. ოდიოგანვე ასე ყოფილა - მშობლები იმიტომ ყვებიან თან შვილებს, რომ მათ დამოუკიდებლად ცხოვრება ასწავლონ და თვითონაც მარტო არ დარჩნენ სიბერეში. ასე რომ, დედა ლორი გაგებით შეხვდა შვილების გადაწყვეტილებას, მადლობა გადაუხადა ზრუნვისათვის, მაგრამ შესთხოვა - ჯერ ცოტა კიდევ მაცალეთ, ასე მალე აქაურობას ვერ შეველევი, შემდეგ კი - როცა დაებურდები, რა თქმა უნდა თქვენთან გადმოვალ და შვილების დაზრდაში მოგეხმარებითო. მერე თვალცრემლიანმა შვილებს გზა დაულოცა და ერთხელ კიდევ გააფრთხილა - იცოდეთ დიდ რუხ მგელს მოერიდეთ, ისაა თქვენი დაუძინებელი მტერიო. ფიქრი ნუ გაქვს დედი, ჩვენ ახლა ისეთი სირბილი ვიცით, მგელი კი არა ცხენი ვერ დაგვენევაო - მერე გოჭებმა დედა გადაკოცნეს და გზას გაუდგნენ. ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, ერთ დიდ ტრიალ მინდორს მიადგნენ, სადაც ერთმანეთთან ახლოს სამი ლამაზი სამოსახლო შეარჩიეს და საქმეს შეუდგნენ. ღრუტუნამ როგორც ყველაზე წინდახედულმა და შრომისმოყვარე გოჭმა, მოზიდა

აგურები, ცემენტი, ქვიშა და ყავრები, ესეიგი თხელი ფიცრები და დღის ბოლოსათვის მშვენიერი სახლი წამოჭიმა. სახლს ბუხარიც მიუშენა, რომ ზამთარში ცეცხლი დაენთო და სიცივეს არ შეეწუხებია. სახლში ცალკე იყო საძინებელი ოთახი, ცალკე იყო სამზარეულო და სასადილო და იქვე, პატარა აუზი გასაგრილებლად და ტანის დასაბანად. რაც შეეხება ქარაფშუტა ღრიტინასა და ჭყვიტინას, მათ ყურად არ იღეს უფროსი ძმის რჩევა, საჩქაროდ შეაკონინებს თავიანთი ქოხები გამზმარი ტოტებისა და ბალახ-ბულახებისაგან და გაიქცნენ სათამაშოდ. ჯერ სირბილში შეეჯიბრნენ ერთმანეთს, მერე კუკუ-მალობანა ითამაშეს, ხოლო როცა ესეც მოსწყინდათ, ტალახიან წუმპები ჩანვნენ და მზეს მიეფიცხნენ გასარუჯად. სამწუხაროდ, მათი განხცხრომა დიდხანს არ გაგრძელებულა. უცებ მახლობელი ტყიდან ჩინჩხვარის ლანა-ლუნი და ბუჩქების შლიგინი შემოესმათ და თავზარდაცემულებმა დაინახეს, რომ დიდი რუხი მგელი პირდაპირ მათენ მოძუნძულებდა. ღრიტინა და ჭყვიტინა თავქუდმოგლეჯილი გაეცალნენ იქაურობას და თავიანთ ქოხებში ჩაიკეტნენ. ტყის პირას ყველაზე ახლოს ჭყვიტინას ქოხი იდგა და მგელმაც მას მიაშურა, კარებზე მაგრად დააბრახუნა და საზარლად შეჰყუვლა. ახლავე კარი გამიღე, თორემ ძალით შემოვლენავო. - თუ შემომლენავი ხარ, შემოლენე, მე რას მითანხმებო - გამომწვევად უპასუხა კარის სიმაგრეში დარწმუნებულმა ჭყვიტინამ. - ვარ თუ არა ახლავე ნახავო - დაექადნა მგელი. მერე კარგა მანძილზე უკან დაიხია, იქიდან შურდულივით გამოქანდა ქოხისაკენ, რაც ძალა და ღონე ჰქონდა კარს დაეჯახა, კარიანად ქოხში შევარდა და ინერციით ძირს გაგორდა. სანამ მგელი ფეხზე წამოდგებოდა, ჭყვიტინა გარეთ გავარდა და ღრიტინას ქოხისაკენ გაიქცა ყვირილით - მიშველე, ძმაო, მგელი მომდევსო. ღრიტინამ ძმა ქოხში შეიპატიუა და კარი ჩაკეტა. მგელმა რომ ნანგრევებში ჭყვიტინა ვერ აღმოაჩინა, ისიც ღრიტინას ქოხისაკენ გაეშურა. კარებზე მაგრად დააბრახუნა და საზრლად შეყმუვლა - ახლავე კარი გამიღეთ, თორემ ძალით შემოვლენავო. - თუ შემომლენავი ხარ, შემოლენე, ჩვენ რას გვითანხმებო - გამომწვევად უპასუხეს კარის

სიმაგრეში დარწმუნებულმა ღრიტინამ და ჭყვიტინამ. - ვარ თუ არა, ახლავე ნახავთო - დაექადნა მგელი. მერე კარგა მანძილზე უკან დაიხია, იქიდან შურდულივით გამოქანდა ქოხისაკენ, რაც ძალა და ღონე ჰქონდა კარს დაეჯახა, კარიანად ქოხში შევარდა და ინერციით ძირს გაგორდა. სანამ მგელი ფეხზე წამოდგებოდა, ღრიტინა და ჭყვიტინა გარეთ გავარდნენ და ღრუტუნას სახლი-საკენ გაიქცნენ ყვირილით - გვიშველე, ღრუტუნა, ძმაო, მგელი მოგვდევსო და ანი ყველაფერს დაგიჯერებთო. დამიჯერებთ თუ არ დამიჯერებთ, თქვენ ჩემი ძმები ხართ და ყოველთვის დაგეხმარებით, დაამშვიდა ძმები ღრუტუნამ, სახლში შეიპატიუა და კარი ჩაკეტა. მგელმა რომ ღრიტინა და ჭყვიტინა ნანგრევებში ვერ აღმოაჩინა, ისიც ღრუტუნას სახლისაკენ გაეშურა. კარქზე მაგრად დააბრახუნა და საზარლად შეყმუვლა - ახლავე კარი გამიღეთ, თორემ ძალით შემოვლენავო.- თუ შემომლენავი ხარ, შემოლენე, ჩვენრას გვითანხმებო - გამომწვევად უპასუხეს კარის სიმაგრეში დარწმუნებულმა გოჭებმა. - ვარ თუ არა ვარ, ახლავე ნახავთო - დაექადნა მგელი. მერე კარგა მანძილზე უკან დაიხია, იქიდან შურდულივით გამოქანდა სახლისაკენ, რაც ძალა და ღონე ჰქონდა კარს დაეჯახა, მაგრამ კარს ძვრაც ვერ უყო, თვითონ კი დაბეჭილ დაბეგვილი კვნესა-კვნესით ძირს დაენარცხა. გახარებულმა გოჭებმა ყიუინა დასცეს - ვაშა, ვაშა, მგელი ძირს გაიშხლართაო. ახლა კიდევ უფრო აენვა კუჭი მგელს, კბილები მაგრად აუკანკანდა, გოჭების ყიუინამ კი მთლად გადარია. ახლა სახურავიდან სცადა სახლში ჩაღწევა, მაგრამ აქაც მოტყუვდა. ღრუტუნას სახლი ყავრებით გადაეხურა და ფიცრები ისე მაგრად დაეჭედებია, რომ მგელმა ერთი მათგანიც ვერ ააძრო. დავრჩი მშეერი და ეგაო - ჩაიბურტყუნა იმედგაცრუტულმა მტაცებელმა. მაგრამ ამ დროს, უცებ ბუხრის საკვამურს მოჰკრა თვალი და სახე გაუნათდა, სახლში ამაზე უკეთეს ჩასაძრომს ვერც ინატრებდა. მაგრამ მგელს აქაც უმტყუნა ბედმა. ღრუტუნას ეს საფრთხეც გაეთვალისწინებია და ბუხარში ისეთი ცეცხლი აეგიზგიზებია, მისი ალი ცას სწვდებოდა. ძმებმა ღრუტუნას ურჩიეს - მოდი საქაბეზე ქვაბით წყალი შემოვდგათ და ცხელი ორ-

თქლი მგელს ახლოსაც არ გაგვაკარებსო. რა ქარაფშუტა ძმები მყავხართო - ღიმილით უსაყვედურა ძმებს ღრუტუნამ - სანამ წყალი ადუღდებოდეს ჩვენგან ხომ კუდის რიკებიც ალარ დარჩება, თანაც სად ორთქლი და სად ცეცხლის ალიო. და მართლაც, ჩაყო თუ არა მგელმა საკვამურში თავი, ცეცხლის ალმა წარბ-წამნამები და შუბლი შეუტრუსა, და ლოყები აუწვა, კვამლმა კი კინალამ გაგუდა. საბოლოოდ განბილებულმა მგელმა თათი ჩაიქნია, რის ვაი-ვაგლაბით ძირს ჩაფორთხიალდა და ლანძღვა-გინებითა და ხველებ-ხველებით იქაურობას გაეცალა. ეს იყო და ეს, იმის შემდეგ იმ არე-მარეში მგლის ლანდიც აღარავის უნახავს.

ასე გადაარჩინა ღრიტინა უფროსი ძმის წინდახედულობამ და შრომისმოყვარეობამ, თანაც კარგი გაკვეთილი მისცა მათ სამომავლოდ. იქაც ლხინი, აქაც ლხინი,

ბლომად ქატო, ბლომად ფქვილი!  
არსად ჭირი, არსად ცრემლიანი,  
ყველგან ხარობდეს ადამიანი!

# მ ა რ გ ა ს ი

## GOAT AND VINE

Modified translation from Georgian by Akaki Mumladze

1. Let's go and see how our vine is.  
We came and saw that the vine had been eaten by a goat.
2. Let's go and see what has become of the goat.  
We came and saw that the goat had been eaten by a wolf.
3. Let's go and see what has become of the wolf.  
We came and saw that the wolf had been eaten by a gun.
4. Let's go and see what has become of the gun.  
We came and saw that the gun had been eaten by rust.
5. Let's go and see what has become of the rust.  
We came and saw that the rust had been eaten by earth.
6. Let's go and see what has become of the earth.  
We came and saw that the earth had been eaten by wheat.
7. Let's go and see what has become of the wheat.  
We came and saw that the wheat had been eaten by a rat.
8. Let's go and see what has become of the rat.  
We came and saw that the rat had been eaten by a cat.
9. Let's go and see what has become of the cat.  
We came and saw that the cat was sleeping on the mat,  
satisfied and fat.

And so: the cat ate the rat, the rat ate the wheat, the wheat ate the earth, the earth ate the rust, the rust ate the gun, the gun ate the wolf, the wolf ate the goat, and the goat ate the vine, leaving us without grapes and wine.

November, 1 2013

# დ ა ნ ა ს ქ ვ ი

## სანამ ჯერ კიდევ დროა!

დედამიწა ზიარი ჭურჭელია, სადაც „რობინზონი“ და „სტერილური“ ქვეყნები არ არსებობენ და სადაც 5400-ზე მეტი ენაზე მოლაპარაკე სხვადასხვა რასის, სხვადასხვა ეთნიკური კუთვნილების და სხვადასხვა სარწმუნოების დედამიწელები სულ რაღაც 262 ქვეყანაში არიან გაერთიანებული.

ერთობას რა ჯობია, იგი რომ ურთიერთპატივისცემასა და ურთიერთანამშრომლობას ეფუძნებოდეს, მაგრამ არათუ ასეთი ჰარმონია, არამედ უბრალო ტოლერანტობაც დიდი დეფიციტია როგორც ქვეყნებში, ისე ოჯახებში – რამეთუ, რამდენი თავიცაა იმდენი აზრი და ინტერესია, რომლებიც იშვიათად ემთხვევა ერთმანეთს.

რა პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, სწორედ ეს დაუმთხვევლობა, სწორედ ეს სხვადასხვაობაა როგორც კონფლიქტების წყარო, ისე განვითარების რეზერვუარიც. სამწუხაროდ „სხვა“ ყოველთვის მოიაზრებოდა მტრად, რომელსაც უფრო ძლიერი „სხვა“ ძარცვავდა და ანადგურებდა. მოგვიანებით მძარცველი მიხვდა, რომ უფრო რაციონალურია კი არ მოსპო დამარცხებული, არამედ დახარკო იგი და მუდმივი შემოსავლის წყაროდ იყოლიო.

საუბედუროდ, ეს პრინციპი სხვადასხვა შეფუთულობით დღესაც მუშაობს, რის გამოც სოციალურ-ეკონომიკური უფსკრული არათუ მცირდება ძლიერ „სხვასა“ და სუსტ „სხვას“ შორის, არამედ სულ უფრო და უფრო ღრმავდება, როგორც ქვეყნებს შიგნით, ისე ქვეყნებს შორისაც.

ჰუმანურობისა და სამართლიანობის ლამის სიმბოლოდ შერაცხული 21-ე საუკუნე ფარისევლურად „დაფოფინებს“ ადამიანს, სინამდვილეში კი იგი სულ უფრო და უფრო მეტს ხარჯავს ადამიანის მოსასპობი იარაღებზე, ვიდრე ადამიანის კეთილდღეობაზე.

გამოსავალი არის, მაგრამ იგი შეკვეცავს ძლიერთა ამა ქვეყ-

ნისათა შემოსავლებს და მაშასადამე, ყოვლად მიუღებელია მათ-  
თვის.

არადა, კაცობრიობა თავისუფლად ამოისუნთქავდა და იგი  
ერთი მრავალეროვანი მსოფლიო მთავრობის ქვეშ (რეორგანი-  
ზებული გაეროს სახით) მულტინაციონალურ მსოფლიო ფედერ-  
აციაში გაერთიანდებოდა, რაც საშუალებას მოგვცემდა:

- 1) უარი გვეთქვა ყველა მასობრივი მოსპობის იარაღებზე;
  - 2) გაგვეუქმებია ეროვნული არმიები, ჩაგვენაცვლებია ისინი  
ერთი მრავალეროვანი სწრაფი რეაგირების არმიით, რომელიც  
დაბანაკდებოდა ყველა საჭირო ადგილას შესაბამისი პროპორ-  
ციით და იმოქმედდებდა ადგილობრივ პოლიციასთან ერთად;
  - 3) შეგვეჩერებია ზოგიერთი ქვეყნისათვის დამახასიათებე-  
ლი „გამალებული შობადობა“, დაგველიმიტირებია იგი მარტივი  
„აღნარმოებით“;
  - 4) დაგვერეგულირებია შრომის საერთაშორისო დანაწილე-  
ბა და მიგრაცია, და მთელი გამოთავისუფლებული რესურსები  
მიგვემართა მოსახლეობის კეთილდღეობასა, ჯანდაცვასა და გა-  
ნათლებაზე.
- რაც უფრო ადრე შევუდგებით ამ იდეათა განხორციელებას,  
მით უფრო ნაკლებ უტოპიური აღმოჩნდებიან ისინი.
- ჩვენ შეგვეძლო დაგვეწყო იდენტურ ასოთა თანმიმდევრობის  
უნიფიცირებით ანბანებში, ზომა-წონის ერთეულების გასაერ-  
თაშორისებით და ერთიანი ვალუტის შემოღებით.
- ამ გლობალზაციის ლოგიკური გაგრძელება კი დაგვირგვინ-  
დებოდა მსოფლიოს ერთეროვნებით – ერთი ენის ხმარებით  
საერთაშორისო ურთიერთობებში და ყველა სხვა ენის დატოვე-  
ბით საშინაო ურთიერთობებისათვის – რაც გამოათავისუფლებს  
კოლოსალურ თანხებს, რომლებიც ახლა ამ ენების შესწავლას  
ხმარდება და რომელიც ჩვენ საგრძნობლად წაგვწევდა წინ ცივი-  
ლიზაციის აღმართზე.

## FUTUROLOGICAL CONSIDERATIONS: BEFORE IT'S TOO LATE!

### An Open Letter to the Official and Unofficial Leaders of the World

Evidently enough, what is now going on in the world has long gone beyond every tolerable limit.

It goes without saying that any crime and especially terrorism must be punished and punished severely, but evil ought to be fought not only in “battle-fields” but also and mostly in HEADS. For that mankind should manage to fill up the social chasm existing both among and within the countries, and to bring up new/young generations according to the same moral standards and in the spirit of national and global patriotism combined. But How?

When the so-rapidly-growing/evergrowing world population has already surpassed six billion, while the living resources of the Planet/Earth are gradually tapering to an end, the environment is being polluted and natural calamities, diseases and conflicts are raging, the only way out for the mankind to survive would be to unite under one multinational world federation/government like reorganized UNO, which would enable us to: 1. Say no to all the weapons of mass destruction; 2. Annul all the national armed forces, replace them with one common multinational world police of instant reaction like reinforced NATO, stationed in every country in due proportion and functioning together with local policies; 3. Stop birth-race, not to let the world population grow uncontrolled, restrict it to simple reproduction; 4. Regulate brain-drain and labour migration and 5. Direct all the released means to the welfare, health-care and education of the population.

Unfortunately, the earthians so far prefer the jungle laws of self-destruction, almost all the world being in constant bloody conflicts and wars and individuals killing one another, often for nothing.

Paradoxically enough, the mechanism of progress, development and that of aggression and conflicts is the same, it is man's striving to have

everything more and better than he has; and in which direction this mechanism is mostly set to work, it depends on the personality of political leaders and on the level of civilization of their people.

Just the lamentable results of the miswork of this mechanism, we now enjoy are: scientific, technical wonders and illiteracy; luxury and starvation; territories seized and territories lost and millions of lives massacred and new millions in such danger.

But now we should bring home to all and everybody that it is already the limit beyond which there is nothing else but our global catastrophe, and that it is not only inhuman, but also fatal to resort to guns to solve disagreements and conflicts. We should give up every thought and effort to outnumber and outforce others to gain or to regain territories or power by bloodshed. In short we should fight violence in the heads, not letting it extend to the battle-fields by all possible world-wide compulsory measures.

Special accent should be laid on bringing up physically, mentally and morally healthy generations.

It is not only humanly just, but also the only key to the peaceful development of the world to give every child on earth the same free basic education and then a profession according to their ability, vocation and knowledge. We have no right to lose talents, to let them turn into angry, ruined personalities because of the social inequality. And for this: 1. there should be imposed a special educational tax in every country to cover the schooling expenses; 2. teaching should be done according to the unified curriculum and textbooks, compiled by world science experts and top methodologists united; and 3. schools should be manned with highly-skilled teaching staff going through UNESCO-monitored qualification tests every five years.

It is high time to stop spilling the milk and then crying over it!

The sooner we begin to realise these ideas, the less utopian they will appear.

It could be only reasonable and very convenient if all the countries agreed on the unification and standardization of: 1. scientific terminolo-

gies; 2. alphabets – rearranging them according to the same order of the corresponding letters; 3. the metric-weight units; 4. the monetary units.

The logical continuation of the globalization will lead us to one language world, which will free up a lot of money, now used to study these languages that would raise us comparatively higher on the ascent of civilization.

**Abridged version published in Newspaper  
“The Georgian Times”, #109 (673), June 5, 2000**

## BACK TO THE JUNGLES?!




Author of the concept: Akaki Mumladze  
Artist: Gabriel Velijanashvili

To take thought for the morrow, and for the good of Russia itself, it must be aided both materially and spiritually; so that its soldiers should not butcher and insult and rob innocent civilians.

*This is the image of the Russian peace-killer with second hand spoons and forks, and WC pans, and half-dry undies just from the clothes-lines in August 2008 war.*

## შაგრენი(ს ტყავი) მორიგი



რეზოლუციებს ჩვენ არ მოგაკლებთ!

## შეკუმშვის ნინება!!!



იდეის ავტორი: აკაკი მუმლაძე  
მხატვარი: გაბრიელ ველიჯანაშვილი

## გუპლიცისტური წერილები

ზაფხულივით ზამთრის ლამის სიზმარი-----	3
ორიოდე მოსაზრება შექმნილი მდგომარეობის გამო -----	6
ერთი „სხვის საქმეში ბრძენის“ განცხადების გამო-----	7
ბატონო ედუარდ! -----	8
ქალბატონო ნატო! -----	9
რუკიდან რომ არ წავიშალოთ-----	11
Товарищ Зюганов! -----	15
Не Борьба, А Сотрудничество -----	16
Важный Фактор Прогресса Общества -----	19
На Родину Шерлока Холмса -----	23
არა მისაღებ გამოცდებს! -----	27
Needed, Anticipated! -----	28
ერთი კონფერენციის კვალდაკვალ.... -----	28
„ლირსეული გამარჯვებიდან“	
სამარცხვინო დამარცხებამდე -----	30
აფხაზეთი: რა დავაშავეთ ასეთი?! -----	40
მაშ რაღად მინდა მთავრობა?!... -----	42
„არძინბას აფხაზეთში“ დაბრუნება აფხაზეთის დაკარგვაა	47
ჩავა იგორი სოხუმში? -----	52
ლია წერილი პარლამენტს -----	52
დალი კინაძე – ქალღმერთი თუ ქალდემონი?! -----	55
ვისთვის საპაზრო, ვისთვის საპრაზო,	
ანუ ვისია დღეს საქართველო? -----	57
თუ დემოკრატია, ზოგი რამ დემოსაც ვკითხოთ -----	61
სახელები და სახელწოდებები -----	63
ბატონო ავთანდილ!-----	64
დემოკრატიაში დემოსიც უნდა	
გავრიოთ, ბ-ნო პრეზიდენტო! -----	65

## მგვიდობით იარაღო!



ნინო მუმლაძის ფოტო

A FAREWELL TO ARMS!

ცისფერი მთები ანუ: თან შენსკენ	68
შაგრენი(ს ტყავი) მორიგი შეკუმშვის წინაშეა!-----	74
გალმა შედავების პრინციპით, - ჩემი შენ გითხარიო... -----	76
ფიცი რომ გვნამდეს, ბოლო არ უნდა გვაკვირვებდეს! -----	77
ბატონი მიხეილ!	81
რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ლაკმუსი აფხაზეთია-----	82
Лакмус Русско-Грузинских Отношений – Абхазия -----	83
Abkhazia – Litmus of Russian-Georgian Relations -----	84
არც ერთი ნაბიჯი წინ, რამდენიმე კი – კვლავ უკან -----	85
მხოლოდ ლოგიკის სამრეკლოდან -----	88
ბატონი სერგი!-----	93
ბატონი ივერი!-----	95
„მე კი არ ვაცდენ ლექციებს, ლექციები მაცდენენ მე“ -----	96
ღია წერილი საქართველოს	
განათლებისა და მეცნიერების მინისტრს -----	97
თრი რეპლიკა-----	98
Путаница Господина Путина -----	102
Очередная Путаница Господина Путина -----	102
მარადიული მხოლოდ ღმერთია, სხვა ყველაფერი „შესაკეთია“!-----	105
პირველი რადიოს გადაცემისათვის „სიტყვა ქართული“ --	107
ბლიც კითხვები -----	108
ინტერაქტიული კითხვები განხილვისათვის -----	110
ღალადი ზომბნარსა შინა -----	110
ბატონი პრეზიდენტო!	111
თვალსაზრისი -----	112
თქვენო უნმინდესობავ!	114
ბატონი ბაკურ!	115
ბატონი ბაკურ!	116

საქართველოს პრეზიდენტის	
პუმანიტარული დახმარება რუსეთს -----	117
როგორც გიჭირდეს, ისე გილბინდესო -----	118
Back to the Jungles?!	123
მითები, ფაქტები და ვარაუდები -----	124
რეფორმის წახნაგები-----	160
„რა ენა წახდეს... ერი დაეცეს“, ანუ ქართული ქართველსაც უნდა ვასწავლოთ -----	166
Europe Kneeling Before Gas-Oily and Nuclear Russia or Not Troubling the Trouble ... ?-----	171
ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტს	
ბატონ მიხეილ სააკაშვილს -----	172
არამკითხეს ღალადი ჩალით დახურულ უდაბნოსა შინა---	179
კალეიდოსკოპი -----	181
აგრარული კალეიდოსკოპი -----	184
დიდი მნიშვნელობის პატარა ისტორია -----	187
სასწავლო ლექცია და დეკანატი – ორივე ანაქრონიზმია -	188
მოგონება -----	190
მინიატურები -----	192

### აკაკი მუგლაძის ხალხური პოეზია

სალალობო წინასწარმეტყველება-----	194
პენსულიკო-----	195
რებუსი-----	196
აპა მთელი და მომიტეხე პანა-----	197
ეკოლოგმახერებოო!	197
ისიც ადამიანია...-----	197
Влади Мир-ობის აგონია -----	198
ტერენტისეული -----	199
კაცია და გუნება -----	199
ნაკვესები -----	200

## სახალისო ისტორიები

ნაწული დეიდას ისტორიები -----	201
სამი ნამდვილი ამბავი -----	202
ანეკდოტი -----	203

## ზღაპრები

ჩიტუნას თავგადასავალი -----	205
ძმობილები -----	207
ციური მაღვიძარა -----	211
დათუჩას თავგადასავალი -----	212
გოჭუნიები-----	214

## თარგმანი

Goat And Vine -----	218
---------------------	-----

## დანასკვნები

სანამ ჯერ კიდევ დროა! -----	219
Futurological Considerations: Before It's Too Late! -----	221